პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბ. საოლქო
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ.
№ 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 12 საათიდან 5 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 12 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.— 1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

— პარიზში კომპარტიამ მოაწყო მიტინგი საფ[illegible]ლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ.
— სევილიაში (ესპანეთი) გრძელდება მუშების გაფიცვა.
— 4 ივლისს ჩიკაგოში შესდგა უმუშევართა სრულიად ამერიკის კონფერენცია.
— გერმანიის ჩრდილო-დასავლეთ სამრეწველო ოლქში მზადდება დიდი გაფიცვა.

ორშაბათი, 30 ივნისი 1930 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 150 (2798)

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პოლიტიკური ანგარიში

ამხ. ი. სტალინის მოხსენება XVI პარტყრილობაზე

I. მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისის ზრდა და საბჭოთა კავშირის საგარეო მდგომარეობა

ამხანაგებო!

მე-16 პარტყრილობის შემდეგ 2 ნახ. წელიწადი გავიდა. დრო, თითქო, არც ისე დიდია. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ფრიად სერიოზული ცვლილებები მოხდა ხალხთა და სახელმწიფოთა ცხოვრებაში. რომ განვლილი პერიოდი ორი სიტყვით დავახასიათოთ, მისთვის შეგვეძლო გვეწოდებია გარდატეხის პერიოდი. ის იყო გარდატეხის პერიოდი არა მარტო ჩვენთვის—საბჭოთა კავშირისათვის, არამედ მთელი მსოფლიოს კაპიტალისტური ქვეყნებისათვისაც. მაგრამ ამ ორ გარდატეხას შორის არსებობს არსებითი განსხვავება. იმ დროს, როცა ეს გარდატეხა საბჭოთა კავშირისათვის მოასწავებდა მობრუნებას ახალი, უფრო სერიოზული ეკონომიური აღორძინებისაკენ, კაპიტალისტური ქვეყნებისათვის გარდატეხა მოასწავებდა მობრუნებას ეკონომიური დაცემისაკენ. ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ხდება სოციალისტური მშენებლობის შეუჩერებელი წინსვლა მრეწველობაშიაც და სასოფლო მეურნეობაშიც. იქ—კაპიტალისტებთან—ეკონომიკის შეუჩერებელი კრიზისი მრეწველობაშიაც და სასოფლო მეურნეობაშიც.

ასეთია ორი სიტყვით ახლანდელი მდგომარეობის სურათი.

გაიხსენეთ საქმის ვითარება კაპიტალისტურ ქვეყნებში 2 ნახ. წლის წინ. სამრეწველო წარმოებისა და ვაჭრობის ზრდა კაპიტალიზმის თითქმის ყველა ქვეყნებში. ნედლეულისა და სურსათის წარმოების ზრდა თითქმის ყველა აგრარულ ქვეყნებში. შარავანდედი შეერთებული შტატების, როგორც სრულსისხლოვანი კაპიტალიზმის ქვეყნის გარშემო. გამარჯვების საზეიმო სიმღერები „აყვავების" შესახებ. მუხლმოდრეკა დოლარის წინაშე. ახალი ტეხნიკის, კაპიტალისტური რაციონალიზაციის ქება-დიდება. კაპიტალიზმის „გაჯანსაღებისა" და კაპიტალისტური სტაბილიზაციის შეურყეველი სიმტკიცის ხანის გამოცხადება. „საყოველთაო" განგაში საბჭოთა ქვეყნის „აუცილებელი დაღუპვის" შესახებ, საბჭოთა კავშირის „აუცილებელი კრახის" შესახებ.

ასე იყო საქმე გუშინ.

როგორია სურათი დღეს?

ახლა—ეკონომიური კრიზისია კაპიტალიზმის თითქმის ყველა სამრეწველო ქვეყნებში. ახლა—სასოფლო-სამეურნეო კრიზისია ყველა აგრარულ ქვეყნებში. „აყვავების" ნაცვლად—მასების სიღატაკე და უმუშევრობის კოლოსალური ზრდა. სასოფლო მეურნეობის აღორძინების მაგიერ—გლეხობის მილიონებიან მასების გაძვალტყავება. ირღვევა ილიუზიები კაპიტალიზმის ძლევამოსილების შესახებ საერთოდ და ჩრდილოეთ-ამერიკის კაპიტალიზმის ძლევამოსილების შესახებ კერძოდ. სულ უფრო და უფრო სუსტდება საზეიმო სიმღერები დოლარისა და კაპიტალისტური რაციონალიზაციის საპატივსაცემოდ. უფრო და უფრო ძლიერდება პესიმისტური ღმუილი კაპიტალიზმის „შეცდომების" შესახებ. „საყოველთაო" განგაშს საბჭოთა კავშირის „აუცილებელი დაღუპვის" შესახებ კი ცვლის „საყოველთაო" ბოროტი სისინი „ამ ქვეყნის" დასჯის აუცილებლობის შესახებ, რომელიც ბედავს თავისი ეკონომიკის განვითარებას, როცა გარშემო კრიზისი მეფობს.

ასეთია სურათი ახლა.

მოხდა სწორედ ისე, როგორც ამბობდნენ ბოლშევიკები ორი-სამი წლის წინ.

ბოლშევიკები ამბობდნენ, რომ ტეხნიკის ზრდამ კაპიტალისტურ ქვეყნებში და საწარმოო ძალებისა და კაპიტალისტური რაციონალიზაციის ზრდამ მუშებისა და გლეხების მილიონებიან მასების შეზღუდულ საცხოვრებელ დონეს პირობებში აუცილებლად უნდა გამოიწვიოს მკაცრი ეკონომიური კრიზისი. ბურჟუაზიული პრესა იღიმებოდა ბოლშევიკების „ორიგინალური წინასწარმეტყველობის" გამო. მემარჯვენე უკლონისტები იმიჯნებოდნენ ბოლშევიკური პროგნოზისგან, მარქსისტულ ანალიზს ისინი ცვლიდნენ ლიბერალური ლაყბობით „მოწესრიგებული კაპიტალიზმის" შესახებ. ხოლო რა დაგვანახვა სინამდვილემ? დაგვანახვა ის, რასაც ამბობდნენ ბოლშევიკები.

ასეთია ფაქტები.

გადავიდეთ იმ მასალების განხილვაზე, რომლებიც შეეხება ეკონომიურ კრიზისს კაპიტალისტურ ქვეყნებში.

I. მსოფლიო ეკონომიური კრიზისი

ა) კრიზისის შესწავლის დროს პირველ ყოვლისა ყურადღებას იქცევს შემდეგი ფაქტები:

1) ახლანდელი ეკონომიური კრიზისი არის ჭარბი წარმოების კრიზისი.

ეს იმას ნიშნავს, რომ საქონელი უფრო მეტის რაოდენობით არის დამზადებული, ვიდრე ბაზარს შეუძლია შთანთქას. ეს იმას ნიშნავს, რომ მანუფაქტურა, სათბობი მასალა, საქარხნო ნაწარმოები, საკვები საგნები უფრო მეტია დამზადებული, ვიდრე მათი შეძენა შეუძლია ნაღდ ფულზე ძირითად მომხმარებლებს, ე. ი. ხალხის მასებს, რომელთა შემოსავალი დაბალ დონეზე რჩება. და ვინაიდან ხალხის მასების სყიდვითი უნარიანობა კაპიტალიზმის პირობებში რჩება მინიმალურად დაბალ დონეზე, „ზედმეტ" საქონელს—მანუფაქტურას, პურს და სხვ. კაპიტალისტები სტოვებენ საწყობებში ან კიდეც ანადგურებენ, რომ შეინარჩუნონ მაღალი ფასები, წარმოებას ამცირებენ, მუშებს ითხოვენ და ხალხის მასები იძულებული არიან გაჭირვებულ მდგომარეობაში იყონ იმის გამო, რომ დამზადებულია ძლიერ ბევრი საქონელი.

2. ახლანდელი კრიზისი მსოფლიო კრიზისი არის არა მარტო იმ მნიშვნელობით, რომ ედება მსოფლიოს ყველა ან თითქმის ყველა სამრეწველო ქვეყნებს, როცა საფრანგეთმაც კი, რომელიც თავის ორგანიზმს სისტემატიურად უშხაპუნებს გერმანიისაგან მიღებულ მილიარდ მარკებს სარეპარაციო გადასახადებისას, ვერ დააღწია თავი ერთგვარ დეპრესიას, რომელიც, ყველა ნიშნების მიხედვით, კრიზისად უნდა იქცეს. იგი მსოფლიო კრიზისს წარმოადგენს აგრეთვე იმ მნიშვნელობითაც, რომ სამრეწველო კრიზისი დროის მიხედვით შეხვდა სასოფლო-სამეურნეო კრიზისს, რომელიც გავრცელდა ყველა სახის ნედლეულის და სურსათის წარმოებაზე მსოფლიოს ძირითად აგრარულ ქვეყნებში.

3. ახლანდელი მსოფლიო კრიზისი მისი საყოველთაო ხასიათის მიუხედავად, არათანაბრად იშლება; იგი ამა თუ იმ ქვეყანაში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ძალით ვითარდება. სამრეწველო კრიზისი პირველ ყოვლისა დაიწყო პოლონეთში, რუმინეთში და ბალკანეთზე. იგი იქ ვითარდებოდა მთელი წარსული წლის განმავლობაში. დაწყებული სასოფლო-სამეურნეო კრიზისის აშკარა ნიშნები უკვე 1928 წლის დამლევს იყო კანადაში, შეერთებულ შტატებში, არგენტინაში, ბრაზილიაში და ავსტრალიაში. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში შეერთებული შტატების მრეწველობა ზეამავალ გზით მიდიოდა, 1929 წ. ნახევარში შეერთებული შტატების სამრეწველო წარმოება თითქმის სარეკორდო დონეს აღწევს. მხოლოდ 1929 წლის მეორე ნახევრიდან იწყება გარდატეხა და შემდეგ იგი იშლება სამრეწველო წარმოების შეუჩერებელ კრიზისად, რომელმაც შეერთებული შტატები 1927 წლის დონემდე მიიყვანა. ამის შემდეგ ვითარდება სამრეწველო კრიზისი კანადაში და იაპონიაში.

შემდეგ იწყება გაკოტრებანი და კრიზისი ჩინეთში და კოლონიალურ ქვეყნებში, სადაც ვერცხლის ფასების დაცემა კრიზისს ართულებს, და სადაც კრიზისი და ჭარბი წარმოება უკავშირდება გაღატაკებას გლეხური მეურნეობისას, რომელიც ფეოდალების ექსპლოატაციამ და აუტანელმა გადასახადებმა სრულ გაძვალტყავებამდე მიიყვანა. რაც შეეხება დასავლეთ ევროპას, იქ კრიზისი ძალაში შესვლას იწყებს მხოლოდ მიმდინარე წლის დასაწყისიდან, ამასთანავე ყველგან ერთნაირის ძალით არა; საფრანგეთი კი ამ პერიოდშიც ჯერ კიდევ განაგრძობს სამრეწველო წარმოების ზრდის ნიშნების ჩვენებას.

მე ვფიქრობ, საჭირო არ არის განსაკუთრებით შეჩერება ციფრობრივ მასალებზე, რომლებიც კრიზისის არსებობას გვიჩვენებენ. ახლა უკვე აღარ დაობენ იმის შესახებ, რომ კრიზისი არსებობს. ამიტომ დავკმაყოფილდები იმით, რომ მოვიყვან მხოლოდ ერთ პატარა, მაგრამ ფრიად დამახასიათებელ ცხრილს, რომელიც ამ რამოდენიმე ხნის წინად გამოაქვეყნა გერმანიის „საკონიუნქტურო მიმოხილვის ინსტიტუტმა". ეს ცხრილი გამოხატავს შეერთებული შტატების, ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის სამთო მრეწველობისა და დამამუშავებელი ინდუსტრიის ძირითადი დარგების განვითარებას 1927 წლიდან დაწყებული. ამ ცხრილში 1928 წლის წარმოების დონე 100 არის ჩათვლილი.

აი ეს ცხრილი.

წლები	საბჭ. კავშირ.	შეერთ. შტატები	ინგლისი	გერმანია	საფრანგეთი	პოლონეთი
1927	82,4	95,5	105,5	100,1	86,6	885
1928	100	100	100	100	100	100
1929	123,5	106,3	107,9	101,8	109,4	99,8
1930 წ. 1-ლი კვარტ.	115,5	95,5	107,4	93,4	113,1	84,6

რას გვეუბნება ეს ცხრილი?

იგი პირველ ყოვლისა გვეუბნება იმას, რომ შეერთებული შტატები, გერმანია და პოლონეთი განიცდიან სამრეწველო წარმოების აშკარად გამოხატულ კრიზისს. ამასთანავე შეერთებულ შტატებში წარმოების დონე 1929 წლის პირველ ნახევარში ამაღლების შემდეგ 1930 წლის პირველ კვარტალში 1929 წელთან შედარებით დაეცა 10,8 პროცენტით და დავიდა 1927 წლის დონემდე. გერმანიაში სამი წლის განმავლობაში ერთ წერტილზე ყოფნის შემდეგ წარმოების დონე წარსულ წელთან შედარებით 8,4 პროცენტით შემცირდა და 6,7 პროც. დაბლაა, ვიდრე 1927 წელს; პოლონეთში კი შარშანდელი კრიზისის შემდეგ წარმოების დონე წარსულ წელთან შედარებით 15,3 პროცენტით შემცირდა და 1927 წლის დონეზე 3,9 პროცენტით დაბლა დაეცა.

მეორე, ეს ცხრილი გვეუბნება, რომ ინგლისი უკვე სამი წელიწადია ერთ ადგილს სტკეპნის 1927 წლის დონის გარშემო და განიცდის მძიმე ეკონომიურ მდუნარებას, ამასთანავე 1930 წლის პირველ კვარტალში მან მოასწრო წარმოების დონის შემცირება, წარსულ წელთან შედარებით, 0,5 პროცენტით და ამრიგად კრიზისის დაწყებით ფაზაში შესვლა.

მესამე, ის გვეუბნება, რომ მსხვილ კაპიტალისტური ქვეყნებიდან მხოლოდ საფრანგეთში აქვს ადგილი მსხვილ მრეწველობის ერთგვარ ზრდას; ამასთანავე თუ ზრდის პროცენტი 1928 წელს შეადგენდა 13,4-ს, 1929 წელს კი—9,4-ს, 1930 წლის პირველ კვარტალში ზრდა 1929 წელთან შედარებით შეადგენს მხოლოდ 3,7 პროცენტს და ამრიგად გვიჩვენებს ზრდის მრუდე ხაზის წლიდან წლამდე დაბლა დაშვების სურათს.

დაბოლოს, ის გვეუბნება, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყნებიდან მხოლოდ საბჭოთა კავშირში აქვს ადგილი მსხვილი მრეწველობის ფართო ზრდას და ამასთანავე წარმოების დონე 1930 წლის პირველ კვარტალში 1927 წლის დონეს ორჯერ მეტად სჭარბობს, ზრდის პროცენტი კი 17,6-დან 1928 წელში 23,5-დე მატულობს 1929 წელს და 32-დე 1930 წლის პირველ კვარტალში და ამრიგად გვიჩვენებს წლიდან წლამდე ზეამავალი მრუდის სურათს.

შეიძლება სთქვან, რომ თუ ასე იყო საქმე მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დასრულებამდე, შესაძლებელია მეორე კვარტალში მდგომარეობა უკეთესისაკენ შეიცვალა. მაგრამ მეორე ნახევრის ცნობები გადაჭრით უარყოფენ ამგვარ მოსაზრებას, პირიქით, ეს ცნობები გვეუბნებიან, რომ მეორე კვარტალში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ეს ცნობები გველაპარაკებიან აქციების ახალი დაცემის შესახებ ნიუ-იორკის ბირჟაზე და გაკოტრებათა ახალი ტალღის შესახებ შეერთებულ შტატებში, წარმოების ახალი შემცირების შესახებ, მუშათა ხელფასის შემცირების, უმუშევრობის ზრდის შესახებ შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, ინგლისში, იტალიაში, იაპონიაში, სამხრეთ-ამერიკაში, პოლონეთში, ჩეხო-სლოვაკიაში და სხვ., საფრანგეთის მრეწველობის ზოგიერთი დარგების შესვლაზე მოდუნების პერიოდში, რაც ახლანდელ საერთაშორისო ეკონომიურ პირობებში კრიზისის დაწყების ნიშანს წარმოადგენს. ახლა შეერთებულ შტატებში ექვს მილიონზე მეტი უმუშევარია, იტალიაში, სამხრეთ-ამერიკაში და იაპონიაში თითო მილიონი, პოლონეთში, ჩეხო-სლოვაკიაში და ავსტრიაში ნახევარ-ნახევარი მილიონი.

მე აღარ ვლაპარაკობ სასოფლო-სამეურნეო კრიზისის შემდგომ გამწვავებაზე, რამაც გაალატაკა მილიონი ფერმერები და მშრომელი გლეხები. ჭარბი წარმოების კრიზისმა სასოფლო მეურნეობაში ისეთ დონეს მიაღწია, რომ მაღალი ფასებისა და ბურჟუაზიის მოგების შესანარჩუნებლად ბრაზილიაში ზღვაში გადაჰყარეს ორი მილიონი ტომარა ყავა, ამერიკაში საწვავ მასალათ ნახშირის ნაცვლად სიმინდს ხმარობენ, გერმანიაში მრავალი მილიონი ფუთი ჭვავი ღორების საჭმელად გადააქციეს, ბამბისა და ხორბლის მიმართ კი იღებენ ზომებს, რომ მათი ნათესები 10—15 პროცენტით შეამცირონ.

ასეთია საერთოდ სურათი, მსოფლიო ეკონომიური კრიზისის, რომელიც ვითარდება.

ბ) ახლა, როცა მსოფლიო ეკონომიური კრიზისი ანვითარებს თავის განმანადგურებელ მოქმედებას, უფსკრულში ჩაჰყავს წვრილ კაპიტალისტების ძველ ფენებს, აღატაკებს მუშათა არისტოკრატებისა და ფერმერების მთელ ფენებს, სიმშილობას უქადის მუშების მილიონიან მასებს — ყველანი კითხულობენ: სად არის კრიზისის მიზეზი, სად არის მისი საფუძველი, როგორ ვებრძოლოთ მას, როგორ მოვსპოთ იგი? იგონებენ კრიზისის ათასგვარ „თეორიებს", იმუშავებენ კრიზისის „შერბილების", „თავიდან აცილების", „ლიკვიდაციის" მთელ პროექტებს. ბურჟუაზიული ოპოზიციები მიუთითებენ ბურჟუაზიულ მთავრობებზე, რომლებმაც თურმე „არ მიიღეს ყველა ზომები" კრიზისის თავიდან ასაცილებლად.

„დემოკრატები" ამტყუნებენ „რესპუბლიკანელებს", ხოლო „რესპუბლიკანელები" „დემოკრატებს". ყველა ერთად კი—ჰუვერის და მისი „ფედერალური სარეზერვო სისტემის" ჯგუფს, რომელმაც ვერ შესძლო „ლაგამი ამოედო" კრიზისისათვის. არიან ისეთი ბრძენებიც, რომლებიც მსოფლიო ეკონომიური კრიზისის მიზეზს „ბოლშევიკების ხრიკებში" ხედავენ. მე მხედველობაში მყავს ცნობილი „მრეწველი" რეხბერგი, რომელიც, სიმართლე რომ ვსთქვათ, ნაკლებად ჰგავს მრეწველს და უფრო გვაგონებს „მრეწველს" ლიტერატორთა შორის ან „ლიტერატორს" მრეწველთა შორის (სიცილი).

რა თქმა უნდა, ყველა ამ თეორიებს და პროექტებს საერთო არაფერი აქვთ მეცნიერებასთან. უნდა ითქვას, რომ ბურჟუაზიული ეკონომისტები სრულიად გაკოტრებული აღმოჩნდნენ კრიზისის ახსნის საქმეში. უფრო მეტიც, ისინი ცხოვრების გაგების იმ მინიმუმსაც კი მოკლებულნი აღმოჩნდნენ, რომელიც ყოველთვის არ შეიძლება წაერთვათ მათ წინაპრებს. ეს ვაჟბატონები ივიწყებენ, რომ ეკონომიური კრიზისები წარმოადგენენ კაპიტალიზმის აუცილებელ შედეგს. ეს ვაჟბატონები ივიწყებენ, რომ კრიზისები კაპიტალიზმის ბატონობის დაბადებასთან ერთად წარმოიშვენ. ასეულზე მეტი წლების მანძილზე ხდება პერიოდული ეკონომიური კრიზისები, რომლებიც მეორდებიან ყოველ 12, 10, 8 და ნაკლებ წლების განმავლობაში. ამ პერიოდის განმავლობაში ყველა ჯურისა და ფერის ბურჟუაზიული მთავრობები ყველა ხარისხისა და ნიჭის ბურჟუაზიული მოღვაწეები, უკლებლივ ყველანი, ცდილობდნენ ესინჯათ თავიანთი ძალა კრიზისების „თავიდან აცილების" და „მოსპობის" საქმეში. მაგრამ ყველა მათგანი მარცხდებოდა. მარცხდებოდნენ იმიტომ, რომ არ შეიძლება ეკონომიური კრიზისების თავიდან აცილება ან მოსპობა კაპიტალიზმის ჩარჩოებში დარჩენით. რა არის აქ გასაკვირი, თუ ახლანდელი ბურჟუაზიული მოღვაწეებიც მარცხდებიან? რა არის აქ გასაკვირი, თუ ბურჟუაზიული მთავრობების ღონისძიებები სინამდვილეში იწვევენ არა კრიზისის შემსუბუქებას, არა მშრომელთა მილიონ მასების მდგომარეობის შემსუბუქებას, არამედ ახალ გაკოტრებებს, უმუშევრობის ახალ ტალღებს, ნაკლებად ძლიერი კაპიტალისტური გაერთიანებების ჩაყლაპვას უფრო ძლიერი კაპიტალისტური გაერთიანებების მიერ.

ჭარბი წარმოებით გამოწვეული ეკონომიური კრიზისების საფუძველი და მათი მიზეზი თვით კაპიტალისტური მეურნეობის სისტემაში ძევს. კრიზისის საფუძველს წარმოადგენს ის წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და წარმოების შედეგების მითვისების კაპიტალისტურ ფორმას შორის. კაპიტალიზმის ამ ძირითადი წინააღმდეგობის გამოხატულებას წარმოადგენს ის წინააღმდეგობა, რომელიც არის მოგების საწარმოო შესაძლებლობათა უდიდეს ზრდასა და მშრომელთა მილიონიანი მასების მხრით, სყიდვითი-უნარიანი მოთხოვნილების შედარებით შემცირებას შორის, ვინაიდან კაპიტალისტები მუდამ ცდილობენ უკიდურესი მინიმუმის ფარგლებში იყოლიონ მშრომელთა საცხოვრებელი დონე. კონკურენციაში გამარჯვებისა და მეტი მოგების მიღების მიზნით, კაპიტალისტები იძულებული არიან განავითარონ ტეხნიკა, ჩაატარონ რაციონალიზაცია, გააძლიერონ მუშების ექსპლოატაცია და უკიდურეს ზომამდე გაადიდონ თავიანთი საწარმოთა საწარმოო შესაძლებლობანი. რომ ერთმანეთს არ ჩამორჩნენ ყველა კაპიტალისტები იძულებული არიან ასე თუ ისე დაადგნენ საწარმოო შესაძლებლობათა ამ გაცოფებული განვითარების გზას. მაგრამ საშინაო ბაზარი, ბაზარი საგარეო და მუშათა და გლეხთა ამ მილიონიანი მასების მსყიდველობითი უნარი, რომლებიც საბოლოო ანგარიშით ძირითად გამსაღებლებს წარმოადგენენ დაბალ დონეზე რჩება. აქედანაა ის ცნობილი შედეგები, რომლებიც მეორდებიან ცოტად თუ ბევრად პერიოდულად, რომელთა გამოც საქონელი გაუსაღებელი რჩება, წარმოება მცირდება, უმუშევრობა მატულობს, სამუშაო ხელფასი კლებულობს და მით კიდევ უფრო მწვავდება წარმოების დონესა და გადახდისუნარიან მოთხოვნილების დონეს შორის არსებული წინააღმდეგობა. ზედმეტი წარმოებით გამოწვეული კრიზისი არის ამ წინააღმდეგობების გამომჟღავნება უდრეკად დამღრღველ ფორმებში. კაპიტალიზმს რომ შეეძლოს შეეგუოს წარმოება არა მოგების მაქსიმუმის მიღებას, არამედ ხალხის მასების მატერიალური მდგომარეობის სისტემატიურ გაუმჯობესებას, მას რომ შეეძლოს მოახმაროს მოგება არა პარაზიტული კლასების ჟინის დაკმაყოფილებას, არა ექსპლოატაციის მეთოდების გაუმჯობესებას, არა კაპიტალის გატანას, არამედ მუშათა და გლეხთა მასების მატერიალური მდგომარეობის სისტემატიურ გაუმჯობესებას, მაშინ კრიზისები აღარ იქნებოდენ. მაგრამ მაშინ კაპიტალიზმიც არ იქნებოდა კაპიტალიზმი. კრიზისები რომ მოსპო, უნდა მოსპო კაპიტალიზმი.

ასეთია ზედმეტი წარმოებით გამოწვეული ეკონომიური კრიზისების საფუძველი საზოგადოდ.

მაგრამ ახლანდელი კრიზისის დახასიათების დროს საქმე ამით როდი თავდება. ახლანდელი კრიზისი არ არის ძველი კრიზისების უბრალო განმეორება, იგი ხდება და ვითარდება ერთგვარ ახალ პირობებში, რომლებიც უნდა ავხსნათ, რომ მივიღოთ კრიზისის სრული სურათი. მას ართულებს და აღრმავებს მთელი რიგი განსაკუთრებული გარემოებანი, რომელთა გარკვევის გარეშე შეუძლებელია ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ახლანდელ ეკონომიურ კრიზისზე.

რა განსაკუთრებული გარემოებანია ეს?

ესენი, ეს განსაკუთრებული გარემოებანი, გამოიხატებიან შემდეგ დამახასიათებელ ფაქტებში:

1) კრიზისი ყველაზე ძლიერად შეეხო კაპიტალიზმის მთავარ ქვეყანას, მის ციხე-სიმაგრეს—ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელთა ხელშიც დაგროვილია მსოფლიოს ყველა ქვეყნების მთელი წარმოების და მოხმარების არა ნაკლებ ნახევრისა. გასაგებია, რომ ამ გარემოებას არ შეუძლია არ გამოიწვიოს კრიზისის გავლენის სფეროს ბუმბერაზული გაფართოვება, კრიზისის გამწვავება, მსოფლიო კაპიტალიზმისათვის გაუთვალისწინებელი სიძნელეების დაგროვება.

2) ეკონომიური კრიზისის გაშლის გზაზე მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების სამრეწველო კრიზისი მარტო კი არ შეხვდა, არამედ გადაეხლართა სასოფლო-სამეურნეო კრიზისს აგრარულ ქვეყნებში, გაართულა სიძნელეები და განსაზღვრა სამეურნეო აქტივობის საერთო დაცემის აუცილებლობა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ სამრეწველო კრიზისი გააძლიერებს სასოფლო-სამეურნეო კრიზისს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კრიზისი გაახანგრძლივებს სამრეწველო კრიზისს, რასაც არ შეიძლება არ მოჰყვეს ეკონომიური კრიზისის გაღრმავება მთლიანად.

3) ახლანდელი კაპიტალიზმი, ძველი კაპიტალიზმისაგან განსხვავებით, წარმოადგენს მონოპოლისტურ კაპიტალიზმს, ეს კი გულისხმობს კაპიტალისტურ გაერთიანებათა ბრძოლის აუცილებლობას საქონლის მაღალი მონოპოლური ფასების შენარჩუნებისათვის, მიუხედავად ზედმეტი წარმოებისა, გასაგებია, რომ ეს გარემოება განსაკუთრებით მტანჯველი და გამაღატაკებელია ხალხის მასებისათვის, რომლებიც საქონლის ძირითადი მომხმარებლები არიან და მას არ შეუძლია არ გამოიწვიოს კრიზისის გახანგრძლივება, არ შეიძლება არ შეაფერხოს მისი შენელება.

4) ახლანდელი ეკონომიური კრიზისი იშლება კაპიტალიზმის იმ საერთო კრიზისის საფუძველზე, რომელიც იმპერიალისტური ომის პერიოდში წარმოიშვა, რომელიც ნიადაგს აცლის კაპიტალიზმს და რომელმაც გაადვილა ეკონომიური კრიზისის დადგომა.

რას ნიშნავს ეს?

ეს პირველ ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ იმპერიალისტურმა ომმა და მისმა შედეგებმა გააძლიერეს კაპიტალიზმის ლპობა, ნიადაგი გამოაცალეს მის წონასწორობას, რომ ჩვენ ახლა ვცხოვრობთ ომებისა და რევოლუციების ეპოქაში, რომ კაპიტალიზმი უკვე აღარ წარმოადგენს მსოფლიო მეურნეობის ერთად-ერთ ყოვლის შემცველ სისტემას, რომ მეურნეობის კაპიტალისტურ სისტემის გვერდით არსებობს სოციალისტური სისტემა, რომელიც იზრდება, ვითარდება და უპირისპირდება კაპიტალისტურ სისტემას და რომელიც თვით თავის არსებობის ფაქტით ააშკარავებს კაპიტალიზმის სიდამპლეს, საფუძველს აცლის მას.

გარდა ამისა ეს ნიშნავს იმას, რომ იმპერიალისტურმა ომმა და საბჭოთა კავშირში რევოლუციის გამარჯვებამ შეარყია იმპერიალიზმის საფუძვლები კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნებში, რომ ამ ქვეყნებში იმპერიალიზმის გავლენა უკვე შერყეულია, რომ მას უკვე აღარ შეუძლია ძველებურად იბატონოს ამ ქვეყნებში.

შემდეგ ეს ნიშნავს იმას, რომ ომის დროს და შემდეგ კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნებში გაჩნდა და გაიზარდა თავისი საკუთარი ახალგაზრდა კაპიტალიზმი, რომელიც წარმატებით უწევს მეტოქეობას ბაზარზე ძველ კაპიტალისტურ ქვეყნებს და ამწვავებს და ართულებს გამსაღებელი ბაზრისათვის ბრძოლას.

დასასრულ, ეს იმას ნიშნავს, რომ ომმა კაპიტალისტური ქვეყნების უმრავლესობას დაუტოვა მძიმე მემკვიდრეობა საწარმოთა ქრონიკული დაუტვირთაობის და უმუშევართა იმ მილიონიანი არმიის სახით, რომლებიც სათადარიგო უმუშევართა არმიიდან მუდმივ უმუშევართა არმიად გადაიქცა, რაც კაპიტალიზმს აუარებელ დაბრკოლებებს უქმნიდა ჯერ კიდევ ახლანდელ კრიზისამდე და რამაც კიდევ უფრო უნდა გაართულოს საქმე კრიზისის დროს.

ასეთია ის გარემოებანი, რომლებიც ართულებენ და ამწვავებენ მსოფლიო ეკონომიურ კრიზისს.

უნდა ითქვას, რომ ახლანდელი ეკონომიური კრიზისი ყველაზე უფრო სერიოზულ და ღრმა კრიზისს წარმოადგენს აქამდე არსებულ ყველა მსოფლიო კრიზისთა შორის.

2. კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გამწვავება

მსოფლიო ეკონომიური კრიზისის უმნიშვნელოვანეს შედეგს წარმოადგენს იმ წინააღმდეგობათა გაშიშვლება და გამწვავება, რომლებიც მსოფლიო კაპიტალიზმს ახასიათებს.

ა) შიშვლდება და მწვავდება წინააღმდეგობანი უმნიშვნელოვანეს იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის, ბრძოლა ბაზრებისათვის, ბრძოლა ნედლეულისათვის, ბრძოლა კაპიტალის გატანისათვის. ახლა უკვე არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოს არ აკმაყოფილებს კოლონიებზე გავლენის სფეროს ძველი განაწილება. ისინი ხედავენ, რომ შეიცვალა ძალთა განწყობილება და ამის შესაფერად სურთ განაწილდეს გამსაღებელი ბაზრები, ნედლეულის წყაროები, გავლენის სფეროები და სხვა. ამ წინააღმდეგობათაგან მთავარია—წინააღმდეგობა ინგლისსა და ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. დამზადებული საქონლის გატანის დარგშიც და კაპიტალის გატანის დარგშიც მიმდინარეობს ბრძოლა უმთავრესად ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის. საკმარისია აიღოთ რომელიც გსურთ ეკონომიური გაზეთი, რომელიც გსურთ დოკუმენტი საქონლის და კაპიტალის გატანის შესახებ, რომ დარწმუნდეთ ამაში. ბრძოლის მთავარი სარბიელია სამხრეთ-ამერიკა, ჩინეთი, კოლონიები და დომინიონები ძველი იმპერიალისტური ქვეყნებისა. ამ ბრძოლაში სასწორი აშკარად გადახრილია ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების მხარეზე. მთავარ წინააღმდეგობებს მისდევენ არა მთავარი, მაგრამ საკმაოდ საფუძვლიანი წინააღმდეგობანი: ამერიკასა და იაპონიის შორის, გერმანიასა და საფრანგეთს შორის, საფრანგეთსა და იტალიის შორის, ინგლისსა და საფრანგეთს შორის და სხ.

არავითარი ეჭვი არ შეგვიძლია ვიქონიოთ იმაში, რომ, კრიზისის განვითარებასთან დაკავშირებით, გამსაღებელი ბაზრებისათვის, ნედლეულისათვის, კაპიტალის გატანისათვის ბრძოლა თვიდან თვეზე და დღიდან დღეზე გაძლიერდება.

ბრძოლის საშუალებანი: საბაჟო პოლიტიკა, იაფი საქონელი, იაფი კრედიტი, ძალების გადაჯგუფება და ახალი სამხედრო და პოლიტიკური კავშირები და, დასასრულ, ომი. მე ვლაპარაკობდი კრიზისზე, რომელმაც მოიცვა წარმოების ყველა დარგი. მაგრამ არის ერთი დარგი, რომელიც კრიზისით არაა შეპყრობილი. ეს დარგია სამხედრო მრეწველობა. იგი, მიუხედავად კრიზისისა, გამუდმებით იზრდება. ბურჟუაზიული სახელმწიფოები გააფთრებით იარაღდებიან და აწარმოებენ ხელ-ახალ შეიარაღებას. რისთვის? რა თქმა უნდა, მასლაათისთვის კი არა, არამედ ომისთვის. ხოლო ომი იმპერიალისტებისთვის საჭიროა, ვინაიდან იგი არის ერთად ერთი საშუალება მსოფლიოს ხელ-ახალი განაწილებისა, საქონლის გამსაღებელი ბაზრების განაწილებისა, ნედლეულის წყაროებისა და კაპიტალის გამოყენებათა განაწილებისა.

სავსებით გასაგებია, რომ საქმის ამნაირ ვითარებაში, ეგრეთწოდებული პაციფიზმი თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს განიცდის, ერთა ლიგა ცოცხლივ იხრწნება, „განიარაღების პროექტები" უფსკრულში ინთქება, ხოლო საზღვაო შეიარაღებათა შემცირების კონფერენციები იქცევა საზღვაო ფლოტის განახლებისა და გაფართოვების კონფერენციებად.

ეს იმას ჰნიშნავს, რომ ომის საფრთხე აჩქარებული ტემპით გაიზრდება.

დაე ილაყბონ სოციალ-დემოკრატებმა პაციფიზმზე, მშვიდობიანობაზე, კაპიტალიზმის მშვიდობიან განვითარებაზე და სხ. გერმანიასა და ინგლისში ხელისუფლების სათავეში სოციალ-დემოკრატების ყოფნამ დაგვანახვა, რომ პაციფიზმი მათთვის მხოლოდ ნიღაბია, რომელიც სჭირდებათ ახალი ომების მომზადების დასაფარავად.

ბ) შიშვლდება და შემდეგში უფრო გამწვავდება წინააღმდეგობანი გამარჯვებულ ქვეყნებსა და დამარცხებულ ქვეყნებს შორის. ამ უკანასკნელთა შორის მე, უმთავრესად, გერმანიას ვგულისხმობ. ეჭვი არაა, რომ კრიზისთან და ბაზრების პრობლემების გამწვავებასთან დაკავშირებით, გაძლიერდება გერმანიის შევიწროება, რომელიც მარტო მოვალე სახელმწიფო კი არაა, არამედ უდიდესი ექსპორტიორიც.

ის ორიგინალური ურთიერთობანი, რომელიც დამყარდა გამარჯვებულ სახელმწიფოებსა და გერმანიას შორის, შეიძლება გამოიხატოს პირამიდის სახით: ამ პირამიდის თავზე ბატონებსავით მოკალათებულან ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთი და სხ. ხელთ უჭირავთ იუნგის გეგმა წარწერით: „გადაიხადე!", ხოლო პირამიდის ძირში გართხმულია გერმანია, რომელიც არაქათგამოლეული წელებზე ფეხს იდგამს და იძულებულია მთელი ძალ-ღონე მოიკრიბოს, რათა შეასრულოს ბრძანება მილიარდობით კონტრიბუციის გადახდის შესახებ. თქვენ გინდათ იცოდეთ რა არის ეს? ეს არის „ლოკარნოს სული". იმის ფიქრი, რომ ასეთი მდგომარეობა მსოფლიო კაპიტალიზმს უხიფათოდ ჩაუვლის, იმას ჰნიშნავს, რომ ცხოვრებაში არაფრისგანა არაფერი გესმოდეს. იმის ფიქრი, რომ გერმანიის ბურჟუაზია შესძლებს ამ უახლოეს 10 წელიწადში 20 მილიარდ მარკის გადახდას, იმის ფიქრი, რომ გერმანიის პროლეტარიატი, რომელიც „თავისი" და „სხვისი" ბურჟუაზიის ორმაგ უღელ ქვეშ ცხოვრობს, ნებას მისცემს გერმანიის ბურჟუაზიას გამოსწოვოს პროლეტარიატის ძარღვებიდან ეს 20 მილიარდი მარკა, ისე რომ სერიოზული ბრძოლები და შერყევანი არ მოხდეს, ამის ფიქრი მარტო ჭკუაზე შერყეულს შეუძლიან. დაე საფრანგეთისა და გერმანიის პოლიტიკოსებმა მიიღონ სახის ისეთი გამომეტყველება, თითქოს მათ სჯერათ ეს სასწაული. ჩვენ, ბოლშევიკებს, სასწაულები არა გვწამს.

გ) შიშვლდება და მწვავდება წინააღმდეგობანი იმპერიალისტურ სახელმწიფოებსა და კოლონიალურ, დამოკიდებულ ქვეყნებს შორის. ეკონომიურ კრიზისს, რომელიც თანდათან იზრდება, არ შეუძლიან არ გააძლიეროს შევიწროვება კაპიტალისტების მხრივ კოლონიებისა, დამოკიდებულ ქვეყნებისა, რომელნიც წარმოადგენენ ნედლეულისა და საქონლის გასაღების ძირითად ბაზრებს. მართლაც, ეს შევიწროვება უმაღლეს ხარისხამდე ძლიერდება. ეს ფაქტია, რომ ევროპის ბურჟუაზია ამჟამად საომარ მდგომარეობაში იმყოფება „თავის" კოლონიებთან: ინდოეთში, ინდო-ჩინეთში, ინდონეზიასა და ჩრდილო აფრიკაში. ეს ფაქტია, რომ „დამოუკიდებელი ჩინეთი" ფაქტიურად უკვე დაყოფილია გავლენის სფეროებად, ხოლო კონტრ-რევოლუციონურ გომინდანელების გენერალთა ხროვები, ებრძვიან რა ერთმანეთს, როდესაც ანადგურებენ ჩინეთის ხალხს, ამით ისინი ასრულებენ თავიანთი იმპერიალისტური ბატონების ნებასა და სურვილს.

საბოლოოდ დამარცხებულად უნდა ჩაითვალოს ის ყალბი ვერსია, რომ თითქოს ჩინეთში მყოფი რუსთა საელჩოების მომუშავენი იყვნენ „წესიერებისა და მყუდროების" დარღვევის მიზეზი. რუსთა საელჩოები დიდი ხანია, რაც აღარ არიან არც სამხრეთ და არც შუა ჩინეთში. მაგრამ სამაგიეროდ იქ არიან ინგლისის, იაპონიის, გერმანიის, ამერიკისა და სხვა ყოველგვარი საელჩოები. რუსთა საელჩოები დიდი ხანია რაც აღარ არიან არც სამხრეთ და არც შუა ჩინეთში. მაგრამ სამაგიეროდ იქ იმყოფებიან გერმანიის, ინგლისის და იაპონიის სამხედრო მრჩეველები ომში გართულ ჩინეთის გენერლებთან. რუსეთის საელჩოები იქ უკვე დიდიხანია აღარ არიან. მაგრამ სამაგიეროდ მოიპოება ის ინგლისური, ამერიკული, გერმანული, ჩეხო-სლოვაკური და სხვა ყოველნაირი ზარბაზნები, თოფები, ჰაეროპლანები, ტანკები და მომწამვლელი გაზები. და მერე რას ვხედავთ იქ ჩვენ? ნაცვლად „წესიერებისა და მყუდროებისა" ჩვენ ვხედავთ, რომ სამხრეთ და შუა ჩინეთში ადგილი აქვს ყოვლად გათავხედებულ და ყოვლად განმანადგურებელ გენერლების ომს, რომელსაც ფინანსიურად ეხმარებიან და ხელმძღვანელობას უწევენ თავიანთი ინსტრუქტორების საშუალებით „განათლებული" ევროპის და ამერიკის სახელმწიფოები. ვღებულობთ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა „ცივილიზატორული" მუშაობის საკმაოდ „პიკანტურ" სურათს. არ გვესმის მხოლოდ, რა შუაშია აქ რუსეთის ბოლშევიკები.

სასაცილო იქნებოდა გვეფიქრა, რომ ყველა ეს უმსგავსოებანი ტყუილად ჩაუვლის იმპერიალისტებს. ჩინეთის მუშებმა და გლეხებმა უკვე უპასუხეს მათ საბჭოების დაარსებით და წითელი არმიის შექმნით. ამბობენ, რომ იქ უკვე დაარსებულია საბჭოთა მთავრობა. ვფიქრობ, რომ თუ ეს მართალია, გასაკვირალი აქ არ უნდა იყოს რა. არ შეიძლება ეჭვის შეტანა იმაში, რომ მხოლოდ საბჭოებს შეუძლია იხსნან ჩინეთი საბოლოო დარღვევისა და გაღატაკებისაგან.

რაც შეეხება ინდოეთს, ინდო-ჩინეთს, ინდონეზიას, აფრიკას და სხვა ქვეყნებს, რევოლუციონური მოძრაობის ზრდა ამ ქვეყნებში, რასაც ხშირად ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათი ეძლევა, არავითარ ეჭვებს აღარ იწვევს. ბატონი ბურჟუები ლამობენ სისხლით მორწყონ ეს ქვეყნები, დაეყრდნონ პოლიციელთა ხიშტებს და დასახმარებლად მოუწოდონ ისეთ ადამიანებს, როგორიც არის განდი. ეჭვი არ გვეპარება, რომ პოლიციელთა ხიშტები—ცუდი დასაყრდენია. მეფის წყობილებაც თავის დროზე ცდილობდა დამყარებოდა პოლიციელთა ხიშტებს, მაგრამ თუ რა დასაყრდენი გამოვიდა აქედან, ყველამ კარგად იცით. რაც შეეხება ისეთი ტიპის დამხმარეებს, როგორიც განდია, მეფის წყობილებას მსგავს ადამიანთა მთელი ხროვა მყავდა. ესენი იყვნენ სხვადასხვა სახის ლიბერალური შემთანხმებლები, მაგრამ აქედან არაფერი, გარდა კონფუზისა, არ გამოსულა.

დ) გაშიშვლდა და გამწვავდა წინააღმდეგობანი ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის კაპიტალისტურ ქვეყნებში. კრიზისმა უკვე მოასწრო გაძლიერებინა კაპიტალისტების შეტევა მუშათა კლასის წინააღმდეგ. კრიზისმა უკვე მოასწრო გამოეწვია კაპიტალისტური რაციონალიზაციის ახალი ტალღა, მუშათა კლასის მდგომარეობის ახალი გაუარესება, უმუშევრობის ზრდა, უმუშევართა მუდმივი არმიის გადიდება, შრომის ხელფასის დაცემა. გასაკვირალი არაა, რომ ეს მოვლენები ჰქმნიან რევოლუციონურ განწყობილებას, ამწვავებენ კლასთა ბრძოლას, ერეკებიან მუშებს ახალი კლასობრივი ბრძოლების გზაზე.

ამასთან დაკავშირებით ქრება და ეცემა სოციალ-დემოკრატების ილიუზიები მუშათა მასებში. მას შემდეგ, რაც გვაქვს გამოცდილება სოციალ-დემოკრატების ხელისუფლების სათავეში ყოფნისა, როცა ისინი შლიდნენ გაფიცვებს, აწყობდნენ ლოკაუტებს და ხვრეტდნენ მუშებს, ბოროტ დაცინვად გაისმის მუშათა შორის ყალბი დაპირებები „საწარმო დემოკრატიის", „სამრეწველო ზავისა" და ბრძოლის „მშვიდობიანი მეთოდების" შესახებ. განა ბევრს ვიპოვით ისეთ მუშას, რომ დაუჯეროს სოციალ-ფაშისტების ამ ყალბ ქადაგებას? 1929 წლის პირველი აგვისტოს ცნობილი მუშათა დემონსტრაციები სამხედრო საფრთხის წინააღმდეგ და 1930 წლის 6 მარტის დემონსტრაციები უმუშევრობის წინააღმდეგ იმის მაჩვენებელია, რომ მუშათა კლასის საუკეთესო ადამიანებმა უკვე პირი იბრუნეს სოციალ-ფაშისტებისაგან. ეკონომიური კრიზისი ახალ მახვილს ჩასცემს სოციალ დემოკრატიულ ილიუზიებს მუშათა შორის.

ცოტას იპოვით ახლა მუშებს, რომ იმ გაკოტრებათა და განადგურებათა შემდეგ, რაც კრიზისთან დაკავშირებით ხდება, მათ სწამდეთ „თითოეული მუშის" გამდიდრების შესაძლებლობა მათი მონაწილეობის საშუალებით „გადემოკრატებულ" სააქციო კამპანიებში. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ კრიზისი განმანადგურებელ მახვილს ჩასცემს ყოველ ამგვარ ილიუზიებს.

მაგრამ მუშათა მასების ზურგის შექცევა სოციალ-დემოკრატიისათვის ნიშნავს, რომ მათ პირი იბრუნეს კომუნიზმისაკენ. ეს ასეც ხდება სინამდვილეში. პროფმოძრაობის ზრდა და მისი კავშირი კომპარტიასთან, კომპარტიის საარჩევნო წარმატებანი, გაფიცვათა ტალღა, რაც მიმდინარეობს კომუნისტების მონაწილეობით და მათი ხელმძღვანელობით, ეკონომიური გაფიცვების გადაქცევა პოლიტიკურ პროტესტებად, რომელთაც იგივე კომუნისტები აწყობენ, კომუნიზმის თანამგრძნობ მუშების მასიური დემონსტრაციები, რაც უცხოველეს გამოხმაურებას იწვევს მუშათა კლასში ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ მუშათა მასები კომპარტიაში ხედავენ ერთად-ერთ პარტიას, რომელსაც შეუძლია ბრძოლა კაპიტალიზმთან, ერთად-ერთ პარტიას, რომელიც ღირსია მუშათა ნდობის, ერთად-ერთ პარტიას, რომელსაც შეიძლება და ღირს კიდეც გაჰყვე ბრძოლაში კაპიტალიზმის ჩაგვრისაგან განსათავისუფლებლად. ეს არის მასების პირის ბრუნება კომუნიზმისაკენ. ეს არის საწინდარი ჩვენი ძმური კომპარტიების გადაქცევისა მუშათა კლასის ძლიერ მასიურ პარტიებად. საჭიროა მხოლოდ, რომ კომუნისტებმა შესძლონ მდგომარეობის შეფასება და სათანადოთ გამოიყენონ იგი.

კომპარტიებმა შეურიგებელი ბრძოლის გაჩაღებით სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ, რომელიც წარმოადგენს კაპიტალის აგენტურას მუშათა კლასში, და ლენინიზმისაგან ყველა და ყოველგვარ გადახრის გაცამტვერებით, რომლებიც წყალს უშვებენ სოციალ-დემოკრატიის წისქვილზე, ამ კომპარტიებმა გვიჩვენეს, რომ ისინი სწორ გზაზე დგანან. საჭიროა მხოლოდ, რომ ისინი საბოლოოდ გამაგრდნენ ამ გზაზე, ვინაიდან მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება იქონიონ მათ მუშათა კლასის უმრავლესობის დაპყრობის და იმის იმედი, რომ წარმატებით მოამზადონ პროლეტარიატი მომავალ კლასობრივ ბრძოლისათვის, ვინაიდან მხოლოდ ამ პირობით შეგვიძლიან იმედი ვიქონიოთ, რომ კომუნისტური ინტერნაციონალის ავტორიტეტის გავლენა უფრო გაიზრდება.

ასეთია მსოფლიო კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობათა მდგომარეობა, რომელიც უაღრესად გამწვავებულია მსოფლიო ეკონომიურ კრიზისთან დაკავშირებით.

რას გვეუბნება ყველა ეს ფაქტი?

იმას, რომ კაპიტალიზმის სტაბილიზაციას აღსასრული უდგება.

იმას, რომ მასების რევოლუციონური მოძრაობის აღმავლობა ახალის ძლიერებით გაიზრდება.

იმას, რომ მსოფლიო ეკონომიური კრიზისი მთელ რიგ ქვეყნებში გაიზრდება პოლიტიკური კრიზისის დონემდე.

ეს ნიშნავს, ჯერ ერთი, იმას, რომ ბურჟუაზია ამ მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნას დაიწყებს შინაური პოლიტიკის მხრივ შემდგომ ფაშიზაციაში და ამ მიზნით გამოიყენებს ყველა რეაქციონურ ძალას, მათ შორის სოციალ-დემოკრატიასაც.

მეორე,—ეს ნიშნავს, რომ ბურჟუაზია საგარეო პოლიტიკის მხრივ გამოსავლის ძებნას დაიწყებს ახალ იმპერიალისტურ ომსა და ინტერვენციაში.

დაბოლოს, ეს ნიშნავს, რომ პროლეტარიატი, კაპიტალისტურ ექსპლოატაციასა და ომის საფრთხესთან ბრძოლის დროს გამოსავლის ძებნას დაიწყებს რევოლუციაში.

3. დამოკიდებულება საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის

ა) ზემოთ მე ვლაპარაკობდი მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა შესახებ. მაგრამ ამ წინააღმდეგობათა გარდა არსებობს კიდევ ერთი წინააღმდეგობა. მე ვლაპარაკობ საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის არსებულ წინააღმდეგობაზე. მართალია, ეს არაა შინაკაპიტალისტური ხასიათის წინააღმდეგობა. იგი არის წინააღმდეგობა მთლიანად აღებულ კაპიტალიზმსა და იმ ქვეყანას შორის, სადაც სოციალიზმი შენდება. მაგრამ ეს ხელს არ უშლის ამ წინააღმდეგობას, რომ მან გახრწნას და შეარყიოს კაპიტალიზმის საფუძვლები. უფრო მეტიც, იგი ფესვებამდე აშიშვლებს კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობას, ამ წინააღმდეგობებს ერთ კვანძად ჰკრავს, აქცევს მათ კაპიტალისტური წესების სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად. ამიტომ ყოველთვის, როგორც კი კაპიტალისტური წინააღმდეგობანი გამწვავებას იწყებენ, მაშინვე ბურჟუაზია თვალებს საბჭოთა კავშირისკენ მიაპყრობს ხოლმე: იქნებ შესაძლებელია კაპიტალიზმის ესა თუ ის წინააღმდეგობა, ან და ყველა წინააღმდეგობა ერთად აღებული, გადავწყვიტოთ საბჭოთა კავშირის ხარჯზე, საბჭოთა ქვეყნის, რევოლუციის ამ ციტადელის, ხარჯზე, რომელიც მარტო თავისი არსებობით არევოლუციონერებს მუშათა კლასს, რომელიც ხელს უშლის ახალი ომის შემზადებას, ხელს უშლის მსოფლიოს ახალ ყაიდაზე განაწილებას, ხელს უშლის ბურჟუაზიას—იბატონოს ამ ქვეყნის უზარმაზარ შინაურ ბაზარზე, რომელიც ასე ძალიან სჭირდება კაპიტალისტებს, განსაკუთრებით ახლა ამ ეკონომიურ კრიზისის გამო.

აქედან—ტენდენცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ავანტიურისტული გამოლაშქრებისა და ინტერვენციისა; ეს ტენდენცია ეკონომიურ კრიზისის გაფართოვებასთან ერთად უფრო და უფრო უნდა გაძლიერდეს.

ამ ტენდენციის ყველაზე მკვეთრ გამოხატულებას ამჟამად წარმოადგენს ახლანდელი ბურჟუაზიული საფრანგეთი, სიყვარულით აღსავსე პანევროპის სამშობლო, კელოგის „პაქტის" აკვანი, მთელი მსოფლიოს აგრესიულ მილიტარისტულ ქვეყნებში ყველაზე აგრესიული მილიტარისტული ქვეყანა.

მაგრამ მილიტარიზმი ის ჯოხია, რომელსაც ორი წვერი აქვს. ეს ძალიან კარგად იცის ბურჟუაზიამ. ძალიან კარგი იქნება, ჰფიქრობს ეს ბურჟუაზია, თუ კი ინტერვენციამ კარგად ჩაიარა და ის საბჭოთა კავშირის დამარცხებით დამთავრდა. მაგრამ, რაღა გვეშველება, რომ იგი კაპიტალისტების დამარცხებით დამთავრდეს? ერთხელაც ხომ იყო ინტერვენცია, რომელიც კრახით დამთავრდა!

თუ პირველი ინტერვენცია, როცა ბოლშევიკები სუსტი იყვნენ, მარცხით დამთავრდა, რა გარანტია არსებობს, რომ მეორე ინტერვენციაც ასეთივე მარცხით არ გათავდება? ყველანი ხედავენ, რომ ამჟამად ბოლშევიკები გაცილებით ძლიერნი არიან ეკონომიურადაც და პოლიტიკურად და ქვეყნის თავდაცვაუნარიანობის მომზადების მხრივაც. რაღა უნდა უყოთ კაპიტალისტური ქვეყნების იმ მუშებს, რომლებიც ნებას არ მისცემენ, რომ ინტერვენცია მოახდინონ საბჭოთა კავშირში, რომლებიც იბრძოლებენ ინტერვენციის წინააღმდეგ, რომლებიც, თუ რაიმე მოხდა, ზურგში დასცხებენ კაპიტალისტებს? უკეთესი არ იქნება განა, რომ ავირჩიოთ ხაზი სავაჭრო კავშირის განმტკიცებისა საბჭოთა კავშირთან, რის წინააღმდეგი არც ბოლშევიკები არიან?

აქედან კი—ტენდენცია მშვიდობიან დამოკიდებულების გაგრძელებისა საბჭოთა კავშირთან.

ამგვარად, ჩვენ საქმე გვაქვს ორგვარ ფაქტორთან, ორ სხვადასხვა ტენდენციასთან, რომლებიც მოქმედებენ მოპირდაპირე მიმართულებებით.

1) პოლიტიკა საბჭოთა კავშირის ეკონომიური კავშირების მოშლისა კაპიტალისტურ ქვეყნებთან, პროვოკაციული თავდასხმები საბჭოთა კავშირზე, აშკარა და ფარული მუშაობა ინტერვენციის მოსამზადებლად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს ფაქტორები ემუქრება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას. ამ ფაქტორების მოქმედებითვე აიხსნება ისეთი ფაქტები, როგორიც ინგლისის კონსერვატიული კაბინეტის მიერ კავშირის გაწყვეტა საბჭოთა კავშირთან, ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის დაპყრობა ჩინეთის მილიტარისტების მიერ, საბჭოთა კავშირის ფინანსიური ბლოკადა, კლერიკალების გალაშქრება პაპის მეთაურობით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ჩვენი სპეცების მავნებლობის მოწყობა უცხო სახელმწიფოთა აგენტების მიერ, მოწყობა აფეთქებისა და ცეცხლის გაჩენა, როგორიც ეს მოიმოქმედეს თუნდ „ლენა გოლდფილდს"-ის ზოგიერთმა მოსამსახურეებმა, თავდასხმები საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებზე (პოლონეთი), შეფერხების ცდა ჩვენი ექსპორტისათვის (ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთ. შტატები, პოლონეთი) და სხვ.

2) თანაგრძნობა საბჭოთა კავშირისადმი და მხარის დაჭერა მისთვის კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა მიერ, საბჭოთა კავშირის ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების ზრდა, საბჭოთა კავშირის თავდაცვაუნარიანობის ზრდა, მშვიდობიანობის პოლიტიკა, რასაც განუწყვეტლივ ატარებს საბჭოთა ხელისუფლება. ეს ის ფაქტორებია, რომლებიც ამაგრებენ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას. ამ ფაქტორების მოქმედებით აიხსნება ისეთი ფაქტები, როგორიც კონფლიქტის ხელსაყრელად მოგვარება ჩინეთ-აღმოსავლეთის რკ. გზაზე, ურთიერთობის აღდგენა დიდ ბრიტანეთთან, ეკონომიური კავშირის ზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებთან და სხვ.

ამ ორი ფაქტორის ბრძოლით განისაზღვრება საბჭოთა კავშირის საგარეო მდგომარეობა.

ბ) ამბობენ, რომ დაბრკოლებად ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან ეკონომიური კავშირის გაუმჯობესების საქმეში ითვლება საკითხი ვალების შესახებ. ვფიქრობ, რომ ეს არ არის საბუთი ვალის გადახდისათვის, არამედ მხოლოდ საბაბი აგრესიულ ელემენტების ხელში ინტერვენციონისტული პროპაგანდისათვის. ჩვენი პოლიტიკა ამ დარგში აშკარაა და სავსებით დასაბუთებული. თუ მიღებული იქნება პირობად ჩვენთვის კრედიტების მიცემა, ჩვენ დავთანხმდებით ვიხადოთ ომის წინანდელი ვალების მცირე ნაწილი, რომელიც უნდა ჩაითვალოს, როგორც ამ კრედიტების დამატებითი პროცენტი. გარეშე ამ პირობისა არ შეგვიძლია გადახდა და არც უნდა გადავიხადოთ ის. ჩვენგან კი მეტს მოითხოვენ. რა საბუთით? განა ცნობილი არაა ყველასათვის, რომ ვალები აღებული იყო მეფის მთავრობის მიერ, რომელიც შემდეგ დაამხო რევოლუციამ და რომ მის ვალდებულებათათვის საბჭოთა მთავრობა პასუხისმგებელი ვერ იქნება? აქ ლაპარაკობენ საერთაშორისო უფლებაზე, საერთაშორისო ვალდებულებებზე. რომელი საერთაშორისო უფლების ძალით მოსტყვეთეს ბატონმა „მოკავშირეებმა" საბჭოთა კავშირს ბესარაბია და გადასცეს ის რუმინეთის ბოიარებს? რომელი საერთაშორისო ვალდებულებათა ძალით საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის და იაპონიის კაპიტალისტები და მთავრობები დაესხნენ საბჭოთა კავშირს, მოაწყვეს იქ ინტერვენცია, ძარცვავდნენ მას მთელი სამი წლის განმავლობაში, არბევდნენ მის მოსახლეობას? თუ ამას ეწოდება საერთაშორისო უფლება, საერთაშორისო ვალდებულება, მაშინ რაღა ეწოდება ძარცვა? (სიცილი. აპლოდისმენტები). განა ნათელი არ არის, რომ ამ მტაცებლური აქტების დაშვებით ბატონმა „მოკავშირეებმა" თავის თავს წაართვეს უფლება დაეყრდნონ საერთაშორისო უფლებას და საერთაშორისო ვალდებულებებს?

შემდეგ ამბობენ, რომ „ნორმალურ" ურთიერთობათა დამყარების საქმეს ხელს უშლის რუსეთის ბოლშევიკების პროპაგანდა. პროპაგანდის მავნე გავლენის თავიდან აცილების მიზნით ბატონი ბურჟუები გამუდმებით თავის გარშემო აგებენ „კორდონებს" და „მავთულის ხლართებს" და „ზღუდეების" დაცვის პატივს სულგრძელობით ანდობენ პოლონეთს, რუმინეთს, ფინეთს და სხვ. ამბობენ, რომ გერმანია შურით ივსება იმის გამო, რომ არ სურთ მას მიანდონ „კორდონების" და „მავთულის ხლართების" დაცვა. განა საჭიროა მტკიცება იმის, რომ ლაყბობა პროპაგანდის შესახებ არაა საბუთი „ნორმალურ ურთიერთობათა" დამყარებისათვის, არამედ საბაბი ინტერვენციონისტული პოლიტიკისათვის? როგორ შეუძლია ხალხს, რომელსაც არ სურს სასაცილო იყოს, „ზღუდე შექმნას" ბოლშევიზმის იდეებისაგან თავდასაცავად, თუ თვით ქვეყანაში არის ამ იდეებისათვის ხელსაყრელი ნიადაგი. თავის დროზე თვითმპყრობელობაც „ქმნიდა ზღუდეებს" ბოლშევიზმისაგან თავდასაცავად, მაგრამ, როგორც იცით, ვერ დაიცვა თავი. ვერ დაიცვა, ვინაიდან ბოლშევიზმი ყოველგან იზრდება გარედან კი არა, არამედ შიგნიდან. თითქოს არ მოიპოება რუს ბოლშევიკებისაგან ისე „თავდაცული" ქვეყნები, როგორც ჩინეთი, ინდოეთი, ინდო-ჩინეთი. და რას ვხედავთ? ბოლშევიზმი იზრდება იქ და გაიზრდება, მიუხედავად ყოველივე „კორდონებისა", ვინაიდან იქ, როგორც სჩანს, არსებობს ბოლშევიზმისათვის ხელის შემწყობი პირობები. რა შუაშია აქ რუსეთის ბოლშევიკების პროპაგანდა? აი ბატონ კაპიტალისტებს, რომ შესძლებოდათ როგორმე თავის დაცვა ეკონომიური კრიზისისაგან, მასების სიღატაკისაგან, უმუშევრობისაგან, [illegible] და მშრომელთა ექსპლოატაციისაგან, მაშინ სხვა საქმეა, მათ ქვეყნებში ადგილიც არ ექნებოდა ბოლშევიკურ მოძრაობას. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ყოველი გაიძვერა ცდილობს თავისი სისუსტე ან უნარის უქონლობა გაამართლოს რუსეთის ბოლშევიკების პროპაგანდაზე მითითებით.

შემდეგ ამბობენ, რომ მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს ჩვენი საბჭოთა წყობილება, კოლექტივიზაცია, კულაკობასთან ბრძოლა, ანტირელიგიური პროპაგანდა, ბრძოლა მავნებლებთან და კონტრ-რევოლუციონერებთან „მეცნიერების ხალხიდან", ბესედოვსკების, დიმიტრიევსკების და მსგავსთა მათთა განდევნა. მაგრამ ეს უკვე სავსებით სასაცილო ხდება. მათ თურმე არ მოსწონთ საბჭოთა წყობილება (სიცილი. აპლოდისმენტები). ბოლშევიკებსაც არ მოსწონთ, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებში ათეული მილიონი უმუშევრები იძულებული არიან იშიმშილონ იმ დროს, როცა კაპიტალისტთა მცირე ჯგუფი ფლობს მილიარდიან სიმდიდრეებს. მაგრამ რახან ჩვენ უკვე დავსთანხმდით არ ჩავერიოთ სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში, განა ნათელი არ არის, რომ არ ღირს ამ საკითხისადმი დაბრუნება? კოლექტივიზაცია, ბრძოლა კულაკობასთან, ბრძოლა მავნებლებთან, ანტირელიგიური პროპაგანდა და სხვ. წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების განუყოფელ უფლებას, დადასტურებულს ჩვენი კონსტიტუციით. საბჭოთა კონსტიტუცია ჩვენ უნდა შევასრულოთ და შევასრულებთ კიდეც მთელი თანამიმდევრობით. მაშასადამე, გასაგებია, რომ ვისაც არ სურს ანგარიში გაუწიოს ჩვენს კონსტიტუციას, შეუძლია გაიაროს და წავიდეს საითაც სურს. რაც შეეხება ბესედოვსკებს, დიმიტრიევსკებს და სხვ., ჩვენ მომავალშიც გავყრით ასეთ ხალხს, როგორც დაწუნებულ საქონელს, რომელიც არ არის საჭირო და მავნეა რევოლუციისათვის, დეე, გულში ჩაიხუტონ ისინი იმათ, ვინც განსაკუთრებულ სიმპატიებს გრძნობს ნაგვისადმი (სიცილი). ჩვენი რევოლუციის წისქვილის ქვები კარგად მუშაობენ. მათ მიაქვთ ყველაფერი ვარგისი და აძლევენ საბჭოებს, ნაგავს კი — ჰყრიან. ამბობენ, რომ საფრანგეთში, პარიზის ბურჟუებში დიდი მოთხოვნილებაა ამ დაწუნებულ საქონელზე. რა ვუყოთ, დე გაიტანონ იგი, დაგვილოცნია. მართალია, ეს რამოდენიმედ დატვირთავს საფრანგეთის სავაჭრო ბალანსის საიმპორტო მუხლებს, რის წინააღმდეგაც პროტესტს აცხადებენ ბატონი ბურჟუები. მაგრამ ეს მათი საქმეა. ნუ ჩავერევით საფრანგეთის შინაურ საქმეებში (სიცილი. აპლოდისმენტები).

ასეთ მდგომარეობაშია იმ „დაბრკოლებების" საქმე, რომლებიც ხელს უშლიან „ნორმალურ" ურთიერთობათა დამყარებას სხვა ქვეყნებთან.

გამოდის, რომ ეს „დაბრკოლებები" წარმოადგენენ მოჩვენებითი „დაბრკოლებებს", რომლებიც ასპარეზზე გამოიტანეს, რომ მიეღოთ საბაბი ანტი-საბჭოთა პროპაგანდისათვის.

ჩვენი პოლიტიკა არის მშვიდობიანობისა და ყველა ქვეყნებთან სავაჭრო კავშირის განმტკიცების პოლიტიკა. ამ პოლიტიკის შედეგს წარმოადგენს ურთიერთობის გაუმჯობესება მთელ რიგ ქვეყნებთან, მთელ რიგ ხელშეკრულებების დადება ვაჭრობისა და ტეხნიკური დახმარების შესახებ და სხვ. მისივე შედეგს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის შეერთება კელოგის პაქტისადმი და ამ პაქტის ხაზით ცნობილი ოქმის დადება პოლონეთთან, რუმინეთთან, ლიტვასთან და სხვ., ოქმის ხელის მოწერა თურქეთთან მეგობრობისა და ნეიტრალიტეტის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ. დაბოლოს, ამ პოლიტიკის შედეგს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჩვენ შევსძელით მშვიდობიანობის დაცვა, საშუალება არ მივეცით მტრებს, რომ ჩავეთრიეთ კონფლიქტში, მიუხედავად მთელ რიგ პროვოკაციულ აქტებისა და ომის გამჩაღებლების ავანტიურისტული იერიშებისა. მშვიდობიანობის ამ პოლიტიკას ჩვენ განვაგრძობთ მომავალშიც ყველა ძალებით და ყველა საშუალებებით. არც ერთი მტკაველი სხვისი მიწისა ჩვენ არ გვინდა. მაგრამ არც ჩვენ მიწას, ჩვენი მიწის არც ერთ გოჯს არავის მივსცემთ (აპლოდისმენტები).

ასეთია ჩვენი საგარეო პოლიტიკა.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ეს პოლიტიკა მომავალშიც განვაგრძოთ მთელი იმ სიმტკიცით, რომელიც ბოლშევიკებს ახასიათებს.

II. სოციალისტური მშენებლობის შეუჩერებელი განვითარება და საბჭოთა კავშირის საშინაო მდგომარეობა

გადავიდეთ ახლა საბჭოთა კავშირის საშინაო მდგომარეობაზე.

წინააღმდეგ კაპიტალისტური ქვეყნებისა, სადაც ახლა მეფობს ეკონომიური კრიზისი და უმუშევრობის შეუჩერებელი ზრდა, ჩვენი ქვეყნის საშინაო მდგომარეობა გვიჩვენებს სახალხო მეურნეობის შეუჩერებელ განვითარებისა და უმუშევრობის პროგრესიული შემცირების სურათს.

გაიზარდა და თავისი განვითარების ტემპები დააჩქარა მსხვილმა მრეწველობამ. გამაგრდა მძიმე მრეწველობა. მრეწველობის სოციალისტური სექტორი საგრძნობლად არის წინ წაწეული. სასოფლო მეურნეობაში გაიზარდა ახალი ძალა — საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობები. თუ ორი წლის წინად ჩვენ გვქონდა ხორბლეულის წარმოების კრიზისი და პურის დამზადების საქმეში უმთავრესად ვეყრდნობოდით ინდივიდუალურ მეურნეობებს, ახლა სიმძიმის ცენტრი გადავიტანეთ კოლმეურნეობებზე და საბჭოთა მეურნეობებზე, ხორბლეულის კრიზისი თავის უმთავრეს ნაწილში დაძლეულად შეიძლება ჩაითვალოს. გლეხობის ძირითადმა მასებმა საბოლოოდ იბრუნეს პირი კოლექტიურ მეურნეობებისაკენ. კულაკების წინააღმდეგობა მოგერიებულია. საშინაო მდგომარეობა კიდევ უფრო განმტკიცდა.

ასეთია საბჭოთა კავშირის საშინაო მდგომარეობის საერთო სურათი ახლანდელ მომენტში.

განვიხილოთ კონკრეტული მასალები.

I. სახალხო მეურნეობის ზრდა მთლიანად

ა) თუ 1926-27 წელს, ე.ი. პარტიის მე-XV ყრილობისათვის მთელს სასოფლო მეურნეობაში, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობის და სხვ. ჩათვლით, ჩვენ ომის წინადროინდელ მანეთებში გვქონდა 12.370 მილიონ მანეთის პროდუქცია, ე.ი. ომის წინადროინდელ დონეს 106,6 პროცენტი, შემდეგ — 1927-28 წელს ჩვენ გვქონდა 107,2 პროცენტი.

1928-29 წ. — 109,1 პროცენტი, მიმდინარე 1929-30 წ., სასოფლო მეურნეობის განვითარების მიმდინარეობის მიხედვით, ჩვენ გვექნება ომის წინადროინდელ დონეს არა ნაკლებ 113-114 პროცენტისა.

აშკარაა შეუჩერებელი, თუმცა შედარებით ნელი ზრდა სასოფლო მეურნეობის პროდუქციისა მთლიანად.

თუ 1926-27 წ., ე.ი. პარტიის მე-XV ყრილობისათვის ჩვენ მთელს მრეწველობაში, როგორც წვრილში, ისე მსხვილში, ხორბლის საფქვავი მრეწველობის ჩათვლით, საერთო პროდუქცია ომის წინადროინდელ მანეთებში გვქონდა 1.641 მილიონი მანეთის, ე. ი. ომის წინადროინდელ დონეს 102,5 პროცენტი, შემდეგ — 1927-28 წ. გვქონდა 122 პროცენტი, 1928-29 წ. — 142,5 პროც., მიმდინარე 1929-30 წ., მრეწველობის განვითარების მიმდინარეობის მიხედვით გვექნება ომის წინადროინდელ დონეს არა ნაკლებ 180 პროცენტისა.

აშკარაა მრეწველობის პროდუქციის უჩვეულო სწრაფი ზრდა მთლიანად.

ბ) თუ 1926-27 წ. ჩვენი ტვირთზიდვა მთელს ჩვენს სარკინიგზო ქსელში შეადგენდა 81,7 მილიარდ ტონა-კილომეტრს, ე.ი. ომის წინადროინდელ დონეს 127 პროც., შემდეგ 1927-28 წელში ჩვენ გვქონდა 134,2 პროცენტი, 1928-29 წ. — 162,4 პროცენტი, მიმდინარე 1929-30 წელს კი, ყველა ნიშნებით, ჩვენ გვექნება არა ნაკლებ 193 პროც. ომის წინანდელ დონესი, რაც შეეხება ახალ სარკინიგზო მშენებლობას, საანგარიშო პერიოდში, ე.ი. 1927-28 წლიდან რკინიგზის ქსელი 76.000 კილომეტრიდან იზრდება 80 ათას კილომეტრამდე, რაც ომის წინადროინდელ დონეს 136,7 პროც. შეადგენს.

გ) თუ 1926-27 წლის სავაჭრო-საშუამავლო ბრუნვას ჩვენ ქვეყანაში 100 პროცენტად (31 მილიარდი მანეთი) ჩავთვლით, გამოდის, რომ 1927-28 წელს ბრუნვა გაიზარდა 124,6 პროცენტამდე, 1928-29 წ. 160,4 პროცენტამდე, მიმდინარე 1929-30 წელს კი, ყველა ნიშნებით, ბრუნვა მიაღწევს 202 პროცენტს, ე. ი. ორჯერ იზრდება 1927-28 წელთან შედარებით.

დ) თუ ყველა ჩვენი საკრედიტო დაწესებულებების დასკვნითი ბალანსებს 1927 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის ჩავთვლით 100 პროცენტად (9.173 მილიონი მანეთი), გამოდის, რომ 1928 წლის პირველ ოქტომბრისათვის ჩვენ გვქონდა ზრდა 141 პროცენტამდე, 1929 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის—201,1 პროცენტამდე, ე. ი. გაორკეცება 1928 წელთან შედარებით.

ე) თუ დასკვნითი სახელმწიფო ბიუჯეტს 1926—27 წლისათვის ჩავთვლით 100 პროცენტად (6.371 მილიონი მანეთი) გამოვა, რომ 1927—28 წელს ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი გაიზარდა 125,5 პროცენტამდე, 1928-29 წელს —146,7 პროცენტამდე, 1929-30 წელს კი— 204,4 პროცენტამდე, ე. ი. გაორკეცდა 1926-27 წლის ბიუჯეტთან (12.605 მილიონი მანეთი) შედარებით.

ვ) თუ ჩვენი საგარეო ვაჭრობის ბრუნვას (ექსპორტი და იმპორტი) 1926—27 წელს შეადგენდა ომის წინანდროინდელ დონეს 47,9 პროცენტი, 1927-28 წელს ჩვენ გვაქვს საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ზრდა 56,8 პროცენტამდე; 1928-29 წელს—67,9 პროცენტამდე, 1929-30 წელს კი, ყველა ნიშნებით, ჩვენ გვექნება ომის წინადროინდელ დონეს არა ნაკლებ 80 პროცენტისა.

შედეგად ჩვენ გვაქვს შემდეგი სურათი მთელი სახალხო მეურნეობის ზრდისა საანგარიშო პერიოდში (1926-27 წლის უცვლელ ფასებში): 1926-27 წლის სახალხო შემოსავალი, სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობებით, შეადგენდა 23.127 მილიონ მანეთს, 1927—28 წელს—25.396 მილიონ მანეთს, ზრდა—9,8 პროცენტი; 1928-29 წელს—28.596 მილიონ მანეთს, ზრდა—12,6 პროცენტი; 1929-30 წელს, ყველა ნიშნების მიხედვით, სახალხო შემოსავალი შეადგენს არა ნაკლებ 34 მილიარდ მანეთისა, რაც ერთი წლის განმავლობაში უდრის 20 პროცენტით ზრდას. საშუალო წლიური ზრდა საანგარიშო სამი წლის განმავლობაში, მაშასადამე, შეადგენს 15 პროცენტზე მეტს.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სახალხო შემოსავლის წლიური საშუალო ზრდა ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის, შეერთებული შტატები, ინგლისი, გერმანია შეადგენს არა უმეტეს 3-8 პროცენტისა, უნდა ვაღიაროთ, რომ სახალხო შემოსავლის ზრდის ტემპი საბჭოთა კავშირში მართლაც სარეკორდოა.

2. ინდუსტრიალიზაციის წარმატებები

ჩვენში სახალხო მეურნეობის ზრდა მიმდინარეობს არა სტიქიურად, არამედ განსაზღვრული მიმართულებით, სახელდობრ—ინდუსტრიალიზაციის ხაზით, ინდუსტრიალიზაციის ნიშან ქვეშ, სახალხო მეურნეობის მთელ სისტემაში ინდუსტრიის ხვედრითი წონის ზრდის ნიშან ქვეშ, ჩვენი ქვეყნის აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიალურ ქვეყნად გადაქცევის ნიშან ქვეშ.

ა) დინამიკა მთლიანად მრეწველობისა და მთლიანად სასოფლო მეურნეობის შეფარდებისა მთელი სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციაში მრეწველობის ხვედრითი წონის თვალსაზრისით საანგარიშო პერიოდში შემდეგი სახით გვეხატება: ომის წინ მრეწველობის წილი სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციაში შეადგენდა 42,1 პროცენტს, სასოფლო მეურნეობის წილი—57,9 პროცენტს. 1927-28 წელს მრეწველობის წილი შეადგენდა 45,2 პროცენტს, სასოფლო მეურნეობის წილი—54,8 პროცენტს, 1928-29 წელს—მრეწველობის წილი—48,7 პროცენტს, სასოფლო მეურნეობის წილი—51,3 პროცენტს, 1929-30 წელს კი მრეწველობის წილმა, ყველა ნიშნების მიხედვით, უნდა შეადგინოს არა ნაკლებ 53 პროცენტისა, სასოფლო მეურნეობის წილმა—არა უმეტეს 47 პროცენტისა.

ეს იმას ნიშნავს, რომ მრეწველობის ხვედრითი წონა უკვე იწყებს წინ გასწრებას სასოფლო მეურნეობის ხვედრითი წონასთან შედარებით და ჩვენ აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიალურ ქვეყნად გადაქცევის წინ ვიმყოფებით (აპლოდისმენტები).

ბ) კიდევ უფრო მეტი უპირატესობა მოდის მრეწველობის სასარგებლოდ სახალხო მეურნეობის სასაქონლო პროდუქციაში მისი ხვედრითი წონის თვალსაზრისით. თუ 1926-27 წ. მრეწველობის სასაქონლო პროდუქციის წილი სახალხო მეურნეობის სასაქონლო წარმოების საერთო ბალანსში 68,8 პროცენტს შეადგენდა, სასოფლო მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის წილი კი 31,2 პროცენტს, 1927-28 წ. მრეწველობის წილზე მოდიოდა 71,2 პროც. სასოფლო მეურნეობის წილზე—28,8 პროც., 1928-29 წ. მრეწველობის წილი—72,4 პროც., სასოფლო მეურნეობის წილი—27,6 პროც., 1929—30 წ. კი, ყველა ნიშნების მიხედვით, მრეწველობის წილზე გვექნება 76 პროც., სასოფლო მეურნეობის წილზე—24 პროცენტი.

სასოფლო მეურნეობის ამ განსაკუთრებით არა ხელსაყრელ მდგომარეობაში მჟღავნდება, სხვათაშორის, წვრილგლეხური და წვრილ-სასაქონლო ხასიათი ჩვენი სასოფლო მეურნეობისა. ამასთანავე გასაგებია, რომ მდგომარეობა რამდენიმედ უნდა შეიცვალოს სასოფლო მეურნეობის გამსხვილებასთან ერთად საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების ხაზით, მის საქონლიანობის გადიდებასთან ერთად.

გ) მაგრამ მრეწველობის განვითარება, საერთოდ, კიდევ არ იძლევა ინდუსტრიალიზაციის ტემპის სრულ სურათს. სრული სურათის მისაღებად საჭიროა კიდევ გამოირკვეს შეფარდების დინამიკა მძიმე და მსუბუქ მრეწველობას შორის. ამიტომ ინდუსტრიალიზაციის ზრდის ყველაზე მკაფიო მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს საწარმოო იარაღებისა და საშვალებების წარმოების (მძიმე მრეწველობა) ხვედრითი წონის შეუჩერებელი ზრდა მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის მიმართ. თუ 1927-28 წელს საწარმოო იარაღებისა და საშვალებების წარმოების წილი მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის მიმართ შეადგენდა 27,2 პროცენტს, ფართო მოხმარების საგნების წარმოება კი— 72,8 პროცენტს, 1928-29 წელს საწარმოო იარაღებისა და საშვალებების წარმოების წილი უკვე გვაძლევს 28,7 პროცენტს, ფართო მოხმარების საგნებისა კი—71,3 პროცენტს, 1929-30 წელს კი, საწარმოო იარაღებისა და საშვალებების წარმოება, ყველა ნიშნების მიხედვით მიაღწევს 32,7 პროცენტამდე, წინააღმდეგ 67,3 პროცენტისა. ხოლო თუ ავიღებთ არა მთელს მრეწველობას, არამედ მხოლოდ უმაღლეს სამეურნეო საბჭოს მიერ დაგეგმილს, რომელიც ინდუსტრიის ყველა ძირითად დარგს მოიცავს, აქ ურთიერთობა წარმოების იარაღთა და წარმოების საშუალებათა ერთი მხრით და ფართო მოხმარების საგანთა შორის, მეორე მხრით კიდევ უფრო ხელსაყრელია: 1928-29 წელს წარმოების იარაღთა და საშუალებათა წარმოება 42,7 პროც. შეადგენდა, წინააღმდეგ 57,3 პროც., ხოლო 1929-30 წელს ყველა ცნობების მიხედვით 48 პროც. წინააღმდეგ 52 პროცენტისა, რომელიც ფართო მოხმარების წარმოების საგნებზე მოდის.

ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარება მიდის ინდუსტრიალიზაციის ნიშნის ქვეშ, ჩვენი საკუთარი მძიმე მრეწველობის განმტკიცების და განვითარების ნიშნის ქვეშ.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე ზევით ვწევთ და ვაფართოებთ ჩვენი ეკონომიური დამოუკიდებლობის საძირკველს—ჩვენს მძიმე ინდუსტრიას.

3. სოციალისტური მრეწველობის მმართველი მდგომარეობა და მისი ზრდის ტემპი

ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარება ინდუსტრიალიზაციის ნიშნის ქვეშ მიდის. მაგრამ ჩვენ ყოველნაირი ინდუსტრიალიზაცია როდი გვჭირია. ჩვენ გვჭირია ისეთი ინდუსტრიალიზაცია, რომელიც უფრო და უფრო უზრუნველჰყოფს მრეწველობის სოციალისტური ფორმების უპირატესობას წვრილ სასაქონლო, მით უმეტეს, კაპიტალისტური ფორმების წინაშე. ჩვენი ინდუსტრიალიზაციის დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ იგი სოციალისტური ინდუსტრიალიზაციაა, იგი უზრუნველჰყოფს მრეწველობის განსაზოგადოებული სექტორის გამარჯვებას კერძო სამეურნეო, წვრილი სასაქონლო და კაპიტალისტურ სექტორზე.

აი ზოგიერთი ცნობა კაპიტალურ დაბანდებათა და საერთო პროდუქციის ზრდაზე სექტორების მიხედვით:

ა) თუ ავიღებთ კაპიტალურ დაბანდებათა ზრდას მრეწველობის სექტორების მიხედვით, შემდეგს სურათს მივიღებთ. განსაზოგადოებული სექტორი: 1926-27 წ.—1.270 მილიონი მანეთი, 1927-28 წ.—1.614 მილიონი მანეთი, 1928-29 წ.—2.046 მილ. მან., 1929-30 წ. — 4.275 მილ. მან. კერძო სამეურნეო კაპიტალისტური სექტორი: 1926-27 წ. —63 მილ. მ., 1927-28 წ.—64 მილ. მ., 1928-29 წ.—56 მილიონი მან., 1929-30 წ. —51 მილ. მ.

ეს უწინარეს ყოვლისა ნიშნავს იმას, რომ კაპიტალური დაბანდებანი მრეწველობის განსაზოგადოებულ სექტორში ამ ხნის განმავლობაში მეტად გაიზარდა, ვიდრე სამჯერ (335 პროც.). შემდეგ ეს ნიშნავს, რომ იმავე ხნის განმავლობაში კერძო სამეურნეო და კაპიტალისტური სექტორის კაპიტალური დაბანდებანი ერთი მეხუთედით შემცირდა (81 პროც.). კერძო სამეურნეო და კაპიტალისტური სექტორი ძველი კაპიტალის ხარჯზე სცხოვრობს და დაღუპვისკენ მიდის.

ბ) თუ ავიღებთ საერთო პროდუქციის ზრდას სექტორების მიხედვით შემდეგს სურათს მივიღებთ. განსაზოგადოებული სექტორი: 1926-27 წლ. 11,999 მილ. მან., 1927-28 წ. —15,389 მილ. მან., 1928-29 წ.—18,903 მილ. მან., 1929-30 წ.—24.740 მილ. მან. კერძო სამეურნეო და კაპიტალისტური სექტორი: 1926-27 წ.—4.043 მილ. მან. 1927-28 წ. — 3.704 მილ. მ., 1928-29 წ.—3,389 მილ. მან. 1929—30 წლ.—3.310 მილ. მან.

ეს ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, რომ საერთო პროდუქცია მრეწველობის განსაზოგადოებულ სექტორში ამ სამი წლის განმავლობაში უფრო მეტათ გაიზარდა, ვიდრე ორჯერ (206,2 პროც.), ეს ნიშნავს აგრეთვე, რომ იმავე პერიოდში მრეწველობის საერთო წარმოება კერძო სამეურნეო და კაპიტალისტურ სექტორში თითქმის ერთ მეხუთედით შემცირდა (81,9 პროც.).

თუ ავიღებთ არა მთელი მრეწველობის, არამედ მხოლოდ მსხვილი (ცენზიანი) მრეწველობის პროდუქციას და განვიხილავთ მას სექტორების მიხედვით, მივიღებთ განსაზოგადოებული და კერძო სამეურნეო სექტორების შემდეგი შეფარდების სურათს. ჩვენი ქვეყნის მსხვილი მრეწველობის პროდუქციის განსაზოგადოებული სექტორის ხვედრითი წონა უდრიდა: 1926-27 წელს — 97,7 პროც., 1927-28 წელს — 98,6 პროც., 1928-29 წელს— 99,1 პროც., 1929-30 წელს — 99,3 პროც., მსხვილი მრეწველობის პროდუქციაში კერძო-სამეურნეო სექტორის ხვედრითი წონა უდრიდა: 1926-27 წელს — 2,3 პროც., 1927-28 წელს — 1,4 პროც., 1928-29 წელს — 0,9 პროც., 1929-30 წელს — 0,7 პროც.-ს.

როგორც ხედავთ, კაპიტალისტური ელემენტები მსხვილ მრეწველობაში უკვე ჩაიძირნენ.

ცხადია, რომ საკითხი „ვინ-ვის", საკითხი იმის შესახებ — სოციალიზმი გაიმარჯვებს კაპიტალისტურ ელემენტებზე მრეწველობაში, თუ ეს ელემენტები გაიმარჯვებენ სოციალიზმზე — საერთოდ უკვე გადაწყდა მრეწველობის სოციალისტური ფორმების სასარგებლოდ. გადაწყდა საბოლოოდ და სამუდამოდ.

გ) განსაკუთრებით საინტერესოა ცნობები ს.მ.უ. საბჭოს გამგებლობაში მყოფი სახელმწიფო მრეწველობის განვითარების ტემპების შესახებ საანგარიშო პერიოდში.

თუ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გეგმიანად წარმოებული სოციალისტური მრეწველობის საერთო პროდუქციათ 1926-27 წლისათვის მივიღებთ 100 პროცენტს, მაშინ დავინახავთ, რომ 1927-28 წელში ამ მრეწველობის საერთო პროდუქცია გაზრდილა 127,4 პროცენტამდე, 1928-29 წელში — 158,6 პროცენტამდე, ხოლო 1929-30 წელს გაიზრდება 209,8 პროცენტამდე.

ეს ნიშნავს, რომ სახ. მეურ. უმ. საბჭოს გეგმიანად წარმოებული მრეწველობა და მთელი მძიმე მრეწველობა 3 წლის განმავლობაში გაიზარდა მეტად, ვიდრე ორჯერ.

არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ არც ერთმა ქვეყანამ მსოფლიოში არ იცის თავისი მსხვილი მრეწველობის განვითარების ასეთი გაქანებული ტემპები.

ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს ვილაპარაკოთ ხუთწლედის განხორციელებაზე 4 წლის განმავლობაში.

დ) ზოგიერთი ამხანაგები სკეპტიკურად უყურებენ ლოზუნგს „ხუთწლედი — 4 წელიწადში". ჯერ კიდევ ამას წინად ამხანაგების ერთი ნაწილი აფასებდა ჩვენს ხუთწლედს, რომელიც დამტკიცებულ იქნა საბჭოების მე-5 ყრილობის მიერ, როგორც ფანტასტიკას. აღარაფერს ვამბობ ბურჟუაზიულ მწერლებზე, რომლებიც მხოლოდ ერთი სიტყვის, „ხუთწლედის", ხსენებისაგან თვალებს საშინლად აბრიალებენ. რა მდგომარეობას აქვს ნამდვილად ადგილი, თუ ხუთწლედს იმ მხრივ განვიხილავთ, რაც გაკეთებულ იქნა 2 წლის განმავლობაში? რას გვეუბნება ჩვენ ხუთწლედის შესრულების შემოწმება მისი ოპტიმალური ვარიანტების მიხედვით? ის ჩვენ გვეუბნება არა მხოლოდ იმას, რომ მისი შესრულება შეიძლება 4 წლის განმავლობაში.

ის ჩვენ კიდევ იმასაც გვეუბნება, რომ ჩვენ შეგვიძლია შევასრულოთ ის მრეწველობის მთელ რიგ დარგებში 3 წელიწადში და 2 ნახ. წელიწადშიაც კი. ეს სკეპტიკოსებს ოპორტუნისტულ ბანაკიდან დაუჯერებელ რამედ მოეჩვენებათ. მაგრამ ეს ფაქტია, რომლის უარყოფა სისულე და სასაცილო იქნებოდა.

თვით თქვენ განსაჯეთ.

ხუთწლედის მიხედვით ნავთის მრეწველობას უნდა მოეცა 1932-33 წლისათვის 977 მილიონის ღირებული პროდუქტები. ნამდვილად კი ის იძლევა 1929-30 წლისათვის უკვე 809 მილ. მან. ღირებულ პროდუქტს, ე. ი. 1932-33 წლისათვის ხუთწლედით გათვალისწინებული პროდუქციის 83 პროცენტს.

მაშასადამე, ჩვენ ვასრულებთ ნავთის მრეწველობის ხუთწლიან გეგმას სულ დიდი 2 ნახევარი წლის განმავლობაში.

ტორფის მრეწველობაში ჩვენ უნდა მიგვეღო ხუთწლედის მიხედვით 1932-33 წლისათვის 122 მილიონი მანეთის პროდუქცია, ნამდვილად კი ის იძლევა უკვე 1929-30 წლისათვის 155 მილიონ მანეთისას და მეტსაც, ე.ი. ხუთწლედით 1932-33 წლისათვის გათვალისწინებული პროდუქციის 96 პროცენტს. მაშასადამე, ჩვენ ვასრულებთ ტორფის მრეწველობის ხუთწლიან გეგმას 2 ნახ. წელიწადში, თუ ამაზე უფრო ადრე არა.

ხუთწლედის თანახმად მანქანათ-მშენებლობამ 1932-33 წლისათვის უნდა მოგვცეს 2.058 მილიონი მანეთის პროდუქცია. ნამდვილად კი ის იძლევა უკვე 1929-30 წლისათვის 1.458 მილიონ მანეთის პროდუქციას, ე. ი. 1932-33 წლისათვის ხუთწლედით გათვალისწინებული პროდუქციის 70 პროცენტს. მაშასადამე, ჩვენ ვასრულებთ ხუთწლიან გეგმას საერთო მანქანათ-მშენებლობაში 2 ნახ — 3 წელიწადში.

სასოფლო მანქანათა მშენებლობამ, თანახმად ხუთწლედისა, უნდა მოგვცეს 1932-33 წლისათვის 610 მილიონის პროდუქცია, ნამდვილად კი უკვე 1929-30 წლისათვის მოცემულია 400 მილიონი მანეთის პროდუქცია, ე.ი. 60 პროცენტზე მეტი იმასთან შედარებით, რაც ხუთწლედით გათვალისწინებულია 1932-33 წლისათვის. მაშასადამე, ხუთწლიან გეგმას სასოფლო მანქანათა მშენებლობაში ჩვენ ვასრულებთ 3 წელიწადში, თუ ამაზე ადრე არა.

ელექტრო ტეხნიკურმა მრეწველობამ ხუთწლედის თანახმად უნდა მოგვცეს 1932-33 წლისათვის 896 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ნამდვილად იგი უკვე 1929-30 წელს 503 მილიონი მანეთის პროდუქციას იძლევა, ე. ი. ხუთწლიანი გეგმით 1932-33 წლისათვის დასახული პროდუქციის 56-ზე მეტ პროცენტს. მაშასადამე, ელექტროტეხნიკური მრეწველობის ხუთწლიან გეგმას ჩვენ სამი წლის განმავლობაში ვასრულებთ.

ასეთია ჩვენი სოციალისტური მრეწველობის განვითარების ჯერედ არყოფილი ტემპები.

ჩვენ აჩქარებულის ტემპით მივდივართ წინ და ვეწევით მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს ტეხნიკურ-ეკონომიურის მხრივ.

ე) რასაკვირველია ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე დავეწიეთ მათ წარმოების რაოდენობის მხრივ, რომ ჩვენმა მრეწველობამ უკვე მიაღწია მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობის დონეს. არა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს ამას. არ შეიძლება მრეწველობის განვითარების ტემპებისა და მრეწველობის განვითარების დონის ერთმანეთში არევა. ჩვენში ბევრი რევს ამას, ბევრს ჰგონია, რომ რახან ჩვენ მივაღწიეთ მრეწველობის განვითარების ჯერ არნახულ ტემპებს, ამით ჩვენ უკვე მივაღწიეთ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობის განვითარების დონეს. მაგრამ ეს ძირიან-ფუძიანად სწორი არაა. ავიღოთ, მაგალითად ელექტრო-ენერგიის წარმოება სადაც ფრიად მაღალი ტემპები გვაქვს. ელექტრონული ენერგიის წარმოებაში 1924 წლიდან 1929 წლამდე ჩვენ მივაღწიეთ თითქმის 600 პროც.-ს გადიდებას, მაშინ როდესაც ჩრ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამავე დროის განმავლობაში ელექტრო-ენერგიის პროდუქცია გაადიდეს მხოლოდ 181 პროც.-ით, კანადამ — 218, გერმანიამ — 241, იტალიამ — 222. როგორც ხედავთ, აქ ჩვენა გვაქვს პირდაპირ გაუგონარი ტემპი, რომელიც აღემატება ყველა სხვა დანარჩენ სახელმწიფოების ტემპს. მაგრამ თუ ავიღებთ ელექტრო-ენერგიის წარმოების დონეს საბჭოთა კავშირის ელექტრო-ენერგიის პროდუქცია 1929 წელს შეადგენდა მარტო 6.465 მილ. კილოვატ საათს, მაშინ, როდესაც ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო 126 მილიარდი, კანადაში — 17.628 მილიონი, გერმანიაში — 33 მილიარდი, იტალიაში — 10.850 მილიონი კილოვატ-საათი.

როგორც ხედავთ, უზარმაზარი განსხვავებაა.

გამოდის, რომ განვითარების დონის მხრივ ჩვენ ყველა ამ სახელმწიფოების უკან ვდგევართ.

ავიღოთ, მაგალითად, თუჯის წარმოება. თუჯის წარმოება 1926-27 წელში 100 პროცენტიდან რომ ავიღოთ (2,9 მილიონი ტონა), მაშინ სამი წლის განმავლობაში, ე. ი. 1927-28 წლიდან 1929-30 წლამდე, წარმოება იზრდება თითქმის ერთი-ორად და აღწევს 190 პროცენტს. (5,5 მილიონ ტონას).

როგორც ხედავთ, განვითარების ტემპი საკმაოდ მაღალია. მაგრამ თუ საქმეს შევხედავთ ჩვენში თუჯის განვითარების დონის თვალსაზრისით და შევადარებთ საბჭ. კავშირის თუჯის წარმოებას მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნების წარმოებასთან, მაშინ ძალიან არა სანუგეშო სურათს მივიღებთ. დავიწყოთ იქიდან, რომ თუჯის წარმოების ომის წინა დროინდელ დონეს ჩვენ ვაღწევთ და გადავაჭარბებთ მხოლოდ მიმდინარე 1929-30 წელს. უკვე მარტო ეს გარემოება გვაიძულებს მივიდეთ იმ ულმობელ დასკვნამდე, რომ თუ სწრაფი ტემპით არ განვითარდა ჩვენში მეტალურგია, ამით ხიფათის ქვეშ დავაყენებთ მთელი ჩვენი სამრეწველო წარმოების განვითარების ბედ-იღბალს. რაც შეეხება თუჯის მრეწველობის განვითარებას ჩვენსა და დასავლეთში, ასეთი სურათია: თუჯის წარმოება ჩრ. ამერიკის შეერთებულ შტატებში 1929 წელს გამოიხატებოდა 12,3 მილ. ტონაში, გერმანიაში— 13,4 მილ., საფრანგეთში —10,45 მილ., ინგლისში — 7,7 მილ., ხოლო საბჭოთა კავშირში თუჯის წარმოება 1929-30 წლის დასასრულს მიაღწევს მხოლოდ 5,5 მილიონ ტონას.

როგორც ხედავთ, მცირე განსხვავება არაა. ამნაირად, გამოდის, რომ თუჯის წარმოების განვითარების დონის მხრივ ჩვენ ყველა ამ ქვეყნების უკან ვდგევართ.

რას გვეუბნება ყველა ეს გარემოება?

იმას, რომ:

1) არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ მრეწველობის განვითარების ტემპი და ამ განვითარების დონე.

2) ჩვენ ძალიან და ძალიან ჩამოვრჩით დაწინაურებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ჩვენი მრეწველობის განვითარების დონის მხრივ.

3) მხოლოდ ჩვენი მრეწველობის განვითარების ტემპის შემდგომი დაჩქარება მოგვცემს საშუალებას ტეხნიკურ-ეკონომიურის მხრივ დავეწიოთ და გაუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს.

4) ის ადამიანები, რომელნიც უბედობენ ჩვენი მრეწველობის განვითარების ტემპის შენელების აუცილებლობაზე, სოციალიზმის მტრები და ჩვენი კლასობრივი მტრების აგენტები არიან (ტაში).

4. სოფლის მეურნეობა და მარცვლეულის პრობლემა

ზემოთ ვლაპარაკობდი სოფლის მეურნეობის მდგომარეობაზე მთლიანად, სატყეო მეურნეობასა, თევზის ჭერასთან და სხ. ერთად და არ დამიყვია სოფლის მეურნეობა თავის ძირითად დარგებად. მთლიან სოფლის მეურნეობიდან, რომ გამოვყოთ მისი ძირითადი დარგები, მაგალითად, მარცვლეულის მეურნეობა, მეცხოველეობა და ტეხნიკური კულტურები, მაშინ, საქმის ვითარება საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიისა და მიწადმოქმედების კომისარიატის ცნობებით, ასეთნაირად ისახება:

ა) მარცვლეული კულტურის ნათესობის ფართობი 1913 წელს 100-ად რომ ავიღოთ, მაშინ მარცვლეულთა ნათესობის ფართობთა მოძრაობის სურათი წლების მიხედვით ასეთი იქნება: 1926-27 წელს — 96,9 პროც., 1927-28 წელს — 94,7 პროც., 1928-29 წელს — 98,2 პროც., მიმდინარე 1929-30 წელს, ყველა ცნობით მარცვლეულის ფართობი შეადგენს ომის წინადროინდელ დონის 105,1 პროც.-ს.

ყურადღებას იპყრობს მარცვლეულ კულტურათა ფართობის დაცემა 1927-28 წელს. ეს დაცემა აიხსნება არა მარცვლეული მეურნეობის დეგრადაციით, როგორც ამაზე უბედობდენ უმეცარნი მემარჯვენე ოპორტუნისტთა ბანაკიდან, არამედ ეს აიხსნება იმით, რომ დაიღუპა შემოდგომის ნათესი 7.700.000 ჰექტარის რაოდენობით (საბჭოთა კავშირის შემოდგომის ნათესის 20 პროც.).

მარცვლეულის საერთო პროდუქცია 1913 წელს 100-ად რომ ავიღოთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: 1927 წელს — 91,9 პროც., 1928 წელს — 90,8 პროც., 1929 წელს— 94,4 პროც., 1930 წელს, ყველა ცნობის მიხედვით, ომის წინადროინდელ ნორმის 110 პროც-მდე მივიღებთ.

აქაც ყურადღებას იქცევს მარცვლეულის საერთო პროდუქციის დაცემა 1928 წელში, რაც აიხსნება შემოდგომის ნათესების დაღუპვით უკრაინაში და ჩრდილოეთ-კავკასიაში.

რაც შეეხება მარცვლეულთა საერთო პროდუქციის სასაქონლო ნაწილს (სოფლის გარეშე ბრუნვა), აქ კიდევ უფრო საგულისხმო სურათი გვაქვს. თუ 1913 წ. მარცვლეულ პროდუქციის სასაქონლო ნაწილის ჩათვლით 100-ად, გამოვა, რომ 1927 წელს ჩვენ გვქონდა 37 პროც. სასაქონლო პროდუქცია, 1928 წელს — 36,8 პროც., 1929 წ. — 58 პროც., წელს, როგორც ეს არსებულ ცნობებიდან სჩანს, გვექნება ომის წინანდელი დონის არანაკლები 73 პროცენტისა.

ამრიგად გამოდის, რომ მარცვლეულის ნათესების სივრცის და საერთო პროდუქციის ნაწილში ჩვენ ვაღწევთ ომის წინანდელ ნორმას და ცოტათი წინ უსწრებთ მას მხოლოდ მიმდინარე 1930 წელში.

გარდა ამისა ცხადი ხდება, რომ მარცვლეულის საქონლურ პროდუქციის ნაწილში ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვაღწევთ ომის წინანდელ ნორმას და წელსაც ჩამოვრჩებით მას 25 პროცენტით.

ამაშია საფუძველი ჩვენი პურის დაბრკოლებების, რაც განსაკუთრებით მწვავდება 1928 წელს.

ამაშია აგრეთვე მარცვლეულის პრობლემის საფუძველიც.

ბ) ასეთივე სურათია, მაგრამ უფრო საშიში მაჩვენებლებით, მეცხოველეობის დარგში.

1916 წლის ყველა სახის პირუტყვის მთელი რაოდენობა რომ 100-ად ჩავთვალოთ, ასეთ სურათს მივიღებთ წლების მიხედვით: 1927 წელს ცხენები შეადგენდენ — 88.9 პროც., მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, — 114,5 პროც., 1928 წელს ცხენები — 94,6 პროც., მსხვილფეხა რქოსანი საქონელი — 118,5 პროც., ცხვრები და თხები—126 პროც., ღორები — 126,1 პროცენტი. 1929 წ. ცხენები — 96,6 პროცენტი, მსხვილფეხა რქოსანი საქონელი — 115,6 პროც., ცხვრები და თხები — 127,8 პროც., ღორები — 103, პროც., 1930 წელს ცხენები — 88,6 პროც., მსხვილფეხა რქოსანი საქონელი — 89,1 პროც., ცხვრები და თხები — 87,1 პროც., ღორები — 60,1 პროც., 1916 წლის ნორმასთან შედარებით.

როგორც ხედავთ, თუ მხედველობაში მივიღებთ უკანასკნელი წლის ცნობებს, აშკარაა, რომ მესაქონლეობის მეურნეობა იწყებს მცირებას.

კიდევ უფრო ნაკლებ სანუგეშო სურათს ვღებულობთ მეცხოველეობის სასაქონლო ნაწილში. განსაკუთრებით ხორცისა და ქონის ნაწილში. თუ ხორცისა და ქონის საერთო პროდუქციას ყოველ წლიურად ჩავთვლით 100-ად, ხორცისა და ქონის სასაქონლო ნაწილი იქნება: 1926 წელს — 33,4 პროც., 1927 წელს — 32,9 პროც., 1928 წელს—30,4 პროც.

ამრიგად მეცხოველეობის დარგში აშკარა ნიშნებია იმისი, რომ წვრილი და ნაკლებ სასაქონლო მეურნეობა მერყეობს და ეკონომიურად არ არის საიმედო.

გამოდის, რომ 1916 წლის მესაქონლეობის ნორმის გადაჭარბების მაგიერ, უკანასკნელ წელში ამ ნორმისაგან ჩამორჩენის აშკარა ნიშნები გვაქვს.

ამრიგად მარცვლეულის პრობლემის შემდეგ, რომელსაც ჩვენ უკვე ვსწყვეტთ საერთოდ წარმატებით, ჩვენს წინაშე ისმება ხორცის პრობლემა, რომლის სიმწვავეს უკვე ეხლაც ვგრძნობთ და რომელიც უცდის თავის გადაწყვეტას.

გ) სხვა სურათს გვიშლის ჩვენ განვითარება ტეხნიკური კულტურების, რომლებიც ნედლეულს აწვდიან ჩვენს მრეწველობას. თუ ტეხნიკური კულტურების ნათესების ფართობს 1913 წელში 100 პროცენტად ჩავთვლით, მაშინ ჩვენ გვაქვს: ბამბისათვის 1927 წ. 107,1 პროც., 1928 წ. — 131,4 პროც., 1929 წ.—151,4 პროც., 1930 წ.—217 პროცენტი ომის წინადროინდელ დონესი; სელისათვის— 1927 წ.—86,6 პროც., 1928 წ.—85,7 პროც., 1929 წ.—112,9 პროც., 1930 წ. ომის წინადროინდელ დონეს — 125 პროც.; შაქრის ჭარხლისათვის — 1927 წ.—106,6 პროც., 1928 წ. —124,2 პროც., 1929 წ.—125,8 პროც., 1930 წ. ომის წინადროინდელ დონეს 169 პროც.; ზეთოვან მცენარეების მიმართ 1927 წელს— 179,4 პროც., 1928 წ.—230,9 პროც., 1929 წ. —219,7 პროც. და 1930 წ. ომის წინადროინდელ დონეს არანაკლებ 260 პროც-ისა.

ასეთივე თავის ძირითად ნაწილში, ხელსაყრელ სურათს იძლევა ტეხნიკურ კულტურების საერთო პროდუქცია. თუ 1913 წლის საერთო პროდუქციას 100 პროცენტად მივიღებთ, მაშინ ჩვენ გვაქვს: ბამბისათვის 1928 წ.—110,5 პროც., 1929 წ.—119 პროც., 1930 წლისათვის, ყველა ნიშნების მიხედვით, ჩვენ გვექნება ომის წინადროინდელ დონეს 182,8 პროც. სელისათვის 1928 წ.—71,6 პროც., 1929 წ.—81,5 პროც., 1930 წ., ყველა ნიშნების მიხედვით გვექნება ომის წინადროინდელი დონეს 101,3 პროც. შაქრის ჭარხლისათვის 1928 წ.—93 პროც., 1929 წ.—58 პროც., 1930 წ. ყველა ნიშნების მიხედვით გვექნება ომის წინადროინდელ დონეს 139,4 პროც. ზეთოვან მცენარეებისათვის 1928 წ.—161,9 პროც., 1929 წ. —149,8 პროც., 1930 წ., ყველა ნიშნების მიხედვით, გვექნება ომის წინადროინდელ დონეს 220 პროცენტი. ამრიგად, ტეხნიკური კულტურების მიმართ ჩვენ უფრო ხელსაყრელი სურათი გვაქვს, თუ არ ჩავთვლით 1929 წელს შაქრის ჭარხალს, რომლის მოსავალი პეპელამ დააზიანა.

თუმცა აქაც, ტეხნიკური კულტურების დარგშიც მოსალოდნელი და შესაძლებელია მომავალში სერიოზული რყევა და სიმტკიცის უქონლობის გამომჟღავნება წვრილი მეურნეობის ჭარბობის გამო, მსგავსად იმ რყევისა და სიმტკიცის უქონლობის გამომჟღავნებისა, რომლებსაც ეს ციფრები გვიჩვენებენ სელისა და ზეთოვან კულტურების მიმართ, რომლებმაც ყველაზე ნაკლებ განიცადეს კოლმეურნეობათა გავლენა.

ამრიგად, ჩვენს წინაშე დგას სასოფლო მეურნეობის შემდეგი პრობლემები:

1) პრობლემა ტეხნიკური კულტურების მდგომარეობის განმტკიცებისა სათანადო რაიონებისათვის იაფ პურის პროდუქტების საკმაო რაოდენობით უზრუნველყოფის გზით.

2) პრობლემა მესაქონლეობის განვითარებისა და ხორცის საკითხის გადაჭრისა სათანადო რაიონებისათვის იაფ ხორბლეულის პროდუქტების და საქონლის საკვების საკმაო რაოდენობით უზრუნველყოფის გზით.

3) ხორბლეულის მეურნეობის საკითხის, როგორც ამჟამად სასოფლო მეურნეობის უმთავრეს საკითხის საბოლოოდ გადაჭრის პრობლემა.

გამოდის, რომ ხორბლეულის პრობლემა მთავარი რგოლია სასოფლო მეურნეობის სისტემაში, უკანასკნელის ყველა პრობლემების გადაჭრის გასაღებია.

გამოდის, რომ ხორბლეულის პრობლემის გადაჭრა წარმოადგენს პირველხარისხოვან ამოცანას სასოფლო მეურნეობის სხვა პრობლემათა რიგში.

მაგრამ ხორბლეულის პრობლემის გადაჭრა და ამით სასოფლო მეურნეობის გამოყვანა სერიოზული აღორძინების გზაზე — ნიშნავს სასოფლო მეურნეობის ჩამორჩენილობის ძირ-ბუდიანად ლიკვიდაციას, სასოფლო მეურნეობის შეიარაღებას ტრაქტორებით და სასოფლო სამეურნეო მანქანებით, მისთვის სამეცნიერო მუშაკთა ახალი კადრების მიწოდებას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და საქონლიანობის გადიდებას. ამ პირობების გარეშე ოცნებაც კი არ შეიძლება ხორბლეულის პრობლემის გადაჭრაზე. შეიძლება თუ არა ყველა ამ პირობების განხორციელება წვრილ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის ბაზაზე? არა, არ შეიძლება. არ შეიძლება, ვინაიდან წვრილ გლეხურ მეურნეობას არ ძალუძს მიიღოს და გამოიყენოს ახალი ტეხნიკა, არ შეუძლია საკმაოდ გაადიდოს შრომის ნაყოფიერება, არ ძალუძს საკმაოდ გაადიდოს სასოფლო მეურნეობის საქონლიანობა. რჩება ერთი გზა, სასოფლო მეურნეობის განმტკიცების გზა, თანამედროვე ტეხნიკით შეიარაღებულ მსხვილ მეურნეობათა შექმნის გზა. მაგრამ საბჭოთა ქვეყანა ვერ დადგება მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობების შექმნის გზაზე. მას შეუძლია და უნდა წავიდეს მხოლოდ ახალი ტეხნიკით შეიარაღებულ სოციალისტური ტიპის მეურნეობების შექმნის გზით. ასეთ მეურნეობებს წარმოადგენენ ჩვენში საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობანი.

აქედან გამომდინარეობს საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის და წვრილ გლეხურ მეურნეობების მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანების ამოცანა, როგორც ერთად-ერთი გზა საერთოდ სასოფლო მეურნეობისა და კერძოდ ხორბლეულის პრობლემის გადასაჭრელად.

სწორედ ამ გზას დაადგა პარტია თავის ყოველდღიურ მუშაობაში მე-15 პარტყრილობის შემდეგ, განსაკუთრებით 1928 წლის დასაწყისში პურის საკითხში გამომჟღავნებულ დაბრკოლებების შემდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ძირითადი პრობლემა, როგორც პრაქტიკული ამოცანა ჩვენმა პარტიამ დღის წესრიგში დასვა ჯერ კიდევ მე-15 ყრილობაზე, როცა ჩვენ ჯერ კიდევ არ გვქონდა სერიოზული დაბრკოლებები პურის საკითხში.

მე-15 ყრილობის ცნობილ რეზოლიუციაში „სოფლად მუშაობის შესახებ" პირდაპირ არის ნათქვამი, რომ

„ახლანდელ პერიოდში წვრილ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობების გაერთიანების და მსხვილ კოლექტივებად გარდაქმნის ამოცანა უნდა დაისვას, როგორც პარტიის ძირითადი ამოცანა სოფლად"-ო.

შესაძლებელია, ზედმეტი არ იქნეს, რომ მოვიყვანოთ აქ სათანადო ადგილი მე-15 ყრილობაზე გაკეთებულ ც. კ-ის საანგარიშო მოხსენებიდან, სადაც აგრეთვე გადაჭრით და გარკვეულად დაყენებულია სოფლის ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის პრობლემა კოლექტივიზაციის საფუძვლებზე.

აი, რა არის ნათქვამი იქ:

„სად არის გამოსავალი? გამოსავალია იმაში, რომ გადაყვანილ იქნას წვრილი დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობა მსხვილ გაერთიანებულ მეურნეობაზე, რასაც საფუძვლად უნდა დაედვას მიწის საზოგადოებრივი დამუშავება, გადაყვანილ იქნას, ის მიწის კოლექტიურ დამუშავებაზე ახალი უმაღლესი ტეხნიკის საფუძველზე. გამოსავალია წვრილი და დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობანი თანდათანობით, მაგრამ მტკიცედ, არა ძალდატანებით, არამედ ჩვენებისა და დარწმუნების საშუალებით გაერთიანებულ იქნან მსხვილ მეურნეობებად მიწის საზოგადოებრივი ამხანაგური წესით კოლექტიურად დამუშავების საფუძველზე, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნას სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ტრაქტორები, გამოყენებულ იქნას მიწადმოქმედების ინტენსიფიკაციის მეცნიერული მეთოდები. სხვა გამოსავალი არ არსებობს".

5. გლეხობის პირის ბრუნება სოციალიზმისაკენ და საბჭოთა და საკოლმეურნეო მშენებლობის განვითარების ტემპი

გლეხობის პირის ბრუნება კოლექტივიზაციისაკენ უცბად არ დაწყებულა. ის, ეს პირის ბრუნება, არც შეიძლება უცბად დაწყებულიყო.

მართალია, კოლექტივიზაციის ლოზუნგი პარტიის მიერ ჯერ კიდევ მე-15 ყრილობაზე იყო გადმოსროლილი, მაგრამ გლეხობის სოციალიზმისაკენ მასიურად პირის ბრუნებისათვის მარტო ლოზუნგის წამოყენება საკმარისი არაა. პირის ბრუნებისათვის საჭიროა, მეტი რომ არა ვთქვათ, კიდევ ერთი გარემოება, სახელდობრ ის, რომ თვით გლეხთა მასები დარწმუნდნენ გამოსროლილი ლოზუნგის სისწორეში და მიიღონ ის, როგორც თავისი საკუთარი ლოზუნგი. ამიტომ ეს პირის ბრუნება მზადდებოდა ჩუმად. მზადდებოდა ჩვენი განვითარების მთელი მსვლელობით, ჩვენი ინდუსტრიის მთელი მსვლელობით და, პირველ ყოვლისა, იმ ინდუსტრიის განვითარებით, რომელიც გვაწვდის ჩვენ მანქანებსა და ტრაქტორებს სოფლის მეურნეობისათვის. მზადდებოდა კულაკობასთან ბრძოლის მტკიცე პოლიტიკით და პურის დამზადების იმ ახალ ფორმებში მიმდინარეობით, რაც კულაკობას აყენებდა ღარიბ და საშუალო გლეხთა კონტროლის ქვეშ. მზადდებოდა ის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებით, რომლის საშუალებითაც ინდივიდუალური გლეხი ეჩვეოდა საქმის კოლექტიურად წაყვანას. მზადდებოდა ის კოლმეურნეობათა ქსელის მეოხებით, სადაც გლეხს საშუალება ეძლეოდა დარწმუნებულიყო ახალი ტეხნიკის ძალასა და უპირატესობაში. შემცდარი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენი საბჭოთა მეურნეობები პურის რესურსების წყაროს მეტს არას წარმოადგენდეს. ნამდვილად კი, თუ მივიღებთ მხედველობაში საბჭოთა მეურნეობის ახალ ტეხნიკას, მის დახმარებას ახლო-მახლო მცხოვრებ გლეხობისათვის და მის არაჩვეულებრივ გამლა-გაქანებას, უნდა ვთქვათ, რომ საბჭოთა მეურნეობა იყო ის მიმმართავი ძალა, რომელმაც გაადვილა გლეხთა მასების პირის ბრუნება და დააყენა ისინი კოლექტივიზაციის გზაზე.

აი, რა ნიადაგზე აღმოცენდა მილიონობით ღარიბ და საშუალო გლეხთა მასიური საკოლმეურნეო მოძრაობა, რაც დაიწყო 1929 წლის მეორე ნახევარში და რითაც აღისახა უდიდესი გარდატეხის პერიოდი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

რა ღონისძიებანია მიღებული ც. კ.-ის მიერ, რომ ის შეიარაღებული შეხვედროდა და სათავეში ჩასდგომოდა ამ მოძრაობას?

ეს ღონისძიებები სამი ხაზით არის გატარებული: საბჭოთა მეურნეობების მოწყობისა და ფინანსიური დახმარების აღმოჩენის ხაზით, კოლმეურნეობათა მოწყობისა და ფინანსიური დახმარების აღმოჩენის ხაზით და, ბოლოს, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მშენებლობის მოწყობისა და მათი გლეხობისათვის მიწოდების ხაზით სამანქანო-სატრაქტორო სადგურთა საშუალებით, სატრაქტორო კოლონების საშუალებით და სხვ...

ა) ჯერ კიდევ 1928 წლის აპრილში ცეკას პოლიტბიურომ, მიიღო დადგენილება 3—4 წელში ახალი საბჭოთა მეურნეობების მოწყობის შესახებ იმ ანგარიშით, რომ ამ საბჭოთა მეურნეობებს ამ ვადის დამლევისათვის მოეცათ 100 მილიონი ფუთი სასაქონლო პური. შემდეგში ეს დადგენილება დადასტურებულ იქნა ცეკას პლენუმის მიერ. მოეწყო „ზერნოტრესტი" (ხორბლეულის ტრესტი), რომელსაც დაეკისრა ამ დადგენილების შესრულება.

ამასთან ერთად მიღებულ იქნა დადგენილება ძველი საბჭოთა მეურნეობების გამაგრებისა და მათი ნათესების ფართობის გადიდების შესახებ. მოეწყო „სოვხოზცენტრი" (საბჭოთა მეურნეობების ცენტრი), რომელსაც დაევალა ამ დადგენილების შესრულება.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ დადგენილებებს ომი გამოუცხადა ჩვენი პარტიის ოპორტუნისტულმა ნაწილმა. იყო ლაპარაკი, რომ საბჭოთა მეურნეობებში დაბანდებული ფულები „გადაყრილი" ფულებია, იყო აგრეთვე კრიტიკა „მეცნიერების" ხალხის მხრივ, რომელსაც მხარი დაუჭირეს პარტიის ოპორტუნისტულმა ელემენტებმა, იმის შესახებ, რომ შეუძლებელი და უაზროა მსხვილ საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაცია. მაგრამ ცეკა ატარებდა თავის ხაზს და ყოველივეს მიუხედავად—ბოლომდე მიიყვანა იგი.

1927-28 წელს საბჭოთა მეურნეობებისათვის ფინანსების მისაწოდებლად (საბრუნავ მოკლევადიანი კრედიტის ჩაუთვლელად) გაცემულ იქნა 65,7 მილიონი მანეთი. 1928-29 წელს გაცემულ იქნა 185,8 მილიონი მანეთი. დაბოლოს, მიმდინარე წელს გაცემულია 856,2 მილიონი მანეთი და საბჭოთა მეურნეობების განკარგულებაში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გადაცემულია 18.000 ტრაქტორი, რომელთა ძალოვნობა 350.000 ცხენის ძალას უდრის.

როგორია ამ ღონისძიებების შედეგი?

„ზერნოტრესტის" ნათესების ფართობი 1928-29 წელში შეადგენდა 150.000 ჰექტარს, 1929-30 წელს 1.060.000 ჰექტარს, 1930-31 წელს შეადგენს 4.500.000 ჰექტარს, 1931-32 წელს 9.000.000 ჰექტარს, 1932-33 წელს კი, ე. ი. ხუთწლედის დამლევისათვის შეადგენს 14.000.000 ჰექტარს.

„სოვხოზცენტრის" ნათესების ფართობი 1928-29 წელში შეადგენდა 430,000 ჰექტარს, 1929-30 წელს 860.000 ჰექტარს, 1930-31 წელს შეადგენს 1.800.000 ჰექტარს, 1931-32 წელს 2.000.000 ჰექტარს, 1932-33 წელს კი 2.500.000 ჰექტარს. უკრაინის საბჭოთა მეურნეობების გაერთიანების ნათესების ფართობი 1928-29 წ. შეადგენდა 170.000 ჰექტარს, 1929-30 წ. 280.000 ჰექტარს, 1930-31 წ. შეადგენს 500.000 ჰექტარს, 1932-33 წელს კი შეადგენს 720.000 ჰექტარს. „სოიუზსახარის" ნათესების ფართობი ხორბლის მხრივ 1928-29 წელს შეადგენდა 780.000 ჰექტარს, 1929-30 წელს 820.000 ჰექტარს, 1930-31 წელს შეადგენს 860.000 ჰექტარს, 1931-32 წელში 980.000 ჰექტარს, 1932-33 წელს კი შეადგენს 990.000 ჰექტარს.

ეს პირველ ყოვლისა ნიშნავს, რომ მარტო „ზერნოტრესტს" ხუთწლედის დამლევისათვის ექნება ხორბლეულის იმდენი ნათესი, რამდენიც ახლა აქვს მთელს არგენტინას (აპლოდისმენტები).

მეორე, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა საბჭოთა მეურნეობებს ხუთწლედის დამლევისათვის ერთი მილიონი ჰექტარით მეტი ხორბლეული ნათესი ექნებათ, ვიდრე აქვს მთელს კანადას (აპლოდისმენტები).

რაც შეეხება საბჭოთა მეურნეობების ხორბლეულის საერთო და სასაქონლო პროდუქციას, ჩვენ წლების მიხედვით მოძრაობის ასეთი სურათი გვაქვს: 1927-28 წ. ყველა საბჭოთა მეურნეობიდან მიღებული საერთო პროდუქცია შეადგ. 9,5 მილ. ცენტნ., აქედან სასაქონლო პროდუქცია 6,4 მილიონ ცენტნერს, ; 1928-29 წ. 12,8 მილიონ ცენტნერს, აქედან სასაქონლო 7,9 მილიონ ცენტნერს; 1929-30 წ., ყველა ნიშნების მიხედვით, ჩვენ გვექნება 28,2 მილიონი ცენტნერი, აქედან 18,2 მილიონი ცენტნერი (108 მილიონი ფუთი) სასაქონლო პროდუქცია; 1930-31 წელს ჩვენ გვექნება 71,7 მილიონი ცენტნერი, აქედან 61 მილიონი ცენტნერი სასაქონლო პროდუქცია და ა. შ.

ასეთია ჩვენი პარტიის საბჭოთა მეურნეობების შექმნის პოლიტიკის მიღწეული და მო-

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1928 წლის აპრილში ახალი საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციის შესახებ მიღებული დადგენილებით; გამოდიოდა, რომ 1931-32 წელს ჩვენ უნდა მიგვეღო არა ნაკლებ 100 ათასი მილიონი ფუთი სასაქონლო პურისა. სინამდვილეში კი გამოდის, რომ 1931-32 წელს ჩვენ მარტო ახალი საბჭოთა მეურნეობებიდან მივიღებთ 200 მილიონ ფუთზე მეტს. გამოდის, რომ პროგრამა ორჯერ გადაჭარბებით სრულდება.

გამოდის, რომ ხალხმა, რომელიც ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებას დასცინოდა, სასტიკად დასცინა საკუთარ თავს.

საბჭოების ყრილობის მიერ დამტკიცებული ხუთწლიანი გეგმით, ხუთწლედის დამლევს ყველა სისტემის საბჭოთა მეურნეობებში უნდა მიგვეღო ნათესების ფართობი 5 მილიონი ჰექტარის რაოდენობით. ნამდვილად კი საბჭოთა მეურნეობების ნათესების ფართობი უკვე მიმდინარე წელს უდრის 3,8 მილიონ ჰექტარს, ხოლო მომავალ წელს, ე. ი. ხუთწლედის მესამე წელს ჩვენ გვექნება ნათესების ფართობი 8 მილიონი ჰექტარის რაოდენობით.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის ხუთწლიან გეგმას ვასრულებთ და ვაჭარბებთ 3 წლის განმავლობაში.

ხუთწლიანი გეგმით, მარცვლეულის საბჭ. კოლმეურნეობებში ხუთწლედის დამლევს უნდა მიგვეღო მთელი პროდუქცია 54,3 მილიონი ცენტნერის რაოდენობით. ნამდვილად კი მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში მთელი პროდუქცია უკვე მიმდინარე წელს უდრის 28,2 მილიონ ცენტნერს, ხოლო მომავალ წელს გვექნება 71,7 მილიონი ცენტნერი.

ეს ნიშნავს იმას, რომ მარცვლეულის მთელი პროდუქციის დარგში ჩვენ პროგრამას ვასრულებთ და ვაჭარბებთ სამ წელიწადში.

ხუთწლედი სამ წელიწადში.

დაე ილაყბონ ახლა ბურჟუაზიულმა მჯღაბნელებმა და მათმა დამქაშებმა, რომ არ შეიძლება ხუთწლიანი გეგმის სამ წელიწადში შესრულება და გადაჭარბება.

ბ) რაც შეეხება საკოლმეურნეო მშენებლობას, აქ ჩვენ უფრო ხელსაყრელი სურათი გვაქვს.

ჯერ კიდევ 1928 წლის ივლისში ც. კ-ის პლენუმმა შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო საკოლმეურნეო მშენებლობაზე:

„შეუდრეკლად გატარდეს ცხოვრებაში მე-15 ყრილობის მიერ დასახული ამოცანა გლეხთა წვრილ ინდივიდუალურ მეურნეობათა გაერთიანებისა და გარდაქმნის მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებად, ნებაყოფლობითი გაერთიანებებად, რომელნიც აგებულ იქნებიან ახალი ტეხნიკის საფუძველზე, და წარმოადგენენ მარცვლეული მეურნეობის უმაღლეს ფორმას, როგორც სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის მხრივ, ისე ამ მეურნეობის ნაყოფიერებისა და საქონლიანობის რადიკალური გაზრდის უზრუნველყოფის მხრივ". (იხ. ც. კ-ის 1928 წლის ივლისის პლენუმის რეზოლიუცია „პურის დამზადების პოლიტიკის შესახებ საერთო სამეურნეო მდგომარეობასთან დაკავშირებით").

შემდეგში ამ გადაწყვეტილებამ დადასტურება ჰპოვა პარტიის მე-16 კონფერენციის რეზოლიუციებში და ც. კ-ის 1929 წლის ნოემბრის პლენუმის სპეციალურ რეზოლიუციაში საკოლმეურნეო მოძრაობის შესახებ. 1929 წლის მეორე ნახევარში, როდესაც გამოაშკარავდა, რომ გლეხობამ არსებითად პირი იბრუნა კოლმეურნეობისაკენ და როდესაც საშუალო გლეხი მასიურად მიდიოდა კოლმეურნეობაში, ც. კ-ის პოლიტბიურომ 1930 წელს 5 იანვარს სპეციალური დადგენილება მიიღო „კოლექტივიზაციის ტემპისა და სახელმწიფოს მხრივ საკოლმეურნეო მშენებლობისადმი დახმარების ღონისძიებათა შესახებ".

ც. კ-მა ამ რეზოლიუციით:

1. აღნიშნა, რომ გლეხობამ მასიურად იბრუნა პირი კოლმეურნეობებისაკენ და რომ შესაძლებელია საკოლმეურნეო მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა გადაჭარბებით შესრულდეს 1930 წლის გაზაფხულზე.
2. აღნიშნა იმ მატერიალურ პირობათა არსებობა, რომელიც აუცილებლად საჭიროა კულაკური მეურნეობის წარმოების შესაცვლელად საკოლმეურნეო წარმოებით; ამასთან დაკავშირებით აღიარა კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკიდან, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე გადასვლის აუცილებლობა.
3. მოგვცა პერსპექტივა, რომ უკვე 1930 წლის გაზაფხულისთვის, განსაზოგადოების საფუძვლებზე დამუშავებული ნათესობის ფართობი შესამჩნევად გადაამეტებს 30 მილ. ჰექტარს.
4. საბჭოთა კავშირი რაიონების სამ ჯგუფად დაჰყო და თვითეულ ამ ჯგუფისთვის დააწესა კოლექტივიზაციის ძირითადად დამთავრების საორიენტაციო ვადები.
5. გადასინჯა მიწადმოწყობის მეთოდი კოლმეურნეობათა სასარგებლოდ. გადასინჯა სოფლის მეურნეობისთვის ფინანსების გაღების ნორმები და 1929-30 წლისთვის დააწესა კოლმეურნეობათათვის გასაცემი კრედიტი არა ნაკლებ 500 მილიონი მანეთისა.
6. განსაზღვრა საკოლმეურნეო მოძრაობის საარტელო ნორმა, როგორც ძირითადი რგოლი საკოლმეურნეო სისტემისა ამჟამად.
7. ანდერძი აუგო ოპორტუნისტულ ელემენტებს, რომელნიც სცდილობდნენ საკოლმეურნეო მოძრაობის შეფერხებას მანქანებისა და ტრაქტორების უქონლობის საბაბით.
8. დაბოლოს, გააფრთხილა პარტიული მუშაკები, რომ არ დაუშვან შესაძლებელი გადახვევები საკოლმეურნეო მოძრაობაში, გაუთვალისწინა საფრთხე კოლმეურნეობათა დეკრეტების საშუალებით მშენებლობისა ზემოდან, საფრთხე, რომელიც საშიში იყო იმ მხრივ, რომ ნამდვილი მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა კოლექტივიზაციობის თამაშად არ გადაქცეულიყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი პარტიის ოპორტუნისტული ელემენტები ც. კ-ის ამ დადგენილებას ცოტა არ იყოს მტრულად შეხვდნენ. შეიქნა ლაპარაკი, მითქმა-მოთქმა, ჩურჩული იმის შესახებ, რომ ც. კ-ი ფანტასტიკაში გადავარდა, რომ იგი „ანიავებს" ხალხის ფულს „არარსებულ" კოლმეურნეობებზე. მემარჯვენე ელემენტები ხელებს იფშვნეტდნენ და წინასწარ იტკბანურებდნენ აუცილებელს, „უზრუნველყოფილ" მარცხს. მაგრამ ც. კ-ი თავის ხაზს ატარებდა მთელი თავისი დაბეჯითებით და ეს ხაზი ბოლომდე მიიყვანა, მიუხედავად მემარჯვენეების ობივატელური ხითხითისა, მიუხედავად „მემარცხენეების" გადახვევებისა და თავბრუხვევისა.

1927-28 წელს კოლმეურნეობათათვის ფინანსების მისაწოდებლად გაღებული იყო 76 მილიონი მანეთი, 1928-29 წელს 170 მილ. მან., და, დასასრულს, მიმდინარე წელს გაღებულია 473 მილ. მანეთი, ამას გარდა, კოლექტივიზაციის ფონდში გადაცემულია 65 მილიონი მან. დადგენილია კოლმეურნეობათათვის შეღავათები, რაც კოლმეურნეობათა ფინანსიურ სახსარს 200 მილიონი მანეთით ადიდებს. კოლმეურნეობათათვის უზრუნველყოფილია განკულაკებულ კულაკების სამეურნეო ქონება 400 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულებისა. კოლმეურნეობათა მინდვრებისათვის უზრუნველყოფილია 30.000-მდე ტრაქტორის გამოყენება, რომელთა ძალოვნება 400.000 ცხენის ძალას აღემატება; ამაში არ შედის სატრაქტორო ცენტრის 7.000 ტრაქტორი, რომელიც კოლმეურნეობათ ემსახურება და არ შედის აგრეთვე ტრაქტორებით დახმარება საბჭოთა მეურნეობების სისტემის მხრივ. ამ წელს კოლმეურნეობებს მიეცა სათესლე სესხად და დახმარებად 10 მილიონი ცენტნერი მარცვალი (61 მილიონი ფუთი). დასასრულს, კოლმეურნეობებს უშუალო საორგანიზაციო დახმარება გაეწია ცხენ-მანქანის ბაზების შექმნაში, რომელთა რიცხვი 7.000-ს აღემატება და სადაც გამოყენებულია 1.300.000 ცხენი.

რანაირია ამ ღონისძიებათა შედეგები?

კოლმეურნეობათა ნათესობის ფართობი 1927 წელს შეადგენდა 0,8 მილ. ჰექტარს, 1928 წ. 1,4 მილ. ჰექტარს, 1930 წ. არა ნაკლებ 36 მილ. ჰექტარისა, გაზაფხულისა და შემოდგომის ნათესის ჩართვით.

ეს ნიშნავს, ჯერ ერთი, იმას, რომ სამი წლის განმავლობაში საკოლმეურნეო ნათესობის ფართობი 40-ჯერ და უფრო მეტადაც გაიზარდა (ტაში).

მეორე ეს ნიშნავს, რომ ჩვენს კოლმეურნეობებს ამჟამად იმდენივე ნათესი ფართობი აქვთ, რამდენიც საფრანგეთსა და იტალიას ერთად (ტაში).

რაც შეეხება კოლმეურნეობათა მარცვლეულის საერთო პროდუქციას და საქონლიან ნაწილს, აქ შემდეგი სურათია: 1927 წელს კოლმეურნეობებმა მოგვცა 4,9 მილიონი ცენტნერი, აქედან საქონლიანი 2 მილ. ცენტნერი; 1928 წელს 8,4 მილ. ცენტნერი, აქედან საქონლიანი 3,6 მილ. ცენტ., 1929 წელს 29,1 მილ. ცენტნერი, აქედან საქონლიანი 12,7 მილიონი ცენტნერი (1.550.000.000 ფუთი) (გამოტოვებულია), აქედან საქონლიანი არა ნაკლებ 82.000.000 ცენტნერისა (500.000.000 ფუთზე მეტი).

უნდა ვაღიაროთ, რომ არც ერთ დარგს ჩვენი მრეწველობისა, რომელიც საერთოდ საკმაოდ აჩქარებული ტემპით ვითარდება, ჯერ არ მოუცია აღორძინების ისეთი უჩვეულო ტემპები, როგორიც მოგვცა საკოლმეურნეო მშენებლობამ.

რას მოწმობენ ეს ციფრები?

პირველი. ისინი მოწმობენ, რომ სამარცვლეულო კოლმეურნეობებში საერთო პროდუქცია სამი წლის განმავლობაში გაიზარდა 50-ზე მეტჯერ, ხოლო სასაქონლო 40-ზე მეტჯერ.

მეორე. ისინი მოწმობენ, რომ წელს ჩვენ საშუალება გვაქვს მივიღოთ კოლმეურნეობებისაგან ჩვენი ქვეყნის მარცვლეულის მთელი სასაქონლო პროდუქციის ნახევარზე მეტი.

მესამე. ისინი მოწმობენ, რომ სოფლის მეურნეობის და მისი ძირითადი პრობლემების ბედს ამიერიდან სწყვეტენ არა ინდივიდუალური გლეხური მეურნეობები, არამედ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

მეოთხე. ისინი მოწმობენ, რომ ჩვენში კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პროცესი წინ მიდის უდიდესი სისწრაფით.

დაბოლოს, ისინი მოწმობენ, რომ ჩვენს ქვეყანაში უკვე მოხდა ისეთი ეკონომიური ცვლილებები, რომლებიც სრულ საბუთს გვაძლევენ დაბეჯითებით ვსთქვათ, რომ ჩვენ შევსძელით სოფლის გადაყვანა ახალ გზაზე, კოლექტივიზაციის გზაზე და მით უზრუნველგვეყო სოციალიზმის წარმატებით შენება არა მარტო ქალაქად, არამედ სოფლადაც.

თავის 1930 წ. 5 იანვრის დადგენილებაში ცეკას პოლიტბიურომ 1930 წლის გაზაფხულისათვის კოლმეურნეობათა ნათესების სივრცის პროგრამა განსაზღვრა 30 მილიონ ჰექტარით. სინამდვილეში კი გვაქვს 36 მილ. ჰექტარი. ცეკას პროგრამა, მაშასადამე, გადაჭარბებით არის შესრულებული.

გამოდის, რომ ხალხმა, რომელიც ცეკას გადაწყვეტილებას დასცინოდა, თავის თავს დასცინა. ჩვენი პარტიის ოპორტუნისტულ მოლაყბეებს არ უშველა არც წვრილ-ბურჟუაზიულმა სტიქიამ, არც გადახვევებმა საკოლმეურნეო მოძრაობაში.

ხუთწლიანი გეგმის მიხედვით ხუთი წლის დასასრულს კოლმეურნეობებში უნდა გვქონოდა 20,6 მილ. ჰექტარი ნათესი სივრცე. სინამდვილეში კი უკვე წელს გვაქვს კოლმეურნეობებში 36 მილ. ჰექტარი ნათესი სივრცე.

ეს იმას ნიშნავს, რომ საკოლმეურნეო მშენებლობის ხუთწლიან პროგრამას ორი წლის განმავლობაში გადავაჭარბებთ ერთ ნახევარზე მეტჯერ (ტაში).

ხუთწლიანი გეგმის მიხედვით, ხუთი წლის დასასრულს მარცვლეულის კოლმეურნეობებში საერთო პროდუქცია უნდა ყოფილიყო 190,5 მილ. ცენტნერი. ნამდვილად კი მარცვლეულის კოლმეურნეობებში საერთო პროდუქცია წელსვე გვექნება 256 მილ. ცენტნერი.

ეს იმას ნიშნავს, რომ მარცვლეულის საკოლმეურნეო პროდუქციის ხუთწლიან პროგრამას ორი წლის განმავლობაში ვაჭარბებთ 50-ზე მეტი პროცენტით.

ხუთწლიანი გეგმა ორ წელიწადში (ტაში).

დეე ილაყბონ ეხლა ოპორტუნისტულმა ჭორიკანებმა, რომ საკოლმეურნეო მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის შესრულება და გადაჭარბება შეუძლებელია ორი წლის განმავლობაში.

6. მუშების და გლეხების მატერიალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესება

ამრიგად გამოდის, რომ განსაზოგადოებული სექტორის შეუჩერებელი ზრდა როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის დარგში წარმოადგენს ფაქტს, რომელიც არავითარ ეჭვს არ ბადებს.

რას ნიშნავს ეს მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის თვალსაზრისით?

ეს ნიშნავს, რომ ჩაყრილია საძირკველი მუშების და გლეხების მატერიალურ და კულტურულ მდგომარეობის სრული გაუმჯობესებისათვის.

რატომ და რანაირად?

პირველი. იმიტომ. რომ განსაზოგადოებული სექტორის ზრდა პირველ ყოვლისა ნიშნავს სოფლისა და ქალაქის ექსპლოატატორულ ელემენტების შემცირებას, მათი ხვედრი წონის დაცემას სახალხო მეურნეობაში. ეს კი ნიშნავს, რომ მუშების და გლეხების წილი ქვეყნის სახალხო შემოსავალში უეჭველად უნდა გაიზარდოს ექსპლოატატორულ კლასების შემცირების ხარჯზე.

მეორე. იმიტომ, რომ განსაზოგადოებული სექტორის ზრდის დროს სახალხო შემოსავლის ნაწილი, რომლითაც დღემდე ექსპლოატატორული კლასები და მათი ხროვა იკვებებოდა, ამიერიდან დარჩება თვით წარმოებაში, წარმოების გასაფართოებლად, ახალი ფაბრიკა-ქარხნების ასაგებათ და მშრომელთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ეს კი ნიშნავს, რომ მუშათა კლასის რიცხვი და ძალა უნდა გაიზარდოს, ხოლო უმუშევრობა უნდა შემცირდეს და გაქრეს.

დაბოლოს, იმიტომ, რომ განსაზოგადოებული სექტორის ზრდა, რამდენადაც მას მივყევართ მუშათა კლასის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებამდე, ნიშნავს შინაური ბაზრის ტევადობის თანდათანობით ზრდას და მრეწველობის პროდუქტებზე მოთხოვნილების გადიდებას მუშებისა და გლეხების მხრივ. ეს კი ნიშნავს, რომ შინაური ბაზრის ზრდა გაუსწრებს მრეწველობის ზრდას და მით აუცილებელს გახდის მის წინ სვლას, განუწყვეტელ გაფართოებას.

ყველა ამ გარემოებებს მივყევართ მუშების და გლეხების მატერიალურ და კულტურულ მდგომარეობის შეუჩერებელ ზრდისაკენ.

ა) დავიწყოთ მუშათა კლასის რიცხობრივ ზრდისა და უმუშევრობის შემცირების საკითხიდან.

თუ დაქირავებულ მუშათა რაოდენობა (უმუშევრებს გარდა) 1926-27 წ. 10.990.000 უდრიდა, 1927-28 წელს გვყავდა 11.456.000 1928-29 წ. — 11.997.000, ხოლო 1929-30 წ. როგორც არსებული ცნობები მოწმობენ, გვეყოლება არა ნაკლები 13,129,000 კაციისა. მათ შორის ფიზიკურად მომუშავეები (სასოფლო-სამეურნეო და სეზონურ მუშების ჩათვლით), 1926-27 წელს იყვნენ — 7,069,000, 1927-28 წელს— 7,404,000, 1928-29 წელს— 7.758,000, 1929-30 წ. — 8,533,000. აქედან მსხვილი მრეწველობის მუშები (მოსამსახურეების გამოკლებით) 1926-27 წ. — 2.439.000, 1927-28 წ. — 2.632.000, 1928-29 წ. — 2.858.000, 1929-30 წ. — 3.029.000.

ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გვაქვს მუშათა კლასის რაოდენობის თანამიმდევრობით ზრდის სურათი, ამასთანავე, თუ დაქირავებული შრომის პირთა ზრდის პროცენტი სამი წლის განმავლობაში შეადგენს 19,5 პროცენტს, ფიზიკური შრომის პირთა კი — 20,7 პროცენტს, ინდუსტრიალურ მუშათა ზრდის პროცენტი შეადგენს — 24,2 პროცენტს.

გადავიდეთ უმუშევრობის საკითხზე. უნდა ითქვას, რომ ამ დარგში დიდი არევ-დარევა სუფევს, როგორც შრომის კომისარიატში, ისე საკავშირო პროფსაბჭოში, ერთის მხრივ, ამ დაწესებულებების ცნობებიდან გამოდის, რომ ჩვენ გვყავს ერთ მილიონამდე უმუშევარი, რომელთაგან მინიმალურად კვალიფიციური პირები შეადგენენ სულ 14,3 პროც., 75 პროცენტამდე კი არიან ე. წ. ინტელიგენტური შრომის პირები, არაკვალიფიციური მუშაკები, რომელთა უმრავლესობა შესდგება ქალებისა და მოზარდებისაგან, რომლებსაც არა აქვთ კავშირი სამრეწველო წარმოებასთან. მეორე მხრივ, მათივე ცნობით, ჩვენ განვიცდით კვალიფიციური მუშა-ხელის უსაშინელეს ნაკლებობას. შრომის ბირჟები 80 პროც.-ით ვერ აკმაყოფილებენ ჩვენი საწარმოების მოთხოვნილებებს მუშა-ხელზე და ამ რიგად, ჩვენ იძულებული ვართ, პირდაპირ გზა და გზა გადავამზადოთ სრულიად არაკვალიფიციური ხალხი და მოვამზადოთ მათგან კვალიფიციური მუშები, რომ ამნაირად დავაკმაყოფილოთ ჩვენი საწარმოების თუგინდ მინიმალური მოთხოვნილებები. აბა სცადეთ გარკვევა ამ არევ-დარევაში! ყოველ შემთხვევაში ნათელია, რომ ეს უმუშევრები არ შეადგენენ ჩვენი მრეწველობის არც სარეზერვო და, მით უფრო, არც მუდმივ არმიას. და რას ვხედავთ? შრომის კომისარიატის ცნობებითაც კი გამოდის, რომ უკანასკნელ ხანებში უმუშევართა რაოდენობა წარსულ წელთან შედარებით 700.000 კაცით შემცირდა. ეს ნიშნავს უმუშევართა რიცხვის შემცირებას პირველი მაისისათვის 42 პროცენტზე მეტად.

აი ჩვენს სახალხო მეურნეობაში სოციალისტური სექტორის ზრდის ერთი შედეგი კიდევ.

ბ) უფრო მკვეთრ შედეგს მივიღებთ, თუ საქმეს განვიხილავთ სახალხო შემოსავლის კლასთა მიხედვით განაწილების თვალსაზრისით, რაც მუშათა და გლეხთა მატერიალური და კულტურული მდგომარეობის თვალსაზრისით ძირითად საკითხს წარმოადგენს. გერმანიის, ინგლისის და ამერიკის შეერთებული შტატების ბურჟუაზიული ეკონომისტები ტყუილად არ სცდილობენ ამ საკითხის ბურუსში გახვევას ბურჟუაზიის სასარგებლოდ, რისთვისაც ისინი მალ-მალ აქვეყნებენ თავიანთ „სრულიად ობიექტიურ" გამოკვლევებს.

სრულიად გერმანიის სტატისტიკური სამმართველოს ცნობებით, 1929 წ. გერმანიის სახალხო შემოსავალში სამუშაო ხელფასის წილი უდრიდა 70 პროცენტს, ხოლო ბურჟუაზიის წილი — 30 პროცენტს.

ფედერალური კომისიისა და ეკონომიურ გამოკვლევათა ნაციონალური ბიუროს ცნობებით, 1923 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო შემოსავალში მუშების წილი შეადგენდა 54 პროცენტამდე ცოტა მეტს, ხოლო კაპიტალისტების წილი — 45 პროცენტზე ცოტა მეტს. ბოლოს, ეკონომისტების ბოლეის და სტემპის ცნობებით, 1924 წ. ინგლისის სახალხო შემოსავალში მუშათა კლასის წილი შეადგენდა 50 პროცენტზე ცოტა ნაკლებს, ხოლო კაპიტალისტების წილი — 50 პროცენტზე ცოტა მეტს. რა თქმა უნდა, ამ გამოკვლევათა შედეგებს ვერ მივიღებთ ხელაღებით, ვერ ჩავთვლით მათ მთლად სარწმუნო ცნობებად; ვერ ჩავთვლით იმიტომ, რომ, წმინდა ეკონომიური ხასიათის შეცდომებს გარდა, აქ არის სხვა ხასიათის შეცდომაც, რომლის მიზანსაც შეადგენს ერთის მხრივ კაპიტალისტთა შემოსავლის დაფარვა, ხოლო მეორეს მხრივ — მუშათა კლასის შემოსავლის გაბერვა, გადიდება, რადგან მუშათა კლასს მიაკუთვნებენ მოხელეებსაც, რომელნიც უზარმაზარ სასყიდელს იღებენ. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამ გამოკვლევებში ხშირად ანგარიშს არ უწევენ ფერმერებისა და, საერთოთ, სოფლის კაპიტალისტების შემოსავალს.

ამხ. ვარგამ კრიტიკული ანალიზი გაუკეთა ამ ცნობებს. აი რა მიიღო მან. აღმოჩნდა, რომ ქალაქისა და სოფლის მუშების და სხვა მშრომელების წილი, რომელნიც სხვის შრომის ექსპლოატაციას არ ეწევიან, გერმანიაში უდრის სახალხო შემოსავლის 55 პროცენტს, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 54 პროც., ინგლისში — 45 პროც., კაპიტალისტების წილი კი: გერმანიაში — 45 პროც. შეერთებულ შტატებში — 46 პროც., ინგლისში — 52 პრ.

ასეა საქმე უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნებში.

როგორღაა საქმე საბჭოთა კავშირში?

აი სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობები.

ა) მუშებისა და იმ მშრომელი გლეხების წილი, რომელნიც სხვის შრომის ექსპლოატაციას არ ეწეოდენ, 1927-28 წელს ჩვენში შეადგენდა მთელი სახალხო შემოსავლის 75,2 პროც., (აქედან ქალაქისა და სოფლის მუშების წილი უდრიდა 33,3 პროც.), 1928-29 წ. — 76,5 პროც., (აქედან ქალაქისა და სოფლის მუშების წილი უდრიდა 33,2 პროც.), 1929-30 წელს — 77,,1 პროც. (აქედან ქალაქისა და სოფლის მუშების წილი უდრიდა 33,5 პროც.).

კულაკებისა და ქალაქის კაპიტალისტთა წილი შეადგენდა: 1927-28 წელს — 8,1 პროც., 1928-29 წელს 6,5 პროც., 1929-30 წელს — 1,8 პროც.

ბ) იმ შინამრეწველების წილი, რომელთა უმრავლესობაც მშრომელ ელემენტს წარმოადგენენ, შეადგენდა: 1927-28 წელს — 6.5 პროც., 1928-29 წელს — 5,4 პროც., 1929-30 წელს — 4,4 პროც.

გ) წილი სახელმწიფო სექტორისა, რომლის შემოსავალიც მუშათა კლასის და საერთოდ, მშრომელთა მასების შემოსავალს წარმოადგენს, შეადგენდა: 1927-28 წელს — 8,4 პროც., 1928-29 წელს — 10 პროც., 1929-30 წელს— 15,2 პროც.

დ) და, დასასრულ, ეგრედწოდებულ დანარჩენთა (მხედველობაში მიღებულია პენსიები), წილი შეადგენდა: 1927-28 წელს — 1,8 პრ., 1928-29 წლს — 1,6 პრ., 1929-30 წელს — 1,5 პროც.

ამრიგად, მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში ექსპლოატატორთა კლასის წილი სახალხო შემოსავალში შეადგენს დაახლოებით 50 პროც., ზოგან მეტსაც, ხოლო საბჭოთა კავშირში ამ კლასების წილი სახალხო შემოსავლის 2 პროც.-ს არ აღემატება.

სწორედ ამით აიხსნება ის გასაოცარი ფაქტი, რომ 1922 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამერიკელი ბურჟუაზიული მწერლის დენის სიტყვით, „მესაკუთრეთა 1 პროცენტს ხელთ ეპყრა მთელი ნაციონალური ბალანსის 59 პროცენტი"-ო, ხოლო ინგლისში 1920-21 წელს, იმავე დენის სიტყვით, „მესაკუთრეთა მთელი რიცხვის ორ პროცენტზე ნაკლები ფლობდა მთელი ნაციონალური სიმდიდრის 64 პროცენტს. (იხილე დენის წიგნი: „ამერიკა იპყრობს ინგლისს"). შეიძლება თუ არა ასეთი ფაქტები ჩვენში, საბჭოთა ქვეყანაში? ცხადია, არ შეიძლება. საბჭოთა კავშირში დიდი ხანია უკვე აღარ არიან და არ შეიძლება იყვნენ ასეთი „მესაკუთრენი".

მაგრამ თუ საბჭოთა კავშირში 1929-30 წ. ექსპროპრიატორთა კლასებს მათ წილად სახალხო შემოსავლის მხოლოდ 2 პროცენტი ხვდებათ, სად მიდის სახალხო შემოსავლის დანარჩენი მასა?

ცხადია, იგი მუშებისა და მშრომელი გლეხების ხელში რჩება. აი, სად არის იმ ძალისა და ავტორიტეტის წყარო, რომელიც ხელისუფლებას აქვს მუშათა კლასისა და გლეხობის მილიონებს შორის! აი, სად არის საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა მატერიალური კეთილდღეობის სისტემატიური ზრდის საფუძველი!

გ) ამ გადამწყვეტი ფაქტების შემდეგ სავსებით გასაგები ხდება მუშათა რეალური ხელფასის სისტემატიური ზრდა, მუშათა, სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის ზრდა, დახმარების გაძლიერება გლეხობის ღარიბ და საშუალო მეურნეობებისათვის, ასიგნობების გადიდება მუშათა საბინაო მშენებლობაზე, მუშების მდგომარეობის გაუმჯობესება, დედათა და ბავშთა დაცვა და, ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის მოსახლეობის პროგრესიული ზრდა, რასაც მოსდევს სიკვდილიანობის, განსაკუთრებით ბავშთა სიკვდილიანობის შემცირება.

ცნობილია, მაგალითად, რომ მუშების რეალური ხელფასი — სოცდაზღვევისა და იმ ანარიცხების ჩათვლით, რომლებიც მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდს ეძლევა — გადიდდა, ომის წინადროსთან შედარებით, 167 პროცენტამდე. მარტო მუშების სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაიზარდა 980 მილიონ მანეთამდე 1927-28 წელს და 1.400 მილიონ მანეთამდე— 1929-30 წელს. დედებისა და ბავშების დაცვაზე უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში (1927-28 —1929-30 წ.) დაიხარჯა 494 მილიონი მანეთი. სკოლის ასაკამდე აღზრდას (საბავშო ბაღები, მოედნები და სხვ.) იმავე პერიოდში მოხმარდა 204 მილიონი მანეთი, მუშათა საბინაო მშენებლობას — 1,880 მილიონი მანეთი.

ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ რეალური ხელფასის სერიოზული გადიდებისათვის უკვე გაკეთდა ყველაფერი, რაც საჭიროა, რომ აღარ შეიძლებოდეს რეალური ხელფასის აყვანა უფრო მაღალ საფეხურზე. და თუ ეს ვერ მოხერხდა ამაში დამნაშავეა საერთოდ ჩვენი მომმარაგებელი აპარატის ბიუროკრატიზმი, ხოლო კერძოდ და განსაკუთრებით — სამომხმარებლო კოოპერაციის ბიუროკრატიზმი. სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობებით, 1929-30 წელს საშინაო ვაჭრობის განსაზოგადოებული სექტორის ხელთ არის საბითუმო ვაჭრობის 99 პროცენტი, ცალობით ვაჭრობის — 89 პროცენტზე მეტი. ეს ნიშნავს, რომ კოოპერაცია სისტემატიურად ანადგურებს კერძო სექტორს და ხდება მონოპოლისტი ვაჭრობის დარგში. ეს, რასაკვირველია, კარგია. მაგრამ ცუდია ის, რომ ეს მონოპოლია ბევრ შემთხვევაში მომხმარებლის საზიანოდ მოქმედებს. ვაჭრობაში მონოპოლიური მდგომარეობის მიუხედავად, კოოპერაცია თურმე რჩეობს მიაწოდოს მუშებს უფრო შემოსავლიანი საქონელი, რომელიც დიდ მოგებას იძლევა (გალანტერია და სხ.), და გაურბის მიაწოდოს მათ ნაკლებად „მომგებიანი", თუმცა მუშებისათვის უფრო საჭირო საქონელი (სასოფლო-სამეურნეო პროდუქტე

ბი). ამასთან შედარებით, მუშები იძულებულნი ხდებიან თავიანთი მოთხოვნილების 25 პროცენტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ხაზით დააკმაყოფილონ კერძო ბაზარზე და გადაიხადონ ზედმეტი. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ კოოპერაცია ყველაზე მეტად ზრუნავს ბალანსისათვის, რის გამოც ძალიან ნელა ხდება სავაჭრო ფასების დაკლება, მიუხედავად ხელმძღვანელი ცენტრების გადამჭრელი დირექტივებისა. გამოდის, რომ კოოპერაცია ამ შემთხვევაში მოქმედებს არა როგორც სოციალისტური სექტორი, არამედ როგორც ერთგვარი ნეპმანური ზნით გამსჭვალული თავისებური სექტორი. საკითხავია, ვის ესაჭიროება ასეთი კოოპერაცია, რა სარგებლობა აქვთ მუშებს ასეთი მონოპოლიისაგან, თუ მას არ ძალუძს განახორციელოს მუშათა რეალური ხელფასის სერიოზულად გაუმჯობესების ამოცანები?

და თუ მიუხედავად ამისა, რეალური ხელფასი ჩვენში წლითი-წლობით იზრდება — ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი წყობილება, სახალხო შემოსავლის განაწილების სისტემა და ხელფასის ხაზის მთელი გეზი ისეთია, რომ მათ საშუალება ეძლევათ გააქარწყლონ დაბრკოლებანი და გადალახონ კოოპერაციიდან მომავალი ყველა და ყოველგვარი მინუსები.

თუ ამას დავუმატებთ მთელ რიგ სხვა ფაქტორებს, ისეთ ფაქტორებს, როგორიც არის საზოგადოებრივი კვების როლის გადიდება, მრავალზე მრავალი სტიპენდიები მუშებისათვის და მუშათა შვილებისათვის, კულტურულ საჭიროებათა დაკმაყოფილება, —თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მუშათა ხელფასის გადიდების პროცენტი უფრო მაღალი გამოვა, ვიდრე ის, რომელსაც ზოგიერთი ჩვენი დაწესებულების სტატისტიკა გვიჩვენებს.

ყოველივე ეს ერთად აღებული პლიუს 7 საათის სამუშაო დღეზე 830.000-ზე მეტი ინდუსტრიალური მუშის (33,5 პროც.) გადაყვანა, პლიუს ხუთი დღის სამუშაო კვირაზე მილიონ ნახევარზე მეტი ინდუსტრიალური მუშის (63,4 პროცენტის) გადაყვანა, პლიუს დასასვენებელი სახლების, სანატორიუმებისა და კურორტების ფართო ქსელი, რომელშიაც ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში 1.700.000-ზე მეტმა მუშამ გაიარა— ყოველივე ეს ჰქმნის ისეთ მდგომარეობას მუშათა კლასის მუშაობისა და ყოფაცხოვრებისათვის, რომელიც საშუალებას გვაძლევს აღვზარდოთ ჯანსაღ, სიცოცხლით სავსე მუშათა ახალი თაობა, რომელსაც ექნება იმის უნარი, რომ სათანადო სიმაღლეზე აიყვანოს საბჭოთა ქვეყნის ძლიერება და მკერდით დაიცვას საბჭოთა ქვეყანა მტრების იერიშებისაგან.

რაც შეეხება გლეხებისათვის—როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიურად გაერთიანებული გლეხებისათვის—დახმარების გაწევას, თუ მხედველობაში ვიქონიებთ ღარიბი გლეხობისათვის დახმარებას, ეს დახმარება უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში (1927-28—1929-30 წ.) შეადგენს არანაკლებ 4 მილიარდი მანეთისა, რაც გადადებულ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტის კრედიტის ხაზით. ცნობილია, რომ ამ სამი წლის განმავლობაში გლეხებს მარტო სათესლე დახმარების სახით მიეცა მარცვალი არა ნაკლებ 154 მილიონი ფუთისა.

საკვირველი არ არის, რომ მუშები და გლეხები ჩვენში საერთოდ რომ ვთქვათ კარგად ცხოვრობენ. მოსახლეობის სიკვდილიანობა ომის წინა დროსთან შეფარდებით საერთოდ 36 პროცენტით შემცირდა, ხოლო ბავშვთა სიკვდილიანობა 42,5 პროცენტით, მოსახლეობის ყოველწლიური ზრდა კი ჩვენში 3 მილიონ სულზე მეტს შეადგენს (ტაში).

რაც შეეხება მუშათა და გლეხთა კულტურულ მდგომარეობას, ამ სფეროშიაც გვაქვს ზოგიერთი მიღწევები, მაგრამ ეს მიღწევები ვერავითარ შემთხვევაში ვერ გვაკმაყოფილებს მათი უმნიშვნელობის გამო. თუ არ ვიანგარიშებთ მუშათა კლუბებს და ყოველგვარ სასოფლო სამკითხველოებს და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ბიბლიოთეკებს, რომლებითაც მიმდინარე წელს 10.500.000 კაცი სარგებლობს, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმე შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

დაწყებითი განათლების სკოლებში მიმდინარე წელს არის 11.638.000 კაცი, ინდუსტრიალურ-ტექნიკურსა და სატრანსპორტოსა, სასოფ.-სამეურნეო სკოლებში, მასობრივი კვალიფიკაციის საწარმოო კურსებზე—333.100, ტექნიკუმები და მათი თანაბარი პროფსკოლები—238.700, უმაღლესი სასწავლებლები და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლები—190.400. ყველა ამან საშუალება მოგვცა წერა-კითხვის მცოდნეობის პროცენტი საბჭოთა კავშირში აგვეყვანა 62,6-მდე, მაშინ, როდესაც ომის წინა დროში ეს პროცენტი 33-ს შეადგენდა.

ახლა მთავარი საქმე ისაა, რომ გადავიდეთ სავალდებულო პირველ დაწყებითი სწავლაზე. მე ვამბობ „მთავარი“, რადგანაც ასეთი გადასვლა მომასწავებელი იქნება გადამწყვეტი ნაბიჯისა კულტურული რევოლუციის საქმეში. კარგა ხანია, რაც დადგა დრო, რომ ამ საქმეს შევუდგეთ, რადგანაც საბჭოთა კავშირის უმრავლეს რაიონებში ჩვენ მოგვეპოვება ყველა აუცილებელი პირობა საყოველთაო სავალდებულო პირველ დაწყებითი სწავლის შემოსაღებად. დღევანდელამდე ჩვენ იძულებული ვიყავით „ყველაფერში გვეკაირათნა, სკოლების საქმეშიც კი“, რათა „გვეხსნა და აღგვედგინა ჩვენი მძიმე მრეწველობა“ (ლენინი). მაგრამ, ამ ბოლო დროს ჩვენ უკვე აღვადგინეთ მძიმე მრეწველობა და უფრო წინ ვწევთ მას. მაშასადამე, დადგა დრო, როდესაც ხელი უნდა მოვკიდოთ საყოველთაო სავალდებულო პირველ დაწყებითი სწავლების შემოღებას.

მე ვფიქრობ, რომ ყრილობა მართებულად მოიქცევა, თუ ამის შესახებ გამოიტანს გარკვეულ, სავსებით კატეგორიულ გადაწყვეტილებას (ტაში).

7. ზრდის სიძნელენი, კლასთა ბრძოლა და სოციალიზმის შეტევა მთელ ფრონტზე

მე ვლაპარაკობდი ჩვენს მიღწევებზე სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში. ვლაპარაკობდი მიღწევებზე მრეწველობის დარგში, სოფლის მეურნეობის დარგში, ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალიზმის საფუძვლებზე რეკონსტრუქციის დარგში. დაბოლოს, მე ვლაპარაკობდი მიღწევებზე მუშებისა და გლეხების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების ხაზით.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ჩვენ ეს მიღწევები მოვიპოვეთ „იოლად და უდარდელად“, ასე ვთქვათ, თავისით, უბრძოლველად,—უმტკივნეულოდ ნებისყოფის დაუძაბველად. ასეთი წარმატებანი, მიღწევები თავისით როდი ხდება. ნამდვილად, ჩვენ ამ წარმატებებს მივაღწიეთ სიძნელეთა წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლაში, სერიოზულსა და ხანგრძლივ ბრძოლაში სიძნელეთა დასაძლევად.

ჩვენში ყველანი ლაპარაკობენ ამ სიძნელეებზე. მაგრამ ყველას როდი აქვს გათვალისწინებული მათი ხასიათი, რასაც ჩვენთვის ფრიად სერიოზული მნიშვნელობა აქვს.

იბადება კითხვა: რაში მდგომარეობს ჩვენი სიძნელეთა ნიშანდობლივი თვისებანი, რა სამტრო ძალები იმალება ამ სიძნელეთა ზურგს უკან და რანაირად ვლახავთ, ვძლევთ ამ სიძნელეებს?

ა) ჩვენს სიძნელეთა დახასიათების დროს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, ყოველ შემთხვევაში, შემდეგი გარემოებანი:

პირველ ყოვლისა უნდა ანგარიში გაეწიოს იმ გარემოებას, რომ ჩვენი ახლანდელი სიძნელენი წარმოადგენენ რეკონსტრუქციის პერიოდის სიძნელეებს. რას ჰნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ძირიან-ფესვიანად განსხვავდებიან ჩვენი მეურნეობის აღდგენითი პერიოდის სიძნელეებისაგან. თუ კი აღდგენითი პერიოდში ლაპარაკი იყო ძველი ქარხნების დატვირთვისა და სოფლის მეურნეობისადმი დახმარების გაწევის შესახებ მის ძველ საფუძველზე, სამაგიეროდ ახლა საქმე ისაა, რომ ძირიანად გარდაიქმნას, გადახალისდეს მრეწველობაცა და სოფლის მეურნეობაც, შეიცვალოს მათი ტექნიკური ბაზა და შეიარაღდნენ ისინი თანამედროვე ტექნიკით.

ეს ნიშნავს, რომ ჩვენს წინაშე დგას ამოცანა—გადახალისებულ და გარდაქმნილ იქნას სახალხო მეურნეობის მთელი ტექნიკური ბაზა. ეს კი მოითხოვს ახალ, უფრო მომზადებულ კადრებს, რომლებიც უნდა გასწვდნენ ახალ ტექნიკას, დაეუფლონ მას და მისცენ გზა წინ წასაწევად.

უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, მეორე მხრით, ის გარემოება, რომ სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია ჩვენში არ ამოიწურება მარტო მისი ტექნიკური ბაზის გარდაქმნა-გადაკეთებით, არამედ, პირიქით, ის მოითხოვს ამასთანავე სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობის გარდაქმნასაც. მე მხედველობაში მაქვს აქ, უმთავრესად, სოფლის მეურნეობა. მრეწველობას, რომელიც უკვე გაერთიანებულია და სოციალიზაციაქმნილია, და ტექნიკურ რეკონსტრუქციას უკვე აქვს საერთოდ მზა სოციალ-ეკონომიური ბაზა. რეკონსტრუქციის ამოცანა აქ იმას ნიშნავს, რომ გაძლიერებულ იქნას, მრეწველობიდან კაპიტალისტური ელემენტების განდევნის პროცესი. მაგრამ ასე მარტივად არ არის საქმე სოფლის მეურნეობაში. სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზის რეკონსტრუქცია, რასაკვირველია, იმავე მიზანს ისახავს. მაგრამ სოფლის მეურნეობის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იქ ჯერ კიდევ სჭარბობს წვრილი გლეხური მეურნეობა, რომ წვრილი გლეხური მეურნეობა საშუალებას მოკლებულია შეითვისოს ახალი ტექნიკა და რომ, ამის გამო, სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზის გარდაქმნა შეუძლებელია, თუ იმავე დროს არ იქნა გარდაქმნილი ძველი სოციალ-ეკონომიური წყობა. თუ არ მოხდა წვრილ მეურნეობათა გაერთიანება მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებად, თუ არ იქნა ძირბუდიანად ამოგდებული კაპიტალიზმისფესვები სოფლის მეურნეობაში.

ცხადია, რომ ამ გარემოებამ შეუძლებელია არ გაართულოს ჩვენი სიძნელეები და არ გაართულოს ჩვენი მუშაობა ამ სიძნელეთა დასაძლევად. უნდა მივიღოთ მხედველობაში, მესამე მხრით, ის გარემოება, რომ ჩვენმა მუშაობამ სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის, რომელიც სწყვეტს კაპიტალიზმის ეკონომიური კავშირის ძაფებს და ყირაზე აყენებს ძველი მსოფლიოს ყველა ძალებს, არ შეიძლება არ გამოიწვიოს ამ ძალების გააფთრებული წინააღმდეგობა. ეს, როგორც იცით, ასეც ხდება. ჩვენი მრეწველობის ყოველ დარგში ბურჟუაზიული ინტელიგენციის ზედა ფენების მიერ ჩადენილი გაუსწორებელი მავნებლობა, კულაკობის მხეცური ბრძოლა სოფლად მეურნეობის კოლექტიური ფორმების წინააღმდეგ, საბოტაჟი საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა საპასუხოდ აპარატის ბიუროკრატიული ელემენტების მხრით, რომლებიც წარმოადგენენ კლასობრივი მტრის აგენტურას, ასეთია, ჯერ-ჯერობით, ჩვენი ქვეყნის მომაკვდავი კლასების მიერ წინააღმდეგობის გაწევის უმთავრესი ფორმები. ცხადია, ყოველივე ეს ხელს არ შეუწყობს ჩვენი მუშაობის გაადვილებას და სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის მოხდენას.

უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, მეოთხე მხრით, ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყნის მომაკვდავი კლასების წინააღმდეგობა ხდება არა განკერძოებულად გარეშე ქვეყნისაგან, არამედ მათ წინააღმდეგობას მხარს უჭერს მთელი კაპიტალისტური გარემოცვა. ვამბობ კაპიტალისტური გარემოცვა—ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის გარშემო მოიპოვებიან მტრულად განწყობილი კლასობრივი ძალები, რომლებიც მზად არიან მხარი დაუჭირონ ჩვენს კლასობრივ მტრებს საბჭოთა კავშირის შიგნით მორალურად და მატერიალურად და აგრეთვე ფინანსიური ბლოკადის საშუალებით, ხოლო, თუ შემთხვევა იქნება, სამხედრო ინტერვენციის საშუალებითაც. დამტკიცებულია, რომ ჩვენი სპეცების მავნებლობას, კულაკობის ანტისაბჭოთა გამოსვლებს, ჩვენ საწარმოთა და ნაგებობათა გადაწვასა და აფეთქებას, ფინანსიურ დახმარებას აწვდიდნენ და აქეზებდნენ გარეშე ძალები. იმპერიალისტური მსოფლიო დაინტერესებული არაა, რომ საბჭოთა კავშირი ფეხზე დადგეს და საშუალება მიეცეს მიეწიოს და გაუსწროს კაპიტალისტურ ქვეყნებს. აქედან, მისი დახმარება ძველი ქვეყნის ძალებს საბჭოთა კავშირში. ცხადია, ეს გარემოებაც აგრეთვე ხელს არ შეუწყობს ჩვენი სარეკონსტრუქციო მუშაობის გაადვილებას.

მაგრამ ჩვენი სიძნელეების დახასიათება სრული არ იქნება, თუ მხედველობაში არ მივიღეთ კიდევ ერთი გარემოება. საქმე ეხება ჩვენი სიძნელეების განსაკუთრებულ ხასიათს. საქმე ეხება იმას, რომ ჩვენი სიძნელენი წარმოადგენენ არა დაცემის სიძნელეებს, ან მოდუნების სიძნელეებს, არამედ ზრდის სიძნელეებს, განვითარების, წინსვლის სიძნელეებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი სიძნელენი ძირიანად განსხვავდებიან კაპიტალისტური ქვეყნების სიძნელეთაგან. როდესაც ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ლაპარაკობენ სიძნელეებზე, იქ მხედველობაში აქვთ დაცემის სიძნელეები, ვინაიდან ამერიკა ამჟამად განიცდის კრიზისს, ე. ი. მეურნეობის დაცემას.

როდესაც ინგლისში ლაპარაკობენ სიძნელეებზე, მხედველობაში აქვთ მოდუნების სიძნელენი, ვინაიდან ინგლისი უკვე რამდენიმე წელიწადია განიცდის მოდუნებას, ე. ი. წინსვლის შეჩერებას. ხოლო როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ჩვენს სიძნელეებზე, მხედველობაში გვაქვს არა დაცემა, არა განვითარების მოდუნება, არამედ ჩვენი ძალების ზრდა, ჩვენი ძალების განვითარება და ჩვენი ეკონომიკის წინსვლა. რამდენი პუნქტით წავიწიოთ წინ ამა და ამ ვადისათვის, რამდენი პროცენტით მეტი პროდუქტები გამოვიმუშავოთ, რამდენი მილიონი ჰექტარით მეტი დავთესოთ, რამდენი თვით უფრო ადრე ავაგოთ ფაბრიკა ან დავამთავროთ რკინის გზა—აი ასეთი საკითხები გვაქვს მხედველობაში, როდესაც სიძნელეებზე ვლაპარაკობთ. მაშასადამე, ჩვენი სიძნელენი, ვთქვათ, ამერიკის სიძნელეებისაგან განსხვავებით, წარმოადგენენ ზრდის სიძნელეებს, წინსვლის სიძნელეებს.

ეს კი რას ნიშნავს? ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი სიძნელენი წარმოადგენენ ისეთ სიძნელეებს, რომლებიც თითონ შეიცავენ გადალახვის შესაძლებლობას. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი სიძნელეების დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ისინი თითონ იძლევიან საფუძველს მათი გადალახვისათვის.

რა გამომდინარეობს ყოველივე აქედან?

აქედან გამომდინარეობს უწინარეს ყოვლისა, ის, რომ ჩვენი სიძნელენი წარმოადგენენ არა წვრილმანი, შემთხვევითი „შეუთანხმებლობის“ სიძნელეებს, არამედ კლასობრივი ბრძოლის სიძნელეებს.

მეორეს მხრივ, გამომდინარეობს ის, რომ ჩვენს სიძნელეებს უკან ჩვენი კლასობრივი მტრები იმალებიან, რომ ამ სიძნელეებს ართულებს ჩვენი ქვეყნის დრომოჭმული კლასების გააფთრებული წინააღმდეგობა, ამ კლასებისათვის გარედან დახმარების გაწევა, ბიუროკრატიული ელემენტების არსებობა ჩვენს საკუთარ დაწესებულებებში და რწმენის უქონლობისა და უმოძრაობის არსებობა პარტიის ზოგიერთ ფენებში.

შემდეგ, აქედან გამომდინარეობს ის, რომ სიძნელეთა გადასალახავად საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, კაპიტალისტური ელემენტების იერიშების მოგერიება, მათი წინააღმდეგობის დაძლევა და, ამრიგად, სწრაფი წინსვლისათვის გზის გაკაფვა.

დასასრულ, აქედან გამომდინარეობს ის, რომ თვით ხასიათი ჩვენი სიძნელეებისა, რომელნიც ზრდის სიძნელეებს წარმოადგენენ, გვაძლევს კლასობრივი მტრების დათრგუნვისათვის საჭირო შესაძლებლობებს.

მაგრამ იმისათვის, რომ გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობანი და სინამდვილედ ვაქციოთ ისინი, რომ დავსძლიოთ კლასობრივი მტრების წინააღმდეგობა და მივაღწიოთ სიძნელეთა გადალახვას, ამისათვის არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება—მოვაწყოთ შეტევა კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ მთელ ფრონტზე და მოვახდინოთ ოპორტუნისტული ელემენტების იზოლიაცია ჩვენს საკუთარ რიგებში, იმ ელემენტების, რომელნიც ხელს უშლიან შეტევას, პანიკით მოცულნი ერთი მხრიდან მეორეზე ეხეთქებიან და პარტიაში შეაქვთ გამარჯვების რწმენის უქონლობა (ტაში).

სხვა საშუალება არ არის.

მხოლოდ გზააბნეულ ადამიანებს შეუძლიათ ეძიონ გამოსავალი ამხ. ბუხარინის ბავშვურ ფორმულაში კაპიტალისტური ელემენტების სოციალიზმთან მშვიდობიანად შეზრდის შესახებ. განვითარება მიმდინარეობდა ჩვენში და კვლავ მიმდინარეობს არა ამხ. ბუხარინის ფორმულის მიხედვით. განვითარება მიმდინარეობდა და კვლავ მიმდინარეობს ლენინის ფორმულის მიხედვით „ვინ ვის“ დასძლევს. ჩვენ დავსძლევთ და დავთრგუნავთ მათ, ექსპლოატატორებს, თუ ისინი დაგვძლევენ და დაგვთრგუნავენ ჩვენ, საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებს.—ასე სდგას საკითხი, ამხანაგებო.

ამრიგად, სოციალიზმის შეტევის მოწყობა მთელ ფრონტზე—აი როგორი ამოცანა წამოიჭრა ჩვენს წინაშე მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის მუშაობის გაშლისას.

პარტიამ სწორედ ასე გაიგო თავისი მისია და მოაწყო შეტევა ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ.

ბ) მაგრამ დასაშვებია თუ არა საერთოდ შეტევა, ისიც მთელ ფრონტზე, შეტევა ახალი ეკონომიური პოლიტიკის არსებობის პირობებში?

ზოგი ფიქრობს, რომ შეტევა შეუთავსებელია ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა არსებითად უკან დახევაა, რომ რაკი უკან დახევა დამთავრდა, ახალი ეკონომიური პოლიტიკა უნდა გაუქმდეს. ეს, რა თქმა უნდა, სისულელეა. სისულელე, რომელიც გამომდინარეობს ან ტროცკისტებისაგან, რომლებმაც ლენინიზმს ვერაფერი გაუგეს და ფიქრობენ ერთი დაკვრით „გააუქმონ“ ახალი ეკონომიური პოლიტიკა, ან მემარჯვენე ოპორტუნისტებისაგან, რომლებმაც აგრეთვე ვერაფერი გაუგეს ლენინიზმს და ლაყბობით „ახალი ეკონომიური პოლიტიკის გაუქმების საფრთხის“ შესახებ, ფიქრობენ მიაღწიონ შეტევაზე ხელის აღებას. ახალი ეკონომიური პოლიტიკა რომ უკან დახევით ამოიწურებოდეს, ლენინი აღარ იტყოდა პარტიის მე-XI ყრილობაზე, როდესაც ახალი ეკონომიური პოლიტიკა ჩვენში მთელი თანამიმდევრობით ხორციელდებოდა, რომ „უკან დახევა დამთავრდა“-ო. განა ლენინმა როდესაც იგი უკან დახევის დამთავრებაზე ლაპარაკობდა, თანვე არ განაცხადა, რომ ჩვენ ვფიქრობთ გავატაროთ ახალი ეკონომიური პოლიტიკა „სერიოზულად და დიდი ხნით“-ო? საკმაოა ასე დასვა საკითხი, რომ მაშინვე გაიგო, თუ რამდენად შეუსაბამოა ლაყბობა შეტევასთან ახალი ეკონომიური პოლიტიკის შეუთავსებლობის შესახებ. სინამდვილეში ახალი ეკონომიური პოლიტიკა გულისხმობს არა მარტო უკან დახევას და კერძო ვაჭრობის გამოცოცხლების დაშვებას, ნამდვილად ახალი ეკონომიური პოლიტიკა ამასთან ერთად გულისხმობს განვითარების განსაზღვრულ სტადიაზე სოციალიზმის შეტევას კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ კერძო ვაჭრობის სამოქმედო ასპარეზის შევიწროვებით, რაც იძლევა კაპიტალიზმის შედარებითსა და აბსოლუტურ შემცირებას, განსაზოგადოებული სექტორის უპირატესობის ზრდას განუსაზოგადოებელ სექტორზე და სოციალიზმის გამარჯვებას კაპიტალიზმზე (ახალი ეკონომიური პოლიტიკის ეხლანდელი სტადია). ახალი ეკონომიური პოლიტიკა შემოღებულია იმისათვის, რომ სოციალიზმმა გაიმარჯვოს კაპიტალისტურ ელემენტებზე. როდესაც გადავდივართ შეტევაზე მთელ ფრონტზე, ამით ჩვენ ჯერ კიდევ არ ვაუქმებთ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, ვინაიდან კერძო ვაჭრობა და კაპიტალისტური ელემენტები ჯერ კიდევ რჩებიან, საქონლის მიმოქცევა და ფულადი მეურნეობა ჯერ კიდევ რჩება, მაგრამ ჩვენ დანამდვილებით ვაუქმებთ ახალი ეკონომიური პოლიტიკის დასაწყის სტადიას და ვშლით მის შემდგომ სტადიას ახალი ეკონომიური პოლიტიკის ეხლანდელ სტადიად, რომელიც არის ეკონომიური პოლიტიკის უკანასკნელი სტადია.

აი რას ამბობდა ლენინი 1922 წელს, ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ:

„ჩვენ ამჟამად უკან ვიხევთ, მაგრამ ამას ვშვრებით იმისათვის, რომ ჯერ უკან დავიხიოთ, შემდეგ კი გავიქანოთ და უფრო ძლიერ გადავხტეთ წინ. მხოლოდ ამ ერთი პირობით დავიხიეთ უკან ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარებაში. თუ სად და როგორ მოვახდინოთ მუშაობის გარდაქმნა, ახალ პირობებთან შეგუება და ხელახალი დარაზმვა, რათა უკან დახევის შემდეგ დავიწყოთ მედგარი შეტევა,—ეს ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით. იმისათვის, რომ ყველა ეს მოქმედებანი ნორმალური წესით ჩატარდეს, საჭიროა, როგორც ამბობს ამოცანა, არა ათჯერ, არამედ ასჯერ გაზომო ვიდრე გადასწყვეტდე“.

ყვენებ, ცხადია.

მაგრამ აი საკითხი: უკვე დადგა თუ არა დრო, რომ გადავიდეთ შეტევაზე, უკვე მომწიფდა თუ არა მომენტი შეტევისათვის?

ლენინი იმავე 1922 წელს ამბობდა, რომ საჭიროა.

„მჭიდროთ დაუკავშირდეთ გლეხთა მასას და მშრომელ გლეხობას და დავიწყოთ სვლა წინ, განუზომლად და უსასრულოდ უფრო ნელა, ვიდრე ჩვენ ვოცნებობდით, მაგრამ სამაგიეროთ ისე, რომ ჩვენთან მართლაც იმოძრავებს მთელი მასა“... და რომ „მაშინ თავის დროზე დაიწყება ამ მოძრაობის ისეთი აჩქარება, რომლის შესახებაც ჩვენ ახლა ოცნებაც არ შეგვიძლია“.

და აი კვლავ იგივე საკითხი: დადგა თუ არა დრო მოძრაობის ასეთი აჩქარებისათვის, ჩვენი განვითარების ტემპის დაჩქარებისათვის და სწორად ავირჩიეთ თუ არა მომენტი, როცა გადავედით გადამწყვეტ შეტევაზე მთელს ფრონტზე 1929 წ. მეორე ნახევარში?

ამ კითხვაზე პარტიამ გასცა ნათელი და გარკვეული პასუხი.

დიახ, ასეთი მომენტი უკვე დადგა.

დიახ, პარტიამ სწორად შეარჩია მომენტი, როცა მთელს ფრონტზე შეტევაზე გადავიდა.

ამას მოწმობს მუშათა კლასის აქტივობის ზრდა და პარტიის ავტორიტეტის არნახულებრივი ზრდა მშრომელთა მილიონიან მასებში.

ამას მოწმობს ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების აქტივობის ზრდა და ამ მასების რადიკალურად მობრუნება საკოლმეურნეო მშენებლობისაკენ.

ამას მოწმობენ ჩვენი მიღწევები, როგორც ინდუსტრიალიზაციის დარგში, ისე საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების მშენებლობის დარგში.

ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ჩვენ ახლა შესაძლებლობა გვაქვს არა მარტო შევსცვალოთ კულაკური წარმოება კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების წარმოებით, არამედ რამდენჯერმე გადავაჭარბოთ მას.

ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ჩვენ უკვე შევსძელით ხორბლეულის პრობლემის გადაჭრა მის მთავარ ნაწილში და პურის ერთგვარი მარაგის დაგროვება, ხორბლეულის სასაქონლო პროდუქციის სიმძიმის ცენტრს ინდივიდუალური წარმოებიდან გადაუნაცვლეთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების დარგში.

აი სად არის დამამტკიცებელი საბუთი იმის, რომ პარტიამ სწორად შეარჩია მომენტი, როცა მთელს ფრონტზე გადავიდა შეტევაზე და გადმოისროლა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ლოზუნგი.

რა იქნებოდა ახლა, რომ ჩვენ დაგვეჯერებია ამხ. ბუხარინის ჯგუფის მემარჯვენე უკლონისტებისათვის, რომ ფარი გვეთქვა შეტევაზე, შეგვენელებია ინდუსტრიის განვითარების ტემპი, შეგვეჩერებია კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების განვითარების ტემპი და დავყრდნობოდით ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობას?

ჩვენ უსათუოდ დავსცემდით ჩვენს ინდუსტრიას, დავღუპავდით სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეს, დავრჩებოდით უპუროთ და გზას გაუწმენდდით კულაკების გაბატონებას. ჩვენ დავრჩებოდით გატეხილ გობთან.

რა იქნებოდა რომ ჩვენ დაგვეჯერებია ტროცკისა და ზინოვიევის ჯგუფის „მემარცხენე“ ოპორტუნისტებისათვის, დაგვეწყო შეტევა 1926-27 წელს, როცა ჩვენ არავითარი საშუალება არ მოგვეპოვებოდა კულაკური წარმოების შესაცვლელად კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების წარმოებით?

ჩვენ უსათუოდ წავიფორხილებდით ამ საქმეზე, მოვახდენდით ჩვენი სისუსტის დემონსტრაციას, გავაძლიერებდით კულაკობის და საერთოდ კაპიტალისტურ ელემენტების პოზიციებს, საშუალო გლეხს კულაკისაკენ გადავისვრიდით, ჩავშლიდით ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას და დავრჩებოდით უპუროთ. ჩვენ დავრჩებოდით გატეხილ გობთან. ტყუილად კი არ ამბობენ ჩვენში მუშები: „მარცხნივ წახვალ, მარჯვნივ მიხვალ“ (აპლოდისმენტები).

ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ სოციალიზმის შეტევაში მთავარ საქმეს რეპრესია შეადგენს, ხოლო თუ რეპრესია არ იზრდება, მაშასადამე, არც შეტევაა.

მართალია ეს? რასაკვირველია, ეს მართალი არ არის.

რეპრესია შეტევის აუცილებელი ელემენტია, მაგრამ ელემენტი დამხმარე და არა მთავარი. მთავარი სოციალიზმის შეტევის დროს, ჩვენ პირობებში, არის ჩვენი მრეწველობის განვითარების ტემპის გაძლიერება, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების განვითარების ტემპის გაძლიერება, ქალაქის და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტების ეკონომიური განდევნის ტემპის გაძლიერება, მასების მობილიზაცია სოციალისტური მშენებლობის ირგვლივ, მასების მობილიზაცია კაპიტალიზმის წინააღმდეგ. თქვენ შეგიძლიათ ათი და ასი ათასობით დააპატიმროთ და გააძეთ კულაკები, მაგრამ თუ თქვენ ამასთან ერთად არ გააკეთებთ ყველაფერს, რაც საჭიროა იმისათვის, რომ დაჩქარდეს მეურნეობის ახალი ფორმების მშენებლობა, შეიცვალოს ძველი კაპიტალისტური ფორმები ახალით, ძირი გამოეთხაროს და ბოლო მოეღოს სოფლად კაპიტალისტური ელემენტების ეკონომიური არსებობისა და განვითარების საწარმოო წყაროებს, — კულაკობა სულ ერთია აღორძინდება და დაიწყებს ზრდას.

სხვები ფიქრობენ, რომ სოციალიზმის შეტევა წარმოადგენს უბრალო წინსვლას, შესაფერი მომზადების გარეშე, ძალების გადაჯგუფების გარეშე, შეტევის პროცესში დაპყრობილ პოზიციების გამაგრების გარეშე, რეზერვების გამოუყენებლად წარმატებების განვითარებისათვის; და თუ გამოჩნდა ნიშნები, ვთქვათ, გლეხობის ერთი ნაწილის ჩამოშორებისა კოლმეურნეობებისაგან, ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე ადგილი აქვს „ჩამოშორებას რევოლუციისაგან“, მოძრაობის დაცემას, შეტევის შეჩერებას.

მართალია ეს? რასაკვირველია არ არის მართალი.

პირველ ყოვლისა, არც ერთი შეტევა, რა გინდ წარმატებით არ უნდა ვითარდებოდეს იგი, ვერ აიცილებს თავიდან ერთგვარ შეფერხებას და წინ გადარბენას ფრონტის ცალკე უბნებზე. და ამის მიხედვით ლაპარაკი შეტევის შეჩერების ან ჩაშლის შესახებ, ეს ნიშნავს შეტევის ბუნების ვერ გაგებას.

მეორე, არ ყოფილა და არ შეიძლება წარმატებით შეტევა ძალთა გადაჯგუფების გარეშე, რეზერვების გამოუყენებლად წარმატების განვითარებისათვის და შეტევის ბოლომდე მისაყვანად. უბრალო წინსვლის დროს, ამ პირობების დაუცველად, შეტევა უსათუოდ უნდა ამოიღრჩოს და ჩაიშალოს. უბრალო წინსვლა სიკვდილია შეტევისათვის. ამას მოწმობს ჩვენი სამოქალაქო ომის მდიდარი გამოცდილება.

მესამე, როგორ შეიძლება ანალოგიის გავლება „რევოლიუციის ჩამოშორების, რომელიც ჩვეულებრივ წარმოიშობა (გამოტოვებულია) და გლეხობის ერთი ნაწილის ჩამოშორებას შორის კოლმეურნეობებიდან, რომელიც წარმოიშვა მოძრაობის განვითარების გაგრძელების საფუძველზე, რომელიც წარმოიშვა ჩვენი მთელი სოციალისტური მშენებლობის, როგორც სამრეწველო, ისე საკოლმეურნეო მშენებლობის შეუჩერებელი განვითარების საფუძველზე, ჩვენი რევოლიუციის შეუჩერებელი განვითარების ბაზაზე? რა საერთო შეიძლება იყოს ამ ორ სრულიად სხვადასხვა მოვლენებს შორის?

გ) რაში მდგომარეობს შინაარსი ბოლშევიკური შეტევისა ჩვენს თანამედროვე პირობებში?

ბოლშევიკური შეტევის დედა არსი, პირველ ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ მობილიზაცია მოახდინო მასების კლასობრივ სიფხიზლისა და რევოლიუციონურ აქტივობისა ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, მობილიზაცია მოუხდინო მასების შემოქმედებითი ინიციატივასა და თვითმოქმედებას ჩვენი დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, რომელნიც აფერხებენ უქმად მდებარე უზარმაზარი რეზერვების გამოყენებას, აფერხებენ ჩვენი წყობის წიაღში არსებულ შესაძლებლობათა გამოყენებას, რომელნიც ხელს უშლიან მასების შეჯიბრებისა და შრომითი ენტუზიაზმის გაშლას, შრომის ნაყოფიერების ზრდის ორგანიზაციას, მიმართულს სოციალისტური მშენებლობის განვითარებისაკენ.

ბოლშევიკური შეტევის დედა არსი კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ მოვახდინოთ პროფკავშირების, კოოპერატიული, საბჭოთა და ყველა სხვა მასობრივ ორგანიზაციათა მთელი პრაქტიკული მუშაობის გადახალისება რეკონსტრუქციის პერიოდის საჭიროებებთან. შეფარდებით, შევქმნათ ამ ორგანიზაციებში აქტიური მუშაკთა ბირთვი, გამოვდევნოთ და გამოვაცალკევოთ იქიდან ოპორტუნისტული ტრედიუნიონისტური და ბიუროკრატიული ელემენტები, გამოვერკოთ იქიდან უცხო და გადაგვარებული ელემენტები და წამოვაყენოთ ქვემოდან ახალი მუშაკები.

ბოლშევიკური შეტევის დედა არსი, კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ მობილიზაცია მოახდინო საშუალებითა მაქსიმუმისა, ჩვენი ინდუსტრიისა და კოლმეურნეობათათვის ფინანსების მიწოდების საქმეში და ჩვენი პარტიის საუკეთესო ადამიანები გაგზავნო მთელი ამ საქმის წარმატებისათვის.

ბოლშევიკური შეტევის დედა არსი, დაბოლოს, იმაში მდგომარეობს, რომ მობილიზაცია მოუხდინო თვით პარტიას მთელი ამ შეტევის მოსაწყობად, გაამაგრო პარტიული ორგანიზაციები, გამოდევნო იქიდან ბიუროკრატიზმისა და გადაგვარების ელემენტები, გააცალკევო და განზე გარიყო პარტიის ლენინის ხაზიდან მემარჯვენე და „მემარცხენე“ გადახრების გამომხატველნი და პირველ რიგებში წამოაყენო ნამდვილი გამბრძმედილი ლენინელები.

ასეთი არის ბოლშევიკური შეტევის საფუძვლები ამჟამად.

როგორ ანხორციელებდა პარტია შეტევის ამ გეგმას?

თქვენ იცით, რომ პარტია ამ გეგმას ანხორციელებდა მთელი თავისი თანამიმდევრობით, დაბეჯითებით.

საქმე იქიდან დაიწყო, რომ პარტიამ გააჩაღა ფართო თვითკრიტიკა და მასების ყურადღება თავი მოუყარა ჩვენი მშენებლობის ნაკლთა ირგვლივ, ჩვენი ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა დეფექტების ირგვლივ. ჯერ კიდევ მე-15 ყრილობაზე იქნა აღიარებული თვითკრიტიკის გაძლიერების აუცილებლობა. ერთის მხრით შახტის საქმემ და მავნებლობამ მრეწველობის სხვადასხვა დარგში, რამაც გამოააშკარავა პარტიის ზოგიერთი რგოლის მიერ რევოლიუციონური ალღოს უქონლობა და მეორეს მხრივ კულაკობასთან ბრძოლამ, რამაც გამოააშკარავა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების დეფექტები, — ამ ორმა გარემოებამ ხელი შეუწყო თვითკრიტიკის შემდგომ განვითარებას.

ც. კ-მა 1928 წლის ივნისის 2-ს მიმართვაში საბოლოო ფორმა მისცა თვითკრიტიკის კამპანიას, მოუწოდა პარტიისა და მუშათა კლასის ყველა ძალებს გაეჩაღებინათ თვითკრიტიკა „ზევიდან ბოლომდე“, „დაბლიდან ზედა საფეხურებამდე“, „განურჩევლად პიროვნებისა“. პარტია გაიმიჯნა ტროცკისტულ კრიტიკისაგან, რომელიც „გაისმის ბარიკადების გაღმიდან“ და რომლის მიზანიც არის საბჭოთა ხელისუფლების სახელის გატეხა, მისი დასუსტება. მაგრამ პარტიამ თვითკრიტიკის ამოცანად გამოაცხადა მთელი ჩვენი მუშაობის დეფექტების დაუნდობელი მხილება, რის მიზანიც არის ჩვენი მშენებლობის გაუმჯობესება და საბჭოთა ძალაუფლების განმტკიცება. თქვენ იცით, რომ პარტიის ამ მოწოდებამ ფრიად ცხოველმყოფელი გამოხმაურება ჰპოვა მუშათა კლასისა და გლეხობის მასებში.

შემდეგ პარტიამ მოაწყო ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფართო კამპანია და წამოაყენა ლოზუნგი პარტიულ, პროფკავშირულ, კოოპერატიულ და საბჭოთა ორგანიზაციების წმენდისა უცხო, გაბიუროკრატებულ ელემენტებისაგან. ამ კამპანიის გაგრძელებას წარმოადგენს ცეკას და ცენტრ. საკ. კომისიის ცნობილი დადგენილება 1930 წ. 16 მარტის თარიღით სახელმწიფო აპარატში მუშების დაწინაურებისა და მუშების მასიური კონტროლის შესახებ საბჭოთა აპარატზე (ქარხნების შეფობა). როგორც ვიცით, ამ კამპანიამ გამოიწვია მუშათა მასების აქტივობის უდიდესი გაძლიერება. ამ კამპანიის შედეგია პარტიის ავტორიტეტის უდიდესი ზრდა მშრომელ მასებს შორის, პარტიისადმი ნდობის ზრდა მუშათა კლასის მხრიდან, ახალ ასეულათას მუშების შესვლა პარტიაში, მუშების რეზოლიუციები მთელი ცეხებით და ქარხნებით შესვლის შესახებ პარტიაში. დაბოლოს, ამ კამპანიის შედეგია ჩვენი ორგანიზაციების განთავისუფლება მთელ რიგ შეუფერებელ, ბიუროკრატიულ ელემენტებისაგან, საკავშირო პროფსაბჭოს განთავისუფლება ძველი ოპორტუნისტული ხელმძღვანელობისაგან.

შემდეგ პარტიამ მოაწყო ფართო სოციალისტური შეჯიბრება, მასიური შრომითი აღტკინება ფაბრიკებსა და ქარხნებში. პარტიის მე-16 კონფერენციის მოწოდებამ შეჯიბრების შესახებ საქმე დააყენა სათანადო ლიანდაგზე. დამკვრელ ბრიგადებს ეს საქმე წინ მიჰყავთ.

ლენინური კომკავშირი და მუშა-ახალგაზრდობა, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, ანხორციელებენ შეჯიბრების და დამკვრელობის საქმეს გადამწყვეტ წარმატებებით. უნდა ითქვას, რომ ჩვენმა რევოლიუციონურმა ახალგაზრდობამ ამ საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშა. ეხლა უკვე არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ, რომ ამჟამად ჩვენი მშენებლობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფაქტია, თუ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი არა, ფაბრიკებისა და ქარხნების სოციალისტური შეჯიბრება — ასეულ ათას მუშების მიერ ერთმანეთის გამოძახება შეჯიბრებაში, და დამკვრელობის ფართოდ განვითარება. მხოლოდ ბრმები ვერ ხედავენ, რომ მასების ფსიქოლოგიაში, მათ დამოკიდებულებაში შრომისადმი მოხდა უდიდესი გარდატეხა, რომელმაც ძირიანად შესცვალა ჩვენი ქარხნების და ფაბრიკების სახე.

ჯერ კიდევ ამას წინად გაისმოდა ჩვენში ხმები შეჯიბრებისა და დამკვრელობის „ხელოვნურობისა“ და „უნიადაგობის“ შესახებ. ეხლა ეს „ბრძენი“ ხალხი დაცინვის ღირსიც კი არ არის, მათ სთვლიან „ბრძენებათ“, რომლებმაც მოჭამეს თავისი დრო. ეხლა შეჯიბრების და დამკვრელობის საქმე უკვე დაპყრობილი და განმტკიცებული საქმეა. ფაქტია, რომ ჩვენში სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია არა ნაკლებ 2 მილიონი მუშისა, დამკვრელ ბრიგადებში კი ჩაბმულია ერთ მილიონზე მეტი მუშა.

ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი შეჯიბრებაში არის ის, რომ იგი ძირიან გარდატეხას ახდენს ხალხის შეხედულებებში შრომაზე, რადგან ის შრომას სამარცხვინო, მძიმე ტვირთისაგან, როგორადაც მას სთვლიდნენ წინად, ხდის სასახელო და საგმირო საქმეთ. არავითარი ამდაგვარი არ არის და არც შეიძლება იყოს კაპიტალისტურ ქვეყნებში. იქ, კაპიტალისტურ ქვეყნებში ყველაზე უფრო სასურველი საქმეა, რომელიც საზოგადოებრივ მოწონებას, იმსახურებს, რენტა, პროცენტებით ცხოვრება და თავისუფლად ყოფნა შრომისაგან, რომელსაც სამარცხვინო საქმედ სთვლიან. ჩვენში, საბჭოთა კავშირში კი პირიქით, ყველაზე უფრო სასურველ საქმეთ, რომელიც საზოგადოებრივ მოწონებას იმსახურებს, ხდება საშუალება გახდე შრომის გმირად, საშუალება გახდე დამკვრელობის გმირად, რომელიც გარშემორტყმულია პატივისცემის შარავანდედით მილიონ მშრომელთა შორის.

შეჯიბრებაში არა ნაკლებ ღირსშესანიშნავად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ის გავრცელებას იწყებს სოფელშიაც, მან უკვე დაიპყრო ჩვენი კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობები. ყველა იცნობს ნამდვილი შრომითი ენტუზიაზმის მრავალრიცხოვან ფაქტებს კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობათა მუშების მილიონიან მასებში.

ვის შეეძლო ოცნებობა ორი წლის წინად შეჯიბრებისა და დამკვრელობის ასეთ წარმატებებზე?

შემდეგ პარტიამ დარაზმა ქვეყნის ფინანსიური რესურსები საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების საქმის ფართოდ გასაშლელად, მიაწოდა საბჭოთა მეურნეობებს საუკეთესო ორგანიზატორები, დაეხმარა კოლმეურნეობებს 25 ათასი მოწინავე მუშა, წამოაყენა საუკეთესო ხალხი კოლმეურნე გლეხებისაგან კოლექტივების ხელმძღვანელობაში, მოაწყო კოლმეურნეობათა კურსების ქსელი და ამრიგად საფუძველი ჩაუყარა საკოლმეურნეო მოძრაობის მტკიცე, გამობრძმედილ კადრებს

დაბოლოს, პარტიამ გარდაქმნა თავისი საკუთარი რიგები ისე, როგორც ამას ბრძოლის ამოცანები მოითხოვდა, ხელახლა შეაიარაღა პრესა, მოაწყო ბრძოლა ორ ფრონტზე, დაშალა ტროცკიზმის ნაშთები და სახიკვდილოდ დამარცხა მემარჯვენე უკლონისტები, განაცალკევა შემრიგებლები და ამნაირად უზრუნველყო თავისი რიგების მთლიანობა ლენინური ხაზის საფუძველზე, მთლიანობა, რომელიც საჭიროა წარმატებითი შეტევისათვის, ჩაატარა შეტევის სწორი ხელმძღვანელობა და სათანადო ადგილი მიუჩინა როგორც თანმიმდევრობის მქადაგებლებს მემარჯვენეთა ბანაკიდან, ისე „მემარცხენე“ გადამხვევლებს საკოლმეურნეო მოძრაობის დარგში.

ასეთია პარტიის ძირითადი ღონისძიებები, რომლებიც ჩაატარა მან მთელ ფრონტზე შეტევის განსახორციელებლად.

ყველამ იცის, რომ ეს შეტევა წარმატებით დამთავრდა ჩვენი მუშაობის ყველა დარგებში.

აი რაშია მიზეზი იმისა, რომ ჩვენ მოვახერხეთ ჩვენი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდის მთელ რიგ დაბრკოლებათა გადალახვა.

აი რაშია მიზეზი იმისა, რომ ჩვენ ვახერხებთ წარმატებით გადავლახოთ ჩვენ მშენებლობის ყველაზე უფრო დიდი სიძნელე — გლეხობის ძირითადი მასების სოციალიზმისაკენ მობრუნების სიძნელე.

უცხოელები ზოგჯერ კითხულობენ საბჭოთა კავშირის შინაური მდგომარეობის შესახებ. მაგრამ განა შეიძლება ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ საბჭოთა კავშირის შინაური მდგომარეობა მტკიცე და ურყევია? გადახედეთ კაპიტალისტურ ქვეყნებს. კრიზისის და უმუშევრობის ზრდა ამ ქვეყნებში, გაფიცვები და ლოკაუტები, მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები, როგორ შეიძლება ამ ქვეყნების შინაური მდგომარეობის შედარება საბჭოთა კავშირის შინაურ მდგომარეობასთან?

უნდა ვსთქვათ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ამჟამად ყველაზე უფრო მტკიცე ხელისუფლებაა მსოფლიოში არსებულ ყველა ხელისუფლებათა შორის (ტაში).

8. მეურნეობის კაპიტალისტური თუ სოციალისტური სისტემა?

ამრიგად, ჩვენ გვაქვს საბჭოთა კავშირის შინაური მდგომარეობის სურათი.

ამასთან ერთად ჩვენ გვაქვს უმთავრესი კაპიტალისტური ქვეყნების შინაური მდგომარეობის სურათიც.

უნებურად იბადება კითხვა: როგორი იქნება შედეგები, თუ ერთმანეთს შევადარებთ ამ ორ სურათს?

ეს კითხვა მით უფრო საინტერესოა, რომ ყველა ქვეყნების ბურჟუაზიული მოღვაწეები და ყველა ხარისხის ბურჟუაზიული პრესა, დაწყებული აშკარა კაპიტალისტურიდან და გათავებული მენშევიკურ - ტროცკისტულით, ერთხმად გაიძახიან კაპიტალისტური ქვეყნების „აყვავების“, საბჭოთა კავშირის „დაღუპვის“, საბჭოთა კავშირის „ფინანსიური კრახის“ და სხ. შესახებ

მაშასადამე, როგორია საბჭოთა კავშირის და მათი — კაპიტალისტური ქვეყნების მდგომარეობის ანალიზის შედეგები?

აღვნიშნოთ მთავარი ფაქტები, რომელსაც ყველა იცნობს.

იქ — კაპიტალისტურ ქვეყნებში — ადგილი აქვს ეკონომიურ კრიზისს და წარმოების დაცემას როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის დარგში.

ჩვენში — საბჭოთა კავშირში — ეკონომიური აღორძინება, წარმოების ზრდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში.

იქ — კაპიტალისტურ ქვეყნებში — მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუარესება, მუშების შრომის ხელფასის შემცირება და უმუშევრობის ზრდა. ჩვენში — საბჭოთა კავშირში — მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუშების ხელფასის გადიდება და უმუშევრობის შემცირება.

იქ — კაპიტალისტურ ქვეყნებში — გაფიცვების და დემონსტრაციების ზრდა, რომლებიც იწვევენ მრავალმილიონ მუშა-დღის გაცდენას.

ჩვენში — საბჭოთა კავშირში — გაფიცვებს ადგილი არა აქვს, იზრდება მუშების და გლეხების შრომითი ენტუზიაზმი, რომელიც მრავალ მილიონ დამატებით მუშა-დღეს აძლევს ჩვენს წესწყობილებას.

იქ—კაპიტალისტურ ქვეყნებში—შინაური მდგომარეობის გამწვავება, მუშათა კლასის რევოლუციონური მოძრაობის ზრდა კაპიტალისტური რეჟიმის წინააღმდეგ.

ჩვენში — საბჭოთა კავშირში—შინაური მდგომარეობის განმტკიცება, მუშათა კლასის მილიონიანი მასების შეკავშირება საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ.

იქ—კაპიტალისტურ ქვეყნებში—ნაციონალური საკითხის გამწვავება, ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ზრდა ინდოეთში, ინდო-ჩინეთში, ინდონეზიაში, ფილიპინის კუნძულებზე და სხვაგან, რაც ნაციონალურ ომს იწვევს. ჩვენში—საბჭოთა კავშირში ეროვნული ძმობის საფუძვლების განმტკიცება, ჩვენ უზრუნველვყავით ეროვნული მშვიდობიანობა, ადგილი აქვს საბჭოთა კავშირის ეროვნებათა მილიონიან მასების შემჭიდროვებას საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ.

იქ—კაპიტალისტურ ქვეყნებში დაბნეულობა და მდგომარეობის შემდგომი გაუარესების პერსპექტივა.

ჩვენში — საბჭოთა კავშირში — რწმენა საკუთარ ძალების და მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების პერსპექტივა.

ისინი ლაყბობენ საბჭოთა კავშირის „დაღუპვისა“ კაპიტალისტური ქვეყნების „აყვავების“ შესახებ. უფრო სწორი არ იქნება ვილაპარაკოთ იმათი აუცილებელი დაღუპვის შესახებ, რომლებიც ასე „მოულოდნელად“ მოყვნენ ეკონომიური კრიზისის მორევში და ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ იქიდან გამოსვლას?

რაშია მიზეზი ესოდენ სერიოზულ მარცხისა კაპიტალისტურ ქვეყნებში და სერიოზული წარმატებისა ჩვენში—საბჭოთა კავშირში?

ამბობენ, რომ სახალხო მეურნეობის მდგომარეობა ბევრად დამოკიდებულია კაპიტალის სიჭარბეზე ანდა ნაკლებობაზე, ეს, რასაკვირველია, მართალია. ხომ არ აიხსნება კრიზისი კაპიტალისტურ ქვეყნებში და აღორძინება საბჭოთა კავშირში კაპიტალის სიჭარბით ჩვენში და კაპიტალის ნაკლებობით კაპიტალისტურ ქვეყნებში? რასაკვირველია, არა. ყველამ იცის, რომ კაპიტალი საბჭ. კავშირში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამ შემთხვევაში საქმეს რომ სწყვეტდეს კაპიტალის დაგროვების მდგომარეობა, ჩვენ გვექნებოდა კრიზისი, კაპიტალისტურ ქვეყნებს კი აღორძინება.

ამბობენ, მეურნეობის მდგომარეობა ბევრ რამეში დამოკიდებულია სამეურნეო კადრების ტექნიკური და ორგანიზაციული მომზადებისაგან, ეს, რასაკვირველია, მართალია. ხომ არ აიხსნება კრიზისი კაპიტალისტურ ქვეყნებში, აღორძინება და წინსვლა საბჭოთა კავშირში ტექნიკური კადრების ნაკლებობით ამ ქვეყნებში და მათი სიმძლავრით საბჭოთა კავშირში? არა, რასაკვირველია არა, ყველამ იცის, რომ ტექნიკურად გამოცდილი კადრებით კაპიტალისტური ქვეყნები ჩვენზე ბევრად მდიდრები არიან. ჩვენ არასოდეს არ დაგვიფარავს და არც სურვილი გვაქვს დავფაროთ, რომ ტექნიკის დარგში ჩვენ მოწაფენი ვართ გერმანელების, ინგლისელების, ფრანგების, იტალიელების და, უწინარეს ყოვლისა და უმთვარესად, ამერიკელების. საქმეს აქ არ სწყვეტს ტექნიკური კადრების სიმრავლე ან ნაკლებობა, თუმცა კადრების პრობლემას სერიოზული მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის.

იქნებ საიდუმლოება აგვიხსნას იმან, რომ კულტურული მდგომარეობის მხრივ ჩვენ უფრო მაღალ დონეზე ვდგევართ, ვიდრე კაპიტალისტური ქვეყნები? კიდევ და კიდევ არა. ყველამ იცის, რომ მასების საერთო კულტურული დონე ჩვენში უფრო დაბალია, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში და გერმანიაში. არა, მასების კულტურა აქ არაფერ შუაშია, თუმცა ამასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის.

იქნებ აქ მიზეზები უნდა ვეძებოთ კაპიტალისტურ ქვეყნების ხელმძღვანელთა პირად თვისებებში? ესეც ვერაფერს აგვიხსნის. კრიზისები წარმოიშვენ კაპიტალიზმის ბატონობის წარმოშობასთან ერთად, საუკუნეზე მეტია უკვე, რაც კაპიტალიზმის პერიოდული ეკონომიური კრიზისები ხდება, ამასთან კრიზისები მეორდებიან ყოველი 12, 10, 8 წლის და ნაკლები ხნის შემდეგ. კაპიტალიზმის ყველა პარტიებმა, კაპიტალიზმის ყველა ცოტად თუ ბევრად ცნობილმა მოღვაწეებმა დაწყებული „გენიალური“ ადამიანებით და გათავებული ჩვეულებრივი კაცებით სცადეს თავიანთი ძალღონე- კრიზისის „აცილების“ ან „მოსპობის“ საქმეში. მაგრამ ყველამ მარცხი განიცადა, და რატომ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ჰუვერმა და მისმა ჯგუფმაც მარცხი განიცადეს? არა, საქმე აქ კაპიტალიზმის ხელმძღვანელებში ან პარტიებში არ არის, თუმცა კაპიტალიზმის ხელმძღვანელებსაც და პარტიებსაც აქ მცირე მნიშვნელობა არა აქვთ.

მაშ რაშია საქმე?

სად არის იმის მიზეზი, რომ საბჭოთა კავშირი, მიუხედავად კულტურული ჩამორჩენილობის და კაპიტალის ნაკლებობისა, მიუხედავად ტექნიკურად გამოცდილი სამეურნეო კადრების სიმცირისა, სწრაფი ეკონომიური ამაღლების და წინსვლის გზაზე სდგას და მას ეკონომიური მშენებლობის ფრონტზე გადამწყვეტი წარმატებები აქვს, ხოლო მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნები, კაპიტალის სიუხვის, ტექნიკური კადრების სიმრავლის, უფრო მაღალი კულტურული დონის მიუხედავად, ეკონომიური კრიზისის ზრდის მდგომარეობაში არიან და სამეურნეო განვითარების საქმეში დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიან?

მიზეზი—მეურნეობის ჩვენი და კაპიტალისტების ეკონომიურ სისტემათა განსხვავებაშია.

მიზეზი—მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის უვარგისობაშია.

მიზეზი—მეურნეობის საბჭოთა სისტემის უპირატესობაშია კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით.

რა არის მეურნეობის საბჭოთა სისტემა?

მეურნეობის საბჭოთა სისტემა ნიშნავს იმას, რომ:

1. კაპიტალისტების ძალა-უფლება დამხობილია და შეცვლილია მუშათა კლასის ძალაუფლებით.

2. წარმოების იარაღები და საშუალებანი, მიწა, ფაბრიკები, ქარხნები და სხვა ჩამოერთვა კაპიტალისტებს და საკუთრებად გადაეცა მუშათა კლასს და გლეხთა მშრომელ მასებს.

3. წარმოების განვითარება დაექვემდებარა არა კონკურენციის პრინციპს კაპიტალისტური მოგების უზრუნველსაყოფად არამედ მთავარ ხელმძღვანელობის პრინციპს მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის სისტემატიური ამაღლებისათვის.

4) სახალხო შემოსავლის განაწილება ხდება არა ექსპლოატატორულ კლასებისა და მათი მრავალრიცხოვანი პარაზიტული დამქაშების ინტერესების მიხედვით, არამედ მუშებისა და გლეხების მატერიალური მდგომარეობის სისტემატიური გაუმჯობესებისა და ქალაქად და სოფლად სოციალისტური წარმოების გაფართოების ინტერესების მიხედვით.

5) მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის სისტემატიური გაუმჯობესება, მათი მოთხოვნილებების (სყიდვითი უნარიანობის) განუწყვეტელი ზრდა, რომელიც შეუჩერებლივ ვითარდება, წარმოადგენს წარმოების გაფართოების წყაროს და უზრუნველყოფს მუშათა კლასს კრიზისებისაგან, ჭარბი წარმოებისაგან, უმუშევრობის ზრდისაგან და სხვ.

6) მუშათა კლასი არის ქვეყნის ბატონ-პატრონი, რომელიც მუშაობს არა კაპიტალისტებისათვის, არამედ საკუთარ კლასისათვის.

რა არის მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა? მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა ნიშნავს, რომ:

1) ძალაუფლება სახელმწიფოში ეკუთვნის კაპიტალისტებს.

2) იარაღები და საწარმოო საშუალებები თავმოყრილია ექსპლოატატორების ხელში.

3) წარმოება ემორჩილება არამშრომელი მასების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების პრინციპს, არამედ მაღალი კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფის პრინციპს,

4) სახალხო შემოსავლის განაწილება ხდება არა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ინტერესების მიხედვით, არამედ ექსპლოატატორთათვის მაქსიმალური მოგების უზრუნველყოფის ინტერესების მიხედვით.

5) კაპიტალისტური რაციონალიზაციას და წარმოების სწრაფ ზრდას, რომელთა მიზანია კაპიტალისტებისათვის მაღალი მოგების უზრუნველყოფა, წინ ეღობება მათხოვრული მდგომარეობა და მატერიალური უზრუნველყოფის დაცემა მშრომელთა მილიონიანი მასებისა, რომელთაც ყოველთვის როდი აქვთ საშუალება თავიანთი მოთხოვნილებები დააკმაყოფილონ თუგინდ უკიდურესი მინიმუმის ფარგლებში, რაც აუცილებლობით ქმნის ნიადაგს გარდაუვალი კრიზისებისათვის ჭარბი წარმოების, უმუშევრობის ზრდისა, და სხვ. გამო.

6) მუშათა კლასი არის კლასი, რომელსაც ყვლეფენ და რომელიც მუშაობს არა თავისთვის, არამედ სხვა კლასისათვის, ექსპლოატატორთა კლასისათვის.

ასეთია საბჭოთა სისტემის მეურნეობის უპირატესობანი კაპიტალისტური სისტემის წინაშე.

აი სად არის მიზეზი იმის, რომ ჩვენში, საბჭოთა კავშირში გვაქვს შეუჩერებელი ეკონომიური წინსვლა, იქ კი, კაპიტალისტებთან არის შეუჩერებელი ეკონომიური კრიზისი.

აი მიზეზი იმის, რომ ჩვენში—საბჭოთა კავშირში მოხმარების (მასების სყიდვითი უნარიანობის) ზრდა განუწყვეტლივ წინ უსწრებს წარმოების ზრდას, წინ სწევს მას; იქ კი კაპიტალისტებთან პირიქით, მოხმარების (მასების სყიდვითი უნარიანობის) ზრდა ვერასოდეს ვერ ეწევა წარმოების ზრდას, ყოველთვის უკან ჩამორჩება მას და წარმოებას გამუდმებით კრიზისით ემუქრება.

აი მიზეზი იმისა, რომ იქ, კაპიტალისტებთან, სავსებით ნორმალურად ითვლება კრიზისების დროს „ზედმეტი“ საქონლის მოსპობა, „ზედმეტი“ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დაწვა იმ მიზნით, რომ დაცულ იქნას მაღალი ფასები და უზრუნველყოფილ იქნას მაღალი მოგება იმ დროს, როცა ჩვენში, საბჭოთა კავშირში ამგვარ დანაშაულის ჩამდენს საგიჟეთში გაგზავნიდნენ (აპლოდისმენტები).

აი, სად არის იმის მიზეზი, რომ იქ—კაპიტალისტებთან—მუშები იფიცებიან და დემონსტრაციებს მართავენ, აწყობენ და ამზადებენ რევოლიუციონურ ბრძოლას არსებული კაპიტალისტური ხელისუფლების წინააღმდეგ, მაშინ, როდესაც ჩვენში—საბჭოთა კავშირში—ჩვენ თვალწინ იშლება უდიდესი შრომითი შეჯიბრების სურათი მილიონიან მუშებსა და გლეხებს შორის, რომლებიც მზად არიან თავიანთი გულ-მკერდით დაიცვან საბჭოთა ხელისუფლება.

აი, სად უნდა ვეძიოთ მიზეზი საბჭოთა კავშირის შინაური მდგომარეობის სიმყარისა და სიმტკიცის და, პირიქით, კაპიტალისტური ქვეყნების შინაური მდგომარეობის, მერყეობისა და უძლურების.

უნდა ვაღიაროთ, რომ მეურნეობის ის სისტემა, სადაც არ იციან სად წაიღონ თავისი წარმოების ზედმეტად გამოშვებული საქონელი, სადაც ამის გამო იძულებული არიან ცეცხლს მისცენ ის იმ დროს, როცა მასა გაჭირვებას განიცდის, სადაც მძვინვარებს უმუშევრობა, შიმშილი და სილატაკე,—მეურნეობის ასეთი სისტემა თვით ილესავს, თავის დასაკლავ დანას.

უკანასკნელი წლები იყო პერიოდი პრაქტიკული გამოცდის, ის იყო მეურნეობის ორი მოპირდაპირე სისტემის—საბჭოთა და კაპიტალისტურის—გამოცდის ჩაბარების პერიოდი. საბჭოთა სისტემის „დაღუპვისა“ და მისი „გაკოტრების“ შესახებ საკმარისზე მეტი ლაპარაკი ყოფილა და მრავალი „სულთათანაც“ მოგვისმენია. კაპიტალიზმის „აყვავებაზე“ კი კიდევ უფრო მეტს სწერდნენ და გაიძახოდნენ.

მაგრამ რა გამოვიდა აქედან? ამ წლებმა ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცეს ჩვენ, რომ მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა უძლური აღმოჩნდა, ხოლო საბჭოთა სისტემას აქვს ისეთი უპირატესობანი, რაზედაც ოცნებას ვერ გაბედავს ვერცერთი ბურჟუაზიული სახელმწიფო, იქნება ის ყველაზე „დემოკრატიული“, „საერთო სახალხო“, თუ სხვაგვარი.

თავის სიტყვაში სრულიად რუსეთის კომპარტიის (ბ) 1921 წლის კონფერენციაზე ლენინი ამბობდა:

„ამჟამად მთავარ ზეგავლენას საერთაშორისო რევოლიუციაზე ჩვენ ვახდენთ თავის სამეურნეო“ პოლიტიკით. ყველა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას შეშფურებს, ყველა მშრომელი მთელი ქვეყნისა გამოუკლებლივ და სრულიად გადაუჭარბებლად. ეს მიღწეულია. ამის მიჩქმალვა და დაფარვა კაპიტალისტებს აღარ შეუძლიათ. ამიტომ ისინი ყველაზე უფრო ებღაუჭებიან ჩვენს სამეურნეო შეცდომებს და ჩვენს სისუსტეს. ამ სარბიელზე ბრძოლა მსოფლიო მასშტაბით სწარმოებს. თუ გადავჭრით ამ ამოცანას, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ნამდვილად საბოლოოდ მოვიგებთ ბრძოლას საერთაშორისო მაშტაბით“ (ლენინი, ტომი მეთვრამეტე, ნაწილი 1-ლი, გვ. 282).

უნდა ვთქვათ, რომ ლენინის მიერ დასახული ამოცანა ჩვენმა პარტიამ ღირსეულად შეაფასა.

9. მორიგი ამოცანები

ა) საერთო.

—1) პირველად ყოვლისა—მრეწველობის სწორი განაწილების პრობლემა საბჭოთა კავშირში. რამდენიც არ ვანვითაროთ ჩვენ სახალხო მეურნეობა, შეუძლებელია გვერდი ავუქციოთ კითხვას: როგორ უფრო სწორად უნდა იქნას განაწილებული მრეწველობა, როგორც სახალხო მეურნეობის მიმმართავი დარგი. ამჟამად მდგომარეობა ისეთია, რომ ჩვენი მრეწველობა, ისე როგორც მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობაც, ემყარება უმთავრესად ლითონ-ნახშირის ბაზას (უკრაინა). ცხადია—თუ არა ასეთი ბაზა, წარმოუდგენელი იქნებოდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. აი, ასეთ ბაზად ჩვენთვის ითვლება უკრაინის სათბობისა და მეტალურგიის ბაზა. მაგრამ შეუძლია კი შემდეგშიაც მარტო ამ ბაზამ დააკმაყოფილოს სამხრეთიც, საბჭოთა კავშირის ცენტრალური ნაწილიც, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიც, შორეული აღმოსავლეთი და თურქესტანიც? ყოველივე იმას მოწმობს, რომ არ შეუძლია. ახალი ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებაში, სხვათა შორის, ისიცაა, რომ ამ ბაზის ყოველმხრივ განვითარებაზე ზრუნვასთან ერთად შევძლოთ დაუყოვნებლივ შევუდგეთ მეორე ნახშირისა და სამეტალურგიო ბაზის შექმნას. ასეთ ბაზად მიჩნეულ უნდა იქნას ურალ-კუზნეცკის კომბინატი—ეს შეერთება კუზნეცკის კოქსად გამოსაყენებელი ნახშირისა ურალის მადანთან (ტაშისცემა). საავტომობილო ქარხნის აგება ნიჟნში, სატრაქტორო ქარხნისა—ჩელიაბინსკში, მანქანათმშენებელ ქარხნისა სვერდლოვსკში, კომბაინის ქარხნებისა სარატოვში და ნოვო-სიბირსკში, ფერადი მეტალურგიის არსებობა და მისი ზრდა ციმბირში და კაზაკსტანში, რისთვისაც საჭიროა შემკეთებელ სახელოსნოებისა და მთელ რიგ ძირითად სამეტალურგიო ქარხანათა ქსელის შექმნა აღმოსავლეთში, და, ბოლოს, გადაწყვეტილება, რომ აგებულ იქნას საფეიქრო ფაბრიკა ნოვო-სიბირსკში და თურქესტანში,—ყოველივე ეს კატეგორიულად მოითხოვს—დაუყოვნებლივ შევუდგეთ მეორე ნახშირისა და მეტალურგიის ბაზის შექმნას ურალში.

თქვენ იცით, რომ ჩვენი პარტიის ც. კ-მა ასეთი აზრი გამოსთქვა თავის რეზოლიუციაში ურალის მეტალურგიის შესახებ.

2) შემდეგი—საბჭოთა კავშირში სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების სისწორით განაწილების პრობლემა და პრობლემა ჩვენი ოლქების („ობლასტების“) სპეციალიზაციისა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და დარგების მიხედვით.

გასაგებია, რომ წვრილი გლეხური მეურნეობის პირობებში სპეციალიზაციის სერიოზულად გატარება შეუძლებელია, ვინაიდან წვრილი მეურნეობა, როგორც მეურნეობა მერყევი, მოკლებული საჭირო რეზერვებს, იძულებულია შემოიღოს ყველა და ყოველგვარი კულტურები, რომ ამ გზით, თუ დაზარალდა ერთი კულტურის დარგში, შესძლოს საქმის გამობრუნება და ხელის მოთბობა სხვა კულტურებზე.

გასაგებია აგრეთვე, რომ თუ არ უზრუნველვყავით სახელმწიფოს ხელში მარცვლეულის განსაზღვრული რეზერვები შეუძლებელი იქნება სპეციალიზაციის საქმის დაყენება; სახელმწიფოს ხელში მარცვლეულის რეზერვების დაგროვების შემდეგ ჩვენ შეგვიძლია და უნდა დავისახოთ ამოცანად სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის სწორად გატარება კულტურებისა და დარგების მიხედვით. ამასთან ამ საქმის გამოსავალ პუნქტს წარმოადგენს მარცვლეულის პრობლემის საბოლოოდ გადაჭრა. მე ვამბობ, რომ „გამოსავალი პუნქტია“, ვინაიდან თუ არ გადაიჭრა მარცვლეულის პრობლემა, თუ არ მოეწყო მარცვლეულის საწყობების მდიდარი ქსელი მესაქონლეობის, მებამბეობის, ჭარხლის, სელის და მეთამბაქოების რაიონებში, წინ ვერ წასწევთ მესაქონლეობას და ტექნიკურ კულტურებს, ვერ ვუზრუნველვყოფთ ჩვენი ოლქების სპეციალიზაციას კულტურების და დარგების მიხედვით.

ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გამოვიყენოთ მოცემული შესაძლებლობანი და წინ წავსწიოთ ეს საქმე.

3) შემდეგ მიდის კადრების პრობლემა, როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის დარგში. ყველამ იცის რამდენად სუსტია ჩვენი სამეურნეო კადრების, ჩვენი სპეციალისტების, ტექნიკოსების და სამეურნეო მუშაკების ტექნიკური მომზადება. საქმეს ართულებს კიდევ ის გარემოება, რომ სპეციალისტების ერთი ნაწილი, დაკავშირებული ყოფილ მესაკუთრეებთან და ამოქმედებული საზღვარ-გარეთიდან, მავნებლობის საქმის სათავეში აღმოჩნდა. საქმეს კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ მთელმა რიგმა ჩვენმა სამეურნეო მუშაკებმა—კომუნისტებმა ვერ გამოიჩინეს ამაში რევოლიუციონური სიფხიზლე, ხშირად ისინი მავნე ელემენტების სულიერ ტყვეობაში ვარდებოდნენ. ჩვენს წინაშე კი უდიდესი ამოცანები სდგანან მთელი სახალხო მეურნეობის გარდასაქმნელად და ეს ამოცანები მოითხოვენ დიდძალ ახალ კადრებს, რომელთაც შეეძლებათ ახალი ტექნიკის დაძლევა. ამასთან დაკავშირებით კადრების პრობლემა ჩვენთვის უდაოდ გადაუდებელ პრობლემად იქცა.

ამ პრობლემის გადაჭრა ჩვენში სწარმოებს შემდეგ ღონისძიებათა ხაზით: 1) გადამწყვეტი ბრძოლა მავნებლების წინააღმდეგ, 2) მაქსიმუმი ზრუნვა და გულისყური იმ სპეციალისტების და ტექნიკოსების დიდი უმრავლესობის მიმართ, რომელნიც გაემიჯნენ მავნებლებს (მე მხედველობაში მყავს არა უსტრიალოვის ტიპის პრანჭვა-მოლაყბეები, არამედ ნამდვილი მეცნიერული მუშაკები, რომელნიც მუშათა კლასთან ხელი-ხელჩაკიდებით მუყაითად მუშაობენ). 3) საზღვარ-გარეთიდან ტექნიკური დახმარების მოწყობა, 4) ჩვენი სამეურნეო მუშაკების გაგზავნა საზღვარ-გარეთ სასწავლოდ და საერთოდ, ტექნიკაში გამოცდილების მისაღებად, 5) ტექნიკური სასწავლებლების გადაცემა სათანადო სამეურნეო ორგანიზაციებისათვის იმ მიზნით, რომ სასწრაფოდ მოხდეს ტექნიკოსების და სპეციალისტების საკმაო რაოდენობის მომზადება მუშათა კლასის წრიდან.

ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გავაჩაღოთ მუშაობა ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

4) ბიუროკრატიზმთან ბრძოლის პროგრამა. ბიუროკრატიზმის საშიშროება პირველყოვლისა მდგომარეობს იმაში, რომ გასაქანს არ აძლევს უდიდეს რეზერვებს, რომლებიც ჩვენი წესწყობილების წიაღში იმალებიან, სპობს მათი გამოყენების საშუალებას და ცდილობს არარად აქციოს მასების შემოქმედებითი ინიციატივა, ბოჭავს მას „კანცელიარშჩინით“, საქმე იქამდე მიჰყავს, რომ ცდილობს პარტიის ყოველი ახალი წამოწყება წვრილმან, უნაყოფო ჩხირკედელაობად აქციოს. გარდა ამისა ბიუროკრატიზმის საშიშროება მდგომარეობს იმაში, რომ ის ვერ ითმენს შესრულების შემოწმებას და ცდილობს ხელმძღვანელ ორგანიზაციების ძირითადი მითითებები აქციოს ცოცხალ ცხოვრებას მოწყვეტილ უბრალო ქაღალდად. საშიშროებას წარმოადგენს არა მარტო და არა იმდენად ძველი ბიუროკრატები, რომლებიც შერჩნენ ჩვენს დაწესებულებებში, არამედ განსაკუთრებით ახალი ბიუროკრატები, საბჭოთა ბიუროკრატები, რომელთა შორის „კომუნისტი“ — ბიუროკრატები უკანასკნელ როლს როდი თამაშობენ.

მე მხედველობაში მყავს ის „კომუნისტები“, რომელთაც სურთ კანცელიარიული განკარგულებებით და „დეკრეტებით“, (მათ სწამთ განკარგულებებისა და „დეკრეტების“ ძლიერება, მათ სწამთ ისინი, როგორც ფეტიში) შესცვალონ მუშათა კლასის და გლეხობის მრავალ მილიონიან მასების შემოქმედებითი ინიციატივა და თვითმოქმედება.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დავამარცხოთ ბიუროკრატიზმი ჩვენს დაწესებულებებში და ორგანიზაციებში, მოვსპოთ ბიუროკრატიული „ზნე“ და „ჩვეულება“ და გავსწმინდოთ გზა ჩვენი წესწყობილების გამოსაყენებლად, მასების შემოქმედებითი ინიციატივის და თვითმოქმედების გასაშლელად

ეს არ არის ადვილი ამოცანა.

მას ვერ გადავსჭრით „ერთი ხელის დაკვრით“, მაგრამ უნდა გადავსჭრათ ეს ამოცანა რაც არ უნდა დაგვიჯდეს, თუ გვინდა მართლაც გარდავქმნათ ჩვენი ქვეყანა სოციალიზმის ქვეყნად.

ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში პარტიის მუშაობა მიმდინარეობს ოთხი ხაზით: თვითკრიტიკის გაშლა, შესრულების შემოწმების საქმის მოწყობა, აპარატის წმენდა და, ბოლოს, აპარატში ერთგული მუშაკების დაწინაურება ქვევიდან, მუშათა კლასის წრიდან.

ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველივე ძალღონე ვიხმაროთ ყველა ამ ღონისძიებათა შესასრულებლად.

5) შრომის ნაყოფიერების ზრდის პრობლემა. შრომის ნაყოფიერების სისტემატიური ზრდის გარეშე როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის დარგში, ჩვენ ვერ გადავსჭრით რეკონსტრუქციის ამოცანას, ვერ შევსძლებთ არა თუ დავეწიოთ და გაუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს, არამედ შევინარჩუნოთ დამოუკიდებელი არსებობა. ამიტომ შრომის ნაყოფიერების ზრდის პრობლემას ჩვენთვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

პარტიის ღონისძიებანი ამ პრობლემის გადაჭრის საქმეში ტარდება სამი ხაზით: მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის სისტემატიურად გაუმჯობესების ხაზით, საწარმოებში, მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში შრომის ამხანაგური დისციპლინის შემოღების ხაზით და, ბოლოს, სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის მოწყობის ხაზით.

ყველაფერი ეს ხდება გაუმჯობესებული ტექნიკის და შრომის რაციონალური ორგანიზაციის ბაზაზე.

ამოცანას შეადგენს ის, რომ გაიშალოს შემდგომი მასიური კამპანია ამ ღონისძიებათა განხორციელების საქმეში.

6) მომარაგების პრობლემა.

ამას მიეკუთვნება ისეთი საკითხები, როგორიც არის ქალაქისა და სოფლის მშრომელთათვის საჭირო პროდუქტების საკმაო რაოდენობით მიწოდება, მუშათა და გლეხთა საჭიროებასთან კოოპერატიული აპარატის შეგუება, მუშათა რეალური ხელფასის სისტემატიურად გადიდება, სამრეწველო საქონლის და სას.-სამ. პროდუქტების ფასების დაკლება.

მე უკვე ვილაპარაკე სამომხმარებლო კოოპერაციის დეფექტებზე. უნდა ბოლო მოეღოს ამ დეფექტებს და მივაღწიოთ ფასების პოლიტიკის გატარებას. რაც შეეხება საქონლის ნაკლებობას (საქონლის შიმშილი), ეხლა საშუალება გვაქვს გავშალოთ მსუბუქი მრეწველობის ნედლეულის ბაზა და წინ წავსწიოთ მასიური მოხმარების საქალაქო საქონლის წარმოება. პურის მომარაგების საქმე უკვე შეიძლება უზრუნველყოფილად ჩაითვალოს. უფრო გაძნელებულია ხორცის, რძის პროდუქტებისა და ბოსტნეულის მომარაგების საქმე. სამწუხაროდ, ამ სიძნელის ლიკვიდაციას ვერ მოვახდენთ რამდენიმე თვის განმავლობაში. ამ სიძნელის დასაძლევად საჭიროა ერთი წელიწადი მაინც. ერთი წლის შემდეგ, ამ საქმისთვის მოწყობილი საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მეოხებით, შევძლებთ სავსებით უზრუნველვყოთ ხორცის, რძის პროდუქტებისა და ბოსტნეულის მიწოდება.

ეს კი რას ნიშნავს (გამოტოვებულია).

ეს ნიშნავს, ყველა იმ ძირითადი ფაქტორების დაუფლებას, რომლებიც განსაზღვრავენ მუშის ბიუჯეტს და მის რეალურ შრომის ხელფასს. ეს ნიშნავს მუშათა ხელფასის სწრაფი ზრდის უზრუნველყოფას ნამდვილად და საბოლოოდ.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ჩვენი ორგანიზაციების მუშაობა ამ მიმართულებით გავშალოთ.

7. კრედიტისა და ფულის ბრუნვის პრობლემა.

საკრედიტო საქმის რაციონალური ორგანიზაცია და ფულადი რეზერვების წესიერ გამოყენებას სერიოზული მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. პარტიის ღონისძიებები ამ პრობლემის გადასაჭრელად ორი ხაზით მიმდინარეობს: მთელი მოკლევადიან კრედიტის საქმის სახ. ბანკში თავმოყრისა და განსაზოგადოებულ სექტორში უნაღდო ანგარიშგასწორების ორგანიზაციის ხაზით. ამით, პირველ ყოვლისა, სახელმწიფო ბანკი იქცევა წარმოების აღრიცხვისა და პროდუქტების განაწილების საერთო სახელმწიფოებრივ აპარატად და, მეორე, ბრუნვიდან თავისუფლდება ფულის მთელი მასები. არავითარი ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ღონისძიებებს მოყვება (და ისინი უკვე იწვევენ) მთელი საკრედიტო საქმის მოწესრიგება და ჩვენი ჩერვონეცის განმტკიცება.

8. რეზერვების პრობლემა.

უკვე რამდენჯერმე ითქვა და განმეორება საჭირო არ არის, რომ სახელმწიფოს საერთოდ, და ჩვენ სახელმწიფოს განსაკუთრებით არ შეუძლია არ ისარგებლოს რეზერვებით. ჩვენ გვაქვს ზოგიერთი რეზერვები პურით, საქონლით და ვალიუტით. ჩვენს ამხანაგებს საშუალება ჰქონდათ ამ დროის განმავლობაში ეგრძნოთ ამ რეზერვების სასარგებლო გავლენა. მაგრამ „ასეთი“ რეზერვები არ არის საკმაო. ჩვენ უფრო საფუძვლიანი რეზერვები გვესაჭიროება ყველა დარგში.

აქედან გამომდინარეობს რეზერვების დაგროვების ამოცანა.

ბ) მრეწველობაში.

1) მთავარი პრობლემაა—შავი მეტალურგიის განვითარების დაჩქარება. იქონიეთ მხედველობაში, რომ ჩვენ მივაღწიეთ თუჯის წარმოების ომის წინადროინდელ ნორმას და მას ვაჭარბებთ მხოლოდ მიმდინარე—1929—30 წელში. ეს დიდი მუქარაა მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის. რათა ეს მუქარა ავიცილოთ, საჭიროა მოვაგვაროთ შავი მეტალურგიის სწრაფი განვითარება. ხუთწლედის დასასრულისთვის ჩვენ უნდა მივიღოთ არა 10 მილიონი ტონა თუჯი, როგორც ამას ხუთწლიანი გეგმა მოითხოვს, არამედ—17 მილიონი ტონა. ეს ამოცანა ჩვენ უნდა განვახორციელოთ რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, თუ გვინდა ნამდვილად გავშალოთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმე.

ბოლშევიკებმა უნდა ნათელყონ, რომ მათ შეუძლიათ ამ ამოცანის გადაჭრა.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მსუბუქ ინდუსტრიას თავი უნდა გავანებოთ. არა, არ ნიშნავს. დღემდე ჩვენ მომჭირნეობას ვეწეოდით ყველაფერზე, მათ შორის მსუბუქ ინდუსტრიაზე, რომ მძიმე მრეწველობა აღგვედგინა. მაგრამ მძიმე ინდუსტრია ჩვენ უკვე აღვადგინეთ. საჭიროა მხოლოდ მისი შემდგომი გაშლა. და ახლა ჩვენ შეგვიძლია მსუბუქ ინდუსტრიას მიუბრუნდეთ და წავსწიოთ ის წინ—დაჩქარებული ტემპით. ახალი გარემოება ჩვენი მრეწველობის განვითარებაში, სხვათა შორის ისაა, რომ ჩვენ ახლა საშუალება გვაქვს დაჩქარებული ტემპით განვავითაროთ როგორც მძიმე, ისე მსუბუქი ინდუსტრიაც. ბამბის, სელის და ჭარხლის ნათესების გეგმების გადაჭარბებით შესრულება მიმდინარე წელში, რამის და ხელოვნური აბრეშუმის პრობლემის წარმატებითი გადაჭრა—ყოველივე ეს მოწმობს, რომ ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა ნამდვილად წავსწიოთ წინ მსუბუქი მრეწველობა.

2) რაციონალიზაციის პრობლემა, თვითღირებულების შემცირება და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. შეუძლებელია კიდევ მოვითმინოთ ნაკლოვანებანი რაციონალიზაციის დარგში, თვითღირებულების დაკლების გეგმის შეუსრულებლობა, მთელ რიგ საწარმოთა პროდუქციის უმზგავსო ხარისხი. ეს დეფექტები და ნაკლოვანებანი აწვებიან მთელს ჩვენ სახალხო მეურნეობას, არ აძლევენ მას წინწაწევის საშუალებას. დროა, დიდი ხანია დროა, ბოლო მოუღოთ ამ სამარცხვინო ლაქას.

ბოლშევიკებმა უნდა დაამტკიცონ, რომ მათ შეუძლიათ ამ ამოცანის გადაჭრაც.

3) ერთმართველობის პრობლემა. აგრეთვე აუცილებელი ხდება ხაზის დარღვევა საწარმოებში ერთმართველობის გატარების დარგში. მუშა ხშირად ჩივის—„ქარხანას პატრონი არ ყავს“, „მუშაობაში წესრიგი არ არის“. არ შეიძლება კიდევ მოვითმინოთ, რომ ჩვენი საწარმოები საწარმოო ორგანიზმების ნაცვლად პარლამენტად იქცეოდნენ. ჩვენმა პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ბოლოს უნდა გაიგონ, რომ ერთმართველობის უზრუნველყოფის და მუშაობის მსვლელობისათვის სასტიკი პასუხისმგებლობის დაწესების გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ

მრეწველობის რეკონსტრუქციის ამოცანების გადაჭრას.

გ) სოფლის მეურნეობის დარგში.

1) მესაქონლეობის და ტეხნიკური კულტურების პრობლემა. ახლა, როცა ჩვენ მარცვლეულის პრობლემა არსებითად გადავჭერით, ჩვენ შეგვიძლია შევუდგეთ მესაქონლეობის პრობლემას, რომელიც ამ ჟამად მწვავე პრობლემას წარმოადგენს, და ტეხნიკური კულტურების პრობლემის ერთდროულ გადაჭრას.

ამ პრობლემების გადაჭრის დროს ჩვენ უნდა ვიაროთ იმ გზით, რომლითაც მივდიოდით მარცვლეულის პრობლემის გადაჭრის დარგში, ე. ი. საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების ორგანიზაციის საშუალებით,—მეურნეობების, რომელნიც ჩვენი პოლიტიკის დასაყრდენ პუნქტებს წარმოადგენენ,—ჩვენ თანდათან უნდა გარდავქმნათ ახლანდელი წვრილ-გლეხური მესაქონლეობის და ტეხნიკური კულტურების ტეხნიკური და ეკონომიური საფუძველი. „მესაქონლე", „მეცხვარე", „მეღორე", კარაქი-რძის ტრესტი კოლმეურნეობათა მიმატებით მესაქონლეობის დარგში, არსებული კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობები ტეხნიკურ კულტურების დარგში—ასეთია გამოსავალი პუნქტები ჩვენს წინაშე მდგარი პრობლემების გადასაჭრელად.

2) საბჭოთა და კოლმეურნეობების შემდგომი გაშლის პრობლემა. არა გვგონია საჭირო იყოს სიტყვის გაგრძელება, რომ ეს პრობლემა ჩვენთვის წარმოადგენს სოფლად მთელი ჩვენი მშენებლობის პირველრიგოვან პრობლემას. ახლა ბრმებიც კი ხედავენ, რომ მოხდენილია გლეხობის დიდი ძირითადი მობრუნება ძველიდან ახლისაკენ, კულაკურ დამონებიდან თავისუფალ საკოლმეურნეო ცხოვრებისაკენ. უკვე შეუძლებელია ძველისაკენ დაბრუნება. კულაკობა განწირულია და აღმოფხვრილი იქნება. რჩება მხოლოდ ერთი გზა კოლმეურნეობების გზა. კოლმეურნეობათა გზა კი უკვე არ არის უცნობი, გაურკვეველი. ის მრავალმხრივაა გარკვეული და შემოწმებული თვით გლეხთა მასების მიერ. გარკვეულია და შეფასებული, როგორც ახალი, რომელიც გლეხობას ანთავისუფლებს კულაკური დამონებისა, გაჭირვებისა და სიბნელისაგან. ამაშია ჩვენი მიღწევათა საფუძველი.

როგორ გაიშლება ახალი მოძრაობა სოფლად? წინ წავლენ საბჭოთა მეურნეობანი, როგორც სოფლის ძველი წყობის გარდაქმნის მთავარი ძალა. მათ მიყვებიან მრავალრიცხოვანი კოლმეურნეობები, როგორც ახალი მოძრაობის დასაყრდენი პუნქტები სოფლად. ამ ორი სისტემის გაერთიანებული მუშაობა შექმნის პირობას საბჭოთა კავშირის ყველა ოლქების სრული კოლექტივიზაციისათვის.

საკოლმეურნეო მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი მონაპოვართაგანი იმაში მდგომარეობს, რომ მან უკვე შესძლო წამოეყენებია საკოლმეურნეო საქმის ათასეული ორგანიზაციები და ათიათასობით აგიტატორები თვით გლეხებისაგან. ახლა უკვე არა მარტო ჩვენ, კვალიფიციური ბოლშევიკები, არამედ თვით გლეხები კოლმეურნეობებიდან—საკოლმეურნეო საქმის ათეული ათასი გლეხები—ორგანიზატორები და აგიტატორები—გაემართებიან წინ კოლექტივიზაციის დროშით. გლეხები—აგიტატორები კი წარმოადგენენ საკოლმეურნეო მოძრაობის შესანიშნავ აგიტატორებს, ვინაიდან ისინი მონახავენ კოლმეურნეობათა სასარგებლოდ ისეთ გლეხების დანარჩენ მასისათვის გასაგებ და მისაღებ არგუმენტებს, რომელთა შესახებ ჩვენ, კვალიფიციურ ბოლშევიკებს ოცნებაც არ შეგვიძლია.

აქა-იქ გაისმის ხმები მთლიანი კოლექტივიზაციის პოლიტიკაზე უარის თქმის აუცილებლობის შესახებ. არის ცნობები, რომ ჩვენს პარტიაშიაც კი მოიპოებიან ამ „იდეის" მომხრენი. მაგრამ ასე შეუძლიათ ლაპარაკი მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელნიც ნებსით თუ უნებლიეთ კომუნიზმის მტრებს შეუერთდნენ.

მთლიანი კოლექტივიზაციის მეთოდი წარმოადგენს იმ აუცილებელ მეთოდს, ურომლისოდ შეუძლებელია საბჭოთა კავშირის ყველა ოლქების კოლექტივიზაციის ხუთწლიანი გეგმის შესრულება. როგორ შეიძლება მაზე ხელის აღება—კომუნიზმის გაცემის, მუშათა კლასის და გლეხობის ინტერესების გაცემის გარეშე.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენში საკოლმეურნეო მოძრაობის დარგში ყველაფერი წავა „კარგად" და „ნორმალურად". მერყეობანი კოლმეურნეობათა შიგნით კიდევ იქნება. მოზღვავება და უკუქცევა კიდევ იქნება. მაგრამ ამას არ შეუძლია, ამან არ უნდა დააფრთხოს საკოლმეურნეო მოძრაობის მშენებლები. მით უფრო ეს ვერ შეგვაჩერებს და ვერ გახდება სერიოზულ დაბრკოლებად საკოლმეურნეო მოძრაობის მძლავრი განვითარებისათვის. ისეთი ჯანსაღი განვითარება, როგორიც უეჭველად არის საკოლმეურნეო მოძრაობა, სულ ერთია თავისას მიაღწევს, ყველაფრის მიუხედავად, ცალკე დაბრკოლებათა და სიძნელეთა მიუხედავად.

ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის მოვამზადოთ ძალები და მოვაგვაროთ საქმე.

3) აპარატის რაც შეიძლება მეტად დაახლოვება რაიონებსა და სოფლებთან. ეჭვი არაა, რომ ჩვენ ვერ შევსძლებდით სოფლის მეურნეობის გარდაქმნისა და საკოლმეურნეო მოძრაობის უდიდესი მუშაობის ჩატარებას, თუ კი დარაიონებას არ ჩავატარებდით. ოლქების მსხვილ ერთეულებად და რაიონებად გადაქცევა, გუბერნიების გაუქმება და მათი გადაკეთება უფრო მცირე ერთეულებად (ოლქებად) და ბოლოს ოლქების (область) შექმნა, როგორც პირდაპირი დასაყრდენი პუნქტებისა—ასეთია დარაიონების საერთო სახე. დარაიონების მიზანია—პარტიულ-საბჭოთა და სამეურნეო-კოოპერატიულ აპარატის მიახლოვება რაიონსა და სოფელთან, რათა შესაძლებლობა გვქონდეს დროულად გადავწყვიტოთ სოფლის მეურნეობისა, მისი აღმავლობისა და მისი რეკონსტრუქციის მტკივნეული საკითხები. ამ მხრივ, ვიმეორებ, დარაიონებამ უდიდესი პლიუსი მიანიჭა მთელს ჩვენს მშენებლობას.

მაგრამ ყველაფერი გაკეთდა თუ არა იმისთვის, რომ მართლად, ნამდვილად დაგვეახლოვებინა აპარატი რაიონებთან და სოფლებთან? არა, ყველაფერი არ გაკეთებულა. ახლა, საკოლმეურნეო მშენებლობის ცენტრი გადატანილია სარაიონო ორგანიზაციებში. აქ იყრის თავს საკოლმეურნეო მოძრაობისა და ყოველნაირი სასოფლო-სამეურნეო მუშაობის ყველა ძაფი: კოოპერაციის, საბჭოების, კრედიტისა თუ დამზადებათა გზით.

საკმაოდ მომარაგებული არიან თუ არა სარაიონო ორგანიზაციები საჭიროა და გამოსადეგი მუშაკებით იმისთვის, რომ მოუარონ მთელ ამ მრავალნაირ მუშაობას? ეჭვი არაა, რომ ისინი მუშაკებით ძალიან სუსტად არიან მომარაგებულნი. მაშ სადაა გამოსავალი? რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ეს ნაკლი გამოვასწოროთ და სარაიონო ორგანიზაციები მუშაობის ყველა დარგში უზრუნველვყოთ საჭირო მუშაკების საკმაო რაოდენობით? ამისათვის, სულ ცოტა, ორი რამის გაკეთებაა საჭირო: 1) ოლქების გაუქმება (ტაში), რომელნიც ხდებიან უსარგებლო ერთეულებად შემდგომ ცენტრსა და რაიონებს შორის და განთავისუფლებულ საოლქო მუშაკების ხარჯზე სარაიონო ორგანიზაციების გაძლიერება; 2) სარაიონო ორგანიზაციების უშუალო დაკავშირება შემდგომ ცენტრთან (რაიკომი—ნაციონალური ც. კ—ი.), ეს იქნება დარაიონების საქმის ბოლომდე მიყვანა, ეს იქნება დამთავრება აპარატის დაახლოვების საქმისა რაიონებსა და სოფლებთან.

აქ ტაშის კვრით შეხვდენ ოლქების გაუქმების პერსპექტივას. რასაკვირველია, ოლქი უნდა გააუქმდეს. მაგრამ შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს ეს გარემოება ნებას გვაძლევდეს შევაჩვენოთ ოლქი, როგორც ამას სჩადის ზოგიერთი ამხანაგი „პრავდას" ფურცლებზე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ოლქებმა თავიანთ მხრებზე გადაიტანეს უდიდესი მუშაობა და თავის დროზე უდიდესი ისტორიული როლი ითამაშეს (ტაში).

ვფიქრობ, რომ შეცდომაა იქნებოდა აგრეთვე ოლქების გაუქმების საქმეში ნამეტანი სიჩქარის გამოჩენა. ც. კ-მაა მიიღო ოლქების გაუქმების დადგენილება. მაგრამ იგი სრულიადაც არ ფიქრობს, რომ ეს საქმე დაუყოვნებლივ უნდა გაკეთდეს. ცხადია, საჭირო იქნება აუცილებელი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება წინასწარ, ვიდრე ოლქები გაუქმდებოდეს.

4) ტრანსპორტი.

დასასრულ ტრანსპორტის პრობლემა საჭირო არაა ბევრი ლაპარაკი ტრანსპორტის უდიდეს მნიშვნელობაზე, მთელი სახალხო მეურნეობის საქმეში. და არა მარტო სახალხო მეურნეობისა. როგორც იცით, ტრანსპორტს ფრიად სერიოზული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის თავდაცვის საქმისთვისაც. და აი, მიუხედავად ტრანსპორტის ასეთი უდიდესი მნიშვნელობისა, ტრანსპორტის მეურნეობა, ამ მეურნეობის რეკონსტრუქცია მაინც ჩამორჩება განვითარების საერთო ტემპს. განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ ასეთნაირ მდგომარეობაში სახიფათოა ტრანსპორტი არ შეიქნეს სახალხო მეურნეობის „ვიწრო ადგილად", რომელსაც შეეძლება შეაფერხოს ჩვენი წინსვლა. განა დრო არ არის ბოლო მოეღოს ამნაირ მდგომარეობას?

განსაკუთრებით ცუდად არის საქმე მდინარის ტრანსპორტზე. ეს ფაქტია, რომ ვოლგის ნაოსნობამ ძლივს მიაღწია ომის წინა დროის 60 პროცენტს, ხოლო დნეპრისამ—40 პროცენტს. ომის წინა დროის 60 და 40 პროცენტი—აი ყველა ის, რაც მდინარის ტრანსპორტს შეუძლიან შეიტანოს თავის „მიღწევათა"! სიაში. განა რომ ძალიან დიდი „მიღწევაა"! განა დრო არაა ბოლო მოეღოს ამ სამარცხვინო მოვლენას! (ხმები: დროა"!).

ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ბოლოს და ბოლოს ბოლშევიკურად მოვკიდოთ ხელი ტრანსპორტს და წინ წავწიოთ იგი.

ასეთია პარტიის მორიგი ამოცანები.

რა არის იმისთვის საჭირო, რომ ეს ამოცანები განხორციელდეს?

ამისთვის უპირველესად და უმთავრესად საჭიროა მთელს გაშლილ ფრონტზე კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ გაჩაღებულ შეტევის გაგრძელება და მისი ბოლომდე მიყვანა.

ამაშია ჩვენი პოლიტიკის ცენტრი და საფუძველი ამჟამად (ტაში).

III. პარტია

გადავდივარ პარტიის საკითხზე.

ზემოთ მე ვილაპარაკე იმ უპირატესობათა შესახებ, რომლებიც აქვს მეურნეობის საბჭოთა სისტემას კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით. მე ვილაპარაკე იმ ბუმბერაზულ შესაძლებლობათა შესახებ, რომლებსაც გვაძლევს ჩვენი წყობილება სოციალიზმის სრული გამარჯვებისათვის ბრძოლის საქმეში. მე ვილაპარაკე იმის შესახებ, რომ ამ შესაძლებლობათა გარეშე და ამ შესაძლებლობათა გამოყენების გარეშე ჩვენ ვერ შევძლებდით მიგვეღწია იმ წარმატებებისათვის, რომლებიც ჩვენ განვლილ პერიოდში მოვიპოვეთ.

მაგრამ აი საკითხი: შესძლო თუ არა პარტიამ სწორად გამოეყენებია ის შესაძლებლობანი, რომლებსაც გვაძლევს საბჭოთა წყობილება, უმოძრაოდ ხომ არ დასტოვა მან ეს შესაძლებლობანი და, ამრიგად, ხელი ხომ არ შეუშალა მუშათა კლასს ბოლომდე გაეშალა მთელი თავისი რევოლუციონური ძალაა, შესძლო თუ არა მან მიეღო ამ შესაძლებლობებიდან ყოველივე ის, რის მიღებაც შეიძლებოდა იმისათვის, რომ მთელ ფრონტზე გაეშალა სოციალისტური მშენებლობა?

საბჭოთა წყობილება ბუმბერაზულ შესაძლებლობებს იძლევა სოციალიზმის სრული გამარჯვებისათვის, მაგრამ შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ის სინამდვილედ იქცა და გატარდა. იმისათვის, რომ შესაძლებლობა სინამდვილედ გადაიქცეს, საჭიროა მთელი რიგი პირობები, რომელთა შორის პარტიის ხაზი და ამ ხაზის სწორად გატარება უკანასკნელ როლს როდი თამაშობს.

რამდენიმე მაგალითი.

მემარჯვენე ოპორტუნისტები ამტკიცებენ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა უზრუნველყოფს სოციალიზმის გამარჯვებას და, მაშასადამე, შეგვიძლია თავი არ შევიწუხოთ ინდუსტრიალიზაციის ტემპისათვის, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობების განვითარებისათვის და სხვ., ვინაიდან გამარჯვება, სულ ერთია, მაინც უზრუნველყოფილია, ასე ვთქვათ, თავის თავად. ეს რა თქმა უნდა, მართალი არ არის და სისულელეა. ამის თქმა ნიშნავს პარტიის როლის უარყოფას სოციალიზმის მშენებლობაში, პარტიის პასუხისმგებლობის უარყოფას ამ მშენებლობისათვის. ლენინი სრულებითაც არ ამბობდა, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა უზრუნველყოფს ჩვენთვის სოციალიზმის გამარჯვებას. ლენინი მხოლოდ იმას ამბობდა, რომ „ეკონომიურად და პოლიტიკურად ახალი ეკონომიური პოლიტიკა სავსებით უზრუნველყოფს სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის ჩაყრას". მაგრამ შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ არის სინამდვილე. იმისათვის, რომ შესაძლებლობა სინამდვილედ გადავაქციოთ, საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, უკუვაგდოთ თვითმიმდინარეობის თეორია, უნდა გარდავქმნათ სახალხო მეურნეობა და გადავიდეთ გადამჭრელ შეტევაზე ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ.

შემდეგ მემარჯვენე ოპორტუნისტები ამტკიცებენ, რომ ჩვენი წყობილება არ შეიცავს საფუძვლებს მუშათა კლასისა და გლეხობის გათიშვისათვის და, მაშასადამე, შეგვიძლია თავი არ შევიწუხოთ სწორი პოლიტიკის დამყარებისათვის სოფლის სოციალური ჯგუფების მიმართ, ვინაიდან კულაკი, სულ ერთია, მაინც შეეზრდება სოციალიზმს, ხოლო მუშათა და გლეხთა კავშირი უზრუნველყოფილი იქნება, ასე ვთქვათ, თავისთავად. ესეც მართალი არ არის და სისულელეა. ამის თქმა შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებსაც არ ესმით, რომ პარტიის პოლიტიკა, ისიც ისეთი პარტიის, რომელიც ხელისუფლების სათავეში სდგას, წარმოადგენს აქ ძირითად მომენტს, რომელიც განსაზღვრავს მუშათა და გლეხთა კავშირის საქმის ბედიღბალს. ლენინი სრულებითაც არ სთვლიდა შეუძლებლად მუშათა კლასისა და გლეხობის გათიშვის საფრთხეს. ლენინი იმას ამბობდა, რომ „ჩვენი სოციალური წყობილება არ შეიცავს აუცილებლად ასეთი გათიშვის საფუძველს". მაგრამ „თუ ამ კლასებს შორის სერიოზული კლასობრივი უთანხმოება წარმოიშვა, მაშინ გათიშვა აუცილებელი იქნება". ამასთან დაკავშირებით ლენინი ფიქრობდა, რომ:

„ჩვენი ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის, ისევე, როგორც მთელი ჩვენი პარტიის მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყურადღებით ადევნონ თვალყური იმ გარემოებებს, რომლებიდანაც შეიძლება გათიშვა წარმოიშვას, და თავიდან აიცილონ ეს გარემოებანი, ვინაიდან საბოლოო ანგარიშით ჩვენი რესპუბლიკის ბედი დამოკიდებული იქნება იმაზე, წავა გლეხთა მასა მუშათა კლასთან ერთად და შეინარჩუნებს მასთან კავშირისადმი ერთგულებას, თუ საშუალებას მისცემს „ნეპმანებს", ე. ი. ახალ ბურჟუაზიას გააწყვეტინოს მას კავშირი მუშებთან და გაეთიშოს მუშებს".

მაშასადამე, გათიშვა მუშათა კლასსა და გლეხობას შორის შეუძლებელი არ არის, მაგრამ სრულებითაც არ არის სავალდებულო, ვინაიდან ჩვენი წყობილება თვით შეიცავს იმის შესაძლებლობას, რომ თავიდან აცილებულ იქნას ეს გათიშვა და განმტკიცებულ იქნას მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი. რა არის საჭირო, რომ ეს შესაძლებლობა სინამდვილედ გადაიქცეს? რომ გათიშვის თავიდან აცილების შესაძლებლობა სინამდვილედ გადავაქციოთ, ამისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, დავასამაროთ თვით მიმდინარეობის თეორია, უნდა აღმოვფხვრათ კაპიტალიზმის ფესვები, კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების მოწყობით უნდა გადავიდეთ კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკიდან კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე.

ამრიგად გამოდის, რომ სასტიკად უნდა ვარჩევდეთ განსხვავებას ჩვენს წყობილებაში არსებულ შესაძლებლობებსა და ამ შესაძლებლობათა გამოყენებას შორის ამ შესაძლებლობათა სინამდვილედ გადასაქცევად.

გამოდის, რომ სავსებით დასაშვებია ისეთი შემთხვევები, როდესაც გამარჯვების შესაძლებლობანი არსებობენ, პარტია კი ვერ ხედავს ამ შესაძლებლობებს, ან ვერ ახერხებს მათ სწორად გამოყენებას, რის გამოც გამარჯვების ნაცვლად გამოდის დამარცხება.

და აი ისევ ის საკითხი: შესძლო თუ არა პარტიამ სწორად გამოეყენებია ის შესაძლებლობანი და უპირატესობანი, რომლებსაც გვაძლევს საბჭოთა წყობილება, ყველაფერს აკეთებდა თუ არა იგი იმისათვის, რომ ეს შესაძლებლობანი სინამდვილედ გადაექცია, სწორად ხელმძღვანელობდა თუ არა პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი სოციალიზმის მშენებლობას განვლილ პერიოდში? რა არის საჭირო პარტიის სწორი ხელმძღვანელობისათვის ჩვენს თანამედროვე პირობებში?

პარტიის სწორი ხელმძღვანელობისათვის, ყოველივე სხვას გარდა საჭიროა, რომ პარტიის ხაზი სწორი იყოს, რომ მასებს ესმოდეთ პარტიული ხაზის სისწორე და აქტიურად უჭერდნენ მას მხარს, რომ პარტია არ კმაყოფილდებოდეს გენერალური ხაზის გამომუშავებით, არამედ დღითიდღე ხელმძღვანელობდეს მის ცხოვრებაში გატარებას, რომ პარტია გადამჭრელ ბრძოლას აწარმოებდეს გადახრებთან გენერალური ხაზიდან და მათდამი შემრიგებლობასთან, რომ გადახრებთან ბრძოლაში პარტია სჭედდეს თავისი რიგების მთლიანობას და რკინისებურ დისციპლინას.

რა გააკეთა პარტიამ და მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა ამ პირობების განხორციელებისათვის?

I. სოციალისტური მშენებლობის მიმართ ხელმძღვანელობის საკითხები

ამჟამად პარტიის ძირითადი გეზია გადასვლა სამეურნეო ფრონტის ცალკე დარგებში სოციალიზმის შეტევიდან მთელ ფრონტზე შეტევაზე როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის სფეროში. მე-XIV ყრილობა უმთავრესად იყო ინდუსტრიალიზაციის ყრილობა. მე-XV ყრილობა იყო უმთავრესად კოლექტივიზაციის ყრილობა. ეს იყო მზადება საერთო შეტევისათვის. განვლილი ეტაპებისაგან განსხვავებით, მე-XVI პარტყრილობის წინა პერიოდი წარმოადგენს სოციალიზმის მთელ ფრონტზე შეტევის პერიოდს, მთელ ფრონტზე გაძლიერებული მშენებლობის, როგორც მრეწველობის სფეროში, ისე სოფლის მეურნეობის სფეროში გაძლიერებული მშენებლობის პერიოდს. მე-XVI ყრილობა არის სოციალიზმის მთელ ფრონტზე გაშლილი შეტევის, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისა და მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელების ყრილობა. აი ორი სიტყვით ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის რაობა.

სწორია თუ არა ეს ხაზი?

დიახ, სწორია. ფაქტები მოწმობენ, რომ ჩვენი პარტიის გენერალური ხაზი ერთად-ერთი სწორი ხაზია (ტაში).

ამას მოწმობენ ის წარმატებები, და მიღწევები, რომლებიც გვაქვს სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. არ მომხდარა და შეუძლებელია, რომ ის გადამჭრელი გამარჯვება, რომელიც პარტიამ განვლილ პერიოდში ქალაქისა და სოფლის სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე მოიპოვა, არასწორი პოლიტიკის შედეგი იყოს. მხოლოდ სწორ გენერალურ ხაზს შეეძლო მოეცა ჩვენთვის ასეთი გამარჯვება.

ამას მოწმობს ის გაავთრებული განგაში ჩვენი პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც ამ უკანასკნელ დროს ასტეხეს ჩვენმა კლასობრივმა მტრებმა, კაპიტალისტებმა და მათმა პრესამ, პამა, ეპისკოპოსებმა და ყველა ჯურის სოციალ-დემოკრატებმა და აბრამოვიჩისა და დანის ტიპის „რუსმა" მენშევიკებმა. კაპიტალისტები და მათი ლაქიები ლანძღავენ ჩვენს პარტიას, მაშასადამე, ჩვენი პარტიის გენერალური ხაზი სწორია (ტაში).

ამას მოწმობს ტროცკიზმის ბედი, რომელსაც ეხლა ყველა იცნობს. ვაჟბატონები ტროცკისტების ბანაკიდან ლაყბობდნენ საბჭოთა ხელისუფლების „გადაგვარების", „ტერმიდორის", ტროცკიზმის „აუცილებელი გამარჯვების" შესახებ და სხ. სინამდვილეში კი რა გამოვიდა? გამოვიდა ტროცკიზმის დაშლა, ტროცკიზმის აღსასრული. ტროცკისტების ერთმა ნაწილმა, როგორც იცით, კავშირი გასწყვიტა ტროცკიზმთან, თავის წარმომადგენელთა მრავალრიცხოვან განცხადებებში აღიარა პარტიის სიმართლე და ხელი მოაწერა ტროცკიზმის კონტრ-რევოლუციონერობას. ტროცკისტების მეორე ნაწილი ნამდვილად გადაგვარდა ტიპიურ წვრილ-ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლუციონერებად და ნამდვილად გადაიქცა კაპიტალისტური პრესისათვის საკავშირო კომპარტიის (ბ) საქმეების შესახებ ცნობების მიმწოდებელ ბიუროდ. საბჭოთა ხელისუფლება კი, რომელიც უნდა „გადაგვარებულიყო" (ან „უკვე გადაგვარდა"), კვლავ სცოცხლობს, აშენებს სოციალიზმს და წარმატებით უტეხს ხერხემალს ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტურ ელემენტებს და მათ წვრილბურჟუაზიულ დამქაშებს.

ამას მოწმობს მემარჯვენე უკლონისტების ბედი, რომელსაც ეხლა ყველა იცნობს. ისინი ლაყბობდნენ და ყვიროდნენ პარტიული ხაზის „დამღუპველობის", საბჭოთა კავშირის „შესაძლებელი კატასტროფის", ჩვენი ქვეყნის პარტიისა და მისი ხელმძღვანელობისაგან „გადარჩენის" საჭიროების შესახებ და სხვ. სინამდვილეში კი რა გამოვიდა? სინამდვილეში გამოვიდა ის, რომ პარტიამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია სოციალიზმის მშენებლობის ყველა ფრონტებზე, ხოლო მემარჯვენე უკლონისტების ჯგუფი, რომელსაც სურდა ჩვენი ქვეყანა „გადაერჩინა", მაგრამ რომელმაც შემდეგ თავის შეხედულობათა შემცდარობა აღიარა, ეხლა მშრალზე ზის.

ამას მოწმობს მუშათა კლასის და გლეხობის რევოლუციონური აქტივობის ზრდა, მშრომელთა მილიონიანი მასების მიერ პარტიის პოლიტიკისათვის აქტიურად მხარის დაჭერა და, დასასრულ, მუშათა და კოლმეურნე გლეხთა ის უნახავი შრომითი ენტუზიაზმი, რომელიც თავისი ბუმბერაზულობით ანცვიფრებს ჩვენი ქვეყნის მტრებსა და მეგობრებს.

აღარ ვლაპარაკობ პარტიისადმი ნდობის ზრდის ისეთ ნიშნებზე, როგორიც არის მუშათა განცხადებები პარტიაში მთელი სამქროებითა და ქარხნებით შესვლის შესახებ. მე-XV ყრილობიდან მე-XVI ყრილობამდე პარტიის წევრთა რიცხვის 600.000-ზე მეტი კაცით გადიდება, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში პარტიაში 200.000 ახალი წევრის შესვლა, რას მოწმობს ყოველივე ეს თუ არა იმას, რომ მშრომელთა მილიონიან მასებს შეგნებული აქვთ პარტიის პოლიტიკის სისწორე და მზად არიან მხარი დაუჭირონ მას?

უნდა ითქვას, რომ ამ ფაქტებს ადგილი არ ექნებოდა, რომ ჩვენი პარტიის გენერალური ხაზი არ იყოს ერთად-ერთი სწორი ხაზი.

ბ) მაგრამ პარტიას არ შეუძლია დასჯერდეს გენერალური ხაზის შემუშავებას პრაქტიკაში. იგი უნდა ხელმძღვანელობდეს გენერალური ხაზის გატარებას მუშაობის მსვლელობაში უნდა აუმჯობესებდეს სამეურნეო მშენებლობის მიღებულ გეგმებს, ასწორებდეს შეცდომებს და წინასწარ აფრთხილებდეს შეცდომათაგან.

როგორ ატარებდა ამ მუშაობას ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი?

ამ დარგში ც. კ-ის მუშაობა უმთავრესად მიმდინარეობდა ხუთწლიანი გეგმის შესწორებისა და ზედმიწევნობის გზით იმ მიზნით, რომ უფრო გაზრდილიყო ტემპები და შემცირებულიყო ვადები; აგრეთვე მუშაობა მიმდინარეობდა სამეურნეო ორგანიზაციების მიერ დასახულ გეგმათა შესრულების შემოწმების გზით.

აი, ც. კ-ის რამდენიმე ძირითადი დადგენილება, რომელიც ასწორებდა ხუთწლიან გეგმას მშენებლობის ტემპების გაზრდისა და შესრულების ვადების შემცირების აზრით.

შავი მეტალურგია: ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს თუჯის წარმოების აყვანას ხუთწლედის უკანასკნელ წელიწადში 10 მილიონ ტონამდე; ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება კი ამ ნორმას საკმაოდ არა სთვლის და ფიქრობს, რომ თუჯის წარმოება ხუთწლედის უკანასკნელ წელიწადში უნდა აყვანილ იქნას 17 მილიონ ტონამდე.

სატრაქტორო მშენებლობა: ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ტრაქტორების წარმოების აყვანას ხუთწლედის უკანასკნელ წელიწადში 55.000 ცალამდე, ხოლო ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება ამას საკმაოდ არა სთვლის და ფიქრობს, რომ ტრაქტორების წარმოება ხუთწლედის ბოლო წელიწადში უნდა აყვანილ იქნას 170.000 ცალამდე.

იგივე უნდა ითქვას ავტომშენებლობაზე, სადაც გეგმით გათვალისწინებულ 100.000 ავტომობილის (საბარგო და მსუბუქი) ნაცვლად ხუთწლედის უკანასკნელ წელიწადში გადაწყვეტილია ავტომშენებლობის აყვანა 200.000 ცალამდე.

იგივე მდგომარეობაა ფერადი მეტალურგიის დარგში, სადაც ხუთწლიანი გეგმის ვარაუდები გადიდებულია 100 პროცენტზე მეტად; სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის დარგშიაც ხუთწლიანი გეგმის ვარაუდები გადიდებულია 100 პროცენტზე მეტად.

მე უკვე აღარაფერს ვიტყვი კომბაინების მშენებლობაზე, რომელიც სრულიად არ იყო გათვალისწინებული ხუთწლიან გეგმაში და რომლის წარმოებაც ხუთწლედის ბოლო წელს უნდა აყვანილ იქნას სულ ცოტა 40.000 ცალამდე.

საბჭოთა მეურნეობათა მშენებლობა: ხუთწლიანი გეგმა ხუთწლედის ბოლო წლისათვის ითვალისწინებს ნათესი ფართობის გადიდებას 5 მილიონ ჰექტარამდე, ხოლო ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება ამ ნორმას საკმაოდ არა სთვლის და ფიქრობს, რომ ხუთწლედის ბოლო წლისთვის საბჭოთა მეურნეობების ნათესი ფართობის სივრცე უნდა აყვანილ იქნას 18 მილიონ ჰექტარამდე.

საკოლმეურნეო მშენებლობა: ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ხუთწლედის ბოლო წლისათვის ნათესი ფართობის გადიდებას 20 მილიონ ჰექტარამდე, ხოლო ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ეს ნორმა აშკარად არასაკმაოდაა ცნობილი (ამ წელს ეს ნორმა უკვე გადაჭარბებით არის შესრულებული) და ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია, რომ ხუთწლედის ბოლოსთვის კოლექტივიზაცია საბჭოთა კავშირში არსებითად დამთავრებული უნდა იყოს და ამ ვადისთვის კოლმეურნეობათა ნათესმა ფართობმა უნდა დაფაროს საბჭოთა კავშირის მთელი ნათესა ტერიტორიის ცხრა მეათედი, რომელთაც ამჟამად ინდივიდუალური მეურნენი ამუშავებენ (ტაში).

და ასე სხვა დარგებშიაც.

ასეთია არსებითად ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა პარტიის გენერალური ხაზის გატარების საქმეში, სოციალისტური მშენებლობის დაგეგმვის საქმეში.

შეიძლება სთქვან, როდესაც ასე საფუძვლიანად სცვლის ხუთწლიანი გეგმის ვარაუდს, ამით ც. კ-ი არღვევს გეგმიანობის პრინციპს და მლახავს დამგეგმავ ორგანოების ავტორიტეტსო. მაგრამ ასეთი ლაპარაკი მხოლოდ სრულიად უიმედო ბიუროკრატებს შეუძლიათ. ჩვენთვის, ბოლშევიკებისთვის ხუთწლიანი გეგმა არ არის რაღაც დასრულებული, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული რამ. ჩვენი ხუთწლიანი გეგმა, როგორც ყოველი სხვა გეგმა, არის მხოლოდ გეგმა მიღებული პირველი ვარაუდის წესით, რომელიც უნდა სწორდებოდეს, იცვლებოდეს და ზედმიწევნით ხდებოდეს ადგილების გამოცდილებისა და გეგმის შესრულების გამოცდილების საფუძველზე. არავითარ ხუთწლიან გეგმას არ შეუძლიან გაითვალისწინოს ყველა ის შესაძლებლობა, რომელიც ჩამარხულია ჩვენი წყობილების წიაღში, და რომელიც მჟღავნდება მხოლოდ მუშაობის პროცესში, გეგმის შესრულების მსვლელობაში ფაბრიკასა, ქარხანასა, კოლმეურნეობასა, საბჭოთა მეურნეობასა, რაიონში და სხვა.

მხოლოდ ბიუროკრატებს შეუძლიათ იმის ფიქრი, რომ საგეგმო მუშაობა გეგმის შედგენით თავდებაო. გეგმის შედგენა ეს მარტო დასაწყისია საგეგმო მუშაობისა. ნამდვილი საგეგმო ხელმძღვანელობა იშლება მხოლოდ გეგმის შედგენის შემდეგ და იმის შემდეგ, როცა ადგილებზე შემოიღება გეგმის განხორციელება, როცა შესწორდება ის და უფრო ზედმიწევნით შეიქნება.

აი რატომ ხსნეს საჭიროდ ც. კ-მა და ცენ. საკონტ. კომისიამ რესპუბლიკის საგეგმო კომისიებთან ერთად შეესწორებინათ და გაეუმჯობესებინათ ხუთწლიანი გეგმა გამოცდილების საფუძველზე მშენებლობის ტემპების აწევისა და შესრულების ვადათა შემცირების აზრით.

აი რას ამბობდა ლენინი საბჭოთა მე-18 ყრილობაზე გეგმიანობისა და გეგმიან ხელმძღვანელობის პრინციპზე, როდესაც ირჩეოდა „გოელროს" ათწლიანი გეგმა:

„ჩვენი პროგრამა პარტიისა არ შეიძლება დარჩეს მხოლოდ პარტიის პროგრამად. იგი უნდა გადაიქცეს ჩვენი სამეურნეო მშენებლობის პროგრამად, თორემ უამისოდ იგი უვარგისი იქნება, როგორც პარტიის პროგრამაც, იგი უნდა შეივსოს პარტიის მეორე პროგრამით, მთელი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და მისი თანამედროვე ტეხნიკამდე მიყვანის გეგმით. ჩვენ იქამდე უნდა მივიდეთ, რომ ერთგვარი გეგმა მივიღოთ. რასაკვირველია, ეს იქნება მხოლოდ გეგმა პირველი მიახლოვების წესით. პარტიის ეს პროგრამა არ იქნება ისე უცვლელი, როგორც ჩვენი დღევანდელი პროგრამაა, რომლის შეცვლა მხოლოდ პარტიის ყრილობებზე შეიძლება. არა, ეს პროგრამა გაუმჯობესდება, დამუშავდება, შეივსება, შეიცვლება ყოველ დღე, ყოველ სახელოსნოში, ყოველ თემში. თვალყური უნდა ვადევნოთ მეცნიერების გამოცდილებას და ადგილობრივ პრაქტიკას და შევეცადოთ, რომ გეგმა დანიშნულ ვადაზე ადრე შესრულდეს, რათა მასებმა დაინახონ, რომ გამოცდილებას შეუძლია შეამოკლოს ის ხანგრძლივი პერიოდი, რომელიც ჩვენ გვაშორებს მრეწველობის სრულ აღდგენას. ეს ჩვენზეა დამოკიდებული. მოდით და ყოველ სახელოსნოში, ყოველ დეპოში, ყოველ დარგში მეურნეობა გავაუმჯობესოთ, მაშინ ვადასაც შევამოკლებთ და ჩვენ მას ვამოკლებთ.

თქვენ ხედავთ, რომ ცეკა მიდიოდა ლენინის მიერ აღნიშნული გზით, იგი სცვლიდა და აუმჯობესებდა ხუთწლიან გეგმას, ამოკლებდა ვადებს, აჩქარებდა აღმშენებლობის ტემპებს.

რა შესაძლებლობას ეყრდნობოდა ცეკა, როცა აღმშენებლობის ტემპებს აჩქარებდა და ხუთწლიანი გეგმის შესრულების ვადებს ამოკლებდა? იმ რეზერვებს, რომელიც ჩვენი წესწყობილების წიაღშია დამალული და რომელიც მხოლოდ მუშაობის მსვლელობაში იჩენს თავს, იმ შესაძლებლობათ, რომელსაც რეკონსტრუქციული პერიოდი გვაძლევს. ცეკა ფიქრობს, რომ მრეწველობის და სასოფლო-მეურნეობის ტეხნიკური ბაზის გარდაქმნა, წარმოების სოციალისტური ორგანიზაციის დროს ისეთ შესაძლებლობებს გვიშლის ტემპის აჩქარების მხრივ, რომელზედაც ვერ იოცნებებს ვერც ერთი კაპიტალისტური ქვეყანა.

მხოლოდ ამ გარემოებით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ჩვენმა სოციალისტურმა მრეწველობამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ორზე მეტად გაადიდა თავისი პროდუქცია, ხოლო ამ მრეწველობის პროდუქციამ 1930-31 წელს წრევანდელ წელთან შედარებით 47 პროც. უნდა მოიმატოს; მხოლოდ ეს უკანასკნელი (ნამატი თავისი ოდენობით გაუთანასწორდება მთელი ომის წინადროინდელი მსხვილი მრეწველობის პროდუქციას.

მხოლოდ ამ გარემოებით შეიძლება ავხსნათ ის ფაქტი, რომ საბჭოთა მეურნეობის აღმშენებლობა სამ წელიწადში ასრულებს ხუთწლიან გეგმას, ხოლო კოლმეურნეობის აღმშენებლობამ უკვე ორ წელიწადში შეასრულა ეს გეგმა.

არსებობს თეორია, რომლის მიხედვით განვითარების ჩქარი ტემპები დასაშვებია, მხოლოდ აღდგენითი პერიოდში, ხოლო რეკონსტრუქციულ პერიოდში აღმშენებლობის ტემპები წლიდან წლამდე სწრაფად უნდა შენელდეს. ამ თეორიას ჰქვია თეორია „ქვემიმავალ მრუდე ხაზისა". ეს თეორია ჩვენი ჩამორჩენილობის გამართლების თეორიას წარმოადგენს. მას არაფერი აქვს საერთო მარქსიზმსა და ლენინიზმთან. ესაა ბურჟუაზიული თეორია, რომლის მიზანია განამტკიცოს ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილობა. იმ ადამიანებიდან, რომელთაც დამოკიდებულება ჰქონდათ ან აქვთ ჩვენს პარტიასთან, ამ თეორიას მხოლოდ იცავენ და ქადაგობენ მხოლოდ ტროცკისტები და, შეიძლება, მემარჯვენე უკლონისტებიც. ტროცკისტებს ზოგიერთნი ზეინდუსტრიალისტებათ სთვლიან. მაგრამ ეს მხედველობა მხოლოდ ნაწილობრივაა სწორი.

ეს სწორი იყო მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ლაპარაკია „აღდგენის" პერიოდის დასასრულზე, როცა ტროცკისტებმა ნამდვილად განავითარეს ზეინდუსტრიალისტური ფანტაზიები, რაც შეეხება რეკონსტრუქციულ პერიოდს, აქ ტროცკისტები ტემპების თვალსაზრისით ყველაზე უკიდურესი მინიმალისტები არიან, ყველაზე საზიზღარი კაპიტულიანტები არიან (სიცილი, ტაში). თავიანთ პლატფორმებსა და დეკლარაციებში ტროცკისტებს არ მოუციათ ციფრობრივი მასალა ტემპების შესახებ და დაკმაყოფილდნენ მხოლოდ საერთო ყბედობით. მაგრამ არსებობს ერთი დოკუმენტი, სადაც ტროცკისტებმა ციფრებში გამოხატეს სახელმწიფო მრეწველობის განვითარების ტემპების თავიანთი გაგება. მე მხედველობაში მაქვს მოხსენების ბარათი „განსაკუთრებული თათბირისა სახელმწიფო მრეწველობისათვის ძირითადი კაპიტალის აღდგენის შესახებ", („ოსვოკ"), რომელიც აგებული იყო ტროცკიზმის პრინციპებზე. საინტერესოა ორი სიტყვით გავარჩიოთ ეს დოკუმენტი, რომელიც შეეხება 1925-26 წელს. საინტერესოა, ვინაიდან ის სავსებით გამოხატავს ტროცკისტული სქემის ქვემავალ მრუდეს.

ამ დოკუმენტის ავტორები წინადადებას იძლეოდნენ დავებანდებიათ სახელმწიფო მრეწველობაში 1926-27 წელს, 1.543 მილ., 1927-28 წელს—1.490 მილ., 1928-29 წელს 1.320 მილ. და 1929-30 წელს. 160 მილ. მანეთი (1926-27 წლის ფასებში).

ასეთია ტროცკისტული ქვემავალი მრუდის სურათი.

რამდენი დავაბანდეთ ჩვენ ნამდვილად? ნამდვილად სახელმწიფო მრეწველობაში ჩვენ დავაბანდეთ 1926-27 წელს 1.065 მილ., 1927-28 წელს 1.304 მილ., 1928-29 წელს 1.819 მილ. და 1929-30 წელს 4.775 მილიონი მანეთი (1926-27 წლის ფასებში).

ასეთია ბოლშევიკური აღმავალი მრუდის სურათი.

ამ დოკუმენტის თანახმად სახელმწიფო მრეწველობის პროდუქცია უნდა გაზრდილიყო 1926-27 წელს 31,6 პროცენტით, 1927-28 წელს 22,9 პროცენტით, 1928-29 წელს 15,5 პროც. და 1929-30 წელს 15 პროცენტით.

ასეთია ტროცკისტული ქვემავალი მრუდის სურათი.

ნამდვილად კი რა შედეგი მივიღეთ ჩვენ აქედან? ნამდვილად სახელმწიფო მრეწველობის პროდუქციის ნამატი შეადგენდა: 1926-27 წელს 19 პროც., 1927-28 წელს 26,3 პროც., 1928-29 წელს 24,3 პროც., 1929-30 წელს—32 პროც., ხოლო 1930-31 წელს შეადგენს 47 პროც.

ასეთია ბოლშევიკური აღმავალი მრუდის სურათი.

ცნობილია, რომ ტროცკი სპეციალურად იცავს ქვემავალი მრუდის ამ კაპიტულიანტურ თეორიას თავის წიგნაკში „სოციალიზმისაკენ თუ კაპიტალიზმისაკენ". ის პირდაპირ ამბობს იქ, რომ რადგან „ომამდე მრეწველობის გაფართოვება უმთავრესად გამოიხატებოდა ახალი ქარხნების აშენებაში", ხოლო „ჩვენს დროში გაფართოება გაცილებით მეტ შემთხვევაში შეიცავს ძველი ქარხნების გამოყენებას და ძველი მოწყობილების დატვირთვას", ამიტომ „ბუნებრივია, მაშასადამე, თუ აღდგენის პროცესის დამთავრების შემდეგ ზრდის კოეფიციენტი საგრძნობლად დაიწევს", ამასთანავე ის წინადადებას იძლევა სამრეწველო ზრდისათვის მივიღოთ არა მარტო ორჯერ, არამედ სამჯერაც მეტი პროცენტი ომის წინადროინდელ ექვს პროცენტთან შედარებით, და „შეიძლება ამაზე მეტიცო"—ამბობს ის.

ამგვარად, მივიღეთ მრეწველობის წლიური ნამატის ექვსი პროცენტი სამზე გამრავლებული. რამდენს შეადგენს ეს? სულ 18 პროც. წელიწადში. მაშასადამე, მრეწველობის წლიური ნამატის 18 პროც. ტროცკისტების აზრით, რეკონსტრუქციის პერიოდში შეადგენს, მრეწველობის განვითარების აჩქარებული ტემპის უმაღლეს პუნქტს, რომლისაკენაც სწრაფვას ისინი იდეალად გვისახავენ.

შეადარეთ ახლა ტროცკისტების ეს უბადრუკი სიბრძნე პროდუქციის იმ ნამდვილ მატებას, რომელიც ჩვენ გვაქვს უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში (1927-28 წ.—26,3 პრ.,) 1928-29 წ.—24,3 პროც., 1929-30 წ.—32 პროც.), შეადარეთ ტროცკისტების ეს კაპიტულიანტური ფილოსოფია სახელმწიფო საგეგმო კომისიის საკონტროლო ციფრების ვარაუდს, რომელიც იძლევა მატების 47 პროცენტს, რაც აღემატება პროდუქციის მატების უდიდეს ტემპებს აღდგენის პერიოდში, და თქვენ გაიგებთ ქვემავალი მრუდის ტროცკისტული თეორიის მთელს რეაქციონურობას და რეკონსტრუქტიულ პერიოდის შესაძლებლობათადმი ტროცკისტების ურწმუნოების მთელს სიღრმეს. აი, სად არის მიზეზი იმისა, რომ ტროცკისტები გაიძახიან ახლა მრეწველობისა და კოლმეურნეობათა მშენებლობის განვითარების ბოლშევიკურ ტემპთა „მეტისმეტობის" შესახებ.

აი, სად არის იმის მიზეზი, რომ ტროცკისტებს ვერ გაარჩევთ თქვენ მემარჯვენე უკლონისტებისაგან. ცხადია, რომ არ გაგვენადგურებია ტროცკისტთა მემარჯვენე უკლონისტური თეორია ქვემავალ მრუდის შესახებ, ჩვენ ისე ვერ შევძლებდით ვერც ნამდვილი გეგმიანობის გაშლა-გაფართოებას, ვერც ტემპების დაჩქარებას, ვერც მშენებლობის ვადების შემოკლებას. რომ გაეწიოს ხელმძღვანელობა ცხოვრებაში პარტიის გენერალური ხაზის გატარებას, რომ გამოსწორდეს და გაუმჯობესდეს მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა, რომ დაჩქარებულ იქნას ტემპები და აცილებული მშენებლობის შეცდომები, პირველ ყოვლისა საჭირო იყო „ქვემავალი მრუდის" რეაქციონური თეორიის განადგურება და ლიკვიდაცია.

ც. კ-ი ასეც მოიქცა, როგორც ამის შესახებ ვლაპარაკობდით ზემოთ.

2) საკითხები შინაპარტიული საქმეების ხელმძღვანელობის. შეიძლება ვიფიქროთ, თითქოს სოციალისტური მშენებლობის სახელმძღვანელოდ წარმოებული მუშაობა და მუშაობა ცხოვრებაში პარტიის გენერალური ხაზის გატარებისათვის მიმდინარეობდა ჩვენს პარტიაში მშვიდად, მტკბარად, უბრძოლველად და ნებისყოფის დაუმძაფრებლად. მაგრამ ეს არ არის სწორი, ამხანაგებო. ნამდვილად ეს მუშაობა მიმდინარეობდა ბრძოლაში შინაპარტიულ სიძნელეებთან, ბრძოლაში ლენინიზმისაგან ყოველგვარ გადახრების წინააღმდეგ, როგორც საერთო პოლიტიკის, ისე ნაციონალური საკითხის დარგში, ჩვენი პარტია სცოცხლობს და წინ მიდის არა უჰაერო სივრცეში. ის სცოცხლობს და წინ მიდის თვით ცხოვრების შუაგულში, ექცევა რა იმ წრის გავლენის ქვეშ, რომელიც მას გარს აკრავს. ხოლო ეს წრე კი ჩვენში, როგორც იცით, სხვადასხვა კლასებისა და სოციალურ ჯგუფებისაგან შესდგება. ჩვენ გაშლილი იერიში მივიტანეთ კაპიტალისტურ ელემენტებზე, ჩვენ ძალიან წინ წავსწიეთ ჩვენი სოციალისტური მრეწველობა, ჩვენ ფართოდ გავშალეთ საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მშენებლობა. მაგრამ ეს მოვლენები როდის სტოვებენ განზე ექსპლოატატორულ კლასებს. ამ მოვლენებს ჩვეულებრივ თან სდევს დრომოჭმულ კლასთა გაღატაკება, კულაკობის გაღატაკება სოფლად, ქალაქის წვრილ-ბურჟუაზიულ წრეების სამოქმედო ასპარეზის შევიწროვება. ცხადია, რომ ყოველივე ეს აწვავებს კლასთა ბრძოლას და მომაკვდავ კლასთა წინააღმდეგობას საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკისადმი. სასაცილო იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ამ კლასების წინააღმდეგობა არ ჰპოვებს ამა თუ იმ გამოხატულებას ჩვენი პარტიის რიგებში. და ის მართლაც პოულობს თავის გამოხატულებას ჩვენს პარტიაში. მომაკვდავ კლასების წინააღმდეგობის გამოხატულებას წარმოადგენენ ყოველგვარი გადახრები ლენინური ხაზიდან, რომელთაც ადგილი აქვთ ჩვენი პარტიის რიგებში.

შეიძლება წარმატებით ბრძოლა კლასობრივ მტრებთან, თუ ამავე დროს არ ვებრძოლეთ გადახრებს ჩვენს პარტიაში, თუ არ დავსძლიეთ ეს გადახრები? არა, არ შეიძლება, ვინაიდან შეუძლებელია ნამდვილი ბრძოლის გაშლა კლასობრივი მტრების წინააღმდეგ, თუ ზურგში გვაქვს მათი გამოხატულება, თუ ზურგში დავტოვეთ ხალხი, რომელსაც არ სწამს ჩვენი საქმე და ყოველმხრივ სცდილობს შეაფერხოს ჩვენი წინსვლა. აქედან—შეურიგებელი ბრძოლა გადახრებთან ლენინური ხაზიდან, პარტიის მორიგი ამოცანაა.

რატომ წარმოადგენს მემარჯვენე გადახრა უმთავრეს საფრთხეს ამჟამად პარტიაში? იმიტომ, რომ ის კულაკური საფრთხის გამოხატულებაა, ხოლო კულაკური საფრთხე ამჟამად, როცა გაშლილ შეტევას ვაწარმოებთ და ვთხრით კაპიტალიზმის ფესვებს, უმთავრეს საფრთხეს წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში.

რა უნდა გაეკეთებია ცენტრალურ კომიტეტს, რომ დაეძლია მემარჯვენე გადახრა, საბოლოოდ გაენადგურებია „მემარცხენე" გადახრა, გაეწმინდა გზა იმისათვის, რომ პარტია მაქსიმალურად შემოკრებილიყო ლენინური ხაზის გარშემო?

ა) საჭირო იყო პირველ ყოვლისა ტროცკიზმის და ტროცკისტული თეორიის ნაშთების საბოლოოდ აღმოფხვრა პარტიაში. ტროცკისტული ჯგუფი, როგორიც ოპოზიცია ჩვენ უკვე დიდი ხანია გავანადგურეთ და გავაგდეთ ჩვენს რიგებიდან. ამჟამად ტროცკისტული ჯგუფი წარმოადგენს ანტიპროლეტარულ და ანტისაბჭოთა კონტრ-რევოლუციონურ ჯგუფს, რომელიც გულმოდგინეთ აწვდის ცნობებს, ბურჟუაზიას ჩვენი პარტიის საქმეების შესახებ. მაგრამ ტროცკისტული თეორიისა და ტროცკიზმის ნაშთები სავსებით ჯერ კიდევ არ არის განდევნილი პარტიიდან. ასე რომ საჭირო იყო პირველ ყოვლისა ამ ნაშთების მოსპობა.

რაში მდგომარეობს ტროცკიზმის ბუნება? ტროცკიზმის ბუნება მდგომარეობს პირველ ყოვლისა იმაში, რომ იგი უარჰყოფს საბჭოთა კავშირში ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის და გლეხობის ძალებით სოციალიზმის აგების შესაძლებლობას, რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ახლო მომავალში არ მოგვეშველა ძლევამოსილი მსოფლიო რევოლუცია, ჩვენ იძულებული ვიქნებით ქედი მოვიხაროთ ბურჟუაზიის წინაშე, გავწმინდოთ გზა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკისათვის.

მაშასადამე, ჩვენ აქ გვაქვს ბურჟუაზიული უარყოფა სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობისა ჩვენს ქვეყანაში, რომელიც დაფარულია „რევოლუციონური" ფრაზით მსოფლიო რევოლუციის გამარჯვების შესახებ. შეიძლება თუ არა ამგვარი შეხედულებებით მუშათა კლასის მილიონიან მასების ამოძრავება შრომითი ენტუზიაზმით.

სოციალისტურ შეჯიბრებისათვის, მასიურ დამკვრელობისათვია, გაშლილ შეტევისათვის კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ? აშკარაა, რომ არა. სისულელე იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენი მუშათა კლასი, რომელმაც სამი რევოლუცია მოახდინა, შრომითი ენტუზიაზმით გაიმსჭვალება, მასიურ დამკვრელობისათვის დაირაზმება იმის გულისათვის, რომ კაპიტალიზმისათვის მოამზადოს ნიადაგი. ჩვენი მუშათა კლასი შრომითი აღფრთოვანებით იმსჭვალება არა კაპიტალიზმის გულისათვის, არამედ იმისათვის, რომ საბოლოოდ დაასამაროს კაპიტალიზმი და საბჭოთა კავშირში ააგოს სოციალიზმი. წაართვით მას სოციალიზმის აგების შესაძლებლობის რწმენა და თქვენ მოსპობთ ყოველგვარ ნიადაგს შეჯიბრებისათვის, შრომითი აღფრთოვანებისა და დამკვრელობისათვის.

აქედან დასკვნა: რომ მუშათა კლასში გამოვიწვიოთ შრომითი აღფრთოვანება, დავრაზმოთ იგი შეჯიბრებისათვის და მოვაწყოთ გაშლილი შეტევა, ამისათვის პირველ რიგში უნდა დაგვესამარებია ტროცკიზმის ბურჟუაზიული თეორია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შეუძლებლობის შესახებ.

მეორე, ტროცკიზმის ბუნება, მდგომარეობს გლეხობის ძირითადი მასების სოფლად სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმის შესაძლებლობის უარყოფაში. რას ნიშნავს, ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ მუშათა კლასს არ ძალუძს გაიყოლიოს გლეხობა ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობის კოლექტიურ რელსებზე გადაყვანის საქმეში და რომ თუ უახლოეს ხანში მუშათა კლასს არ მოუსწრო დახმარებამ—მსოფლიო რევოლუციის გამარჯვებამ—გლეხობა აღადგენს ძველ ბურჟუაზიულ წესწყობილებას.

მაშასადამე, ჩვენ აქ გვაქვს ბურჟუაზიული უარყოფა იმისა, რომ პროლეტარიატის დიქტატურას შესწევს ძალა და საშუალება წაიყვანოს გლეხობა სოციალიზმისაკენ, უარყოფა რომელიც იმალება მსოფლიო რევოლუციის გამარჯვების შესახებ „რევოლუციონური" ფრაზების ნილაბ ქვეშ. შეიძლება თუ არა ასეთი შეხედულებებით გლეხობის ამოძრავება საკოლმეურნეო მშენებლობისათვის, მასიური საკოლმეურნეო მოძრაობის მოწყობა, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის მოხდენა? აშკარაა, რომ არ შეიძლება.

აქედან დასკვნა: რომ მოგვეწყო გლეხობის მასიური საკოლმეურნეო მოძრაობა და მოგვეხდინა კულაკობის ლიკვიდაცია პირველ ყოვლისა საჭირო იყო დაგვესამარებია ტროცკიზმის ბურჟუაზიული თეორია იმის შესახებ, რომ შეუძლებელია მშრომელი გლეხობის ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში.

დაბოლოს, ტროცკიზმის ბუნება მდგომარეობს პარტიაში რკინისებური დისციპლინის საჭიროების უარყოფაში, პარტიაში ფრაქციული დაჯგუფებათა თავისუფლების ქადაგებაში და ტროცკისტული პარტიის შექმნის საჭიროების აღიარებაში. ტროცკიზმისათვის საკავშირო კომუნისტური პარტია (ბ) უნდა იყოს არა შემჭიდროებული მებრძოლი პარტია, არამედ კრებული ჯგუფებისა და ფრაქციების, თავიანთი ცენტრებითა და პრესით. ეს კი რას ნიშნავს? ეს ნიშნავს პარტიაში პოლიტიკური ფრაქციის თავისუფლების მოთხოვნას. ეს იმას ნიშნავს, რომ პარტიაში პოლიტიკურ დაჯგუფებათათვის უფლების შემდეგ უნდა შემოვიღოთ პოლიტიკურ პარტიების თავისუფლება სახელმწიფოში, ე. ი. ბურჟუაზიული დემოკრატია. მაშასადამე, ჩვენ არ გვაქვს აღიარება ფრაქციულ დაჯგუფებების თავისუფლებისა პარტიაში, თვით პოლიტიკური პარტიების დაშვებამდე პროლეტარული დიქტატურის ქვეყანაში, რასაც ფარავენ ფრაზით შინაპარტიული დემოკრატიისა და პარტიაში რეჟიმის გაუმჯობესების შესახებ.

მაგრამ რომ ინტელიგენტური ჯგუფების ფრაქციული კიჟკიჟობის თავისუფლება ჯერ კიდევ არ ნიშნავს შინაპარტიულ დემოკრატიას, რომ გაშლილი თვითკრიტიკა, რომელსაც პარტია ატარებს პარტიული მასების უდიდესი აქტივობა წარმოადგენენ ნამდვილი და ჭეშმარიტი შინაპარტიული დემოკრატიის გამოხატულებას, ეს ტროცკიზმისათვის გაუგებარია. შეიძლება თუ არა პარტიაზე ასეთი შეხედულებების არსებობის დროს რკინისებური დისციპლინის უზრუნველყოფა პარტიაში, რაც საჭიროა კლასობრივ მტრთან წარმატებით ბრძოლისათვის? აშკარაა, რომ არ შეიძლება.

აქედან დასკვნა: რომ უზრუნველვყოთ პარტიის რკინისებური მთლიანობა და პროლეტარული დისციპლინა მასში, საჭიროა პირველ ყოვლისა დავასამაროთ ტროცკიზმის საორგანიზაციო თეორია.

კაპიტულიანტობა საქმით, ასეთია, შინაარსი,—„მემარცხენე" ფრაზები და რევოლუციონურ-ავანტიურისტული ზნე—ასეთია ფორმა, რომელიც ფარავს და რეკლამს უკეთებს კაპიტულიანტურ შინაარს,—ასეთია ტროცკიზმის ბუნება.

ტროცკიზმის ეს ორპირული ბუნება გამოხატავს ორპირულ მდგომარეობას გაღატაკების გზაზე დამდგარ ქალაქის წვრილი ბურჟუაზიისას, რომელიც ვერ ითმენს პროლეტარიატის დიქტატურის „რეჟიმს" და სცდილობს ან „ერთბაშად" გადახტეს სოციალიზმში, რომ თავი დააღწიოს გაღატაკებას (აქედან ავანტიურიზმი და ისტერიკა პოლიტიკაში) ან თუ ეს შეუძლებელია,—წავიდეს ყოველგვარ დათმობებზე კაპიტალიზმის წინაშე (აქედან კაპიტულიანტობა პოლიტიკაში).

ტროცკიზმის ამ ორპირობით აიხსნება ის ფაქტი, რომ თავის ვითომდა „გააფთრებულ" იერიშებს მემარჯვენე უკლონისტების წინააღმდეგ ტროცკიზმი ჩვეულებრივ აგვირგვინებს ბლოკით მათთან, როგორც უნიღაბო კაპიტულიანტებთან.

რას წარმოადგენს თავის თავად ის „მემარცხენე გადახრები", რომელთაც ადგილი ქონდა პარტიაში საკოლმეურნეო მოძრაობის დარგში. ისინი წარმოადგენენ ტროცკიზმის ტრადიციების პრაქტიკულად აღდგენის ერთგვარ, მართალია, შეუგნებელ ცდას, საშუალო გლეხობის მიმართ ტროცკისტული დამოკიდებულების აღდგენის ცდას. ისინი წარმოადგენენ იმ შეცდომებს პოლიტიკაში, რომელსაც ლენინი „ადმინისტრატიულ გადამლაშებას" უწოდებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები, საკოლმეურნეო მოძრაობის წარმატებებით გატაცებული, საკოლმეურნეო მშენებლობის პრობლემას მიუდგა არა როგორც მშენებელი, არამედ როგორც ადმინისტრატორი, უმთავრესად და ამის გამო მთელი რიგი უტლანქესი შეცდომები დაუშვეს.

ჩვენს პარტიაში არის ხალხი, რომელიც ფიქრობს, რომ არაა საჭირო „მემარცხენე" გადახრების მატარებელთა მოწოდება წესრიგისაკენ. ისინი ფიქრობენ, რომ არ არის საჭირო ჩვენი მუშაკების წყენინება და წინააღმდეგობის გაწევა მათი გატაცებისათვის. თუგინდ მას შემდეგ, რაც ამ გატაცებამ შეცდომამდე მიგვიყვანა. ეს—სისულელეა, ამხანაგებო. ასე ლაპარაკი შეუძლია მხოლოდ ისეთ ხალხს, რომელთაც სურთ უსათუოდ მიმდინარეობის მიმართულებით იცურონ. ეს ის ხალხია, რომლებიც ვერას დროს ვერ შეითვისებს ლენინურ ხაზს—გასცურონ მიმდინარეობის წინააღმდეგ, როცა ამას მოითხოვს მდგომარეობა, როცა ამას მოითხოვს პარტიის ინტერესები. ესენი არიან მაჩანჩალები და არა ლიდერები. პარტიამ სწორედ იმიტომ შესძლო ჩვენი ამხანაგების მთელი რაზმების მობრუნება სწორ გზაზე, პარტიამ სწორედ იმიტომ შესძლო შეცდომების გამოსწორება და წარმატებების მიღწევა, რომ იგი გადაჭრით წავიდა მიმდინარეობის წინააღმდეგ, რათა ცხოვრებაში გაეტარებია გენერალური ხაზი. სწორედ ეს არის ლენინიზმის პრაქტიკაში, ლენინიზმი ხელმძღვანელობაში.

აი რატომ ვფიქრობ მე, რომ „მემარცხენე" გადახრების დაუძლეველად ჩვენ ვერ შევსძლებდით იმ წარმატებების მიღწევას საკოლმეურნეო მოძრაობაში, რომელიც ახლა გვაქვს.

ასეთია ტროცკიზმის ნაშთებთან და პრაქტიკაზე მის გამოხატულებებთან ბრძოლის საქმე.

რამდენიმე სხვა მდგომარეობაშია საქმე მემარჯვენე ოპორტუნიზმის შესახებ, რომლის სათავეში იდგენ თუ დგანან ამხ. ბუხარინი, რიკოვი და ტომსკი.

მემარჯვენე უკლონისტების შესახებ, არ ითქმის, რომ ისინი არ აღიარებენ საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობას. არა, ისინი ამას აღიარებენ და ამაშია მათი განსხვავება ტროცკისტებისაგან. მაგრამ მემარჯვენე უკლონისტების უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ფორმალურად აღიარებენ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობას, მაგრამ არ სურთ იცნონ ბრძოლის ის გზები და საშუალებები, რომელთა გარეშე შეუძლებელია სოციალიზმის მშენებლობა. მათ არ სურთ აღიარონ, რომ ინდუსტრიის ყოველმხრივ განვითარება წარმოადგენს ქვაკუთხედს მთელი სახალხო მეურნეობის გარდაქმნისათვის სოციალიზმის საფუძველზე. მათ არ სურთ აღიარონ შეუძლებელი კლასობრივი ბრძოლა კაპიტალისტურ ელემენტებთან და სოციალიზმის, გაშლილი შეტევა კაპიტალიზმზე. მათ არ ესმით, რომ ყველა ეს გზები და საშუალებანი წარმოადგენენ ლონისძიებათა იმ სისტემას, რომელთა გარეშე შეუძლებელია პროლეტარიატის დიქტატურის შენარჩუნება და სოციალიზმის მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში. ისინი ფიქრობენ, რომ სოციალიზმის აგება შეიძლება ჩუმათ, თავისთავად, კლასობრივი ბრძოლის გარეშე, შეუტევლად კაპიტალისტურ ელემენტებზე, რომლებიც ან თავისით მოისპობიან შეუმჩნევლად ან შეეზრდებიან სოციალიზმს. და რადგან ასეთი სასწაულები ისტორიაში არ ხდება, გამოდის, რომ მემარჯვენე უკლონისტები სინამდვილეში მიექანებიან ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აგების შესაძლებლობის უარყოფის თვალსაზრისისაკენ.

მემარჯვენე უკლონისტების შესახებ არც ის შეიძლება ითქვას, რომ ისინი უარყოფენ სოფლად სოციალიზმის მშენებლობაში გლეხობის ძირითადი მასების ჩაბმის შესაძლებლობას. არა, ამას ისინი აღიარებენ და ამაშია მათი განსხვავება ტროცკიზმისაგან. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამას ნორმალურად სცნობენ, ისინი ამავე დროს უარყოფენ იმ გზებსა და საშუალებებს, რომელთა გარეშე შეუძლებელია გლეხობის ჩაბმა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. მათ არ სურთ აღიარონ, რომ საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობები წარმოადგენენ ძირითად საშუალებას—მთავარ გზას გლეხობის ძირითადი მასების ჩასაბმელად სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. მათ არ სურთ აღიარონ, რომ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების გარეშე შეუძლებელია მიღწევა სოფლის გარდაქმნისა სოციალიზმის საფუძვლებზე. ისინი ფიქრობენ, რომ სოფლის გადაყვანა სოციალიზმის რელსებზე შეიძლება ჩუმად, თავის-თავად, კლასობრივი ბრძოლის გარეშე, მხოლოდ მიმწოდებელ-გამსაღებელი კოოპერაციის საშუალებით, ვინაიდან დარწმუნებული არიან, რომ კულაკი თვითონ შეეზრდება სოციალიზმს. ისინი ფიქრობენ, რომ მთავარი ახლა ინდუსტრიის განვითარების მაღალი ტემპები კი არ არის, კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობები კი არ არის, არამედ, ის, რომ „ხელფეხი გაუხსნათ" ბაზრის სტიქიას, „გავანთავისუფლოთ" ბაზარი და „ბორკილები მოხსნათ" ინდივიდუალურ მეურნეობებს, თვით სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებსაც კი.

მაგრამ რადგან კულაკს არ შეუძლია სოციალიზმში შეზრდა, ბაზრის „განთავისუფლება" კი ნიშნავს, კულაკობის შეიარაღებას და მუშათა კლასის განიარაღებას, გამოდის, რომ მემარჯვენე უკლონისტები სინამდვილეში მიექანებიან გლეხობის ძირითადი მასების სოციალიზმის მშენებლობაში ჩაბმის შესაძლებლობის უარყოფის თვალსაზრისისაკენ.

არსებითად ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ თავის მამლაყინწურ ბრძოლებს ტროცკიზმთან მემარჯვენე უკლონისტები ჩვეულებრივ აგვირგვინებენ ფარული მოლაპარაკებით ტროცკისტებთან ბლოკის შეკვრის შესახებ.

მემარჯვენე ოპორტუნიზმის ძირითადი უბედურება ის არის, რომ იგი კავშირს სწყვეტს კლასობრივი ბრძოლის ლენინურ გაგებასთან და ქვეითდება წვრილ ბურჟუაზიული ლიბერალიზმის თვალსაზრისამდე.

ეჭვს გარეშეა, რომ მემარჯვენე გადახრის გამარჯვება ჩვენს პარტიაში იქნებოდა მუშათა კლასის სრული განიარაღების, სოფლად კაპიტალისტური ელემენტების შეიარაღების და საბჭოთა კავშირში კაპიტალიზმის რესტავრაციის შანსების ზრდის მომასწავებელი.

მემარჯვენე უკლონისტები არ დგანან მეორე პარტიის შექმნის თვალსაზრისზე და ამაშია მათი კიდევ ერთი განსხვავება ტროცკისტებისაგან. მემარჯვენე უკლონისტების ლიდერებმა აშკარად აღიარეს თავიანთი შეცდომები და იარაღი დაჰყარეს პარტიის წინაშე. მაგრამ სისულელე იქნებოდა, ამის მიხედვით გვეფიქრა, რომ მემარჯვენე უკლონიზმი უკვე დასამარებულია. მემარჯვენე ოპორტუნიზმის ძალა ამ გარემოებით როდი განიზომება. მემარჯვენე ოპორტუნიზმის ძალა მდგომარეობს წვრილ-ბურჟუაზიულ სტიქიის ძალაში, პარტიაზე საერთოდ კაპიტალისტური ელემენტების და განსაკუთრებით კულაკობის ზეგავლენის ძალაში. და სწორედ იმიტომ, რომ მემარჯვენე გადახრა გამოხატავს დრომოჭმულ კლასების ძირითადი ელემენტების წინააღმდეგობას, სწორედ ამიტომ მემარჯვენე გადახრა არის ძირითადი საფრთხე ჩვენი დროისათვის და პარტიისათვის.

აი ამიტომ პარტიამ საჭიროდ ჩასთვალა გადამჭრელი და შეურიგებელი ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან.

ეჭვს გარეშეა, რომ მემარჯვენე გადახრასთან გადამჭრელი ბრძოლის გარეშე და მისი ხელმძღვანელი ელემენტების იზოლაციის გარეშე, ჩვენ ვერ შევსძლებდით პარტიისა და მუშათა კლასის ძალების მობილიზაციას და ღარიბი და საშუალო გლეხობის მასების ძალთა მობილიზაციას სოციალიზმის გაშლილი შეტევის საქმისათვის, საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობის ორგანიზაციის საქმისათვის, ჩვენი მძიმე ინდუსტრიის აღდგენის საქმისათვის და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის საქმისათვის.

ასეთია „მემარცხენე" და მემარჯვენე გადახრების საქმე პარტიაში.

ამოცანა ის არის, რომ მომავალშიაც განვაგრძოთ შეურიგებელი ბრძოლა ორ ფრონტზე, როგორც „მემარცხენეებთან", რომელნიც წვრილ-ბურჟუაზიულ რადიკალიზმს წარმოადგენენ, ისე მემარჯვენეებთან, რომელნიც წარმოადგენენ წვრილ-ბურჟუაზიულ ლიბერალიზმს.

ამოცანა ის არის, რომ მომავალშიაც განვაგრძოთ შეურიგებელი ბრძოლა იმ შემარიგებელ ელემენტებთან პარტიაში, რომელთაც არ ესმით, ან თავს გვაჩვენებენ, რომ არ ესმით ორ ფრონტზე გადამჭრელი ბრძოლის აუცილებლობა.

ბ) პარტიაში გადახრებთან ბრძოლის სურათი სრული არ იქნება, თუ არ შევეხეთ პარტიაში არსებულ გადახრებს ნაციონალური საკითხის სფეროში. მე მხედველობაში მაქვს, პირველ ყოვლისა, გადახრა ველიკორუსული შოვინიზმისაკენ, ხოლო, მეორეს მხრივ, გადახრა ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ. ეს გადახრები იმდენად შესამჩნევი და შემტევნი არ არიან, როგორც „მემარცხენე", ან მემარჯვენე გადახრა. მათ შეიძლება ვუწოდოთ მცოცავი გადახრები. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ისინი არ არსებობდნენ. არა, ისინი არსებობენ და, რაც მთავარია, იზრდებიან. ეს ეჭვს გარეშეა. ეჭვს გარეშეა, ვინაიდან კლასობრივი ბრძოლის გამწვავების საერთო ატმოსფერა არ შეიძლებაა არ იწვევდეს ერთგვარი ნაციონალური უთანხმოების რამდენადმე გამწვავებას, რასაც თავისი გამოხატულება აქვს პარტიაში. ამიტომ საჭიროა გამოვააშკარავოთ და დღის სინათლეზე გამოვიტანოთ ამ გადახრების ფიზიონომია.

რაში მდგომარეობს ველიკორუსული შოვინიზმისაკენ გადახრის რაობა ჩვენს თანამედროვე პირობებში?

ველიკორუსული შოვინიზმისაკენ გადახრის რაობა მდგომარეობს იმაში, რომ გვერდი აუხვიონ ნაციონალურ სხვადასხვაობას, ენის, კულტურის, ყოფაცხოვრების სხვა დასხვაობას, იმის მისწრაფებაში, რომ მოამზადონ ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების ლიკვიდაცია, ძირი გამოუთხარონ ნაციონალური თანასწორობის პრინციპს, სახელი გაუტეხონ პარტიის პოლიტიკას პრესის, სკოლისა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების ნაციონალიზაციის საქმეში. ამ ტიპის უკლონისტები ამასთან იმას ემყარებიან, რომ ვინაიდან სოციალიზმის გამარჯვების დროს ერები უნდა გაერთიანდნენ, ხოლო ნაციონალური ენები მთლიან საერთო ენად უნდა გადაიქცნენ, დროა მოვახდინოთ ნაციონალურ განსხვავებათა ლიკვიდაცია და ხელი ავილოთ წინად ჩაგრული ხალხების ნაციონალური კულტურის განვითარებისათვის მხარის დაჭერის პოლიტიკაზე.

ამასთან ისინი იმოწმებენ ლენინს, უსწოროდ მოჰყავთ მისი ციტატები, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ ამახინჯებენ ლენინის აზრს და ცილსა სწამებენ მას. ისინი ამბობენ: ლენინმა სთქვა, რომ სოციალიზმში ეროვნებათა ინტერესები გაერთიანდება—აქედან ის ხომ არ გამოდის, რომ დროა ბოლო მოეღოს ნაციონალურ რესპუბლიკებსა და ოლქებს ინტერნაციონალიზმის სასარგებლოდ? ლენინმა 1918 წელს ბუნდის წევრებთან გამართულ პოლემიკის დროს სთქვა, რომ ნაციონალური კულტურის ლოზუნგი ბურჟუაზიული ლოზუნგია—ხომ არ გამოდის აქედან ის, რომ დროა ბოლო მოეღოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაციონალურ კულტურას ინტერნაციონალიზმის სასარგებლოდ? ლენინმა სთქვა, რომ სოციალიზმის დროს ნაციონალური ჩაგვრა და ნაციონალური საზღვრები მოისპობა—ხომ არ გამოდის აქედან ის, რომ დროა ბოლო მოეღოს ხალხთა ნაციონალურ თავისებურობებისათვის ანგარიშის გაწევას და გადავიდეთ ასიმილიაციის პოლიტიკაზე ინტერნაციონალიზმის სასარგებლოდ? და სხვ. და სხვ.

ეჭვს გარეშეა, რომ ეს გადახრა ნაციონალურ საკითხში, რომელსაც თან ინტერნაციონალიზმის ნიღაბს და ლენინის სახელს იფარებს, არსებითად წარმოადგენს ველიკორუსული ნაციონალიზმის ყველაზე მოქნილ და ამიტომ ყველაზე საშიშარ სახეს.

ჯერ ერთი, ლენინს არასოდეს არ უთქვამს, რომ ნაციონალური განსხვავებანი უნდა გაქრენ, ხოლო ნაციონალური ენები, მსოფლიო მასშტაბით, სოციალიზმის გამარჯვებამდე უნდა გაერთიანდნენ და ერთ ენად იქცნენ ერთ სახელმწიფოს ფარგლებში. ლენინი, პირიქით, საწინააღმდეგოს ამბობდა, სახელდობრ: „ნაციონალური და ეროვნული განსხვავებანი ხალხებსა და ქვეყნებს შორის ჯერ კიდევ ძალიან და ძალიან დიდხანს დარჩებიან მსოფლიო მასშტაბით პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელების შემდეგაც კი". როგორ შეიძლება ლენინზე მითითება და ამ მისი მთავარი აზრის დავიწყება?!.

მართალია, ერთი ყოფილი მარქსისტი, დღეს რენეგატი რეფორმისტი, კაუტსკი ამტკიცებს იმის საწინააღმდეგოს, რასაც ლენინი გვასწავლიდა. ლენინის წინააღმდეგ კაუტსკი ამტკიცებს, რომ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას ავსტრია-გერმანიის გაერთიანებულ სახელმწიფოში წარსული საუკუნის ნახევარში, შედეგად მოჰყვებოდა ყველასათვის საერთო გერმანული ენის გაჩენა, ჩეხების გაგერმანელება, რადგან „მარტოდ-მარტო გაცვლა-გამოცვლის ბორკილებისაგან განთავისუფლებული ძალა, მარტოდ-მარტო თანამედროვე ლიტერატურის ძალა, იმ ლიტერატურის, რომლის მატარებელნიც გერმანელები იყვნენ, ყოველივე ძალდატანებითი გერმანიზაციის გარეშე, გერმანელებად გადააქცევდა ჩამორჩენილ ჩეხთა წვრილ ბურჟუებს, გლეხებს და პროლეტარებს, რომელთაც არაფერს მისცემდა მათი დაბეჩავებული ეროვნება" (იხ. „რევოლუცია და კონტრ-რევოლუცია"-ს გერმანული გამოცემის წინასიტყვაობა). გასაგებია, რომ ასეთი „კონცეპცია" სავსებით შეესაბამება სოციალ-შოვინისტ კაუტსკის. სწორედ კაუტსკის ამ შეხედულებას ვებრძოდი მე 1925 წელს ჩემი გამოსვლის დროს აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტში. მაგრამ განა ჩვენთვის, მარქსისტებისთვის, რომელთაც გვსურს ბოლომდე ინტერნაციონალისტებად დავრჩეთ, რაიმე დადებითი მნიშვნელობა აქვს თავგასული გერმანელი სოციალ-შოვინისტის ამ ანტი-მარქსისტულ ლაყბობას? ვინ არის მართალი: კაუტსკი თუ ლენინი? თუ კაუტსკი მართალია, რით ავხსნათ ის ფაქტი, რომ ისეთი შედარებით ჩამორჩენილი ერები, როგორიც ბელორუსები და უკრაინელებია, რომელნიც უფრო ახლო სდგანან ველიკორუსებთან, ვიდრე ჩეხები გერმანელებთან, კი არ გარუსდნენ საბჭოთა კავშირში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების გამო, არამედ, პირიქით, აღორძინდნენ და განვითარდნენ, როგორც დამოუკიდებელი ერები? რით ავხსნათ, რომ ისეთი ერები, როგორიც არიან თურქმენები, ყირგიზები, უზბეკები და ტაჯიკები (ქართველებზე, სომხებსა და აზერბეიჯანელებზე და სხვ. ხომ ლაპარაკიც ზედმეტია), თავიანთი ჩამორჩენილობის მიუხედავად არა თუ არ გარუსდნენ საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვების გამო, არამედ, პირიქით, აღდგნენ და განვითარდნენ, როგორც დამოუკიდებელი ერები? განა ცხადი არაა, რომ ჩვენი პატივცემული უკლონისტები გამოედევნენ მოჩვენებით ინტერნაციონალიზმს და კლანჭებში ჩაუვარდნენ კაუტსკისეულ სოციალ-შოვინიზმს? განა ცხადი არაა, რომ როცა ისინი ერთი სახელმწიფოს ფარგლებში, საბჭოთა კავშირის ფარგლებში, საერთო ენისთვის იბრძვიან, არსებითად წინათ გაბატონებული ენის, სახელდობრ: ველიკორუსული ენის პრივილეგიების აღდგენას მოითხოვენ? სადაა აქ ინტერნაციონალიზმი?

მეორე, რომ, ლენინს არასოდეს არ უთქვამს, ეროვნული ჩაგვრის მოსპობა და ეროვნებათა ინტერესების შედუღება ეროვნულ სხვადასხვაობათა მოსპობას უდრისო. ჩვენ მოვსპეთ ეროვნული ჩაგვრა. მოვსპეთ ეროვნული პრივილეგიები და დავამყარეთ ეროვნული თანასწორობა. მოვსპეთ აგრეთვე სახელმწიფოებრივი საზღვრები ამ ცნების ძველი აზრით, მოვშალეთ მიჯნები და ზღუდეები, საბჭოთა კავშირის ერებს შორის. ჩვენ დავამყარეთ საბჭოთა კავშირის ერთა ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების ერთიანობა. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ამით ეროვნული განსხვავებანი, ეროვნული ენები, კულტურა, ყოფაცხოვრება და სხვ. მოვსპეთ? ცხადია, რომ არა. ხოლო თუ ეროვნული განსხვავება, ეროვნული ენები, კულტურა, ყოფაცხოვრება რჩება, ცხადი არაა, რომ რესპუბლიკების და ოლქების მოსპობის მოთხოვნა თანამედროვე ისტორიულ პერიოდში რეაქციონურ მოთხოვნას წარმოადგენს, მიმართულს პროლეტარიატის დიქტატურის ინტერესების წინააღმდეგ?

ესმით თუ არა ჩვენს უკლონისტებს, რომ დღეს ნაცრესპუბლიკების და ნაცოლქების გაუქმება იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა რესპუბლიკების მრავალმილიონიან მასებს შესაძლებლობა წავართვათ განათლება მიიღონ სამშობლო ენაზე, სკოლა, სასამართლო, ადმინისტრაცია, საზოგადოებრივი და სხვა ორგანიზაციები იქონიონ, სოციალისტურ აღმშენებლობას ეზიარონ? განა ცხადი არაა, რომ მოჩვენებითი ინტერნაციონალიზმის გამოდევნებაში ჩვენი უკლონისტები კლანჭებში ჩაუვარდნენ რეაქციონურ ველიკორუს შოვინისტებს და დაივიწყეს, სრულიად დაივიწყეს ის ლოზუნგი კულტურული რევოლუციისა პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში, რომელსაც ერთნაირი ძალა აქვს საბჭოთა კავშირის ერების, როგორც ველიკორუსებისა, ისე არაველიკორუსებისათვის?

მესამე რომ, ლენინს არასოდეს არ უთქვამს, ეროვნული კულტურის განვითარების ლოზუნგი პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში რეაქციონური ლოზუნგიაო. პირიქით, ლენინი ყოველთვის იმ აზრის ადგა, რომ ერებს უნდა დავეხმაროთ თავიანთი ეროვნული კულტურა განავითარონ, ლენინის და არა სხვისი ვინმეს ხელმძღვანელობით მიიღო პარტიის მე-10 ყრილობამ რეზოლუცია ეროვნული საკითხის შესახებ, სადაც პირდაპირ ნათქვამია, „პარტიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ არაველიკორუს ერების მშრომელ მასებს უნდა დავეხმაროთ დაეწიონ წინ წასულ ცენტრალურ რუსეთს, დავეხმაროთ: ა) განავითარონ და განამტკიცონ საბჭოთა სახელმწიფოებრიობა იმ ფორმებში, რომელიც შეეფერება ამ ერების ნაციონალური ყოფა-ცხოვრებითი პირობებს, ბ) განავითარონ და განამტკიცონ თავიანთ ეროვნულ ენაზე მომქმედი სასამართლო, ადმინისტრაცია, მეურნეობის ორგანოები, ხელისუფლების ორგანოები, შედგენილნი ადგილობრივი პირებისაგან, რომელნიც იცნობენ მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას და ფსიქოლოგიას, გ) განავითარონ თავიანთი სკოლა, პრესა, თეატრი, კლუბების საქმე და საზოგადოთ კულტურულ-გამანათლებელი დაწესებულებანი.

დ) მოაგვარონ და განავითარონ დედაენაზე, როგორც ზოგად-განათლების, ისე პროფესიონალური და ტეხნიკური ხასიათის კურსების და სკოლების ფართო ქსელი.

განა ცხადი არ არის, რომ ლენინი სავსებით და მთლიანად იცავდა პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ნაციონალური კულტურის განვითარების ლოზუნგს? განა ცხადი არ არის, რომ ნაციონალური კულტურის ლოზუნგის უარყოფა პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ნიშნავს საყოველთაო სავალდებულო განათლების საჭიროების უარყოფას ამ ხალხებისათვის. და მათი რეაქციონური ნაციონალისტების სულიერ მონობაში მოქცევას? ლენინს ნაციონალური კულტურის ლოზუნგი ბურჟუაზიის ბატონობის პირობებში მართლაც მიაჩნდა რეაქციონურ ლოზუნგათ, მაგრამ განა შეიძლება სხვანაირად? რა არის ნაციონალური კულტურა ნაციონალური ბურჟუაზიის დროს? ეს არის შინაარსით ბურჟუაზიული, ხოლო ფორმით ნაციონალური კულტურა, რომლის მიზანსაც შეადგენს მასების მოწამვლა ნაციონალიზმის შხამით და ბურჟუაზიის ბატონობის განმტკიცება.

რა არის ნაციონალური კულტურა პროლეტარიატის დიქტატურის დროს? ეს არის შინაარსი სოციალისტური, ხოლო ფორმით ნაციონალური კულტურა, რომლის მიზანსაც შეადგენს მასების ინტერნაციონალურად აღზრდა და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება. როგორ შეიძლება ამ ორი პრინციპიალურად განსხვავებული მოვლენის ერთმანეთში არევა? განა ცხადი არ არის, რომ ლენინი, როდესაც იგი ბურჟუაზიული წყობილების დროს ნაციონალური კულტურის ლოზუნგს ებრძოდა, ილაშქრებდა ნაციონალური კულტურის ბურჟუაზიული შინაარსის წინააღმდეგ და არა მისი ნაციონალური ფორმის წინააღმდეგ? სისულელე იქნება ვიფიქროთ, რომ ლენინს სოციალისტური კულტურა მიაჩნდა არანაციონალურ კულტურად, ისეთ კულტურად, რომელსაც არა აქვს ესა თუ ის ნაციონალური ფორმა. ბუნდოველები ერთ დროს, მართლაც აძლევდნენ ლენინს ამ უაზრობას. მაგრამ ლენინის თხზულებებიდან ვიცით, რომ იგი მკვეთრი პროტესტით გამოვიდა ასეთი ცილისწამების წინააღმდეგ და გადაჭრით გაიმიჯნა ამნაირი უაზრობისაგან. ნუ თუ ჩვენი უკლონისტები იქამდი მივიდნენ, რომ ბუნდოველების კვალს გაჰყვენ?

რაღა დარჩა, ყოველივე ნათქვამის შემდეგ ჩვენი უკლონისტების არგუმენტებიდან?

არაფერი, გარდა ჟონგლიორობისა ინტერნაციონალიზმის დროშით და ცილისწამებისა ლენინის წინააღმდეგ.

ვინც დიდ რუსულ შოვინიზმისაკენ იხრება, ღრმად ცდება. როცა ფიქრობს, რომ სოციალიზმის მშენებლობის პერიოდი საბჭოთა კავშირში თითქო იყოს ნაციონალურ კულტურების დაშლის და ლიკვიდაციის პერიოდი. საქმე სულ სხვანაირადაა. მართლაც, პროლეტარიატის დიქტატურის და სოციალიზმის მშენებლობის პერიოდი საბჭოთა კავშირში არის ნაციონალური კულტურების აყვავების პერიოდი, კულტურების, რომელნიც სოციალისტურ შინაარს ატარებენ, მაგრამ ფორმით ნაციონალური არიან. მათ ალბად, არ ესმით, რომ ნაციონალური კულტურების განვითარება უნდა გაიშალოს ახალი ძალით მშობლიურ ენაზე საყოველთაო სავალდებულო პირველ დაწყებითი განათლების შემოღებით და დაჩქარებით. მათ არ ესმით, რომ მხოლოდ ნაციონალური კულტურების განვითარების პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ ყრილობაზე

(ტელეფონით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

მოსკოვი, 29 ივნისი. 29 ივნისის დილის სხდომას ხსნის ამხ. პეტროვსკი. იწყება კამათი საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ანგარიშის გარშემო.

კამათში გამოდიან ამხ. პოსტიშევი (უკრაინა), პოზერნი (ლენინგრადი) ლეონოვი (მოსკოვი), ეიხე (ციმბირი) ჟუნკოვსკი (უკრაინა), ანდრეევი (ჩრდ. კავკასია), პერეპეჩკო (შორეული აღმოსავლეთი), მოლოსტიკინი (კაზაკსტანი), გუსეინოვი (ტაჯიკისტანი), შემდეგ სიტყვა აიღო მემარჯვენე ოპოზიციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ამხ. უგლანოვმა.

ამხ. უგლანოვს სიტყვას ხშირად აწყვეტინებდნენ ყრილობის დელეგატები, რომელთაც არ აკმაყოფილებდათ მისი განცხადება, რომ ის მზად არის პარტიასთან ერთად იმუშაოს, ვინაიდან მიუხედავად ყველასათვის ცნობილ ფაქტებისა უგლანოვი უარშყოფდა მის მონაწილეობას ფრაქციულ მუშაობაში.

შემდეგ გამოვიდნენ ამხ. ვასილკინი (ცენტრალური შავმიწადგიანი რაიონი) და შებოლდაევი (ქვემო ვოლგა), რომლებიც უნდობლობას გამოსთქვამენ ამხ. უგლანოვის განცხადებისადმი. ამხ. ვარეიკისი და შებოლდაევი მოითხოვენ, როგორც ამხ. უგლანოვისაგან, ისე მემარჯვენე ოპოზიციის დანარჩენი ლიდერების—ამხ. ბუხარინის, რიკოვის და ტომსკისაგან, რომ მათ გადაჭრით და პირდაპირ სთქვან, თუ როგორია მათი პოზიცია ამჟამად.

შებოლდაევის სიტყვის შემდეგ ყრილობის დილის სხდომა დაიხურა.

საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ცენტრალური კომიტეტის მოხსენების გარშემო. გამოვიდნენ ამხ. კოლოტილოვი, (ივანოვ-ვოზნესენსკი), ჟდანოვი (ნიჟნინოვგოროდი), გეი (ბელორუსია), ტომსკი და რიკოვი.

ხვალ, 30 ივნისს, დილიდან გაგრძელდება კამათი ცენტრალური კომიტეტის მოხსენების გარშემო.

რობით შეიძლება ჩამორჩენილი ერივნებანი ნამდვილად ეზიარონ სოციალისტური მშენებლობას. მათ არ ესმით, რომ სწორედ ესაა საფუძველი ახლანდელ მომენტში, პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში, ნაციონალური კულტურების დახმარების, ხელის შეწყობის და განვითარების ლენინური პოლიტიკისა. მაგრამ ამაში არაფერია უცნაური. უნდა განვავითაროთ და გავშალოთ ნაციონალური კულტურები, გამოვავლინოთ ყველა მათი შესაძლებლობანი, რათა შეიქმნეს პირობები მათი შეერთებისათვის ერთ საერთო კულტურული ერთი საერთო ენით.

ფორმით ნაციონალურ, მაგრამ შინაარსით სოციალისტური ნაციონალურ კულტურების აყვავება პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ერთ ქვეყანაში— მათი შეერთებისათვის ერთ საერთო სოციალისტურ (ფორმითაც და შინაარსითაც) კულტურულ ერთი საერთო ენით, როდესაც პროლეტარიატი გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში და სოციალიზმი შეიჭრება ყოფა-ცხოვრებაში, — სწორედ ამაში მდგომარეობს ნაციონალური კულტურის საკითხის ლენინური დაყენების დიალექტიურობა.

შეიძლება სთქვან, რომ საკითხის ასე დაყენება „წინააღმდეგობას“ შეიცავსო. მაგრამ განა ასეთ „წინააღმდეგობას“ არა აქვს ადგილი ჩვენთან სახელმწიფოს საკითხში? ჩვენ სახელმწიფოს გაქრობის თვალსაზრისზე ვდგევართ და ჩვენვე ამასთან ერთად ვაძლიერებთ პროლეტარიატის დიქტატურას, რომელიც წარმოადგენს ყველაზე უფრო მძლავრ, ყველაზე უფრო ლონიერ ხელისუფლებას ყველა დღემდე არსებულ სახელმწიფოებრივ ძალაუფლებასთან შედარებით. სახელმწიფოებრივი ხელისუფლების უმაღლესი განვითარება სახელმწიფოებრივი ხელისუფლების გაქრობისათვის პირობების მომზადების მიზნით. — ასეთია მარქსისტული ფორმულა. ეს „წინააღმდეგობაა“. დიახ. „წინააღმდეგობაა“. მაგრამ ეს წინააღმდეგობა სინამდვილეა და ის მთლიანად გამოხატავს მარქსისტულ დიალექტიკას.

ან, მაგ., ლენინური დაყენება საკითხისა თვით გამოყოფამდე ერივნებათა თვითგამორკვევის უფლების შესახებ, ლენინი ზოგჯერ ნაციონალური თვითგამორკვევის თეზისს გამოხატავს მარტივი ფორმულის სახით: „გაყოფა გაერთიანებისათვის“. თქვენ მხოლოდ წარმოიდგინეთ — გაყოფა გაერთიანებისათვის. ეს პარადოქსადაც კი მოსჩანს, მაგრამ ეს „საწინააღმდეგო“ ფორმულა გამოხატავს მარქსისტული დიალექტიკის იმ ცხოველ სიმართლეს, რომელიც ბოლშევიკებს საშუალებას აძლევს დაიპყრონ ყველაზე მიუდგომელი სიმაგრეები ნაციონალური საკითხების დარგში.

ასევე შეიძლება ითქვას ფორმულაზე ნაციონალურ კულტურის შესახებ: ნაციონალურ კულტურების (და ენების) აყვავება პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში ერთ ქვეყანაში, მათი გაქრობის პირობების მომზადების და ერთ ზოგად სოციალისტურ კულტურად და ერთ საერთო ენად შეერთების მიზნით მთელს მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვების პერიოდში.

ვინც ვერ გაიგო ჩვენი გარდამავალი დროის ეს თავისებურობა და „წინააღმდეგობა“, ვინც ვერ გაიგო ისტორიული პროცესების ეს დიალექტიკა, — ის მარქსიზმისათვის დაღუპულია.

ჩვენი ეკონომისტების უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მათ არ ესმით და არ სურთ გაიგონ მარქსისტული დიალექტიკა.

ასე დგას დიდრუსულ შოვინიზმისაკენ გადახრის საკითხი. ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ეს გადახრა გამოხატავს წინედ გაბატონებულ დიდრუსულ ერივნების მომაკვდავ კლასების მისწრაფებას, რომ დაიბრუნონ დაკარგული პრივილეგიები. აქედან დიდრუსულ შოვინიზმის საფრთხე, როგორც მთავარი საფრთხე პარტიაში ნაციონალური საკითხის დარგში.

როგორია ადგილობრივ ნაციონალიზმისაკენ გადახრის რაობა? ადგილობრივ ნაციონალიზმისაკენ გადახრის რაობა მდგომარეობს მისწრაფებაში განთავისუფლებისაკენ, თავის ნაციონალურ ნაჭუჭის ჩარჩოებში ჩაკეტვისაკენ, მისწრაფებაში თავის ნაციის შიგნით კლასობრივ წინააღმდეგობათა მიჩქმალვისაკენ, მისწრაფებაში რომ თავი დაიცვან დიდ-რუსული შოვინიზმისაგან სოციალისტური მშენებლობის საერთო ნაკადიდან განდგომის გზით, მისწრაფებაში — არ იქნას დანახული ის, რაც აახლოვებს, აერთიანებს საბჭოთა კავშირის ერივნებათა მშრომელ მასებს, და დანახულ იქნას მხოლოდ ის, რასაც შეუძლია მათი ერთი-მეორისაგან დაშორება. ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ გადახრა გამოხატავს წინად დაჩაგრულ ერივნებათა მომაკვდავ კლასების უკმაყოფილებას პროლეტარიატის დიქტატურის რეჟიმით, მათ მისწრაფებას განცალკევდნენ თავის ნაციონალურ სახელმწიფოში და იქ დაამყარონ თავისი კლასობრივი ბატონობა. ამ გადახრის საშიშროება ისაა, რომ ის ანვითარებს ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, ასუსტებს საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხთა მთლიანობას და ხელს უწყობს ინტერვენციონისტებს. ასეთია ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ გადახრის ბუნება.

პარტიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გადამჭრელი ბრძოლა ვაწარმოოთ ამ გადახრასთან და უზრუნველვყოთ საჭირო პირობები საბჭოთა კავშირის ხალხთა მშრომელ მასების ინტერნაციონალური აღზრდისათვის.

ასე დგას გადახრების საკითხი ჩვენს პარტიაში—„მემარცხენე“ და მემარჯვენე გადახრების საერთო პოლიტიკის დარგში და გადახრებისა ნაციონალური საკითხის დარგში.

ასეთია ჩვენი შინაპარტიული მდგომარეობა.

ახლა, როცა პარტია გამარჯვებული გამოვიდა გენეალური ხაზისათვის ბრძოლიდან, როცა ჩვენი პარტიის ლენინური ხაზი მთელ ფრონტზე იმარჯვებს, ბევრს სურს დაივიწყოს ის სიძნელენი, რომელნიც ჩვენს მუშაობაში გვიქმნიდნენ ყველა და ყოველგვარი უკლონისტები. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს ამხანაგები ღრმად ცდებიან. საკმარისია უკან მოვიხედოთ, რომ გავიხსენოთ ტროცკისტების და მემარჯვენე უკლონისტების მოქმედება, საკმარისია მხოლოდ გავიხსენოთ გადახრებთან ბრძოლის ისტორია განვლილ პერიოდში, რომ გავიგოთ ამ პარტიულ ობივატელშჩინის მთელი სიცარიელე და არარაობა.

ეჭვი არ არის, რომ უკლონისტებისათვის ლაგამის ამოუდებლად, გაშლილ ბრძოლაში მათი დაუმარცხებლად, ჩვენ ვერ მივაღწევდით იმ წარმატებებს, რომლებითაც ახლა სამართლიანად ამაყობს ჩვენი პარტია.

ლენინურ ხაზიდან გადახრებთან ბრძოლაში გაიზარდა და განმტკიცდა ჩვენი პარტია. გადახრებთან ბრძოლაში გამოჭედა მან თავისი რიგების ლენინური მთლიანობა. ახლა უკვე არავინ უარყოფს იმ უდავო ფაქტს, რომ პარტია ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა ისე შემჭიდროებული თავისი ცეკას ირგვლივ, როგორც ამჟამად. ახლა ყველა იძულებულია აღიაროს, რომ პარტია ამჟამად მეტად, ვიდრე როდისმე, მთლიანია და შემჭიდროებული, რომ მე-VXI ყრილობა წარმოადგენს ჩვენი პარტიის ერთ-ერთ იშვიათ ყრილობათაგანს, სადაც უკვე არ არის ჩამოყალიბებული, შემჭიდროებული ოპოზიცია, რომელსაც შეეძლოს თავისი განსაკუთრებული ხაზის დაპირისპირება პარტიის გენერალური ხაზისათვის.

რით აიხსნება პარტიის ასეთი გადამჭრელი მიღწევა? ეს მიღწევა აიხსნება იმ გარემოებით, რომ თავის ბრძოლაში გადახრებთან ის ყოველთვის პრინციპიალურ პოლიტიკას აწარმოებდა და არასოდეს არ დაშვებულა დიპლომატიური გეშეფტმახერობის ფარულ კომბინაციებამდე.

ლენინი ამბობდა, რომ პრინციპიალური პოლიტიკა წარმოადგენს ერთად-ერთ სწორ პოლიტიკასო. გადახრებთან ბრძოლიდან ჩვენ იმიტომ გამოვედით გამარჯვებული, რომ პატიოსნად და მტკიცედ ვატარებდით ლენინის ამ ანდერძს (ტაში).

მე ვამთავრებ, ამხანაგებო.

როგორია საერთო დასკვნა?

განვლილ პერიოდში ჩვენ გვქონდა მთელი რიგი გადამჭრელი წარმატებანი სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. ჩვენ ეს წარმატებანი იმიტომ გვქონდა, რომ შევძელით ლენინის დიადი დროშის მაღლა დაჭერა. თუ ჩვენ გვსურს გამარჯვება, შემდეგშიაც მაღლა უნდა გვეკავოს ლენინის დროშა და დავიცვათ ის წმინდად და უმწიკვლოდ (ტაში).

მაშ საერთო დასკვნა.

ლენინის დროშით გავიმარჯვეთ ჩვენ ოქტომბრის რევოლუციისათვის ბრძოლებში.

ლენინის დროშით მივაღწიეთ ჩვენ გადამწყვეტ წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ამ დროშითვე გავიმარჯვებთ მთელი მსოფლიოს პროლეტარულ რევოლუციაში.

გაუმარჯოს ლენინიზმს!

(ოვაცია, ხანგრძლივი ტაში. მთელი დარბაზის ოვაციები).

მე-XVI პარტყრილობა

28 ივნისის დილის სხდომა

ამხ. კაგანოვიჩის მოხსენება

მოსკოვი, 29 ივნისი. სხდომა გაიხსნა ამხ. ვოროშილოვის თავმჯდომარეობით. საორგანიზაციო ანგარიშით გამოვიდა ამხ. კაგანოვიჩი, რომელსაც დარბაზი ხანგრძლივი ტაშით შეხვდა. ამხ. კაგანოვიჩმა მოხსენება დაიწყო იმის აღნიშვნით, რომ საორგანიზაციო მუშაობა, სრული შეფარდებით ლენინის გეზთან, მთლიანად და სავსებით ექვემდებარება პარტიის პოლიტიკას. ამხ. კაგანოვიჩმა დაასურათა ის ძირითადი ამოცანები და ლოზუნგები, რომლებიც პარტიამ წამოაყენა მე-15 ყრილობიდან მე-16 ყრილობამდე განვლილ პერიოდში. შემდეგი ოთხი ამოცანა უნდა გადაეჭრა პარტიის ორგანიზაციულ მუშაობას: 1) ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპების უზრუნველყოფა და, ამ ამოცანასთან შეფარდებით, მუშათა ყველა მასიური ორგანიზაციების გარდაქმნა; 2) სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია და. ამ ამოცანასთან შეფარდებით, სოფლის ყველა ორგანიზაციების გარდაქმნა; 3) პროლეტარული დიქტატურის ორგანოების განმტკიცება, მუშათა მასების კულტურული დონის ამაღლება, კადრების პრობლემა; 4) პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, პარტიის იდეური შეიარაღების და მისი ბრძოლის უნარიანობის ამოცანა. ყველა ეს ამოცანები წარმოადგენდნენ ც. კ.-ის საპროგრამო საორგანიზაციო მუშაობას განვლილ პერიოდში. მე-15 ყრილობიდან განვლილი პერიოდი ხასიათდება მუშათა კლასის დარაზმულობის ზრდით და მისი აქტივობის გადიდებით. პროფკავშირების წევრთა რიცხვი 10 მილიონიდან 1929 წლის პირველ ოქტომბრისთვის ავიდა 11.585.000 კაცამდე. იზრდებიან ნებაყოფლობითი საზოგადოებანი. ულმერთოთა კავშირში 1928 წელს იყო 138.000 წევრი, ეხლა კი არის 2.900.000 წევრი. თავდაცვა-ავიაქიმის წევრთა რიცხვი 2.950.000 წევრიდან 5.100.000 წევრამდე ავიდა. იზრდება მუშკორთა არმია.

პარტიამ მიაღწია პროლეტარიატის ბუმბერაზულ შრომითი აღფრთოვანებას. სწრაფად ვითარდება სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა. დამკვრელთა ლენინის სახელობის გაწვევამ დამკვრელთა რიცხვი ცალკე პროფკავშირებში ორჯერ გაადიდა (თუ მელითონეებში დამკვრელები წინად ყველა მუშათა 27 პროცენტს შეადგენდნენ, ლენინის სახელობის გაწვევის შემდეგ დამკვრელთა რიცხვმა 60 პროცენტს მიაღწია). მაგრამ ადგილებზე არის იმის ცდები, რომ დამკვრელთა მოძრაობას ბიუროკრატიული ელფერი მისცენ, დააწესონ საკონტროლო ციფრები და ლიმიტები, განსაზღვრონ დამკვრელთა რიცხვი და სხვა, პროფკავშირების ძველი ოპორტუნისტული ხელმძღვანელობა ერიდებოდა საწარმოო ხასიათის საკითხებს. მთელი 1928 წლის განმავლობაში საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმს არ განუხილავს არც ერთი დიდი საწარმოო საკითხი, მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში იბრუნეს პროფკავშირებმა პირი წარმოებისაკენ. დამკვრელობის განვითარებაში. კომკავშირელები ხშირად გამოვიდნენ ინიციატორებად და ენერგიულ მუშაობას აჩაღებდნენ. ქვედა საფეხურის პროფორგანიზაციების დიდმა უმრავლესობამ პირი იბრუნა წარმოებისაკენ და წარმოადგენენ დამკვრელობის ავანგარდს. მაგრამ ერთ მეოთხედამდე აღწევს იმ კომუნისტების რიცხვი, რომლებიც მრეწველობაში იმყოფებიან და არ არიან ჩაბმული აქტიურ საწარმოო მუშაობაში. სუსტად იბრუნეს პირი წარმოებისაკენ ქალაქის საბჭოებმა. პარტიის უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს წარმოებაში მყოფი კომუნისტების ტეხნიკური მომზადების დონის ამაღლება. შემდეგ ამხ. კაგანოვიჩი გადავიდა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საკითხზე. ანალიზი გაუკეთა გატარებულ ღონისძიებებს და აღნიშნა ის დიდი მუშაობა, რომელსაც სოფლის კომუნისტები ეწევიან.

ამხ. კაგანოვიჩი მიუთითებს იმას, რომ სოფლად გაძლიერდა პროლეტარიატის ორგანიზაციული როლი (25.000 მუშის გაგზავნა კოლმეურნეობებში, კამპანიებთან დაკავშირებით მუშაკების მივლინება ქალაქიდან სოფლად, საშეფო საზოგადოებების მუშაობა და სხვა). სულ სოფლად გაიგზავნა 250.000 კაცი. პროლეტარული ქალაქის ამოცანაა აამაღლოს და აღზარდოს მოჯამაგირეებისა და სოფლის ღარიბი გლეხების უდიდესი ორგანიზატორული ნიჭის მქონე მასა. მაგრამ სოფლის პარტორგანიზაციის იდეური დონე არ არის მაღალი. ამ დონის ამაღლება—ამბობს მან. კაგანოვიჩი—ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს. იზრდება მშრომელი მასების კულტურული და პოლიტიკური აქტივობა, დამახასიათებელია მასების საარჩევნო აქტივობის ზრდა. დამახასიათებელია ჩვენი პრესის ტირაჟის ზრდა. ჩვენი გაზეთების ერთდროული ტირაჟი, რომელიც 1925 წელს მილიონ ეკზემპლიარს შეადგენდა, ამჟამად აღწევს 22 მილიონ ეკზემპლიარს და 9-10 ჯერ აღემატება რევოლუციის წინა დონეს. დამახასიათებელია წერა-კითხვის შემსწავლელთა რიცხვი: წარსულ წელს წერა-კითხვა შეისწავლა 2 მილიონმა კაცმა, ხოლო მიმდინარე წელს—7 მილიონმა.

ამხ. კაგანოვიჩი თავის მოხსენებაში დიდ ადგილს უთმობს კადრების საკითხს. იგი აღნიშნავს მემარჯვენე უკლონისტების შეცდომებს ამ საკითხში და მიუთითებს კადრების მომზადების კლასობრივ ხასიათზე. ცუდად არის საქმე დაწინაურების მხრით. ამხ. კაგანოვიჩი აღნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდს ახასიათებს ცენტრალური კომიტეტის ადგილებთან დაკავშირების გაძლიერება, ცენტრალური კომიტეტის 66 წევრმა და კანდიდატმა შეასრულა 162 მოგზაურობა პროვინციაში და საერთოდ გაატარა ადგილებზე 115 თვე. ცენტრალურმა კომიტეტმა მოახდინა 71 პარტორგანიზაციის მუშაობის გამოკვლევა და მათგან 11 პარტორგანიზაციის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად სცნო.

გაუმჯობესდა პარტაპარატის სოციალური შემადგენლობა. ნაციონალური ცენტრალური კომიტეტების და საოლქო კომიტეტების მდივნების 48 პროცენტი მუშებია, რომელთა 69 პროცენტი ძველი ბოლშევიკებია, ძველი პარტიული გვარდია. მეტად ძლიერია მუშების ლტოლვა პარტიაში.

ამჟამად ჩვენი პარტიის რიგებში ირიცხება 1.852.000 წევრი და კანდიდატი (აქედან პარტიის წევრებია 1.210.000). დაზგის მუშები პარტიის რიგებში მე-16 ყრილობის დროს შეადგენდნენ პარტიის მთელი შემადგენლობის 35 პროცენტს, მე-15 ყრილობის დროს —40 პროცენტს, ხოლო ახლა, მე-16 ყრილობის დროს, შეადგენენ 48 პროცენტს. ამხ. კაგანოვიჩი აღნიშნავს შინაპარტიული დემოკრატიის უდიდეს ზრდას, ხელმძღვანელი პარტიული კადრების დიდ განახლებას, ხელმძღვანელ სამუშაოებზე ახალგაზრდა პარტიულების და ქალების დაწინაურებას და სხვა. შინაპარტიული დემოკრატიის გაშლა მიმდინარეობდა უსასტიკესი ბრძოლის საფუძველზე პარტიის გენერალური ხაზისათვის, მემარჯვენე გადახრის, როგორც მთავარი საფრთხის, წინააღმდეგ და „მემარცხენე“ გადახვევების წინააღმდეგ. პარტიამ შეინარჩუნა რკინისებური დისციპლინა და თავისი რიგების მებრძოლი მთლიანობა და გაადიდა თავისი წევრების იდეური დონე ფრაქციულობის ყოველგვარი გამომჟღავნების წინააღმდეგ ბრძოლაში. პარტიამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია მხოლოდ იმიტომ, რომ მტკიცედ მიდიოდა ლენინური გზით. წინასწარმეტყველება, რომელიც უხვად გაისმოდა ოპორტუნისტების მხრით პარტიის გათიშვისა და დაღუპვის შესახებ, ცხოვრებამ დაამარცხა. ამხ. კაგანოვიჩის მოხსენებას, რომელსაც ხშირად სწყვეტდა ტაშის ცემა, მოუნდა ყრილობის მთელი დილის სხდომა.

28 ივნისის საღამოს სხდომა

სარევიზიო კომისიის მოხსენება

დღის წესრიგში სარევიზიო კომისიის მოხსენება.

მომხსენებელი **ვლადიმირსკი** აუწყებს ყრილობას, როგორ ტარდებოდა ცხოვრებაში მე-16 პარტკონფერენციის დადგენილება ფასიანი პარტიული აპარატის შემოკლებისა და აპარატის მუშაობაში პარტიული აქტივის ჩაბმის შესახებ. ამ დარგში მიღწეულია საგრძნობი შედეგები. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაუმჯობესდა პარტიის საფინანსო მეურნეობაც. შემცირდა ხარჯები პარტაპარატის ზედა და საშუალო რგოლების შენახვაზე და გაიზარდა ქვედა აპარატის შესანახი ხარჯები. იგივეა კომკავშირშიც.

მისალმებები

საღამოს სხდომის მეორე ნაწილი მოუნდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული მრავალრიცხოვანი მუშათა დელეგაციების მისალმებების მოსმენას. ყრილობას მხურვალე სალამს უძღვნიან „კუზბასის“ მაღაროს მუშები და რკინისგზელები, რომლებმაც ყრილობას ჩამოუტანეს საჩუქრად 250 ტონა ქვანახშირი. ყრილობა მხურვალედ შეეგება თურქესტან-ციმბირის რკინისგზის მშენებელთა დელეგაციას, რომელმაც ყრილობას გადასცა მშენებელთა კოლექტივის საზეიმო დაპირება, რომ ვადამდე დაამთავრებს გზას და გადასცემს საექსპლოატაციოდ.

აკადემიკოსი მარის და პროფესორი კელერის გამოსვლა გადაიქცა მუშათა კლასის მეცნიერების იმ წარმომადგენელთა მთლიანობის დემონსტრაციად, რომლებიც მუშათა კლასთან ერთად მიდიან სოციალისტური მშენებლობის გზით. ყრილობის დელეგატებმა ოვაციები გაუმართეს მისალმებისათვის მოსულ მეცნიერთ, რომელთაც სასტიკად დაჰგმეს ოპოლიტიურობა და მოუწოდეს ყველა სწავლულ სპეციალისტებს მთელი თავიანთი ძალღონე მოახმარონ სოციალისტური მშენებლობის და პროლეტარიატის რევოლუციონური ბრძოლის საქმეს. ლიპეცკის ლითონის კომბინატის „ზაპოროჟიეს“, ქარხანა „კომუნარ“-ის, მუშების, საბჭოთა მეურნეობების ქარხნების, აგრეთვე ჩრდილოეთ - კავკასიის კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა მრავალ რიცხოვანმა წარმომადგენლებმა თავიანთ მისალმებებში ყრილობის წინაშე გადაშალეს პარტიის და მშრომელი მასების მიღწევები სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. მათ სთხოვეს ყრილობას მოსპონ მემარჯვენეები პარტიის რიგებში.

მე-16 ყრილობის სახელით დელეგაციებს პასუხი გასცა ამხ. **იაროსლავსკიმ**, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს მიღწევები იმის შედეგია, რომ პარტიის პროგრამა მუშა-ლიონების პროგრამად გადაიქცა.

ამის შემდეგ ამხ. იაროსლავსკიმ წაიკითხა საბჭოთა კავშირის რევოლუციონური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. **კამენევის** მიმართვა მე-16 ყრილობისადმი. მიმართვაში ამხ. კამენევი სთხოვს ყრილობას მიიღოს იგი პარტიის რიგებში.

„მე მინდა—სწერს ამხ. კამენევი—ჩემი დანარჩენი ცხოვრება, რომელიც ახლა პოლიტიკურად შეგნებული და მომზადებულია, მოვახმარო სოციალისტურ მშენებლობას, როგორც პარტიის წევრმა“.

დიახ, იცოდნენ საბჭოთა კავშირის მილიონიანმა მასებმა—ამბობს დასასრულ ამხ. იაროსლავსკი,— რომ ყრილობას ასულდგმულებს მისწრაფება, რაც შეიძლება მოკლე ვადაში, მიაღწიოს სოციალიზმის გამარჯვებას და კლასობრივი საზოგადოების სრულ მოსპობას. პარტიის მე-16 ყრილობა დარწმუნებულია, რომ მილიონიანი მასები ხელს შეუწყობენ ყველა პირობების განხორციელებას კომუნიზმის სრულ გამარჯვებამდე. მე-17 ყრილობაზე ჩვენ მაშინ შევიკრიბებით, როდესაც ხუთწლედი შესრულებული და გადაჭარბებით შესრულებული იქნება.

ამხ. იაროსლავსკის სიტყვები ყრილობის ძლიერმა ტაშმა დაფარა.

ამით დამთავრდა 28 ივნისის საღამოს სხდომა.

გერმანია დიდი გაფიცვების წინ

ფინეთის ფაშისტები გადატრიალებისათვის ემზადებიან

ესპანეთის მუშები კომპარტიის ხელმძღვანელობით ებრძვიან ფაშისტურ დიქტატურას

გერმანიაში მზადდება დიდი გაფიცვა

ბერლინი, 29 ივნისი. იმის გამო, რომ 1-ლ ივლისიდან ძალაში შედის ჩრდილოეთ-დასავლეთის სამრეწველო რაიონის საარბიტრაჟო კომისიის დადგენილება მუშათა ხელფასის შემცირების შესახებ, მთელი რიგი ქარხნების მუშებმა მიიღეს დადგენილებები 1-ლ ივლისს გამოაცხადონ გაფიცვა რევოლუციონური პროფოპოზიციის ხელმძღვანელობით. რეფორმისტები უარ აცხადებენ მისცენ გაფიცულებს დახმარება. მათ განაცხადეს, რომ მუშებს საკუთარი რისკით შეუძლიათ მოაწყონ გაფიცვაო. მთელ რურის რაიონში გაადიდეს პოლიციელთა რიცხვი. ღამით პოლიცია აწარმოებს ტაქტიკურ მუშაობას და ვარჯიშობს საბარიკადო ბრძოლაში (ადს).

ფინეთის ფაშისტების მზადება

ჰელსინგფორსი, 29 ივნისი. გაზეთების ცნობით, ლაპუაში და ჰელსინგფორსში გამალებული მზადებაა ფაშისტების ლაშქრობისათვის. მოელიან, რომ ამ დღეებში ფაშისტების ხელმძღვანელნი განმარტავენ ლაშქრობის მიზნებს. გაზეთების სიტყვით, ფაშისტები სამხედრო წესების კანონს უფრო მნიშვნელოვნად სთვლიან, ვიდრე რესპუბლიკის დაცვის კანონს (ადს).

„ლაპუას მოძრაობა მხოლოდ კომუნიზმის წინააღმდეგაა მიმართული“

ჰელსინგფორსი, 28 ივნისი. „ტან“-ის კორესპონდენტთან საუბრის დროს ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ლაპუას მოძრაობა მიმართულია მხოლოდ კომუნიზმის წინააღმდეგ და მიზნად ისახავს კომუნისტური პროპაგანდის საბოლოო ლიკვიდაციას; მოძრაობა პატივისცემით ეპყრობა დემოკრატიას და არ მიისწრაფვის დიქტატურისაკენ, ან არსებული წესწყობილების დამხობისაკენ“. გაზეთები იუწყებიან, რომ სეიმის გახსნის პირველ დღეს მთავრობა შეიტანს სამ კანონპროექტს, კერძოდ რესპუბლიკის დაცვის კანონპროექტს და პროექტს ბეჭდვითი სიტყვის კანონის შეცვლის შესახებ. ბეჭდვითი სიტყვის კანონის პროექტი ითვალისწინებს, რომ პრეზიდენტს მიეცეს განჩენის გამოტანამდე პერიოდულ გამოცემათა აკრძალვის უფლება, აგრეთვე იმის უფლება, რომ დააწესოს სასჯელი კონფისკაციაქმნილ გამოცემათა, ან ამ უკანასკნელთა ნაცვლად გამოსულ გამოცემათა გავრცელებისათვის. პროკურორსა და პოლიცმეისტერს უფლება ეძლევათ მოახდინონ დანაშაულებრივი გამოცემის კონფისკაცია იუსტიციის მინისტრის მიწერილობის მოულოდნელად (ადს).

საყოველთაო გაფიცვა სევილიაში

პარიზი, 29 ივნისი. სევილიის მუშების უმეტესობა, მიუხედავად საალყო წესებისა და მასიურ დაპატიმრებისა, განაგრძობს გაფიცვას. სოლიდარობის ნიშნად საერთო გაფიცვა გამოაცხადეს იულავის და გრენადის მუშებმა და ამ ქალაქების ახლო მდებარე ოლქების სასოფლო-სამეურნეო მუშებმა. სარკინიგზო მიმოსვლა შეფერხებულია. ფაბრიკებს იცავს ჯარი. მთელი დღე და ღამე მუშაობს სპეციალური ტრიბუნალი, რომელსაც უსასტიკესი განაჩენი გამოაქვს გაფიცვის აქტიურ მონაწილეობისათვის. მთავრობა იმუქრება, რომ „ცეცხლითა და რკინით ჩააქრობს აჯანყებას“. სავსებით მართლდება, რომ მოძრაობას ხელმძღვანელობს კომპარტია, რომლის ლოზუნგებმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა მუშების და მოჯამაგირეების მასებში.

უმუშევართა ყრილობის წინ

ნიუ-იორკი, 29 ივნისი. პროფმთლიანობის რევოლუციური ლიგა, უმუშევართა სრულიად ამერიკის ამ ყრილობასთან დაკავშირებით, რომელიც 4 ივლისს უნდა შეიკრიბოს, ჩრდილოეთ-ამერიკის ყველა სამრეწველო ცენტრებში ატარებს უმუშევართა დემონსტრაციებს. მრავალ ქალაქში პოლიციამ დემონსტრაციები გაფანტა.

კემპდენში (ნიუ-ჯერსის შტატი) 25 ათასმა მუშამ იერიში მიიტანა იმ კანტორებზე, რომლებიც სამუშაოს ძებნას აწარმოებენ. გაიმართა მიტინგი, რომელზედაც წამოაყენეს ლოზუნგები უმუშევართათვის დახმარების მიცემის, შვიდი საათის სამუშაო დღის და ხუთდღიანი კვირის შემოღების შესახებ. უმუშევრებს და პოლიციელებს შორის მოხდა რამდენიმე შეტაკება (ადს).

დემონსტრაცია ინგლისის საკონსულოსთან ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 28 ივნისი. ინგლისის საკონსულოს წინ გამართა 3.000 მუშის დემონსტრაცია, რომელიც მოაწყო კომპარტიამ. დემონსტრაციის ლოზუნგები იყო: ინდოეთის დამოუკიდებლობა და ბოიკოტისთვის და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის გამოაშკარავება. მიტინგის შემდეგ დემონსტრანტებმა პლაკატებითა და დროშებით გაიარეს საკონსულოს წინ. პოლიცია თავს დაესხა დემონსტრანტებს და განსაკუთრებული სიმკაცრე გამოიჩინა. ბევრ დემონსტრანტს სცემეს, ბევრი დასჭრეს (ადს).

ამხ. კამენევის მიმართვის გაგრძელება ზემოთ, მე-XVI პარტყრილობის ანგარიშშია.

სხვადასხვა

✵ **პოლონეთის საელჩოს წინ პარიზში** გაიმართა დემონსტრაცია ლვოვის პოლონელ კომკავშირელებისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის წინააღმდეგ. დემონსტრანტებმა ჩაამტვრიეს შუშები საელჩოს შენობაში.

✵ **4 ივლისს ჩიკაგოში** შესდგება სრულიად ამერიკის უმუშევართა ყრილობა. ნიუ-იორკის პროფესიონალური მთლიანობის რევოლიუციონური ლიგა გაცხოველებით ემზადება ყრილობისათვის და მართავს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების ყველა სამრეწველო ცენტრებში უმუშევართა დემონსტრაციას. მთელ რიგ ქალაქებში პოლიციამ გარეკა დემონსტრანტები.

✵ **ქ. აბოს სასამართლომ** (ფინეთი) 6 კომუნისტს, რომლებსაც ბრალდებოდათ „შპიონაჟი“, მიუსაჯეს დაპატიმრება წლინახევრიდან ხუთ წლამდე.

✵ **რურის კომპარტიის ორგანიზაციაში** შევიდა 857 მუშა. მათ შორის ბევრია სოციალ-დემოკრატი დიდი სტაჟით.

✵ **ინგლისის ხელისუფლება** შეუდგა ტრანსიორდანიის აღმოსავლეთ საზღვრების გამაგრებას. უკვე დაწყებულია სამი ახალი ფორ-

⌗ **მაისში ჩრდილოეთ ამერიკის** შეერთებული შტატებიდან გაიტანეს დაახლოვებით 70 მილიონი დოლარის ფაბრიკატები, ნაცვლად გასული წლის მაისში გატანილი 20 მილიონი დოლარის ფაბრიკატებისა. ნახევარ ფაბრიკატები გატანილ იქნა 29 მილიონ დოლარის, შარშანდელი 59 მილიონი მანეთის ნაცვლად. (ადს).

⌗ **საბერძნეთის პარლამენტმა** დამტკიცა საბერძნეთ - თურქეთის ხელშეკრულება ლტოლვილთა გაცვლის შესახებ.

● **დაიწყო რეგულიარული რეისები** ლენინგრადსა და ნიუ-იორკს შორის.

● **საბჭოთა მეურნეობა „გიგანტ“-ში** დაიწყო მოსავლის აკრეფა. კომბაინების ყველა ბრიგადებმა ერთად დაიწყეს მუშაობა.

● **ხაბაროვსკში ვრანგელის** კუნძულიდან მიიღეს რადიო, რომ საბჭოთა კოლონიამ კარგად გაატარა ზამთარი. კოლონისტები ითხოვენ გაზეთების მიწოდებას მათთვის აეროპლანის საშუალებით.

● **ჩიკაგოს პოლიციამ** გარეკა უმუშევართა კომიტეტის მიერ მოწყობილი მიტინგი.

● **შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატამ** მოიწონა კანონპროექტი 30 მილიონი დოლარის გადადების შესახებ სამი კრეისერის გადასაკეთებლად.

● **„ზერნოტრესტი“-ს მოწვევით** საბჭოთა კავშირში მოემგზავრება ამერიკაში უდიდესი ინდუსტრიალური ფირმის პატრონი ტომას კემპბელი, რომელიც ერთხელ უკვე იყო საბჭოთა კავშირში.

● **შეერთებული შტატების პრეზიდენტმა** გუვერმა ვეტო დაადო კონგრესის მიერ მოწონებულ კანონპროექტს ომის ვეტერანებისათვის პენსიების მიცემის შესახებ.

● **ბელგრადში დასრულდა** მუშათა ჯგუფის პროცესი, რომელსაც კომპარტიის წევრობა და კომუნისტური ლიტერატურის შენახვა ბრალდებოდა. 9 კაცს რამდენიმე წლის ციხე მიუსაჯეს.

ნაციონალ-დემოკრატები ილაშქრებენ პილსუდსკის წინააღმდეგ

ვარშავა, 29 ივნისი. სახალხო დემოკრატები, რომლებიც მემარცხენე ცენტრის ხვალინდელ ყრილობაში (კრაკოვში) მონაწილეობას არ იღებენ, გამოაქვეყნეს დეკლარაცია, რომელიც ძლიერ მკაცრი გამოთქმებით აკრიტიკებს მთავრობას. ვარშავაში გამართულ მიტინგზე სახალხო დემოკრატების ბელადმა რიბარსკიმ განაცხადა: „დადგა დრო, როდესაც ვერავინ ვერ დადგება განზე. ნაციონალ-დემოკრატიულმა პარტიამ თავის ხელში უნდა აიღოს მმართველ-გამგეობა“.

ნაციონალ-დემოკრატების დემონსტრაცია, რომელიც რიბალსკის სიტყვის შემდეგ გაიმართა, პოლიციამ გაფანტა“ (ადს).

საფრანგეთის კოლონიალური პოლიტიკის საწინააღმდეგო მიტინგი

პარიზი, 29 ივნისი. საზამთრო პარკში, რომლის ირგვლივაც მრავალი პოლიციელები იყვნენ შეგროვილი, გაიმართა კომპარტიის მიერ მოწვეული მიტინგი საფრანგეთის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ. მიტინგს დაესწრო 5.000 კაცი. მუშები ოვაციებით შეეგებნენ კაშენის სიტყვებს: „ამჟამად, როდესაც მეტროპოლიაში და კოლონიებში რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ სასტიკ რეპრესიებს მიმართავენ, მოსკოვში საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-16 ყრილობა ჯამს უკეთებს უდიდეს სოციალისტურ მშენებლობას. არავითარ რეპრესიებს არ ძალუძთ დაუძლიონ საერთაშორისო პროლეტარიატს საბჭოთა კავშირის სოციალიზმის მშენებელ მშრომელთა მიღწევები“.

მიტინგი მხურვალე ოვაციით შეეგება ინდო-ჩინელი სტუდენტი ქალის გამოსვლას, მან თავისი სიტყვა დაამთავრა შეძახებით „გაუმარჯოს საბჭოებს“.

მიტინგის დაშლის შემდეგ დააპატიმრეს მისი ინდო-ჩინელი მონაწილეები (ადს).

კომუნისტების წინადადება ჭკუაში არ დაუჯდათ

ბერლინი, 29 ივნისი. ნაციონალისტების მიერ ბერლინის აღმოსავლეთ ნაწილში მოწვეულ კრებაზე დამსწრეებმა მოითხოვეს—მისცემოდა სიტყვა კომუნისტების ორატორს. ამის შემდეგ ფაშისტები თავს დაესხნენ კომუნისტებს. დარბაზში, სადაც 3,000 კაცზე მეტი იყო შეგროვილი, მოხდა სასტიკი შეტაკება, დაიჭრა 50 კაცზე მეტი, მათ რიცხვში 12 კაცი მძიმედ არის დაჭრილი. კომუნისტებმა და მათმა მომხრე დამსწრეებმა დარბაზი დასტოვეს მწყობრად, ინტერნაციონალის სიმღერით და „რო ფრონტ“-ის ძახილით (ადს).

კერძო ვაჭარი გადასახადს ემალება

საკავშირო ფინსახკომის ცირკულიარი

მოსკოვი, 29 ივნისი. უკანასკნელ ხანებში ბაზარი გადაიქცა იმ ადგილად, სადაც კერძო ვაჭარმა გადაიტანა თავისი სპეკულიანტური მუშაობის სიმძიმის ცენტრი. ამასთან ერთად ამ ვაჭართა მეტი ნაწილი სრულებით არ იხდის გადასახადს. საკავშირო ფინსახკომი თავის ცირკულიარში აღნიშნავს, რომ საჭიროა ბაზარზე მოვაჭრე ყველა კერძო ვაჭრებს გადახდეს სათანადო კანონებით გათვალისწინებული გადასახადი. ფინსახკომი სასტიკად აფრთხილებს ყველა ფინორგანოებს, რათა ამ მიმართულებით გატარებულმა ღონისძიებებმა არ იქონიონ გავლენა ადგილობრივი ბაზრების ნორმალურ მუშაობაზე. ყველა გლეხები, მათ რიცხვში კოლმეურნეობებიც, რომლებიც თავიანთი მეურნეობის პროდუქტებს ჰყიდიან, როგორადაც ეს საგადასახადო კანონმდებლობით არის გათვალისწინებული, გადასახადს არ იხდიან (ადს).

ნიაღვარის შედეგები

ბათომი, 29 ივნისი. კომიტეტის წინასწარი ცნობებით, ნიაღვრებისაგან ხულოს რაიონში დაზარალდა 150 ჰექტარი სიმინდის ნათესი, აქედან დაიღუპა 100 ჰექტარი ნათესი. ქედის რაიონში — 600 ჰექტარი, დაიღუპა 300 ჰექტარი ნათესი. ქობულეთის რაიონში 120, ბათუმის რაიონში — 50 ჰექტარი. ყველგან ხელ ახალ თესვას შეუდგენ (ადს).

ბორჯომი, 29 ივნისი. მტკვარში წყალმა კლება დაიწყო. შეუდგენ ადიდებული წყლის მიერ წაღებული ორი ხის ხიდის შეკეთებას (ადს).

ქუთაისი, 29 ივნისი. სიმინდზე გავლენა არ მოუხდენია წვიმას, რომელიც ორი უკანასკნელი დღის განმავლობაში მოდიოდა. სიმინდის კარგი პირი უჩანს.

პირველი თოხნა ყველა სოფელში დამთავრდა. შეუდგენ მეორე თოხნას. კოლექტივებში შრომის ორგანიზაციის წყალობით, თოხნა წარმატებით მიმდინარეობს (ადს).

დავით კლდიაშვილის იუბილე

29 ივნისს, სახელმწიფო ოპერის თეატრში დიდი ზეიმით გადახდილ იქნა მცხოვანი მწერლის დავით კლდიაშვილის 40 წლის სალიტერატურო მოღვაწეობის აღსანიშნავი იუბილე.

საიუბილეო საღამო გახსნა ამხ. მარიამ ორახელაშვილმა, რომელიც მთავრობისა და განსახკომის სახელით მისალმა იუბილიარს. თავის სიტყვაში ამხ. მარია ორახელაშვილმა ვრცლად დაახასიათა დავით კლდიაშვილის შემოქმედება და მისი მნიშვნელობა.

იუბილიარს მიესალმნენ: საქართველოს მწერალთა ფედერაციის სახელით — მწერალი **გრიგოლ რობაქიძე**; პროფკავშირების და რკინისგზელების სახელით — ახ. **ნაცვლიშვილი**; ქალაქის საბჭოდან— ამხ. **ს. დოლიძე**; პროლეტ. მწერალთა ასოციაციის სახელით— ამხ. **სანდრო ეული**; უმაღლესი სასწავლებლების სახელით — **პროფესორი კეკელიძე**; სახელგამიდან — **მიწიშვილი**; სიმონეთის გლეხობის და ინტელიგენციის სახელით— **ლომთაძე**. სახელმწიფო მეორე თეატრის სახელით — რეჟისორი **კოტე მარჯანიშვილი**; რუსთაველის თეატრის სახელით— **ნიკო გოცირიძე**; ამიერ-კავკასიის მწერალთა კულტურულ კავშირის სახელით — **არისტო ჭუმბაძე**; სომხეთის მწერლების სახელით— ამხ. **ვართანიანი**; განათლების მუშაკთა კავშირის სახელით,— **პროფ. ახვლედიანი**.

მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრის სახელით იუბილიარს მისალმა — **მსახიობი გეროტი**; მებეჭდავთა კავშირიდან ამხ. **მ. გოგვაძე**; არსენალის მუშების სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **ასლამაზოვამ**; სახელმწიფო ინსტიტუტიდან— ამხ. **წერეთელი**. რადიოთი გადმოცემული იქნა რადიოცენტრის მისასალმებელი სიტყვა. ამიერ-კავკასიის ავტორთა სახელით ამხ. **ბ. ჟღენტი**; აჭარისტანის განსახკომიდან — **კომახიძე**; ქუთაისის ოლქიდან— **ხუციძე**; საღამოზე წაკითხულ იქნა იუბილიარის სახელზე მიღებული მისასალმებელი დეპეშები, რუსეთიდან, სომხეთიდან, აზერბეიჯანიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

მისასალმებელი სიტყვების დამთავრების შემდეგ სამადლობელი სიტყვა წარმოსთქვა დავით კლდიაშვილმა, რომელსაც დიდი ოვაციები გაუმართა დამსწრე საზოგადოებამ. შემდეგ სახელმწიფო მეორე თეატრის მსახიობების მიერ წარმოდგენილი იქნა დავით კლდიაშვილის ერთ-მოქმედებიანი კომედია: „დარისპანის გასაჭირი“. საიუბილეო საღამო დიდძალი ხალხი დაესწრო.

სომეხ მწერალთა მისალმება

საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის სომხური სექცია მხურვალედ მიესალმება ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ვეტერანს დავით კლდიაშვილს მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლის თავზე.

ამიერ-კავკასიის ლიტერატურაში ვერც ერთმა მწერალმა ვერ შესძლო მოეცა ოქტომბრის რევოლიუციის წინა პერიოდის ქართველ თავად-აზნაურობის დაშლისა და გახრწნის სურათები ისეთი შესანიშნავი ოსტატობით და ისე ცოცხლად, როგორც ეს მოახერხა სახელოვანმა იუბილიარმა.

სამწუხაროა, რომ ამიერ-კავკასიის მშრომელთა არაქართულ ნაწილს არ ჰქონდა სრული შესაძლებლობა უფრო ახლოს გასცნობოდა კლდიაშვილის ნაწარმოებებს.

ვუსურვებთ მას კიდევ მრავალ წელს, კიდევ მეტი ენერგიით იმუშაოს საბჭოთა მშრომელ მასების საკეთილდღეოდ.

შირვანზადე, ნარდოს, არაზი, მარზარ, ხუმარიანი, ვართანიანი, სურხატიან, მელიქიანი, თორგომიანი, დარბინიანი, მარტინი.

გზაჯვარედინზე

(ნ. უსტრიალოვის ახალი გამოცხადება)

ცხრა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც პარტია ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადავიდა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ნ. უსტრიალოვის პოზიცია საინტერესო იყო, როგორც პოზიცია კლასობრივი მტრისა, რომელიც საბჭოთა კავშირში ახლად წარმოშობილი ბურჟუაზიის განსაზღვრული წრეების, განსაკუთრებით ბურჟუაზიული ინტელიგენციის, იდეოლოგიას გამოხატავს.

თავის უკანასკნელ წიგნაკში, რომელსაც დიდმნიშვნელოვანი სათაური აქვს („ახალ ეტაპზე“), უსტრიალოვი სცდილობს დაათვალოს პროლეტარული რევოლიუციის უკანასკნელი ეტაპი. ამ წიგნაკში იგი „ნეპს“ (ახალი ეკონომიური პოლიტიკა) განმარტავს, როგორც ბოლშევიზმის „საგლეხკაცო ბრესტს“. ნეპის“ წლები იყო ხანა „პროლეტარული ოქტომბრის მშვიდობიანი ბრძოლისა ოქტომბრის მომდევნო სოფლის წინააღმდეგო“, „სოფელი სუქდებოდა“ და თანდათან პროლეტარული სახელმწიფოს „კოლონია“ ხდებოდაო. მაგრამ სოფელი ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდა ქალაქსო. „ნეპი [illegible] და მოშაობდა“ ამ ბრძოლაში, მაგრამ მას „თავისი ისტორიული ლოღიკა ჰქონდა, განმტკიცებასთან ერთად მას სურდა და კიდეც უნდა გაფართოებულიყოვო“.

„ქვეყანა ჯანსაღი ხდებოდა... ალორძინების ტემპი მგონია ყველაზე ოპტიმისტურ მოლოდინს სჯარბობდა... ნათესის ფართობი მატულობდა... მრეწველობა ფეხზე სდგებოდა“...

„იყო ეს გამართლება? — ჰო, მაგრამ გამართლება, უწინარეს ყოვლისა, ბურჟუაზიულ გზებზე“.

„... აღდგენითი პერიოდი დასასრულს უახლოვდება, — იწყება „რეკონსრუქტიული“ პერიოდი. დღის წესრიგში ინდუსტრიალიზაცია სდგას. შეტევა სწარმოებს ნეპის ლიანდაგზე. მაგრამ ნეპმა თავისი თავი ამოსწურა. მას აუცილებლად გაღრმავება სჭირია, ამის მაგიერათ ავიწროებენ და ზღუდავენ. ეროვნული მეურნეობის რეკონსტრუქცია მრეწველობის და ალებმიცემობის ფართო გასახელმწიფოებების ნიადაგზე შეუძლებელია, თუ ხალხმა მთელი თავისი სიმძიმე ამწევი ძალა უკიდურესად არ დაძაბა. ან ნეპი უნდა გავრძელდეს და, მაშასადამე, გაფართოვდეს, ისე რომ გამოყენებულ იქნას კერძო დაინტერესება და პირადი თაოსნობა, ან მოსახლეობას ახალი მსხვერპლი უნდა გამოვალებოთ, მთელი სისტემა სამხედრო მანერაზე გარდავქმნათ: სხვანაირად რომ ვთქვათ: ან ნეონეპი (ახალი ნეპი) ან გაბედული ანტიბურჟუაზიული შეტევა“.

უსტრიალოვი გულახდილათ ნანობს, რომ იმ დროს, როცა ნეპს „გაღრმავება“ სჭირია, საბჭოთა ხელისუფლება მას „ავიწროვებს და ზღუდავს“.

„... კონსულები ფხიზლათ არიან. ნეპმანებს ნარიმის მხარეს ასახლებენ. გაუსწორებელი კვალიფიციური ინტელიგენტური რაზმების პორცია იძულების წესით საზღვარგარეთ იგზავნება. ხდება ნეპის მიერ გამოღვიძებული წრეების და პატარა ჟურნალების ლიკვიდაცია. არც ფინინსპექტორებს სძინავთ, ისინი პირველყოფილი სოციალისტური დაგროვების სახელით მოქმედობენ. ფხიზლად არის სახელმწიფოს პოლიტიკური სამმართველოც, ეს დიქტატურის მახვილი. გაიძრევა თუ არა კლასობრივი მტერი, რევოლიუციის ჯარისკაცები ერთმანეთს უყვიან: დიქტატურავ, სად არის შენი მათრახი?“...

უსტრიალოვს თუ დავუჯერებთ, უკვე 1927 წლიდან დაიწყო ნეპის „მწუხრი“. „ეკონომიური მანევრები აღარას შველიან, ხოლო სამეურნეო შეჯიბრებაში ხელში ძალას წვრილბურჟუაზიული ფაქტორები იღებენ“. „თავი იჩინა სოფლის მეურნეობის ხელახალი დაქვეითების ნიშნებმა... ქალაქებში სამომხმარებლო ბარათები აღსდგენ“.

„1929 წელს სოციალისტური შეჯიბრება მთელს ფრონტზე იშლება... საქმეს აქტიურათ მოჰკიდეს ხელი, დაკვრის წესით, რევოლიუციონური ენერგეტიკის მიხედვით, ბოლშევიკურათ... **კონტრ-ნეპი გაღვივდა...**“

ნეპმა თავისი თავი ამოსწურა ისე, რომ არ გადაუჭრია მის წინაშე დასმული ისტორიული ამოცანები; **ამიტომ დაიწყო „კონტრ-ნეპიო“**,—ასეთია უსტრიალოვის ძირითადი დასკვნა პროლეტარული რევოლიუციის დღევანდელი ეტაპის შესახებ.

უნდა ვაღიაროთ, ეს დასკვნა სრულიად სწორია, თუ... თუ არ დაგვავიწყდება, რომ ლაპარაკია ნეპის და „კონტრ-ნეპის“ უსტრიალოვისებურ გაგებაზე: ეს ნეპი მხოლოდ უსტრიალოვის ფანტაზიაში არსებობდა და არსებობს, სინამდვილეში კი იგი არ ყოფილა და არც არის.

უსტრიალოვს არ ძალუძს გაიგოს, რომ სოციალისტური შეტევა მთელს ფრონტზე სწარმოებს იმ შედეგების ნიადაგზე, რომელთაც ნეპის ლიანდაგზე მივაღწიეთ: არ მომხდარა არავითარი თავქვე დაშვება მუხრუჭების შემწეობით, არ არსებობს არავითარი „საგლეხკაცო ბრესტი“ ბოლშევიზმისა“, არამედ სოციალისტური შეტევა მოჰყვა პარტიის მიერ გატარებულ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, „რომელიც გულისხმობდა სოციალისტური ელემენტების გამარჯვებას კაპიტალისტურზე, გულისხმობდა კლასთა მოსპობას და სოციალისტური ეკონომიკის საძირკველის ჩაყრას“ (ი. სტალინი).

⁂

როგორი პერსპექტივები და იშლება უსტრიალოვის მიხედვით? როგორია რევოლიუციის ახლანდელი ეტაპის გამოსავალი?

„... არსებითად, თუ სქემატიურათ ვიმსჯელებთ, სამი გამოსავალია შესაძლებელი:

1. დღევანდელი სოციალისტური შეტევა თავის თავს გაამართლებს. ხუთწლედი ბედნიერათ ხორციელდება, სოფლის მეურნეობა გარდაიქმნება საბჭოთა ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე. ნეპის ნაშთები ნელნელა იხპობა. საბჭოთა კავშირი ახალ სამეურნეო საძირკველს იძენს და თავისი შემდგომი ისტორიული ამოცანების გადაჭრას ჰკიდებს ხელს.

2. ახლანდელი სოციალისტური შეტევა კრახს განიცდის და ამ კრახის გამო დამხობა პარტიის დიქტატურა და თვით საბჭოთა ხელისუფლება.

3. ახლანდელი სოციალისტური შეტევა ძნელი ასატანი ხდება ქვეყნის ძალებისათვის, პარტია მას დროზე ანელებს, ნეპის პრინციპებს უბრუნდება, მემარჯვენე განხრისაკენ უხვევს: ამრიგათ დასრულდება გზა ნეპიდან მარცხენა ბილიკებით ნეონეპისაკენ...“

ამრიგათ სამი გამოსავალი ყოფილა!... მაგრამ პერსპექტივების გარკვევის დროს სამი გამოსავლის ჩვენება იმას ნიშნავს, რომ კაცმა არც ერთ გამოსავალს არ მიუთითოს. როგორც ეტყობა, უსტრიალოვიც გრძნობს ასეთი „პროგნოზის“ ნაკლოვანებას და სცდილობს უფრო გარკვეული რამ მოგვცეს. იგი უწინარეს ყოვლისა სვამს არა შესაძლებლობის ან აუცილებლობის, არამედ სასურველობის საკითხს: „რომელი გამოსავალი უნდა მივიჩნიოთ უმჯობესად“?...

უსტრიალოვი უპასუხებს: უყოყმანოთ ვიტყვი — პირველი. მეორე გამოსავალს (კატასტროფას, დაშლას, რეაქციას) უსტრიალოვის აზრით, მხოლოდ „განყენებული დოქტრინიორობით ან შუბლმაგარი კლასობრივი გაბოროტებით გამსჭვალული ადამიანები თუ ისურვებენ“. მესამე გამოსავალი ჩვენი ძველი პროგნოზის, ე.ი. „მუხრუჭებზე ქვევით დაშვების დადასტურება იქნებოდაო.

უსტრიალოვი უარყოფს მეორე გამოსავალს (კატასტროფას), მისი სიტყვით „ეს მეორე გამოსავალი ობიექტურათ ყველაზე ნაკლებ შესაძლებელია“.

მაგრამ უსტრიალოვის მიერ პერსპექტივების გარკვევა ამას ვეღარ სცილდება. მას არ შეუძლია არჩევანი მოახდინოს პირველსა და მესამე გამოსავალს შორის. იგი კმაყოფილდება იმით, რომ საბუთებს არდგენს ამა თუ იმ შესაძლებლობის სასარგებლოდ და დაასკვნის „უახლოესი 1-2 წელიწადი გადასწყვეტს ამ ამოცანასო“.

ამრიგათ გამოდის შემდეგი: ნეპს თავისი თავი უნდა „გაემართლებია“, როგორც ევოლიუციას, როგორც „მუხრუჭებით ძირს დაშვებას“ კაპიტალიზმისაკენ. ხოლო როგორც „ტაქტიკას, მას არ შეეძლო თავის თავის გამართლება და არც გაუმართლებია. ამიტომ დაიწყო „კონტრ-ნეპი“. დაიწყო სოციალისტური კონტრ-შეტევა. აქედან გამომდინარეობს „სამმხრივი“ პერსპექტივა: 1) აფრააშვებული გემით წინ გავსწიოთ კომუნიზმისაკენ, მაგრამ 2) ამ შემთხვევაში პროლეტარიატის დიქტატურას საფრთხე ემუქრება, ამიტომ ამ უკანასკნელის თავიდან ასაცდენათ შესაძლებელია 3) პარტია უკან დაიხევს ნეონეპისკენ..

უსტრიალოვს, როგორც ბურჟუაზიული ინტელიგენციის კლასობრივ იდეოლოგს, არ ძალუძს ნეპის დიალექტიკა გაიგოს, ე.ი. გაიგოს, რომ ნეპი არის პოლიტიკა, რომელიც „სოციალისტური ელემენტების გამარჯვებას გულისხმობს“. მით უმეტეს უსტრიალოვს არ შეუძლია გაიგოს და მიიღოს გაშლილი სოციალისტური შეტევა; უსტრიალოვის აზრით ეს შეტევა სწარმოებს არა ნეპის საფუძველზე, არამედ ეწინააღმდეგება ნეპს, ეს „კონტრ-ნეპაა“. პარტიის მიერ წარმოებული ახალი ეკონომიური პოლიტიკის რევოლიუციონური დიდაარსი მიუწვდომელია ბურჟუაზიის იდეოლოგისთვის.

უსტრიალოვის პოზიცია პროლეტარული რევოლიუციის დღევანდელი ეტაპის მიმართ გამომდინარეობს მისი ანალიზიდან და ცალკე განყოფილებებშია გამოთქმული: „ისტორიის პათეტიკა“ (განყ. 4) და „გონების ხმა“ (განყ. 5). როცა კაცი „ისტორიის პათეტიკას“ კითხულობს, ისევე როგორც მთელი წიგნაკის კითხვის დროსაც, ალბათ იფიქრებს, უსტრიალოვი რაღაც გარდატეხას, რაღაც შინაგან ბრძოლას განიცდის და მართლაც რამდენიმეთ რევოლიუციონური რუსეთის „ისტორიის პათეტიკითაა“ მოცულიო.

„თუ რევოლიუციონურმა პროგრამა-მაქსიმუმმა გაიმარჯვა, თუ ქვეყნის გარდაქმნის გეგმა წარმატებით დამთავრდა, როგორ არ უნდა წამოვიძახოთ სიხარულით: შენ გაიმარჯვე, გალილეველო!..“

ასეთი პათეტიური ადგილები ხშირად გვხვდება ამ წიგნაკში.

უსტრიალოვი თავის აზრებს „ასაბუთებს“ მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის სიტყვებით, იგი მოუხმობს გერცენის, ჩერნიშევსკის, პეტრე I აჩრდილებს, ბუხარინის, რიკოვის და სხვ. ნაწერებით სარგებლობს თავისი დასკვნების დასადასტურებლად; იგი ლაპარაკობს „უზენაესი სიამაყის გრძნობაზე, რომელსაც მშობელი ქვეყანა იწვევს“. „მომავლით დატკბობაზე“ იმაზე, რომ „თანამედროვე რევოლიუცია სცილდება ნაცნობ ნიმუშებს, აბრუნებს ისტორიულ ყამირს, არნახულ რამეს ჰქმნის“; ქვეყანას „სწყურია“ მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქის პიონერი გახდეს. ახალი კაცობრიობის ერუსალიმიო; „ესაა სურათი აღგზნებული ენერგიისა... თვით ამ ენერგიის არსებობა ხალხის სინორჩის, ცხოველმყოფელობის საწინდარიაო“ და სხვ. და სხვ.

უსტრიალოვი აღტაცებულია დიდი პროლეტარული რევოლიუციით, მაგრამ შიშსაც განიცდის მოსალოდნელი საფრთხის წინაშე. მეორე მხრით მას არ შეუძლია თავისი პატრიოტული გრძნობები შეიკავოს რევოლიუციონური მუშურ - გლეხური რუსეთის „პათეტიკის“ წინაშე. მთელი მისი აზრები „იმ საუცხოვო ხალხთანაა, რომელიც ტანჯვით იკვალავს გზას ყოველნაირ წინააღმდეგობებში“. იგი გაკვირვებულია, რომ „რევოლიუციას მხრებზე ესოდენ მძიმე ტვირთი დააწვა“.

უსტრიალოვი გაიძახის: „სჩანს სწორეთ იმიტომაა იგი დიდი რევოლიუცია, რომ პრობლემები რადიკალურათ დასვას და არ შეუშინდეს საუკუნეებრივ ამოცანათა სიმძიმეს!..“

უსტრიალოვი მზადაა ჩვენი აღმშენებლობის უცილობელი წარმატება აღიაროს. მაგრამ რა ფასი აქვს ამ აღსარებას? ჩვენს დროში ძლიერ ცოტა. როგორც ბურჟუაზიული ინტელიგენციის იდეოლოგს, უსტრიალოვს ძალა არ შესწევს გაიგოს, შეიგნოს, ახსნას მის მიერ ათვისებული ფაქტების ისტორიული მნიშვნელობა.

მოვლენათა მსვლელობამ უსტრიალოვი გადმოაგდო „სმენავეხოველობის“ პოზიციიდან; და იგი უეჭველათ სცდილობს პროლეტარული რევოლიუციის დღევანდელი ეტაპის გაგებას მიაღწიოს, მაგრამ კლასს, გონების კლასობრივ ხმას, კლასობრივ იდეოლოგიის მაგრათ მიუჯაჭვავთ უსტრიალოვის აზრი კაპიტალიზმას ეტლზე, რომელიც უფსკრულისაკენ მიჰქრის.

სწორეთ აქ აშკარავდება, რომ იგი გონებრივათ შეზღუდულია, კლასობრივათ დაბრმავებული, რომ მას ნიჭი არ შესწევს კაპიტალისტური მსოფლიოს იდეებსა და ცნებებზე მაღლა დადგეს, მის საზღვრებს იქით გაიხედოს. გაიგოს ის ახალი, რაც იშობა მომაკვდავი კაპიტალისტური საზოგადოების ადგილას.

⁂

მაგრამ უსტრიალოვი იმდენად „ობიექტურია“, რომ კონკრეტულ საკითხში, — რა გააკეთოს ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ პროლეტარული რევოლიუციის დღევანდელ ეტაპზეო, თავის მიმდევრებს ისეთ საორიენტაციო დარიგებას აძლევს, რომელიც მეტათ თუ ნაკლებათ ახლოა ისტორიულ სიმართლესთან. იგი, უწინარეს ყოვლისა, კატეგორიულათ ჰკიცხავს მავნებლობას.

„მავნებლობა უაზრო, სამარცხვინო და ბოროტი დანაშაულია, გამცემლობაა, პირდაპირი გადასვლაა ანტისაბჭოთა და ანტირუსულ პოზიციებზე: ახლა ალბათ თვით მილიუკოვი ემიგრაციაში აღარ დაიცავს მას. მხოლოდ უიმედოთ უმეცარ ადამიანებს ან თვით ურცხვი დემაგოგიით გამსჭვალულ მავნებლებს შეუძლიათ რაიმე, თუნდაც შერეული და არაპირდაპირი პასუხისმგებლობა დააკისრონ სმენავეხოველობას. რაც შეეხება ეგრეთ წოდებულ პასიურ ნეიტრალიტეტს, ისიც გადაჭრით პრინციპიალურათ უნდა გავკიცხოთ ჩვენი თვალსაზრისით. ტეხნიკური ინტელიგენციის საქმე არ არის განზე დადგეს, უარი სთქვას აქტიურ მოღვაწეობასა, თანამშრომლობაზე... როცა ქვეყნის დიდი გარდაქმნა და გაუმჯობესება ხდება...“

უსტრიალოვი როდი კმაყოფილდება, მავნებლობის გაკიცხვით, უფრო შორს მიდის. აღიარებს, რომ საბჭოთა კავშირში წარმოებული პროცესები ისეთია, რომ „თვით ყველაზე სკეპტიკურათ განწყობილ ძველს სპეცს დღეს შეუძლია სამართლიანად გაიმეოროს სახარების ამაღლევებელი სიტყვები: „მწამს უფალო, შეეწიე ჩემს ურწმუნოებასო“...

უსტრიალოვი თავის მიმდევარ სპეციალისტ-სმენოვეხოველებს, რომელნიც საბჭოთა სამსახურში არიან, სრულიად გარკვეულ კონკრეტულ დირექტივს აძლევს:

„რა უნდა ჰქნან ძველმა სპეცებმა? პასუხი შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს: უწყვეტლო ლოიალობა გამოიჩინონ სახელმწიფოსადმი. ძალღონის მიხედვით ხელი შეუწყონ მას...“

„... ან რაღაცაში და როგორღაც უნდა გარდავქმნით, ან მოვისპობით. აქტიურათ და სინიდისის ქვეშ უნდა ვემსახუროთ რევოლიუციის სახელმწიფოს... საჭიროცაა და, მგონია, შესაძლებელიც... რეალური არჩევანი: რევოლიუციონური სახელმწიფოს მხარეზე მისი მტრების წინააღმდეგ“.

სრულიად აშკარაა, რომ უსტრიალოვი და სმენავეხოველობა გზა-ჯვარედინზე სდგას. პროლეტარული რევოლიუციის შემდგომი ძლევამოსილი მსვლელობის აუცილებლობა. სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება თვით უსტრიალოვისათვისაც.

და იმ დროს, როცა სპეციალისტების მნიშვნელოვანი ნაწილი, სხვათა შორის სმენოვეხოველებიც, მიმდინარე მოვლენების გავლენით პასიური ნეიტრალიტეტის პოზიციებიდან სოციალისტური მშენებლობის აქტიური მონაწილეობის პოზიციებზე გადადიან, მათი მეორე ნაწილი, სახელდობრ ის, რომლის შესახებ ლენინი პარტიის მე-XI ყრილობაზე ამბობდა, მტერი სცდილობს ევოლიუცია კაპიტალიზმისაკენ აუცილებელი გახდესო, მავნებელ ძალთა რეზერვუარი ხდება.

უცილობელია, რომ ეს გამიჯვნა ხანგრძლივი პროცესია. და ამიტომ მერყევი ბურჟუაზიული სპეციალისტების მიმართ დღესაც ვერ დავივიწყებთ ამხ. სტალინის სიტყვებს, რომელიც მან პარტიის მე-XIV ყრილობაზე სთქვა უსტრიალოვზე:

„იგი ჩვენს ტრანსპორტში მსახურობს, ამბობენ, კარგად მსახურობს, მე ვფიქრობ, რაკი კარგათ მსახურობს, დაე იოცნებოს ჩვენი პარტიის გადახალისებაზე, ოცნება ჩვენში აკრძალული როდია, ამხანაგებო... მაგრამ დაე აგრეთვე ნუ დაივიწყებს, რომ ამასთანავე ბოლშევიკური წისქვილისკენ უნდა მიუშვას წყალი; თორემ ცუდი დღე დაადგება“.

უსტრიალოვი აღიარებს, რომ კონცეპცია „მუხრუჭებით ქვევით დაშვებისა“ დიდ განსაცდელში ჩავარდა. იგი სამართლიანათ გაიძახის: „ვინ იცის, შეიძლება არავითარი დაქვეითება არ ხდება, და რევოლიუციის მრუდე ხაზი ძირს არ ჩამოეშვება“... მეორე ადგილას უსტრიალოვი თავის ანალიზს პირდაპირ შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: რევოლიუცია გრძელდება“.

დიახ, რევოლიუცია გრძელდება, კლასობრივ ძალთა გამიჯვნის პროცესი აჩქარებული ტემპით მიდის და ბურჟუაზიული სპეციალისტების წინაშე, რომელნიც საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობენ, საკითხი სდგება: **ორში ერთი, ან რევოლიუციურ სახელმწიფოსთან ერთად მისი მტრების წინააღმდეგ, ან მავნებლებთან ერთად რევოლიუციონური სახელმწიფოს წინააღმდეგ.**

ხოლო საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიანმა რევოლიუციონერმა პროლეტარებმა და მშრომელებმა უნდა აწარმოონ სოციალისტური შეტევაც კაპიტალიზმის ნაშთების წინააღმდეგ და თავიანთი **კლასობრივი სიფხიზლე გაამახვილონ:** მათ ულმობელათ უნდა ალკვეთონ კლასობრივი მტრის ყოველი ცდა, რომელიც ამა თუ იმ ნიღაბის ქვეშ სოციალისტური მშენებლობის შეფერხებისაკენ იქნება მიმართული.

კლასობრივი მტერი, რომელიც თავისი „აღსარების“ მიუხედავათ, ნამდვილათ თავის კლასობრივ პოზიციაზე რჩება, უნდა გამომჟღავნდეს, რათა უკუგდებულ იქნას დიდი აღმშენებლობის საქმიდან.

ს. შაპურინი.

„მოლოტ“.

მოსავლის განაწილების პრაქტიკული საკითხები კოლმეურნეობებში

მორიგი გამოცდა

მიუხედავად კულაკების გაბოროტებული წინააღმდეგობისა და სხვა მრავალი დაბრკოლებებისა, კოლექტიურ მეურნეობებმა საგაზაფხულო თესვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. ამან საგრძნობლად გაამაგრა საკოლმეურნეო მოძრაობა, განამტკიცა არსებული კოლექტივების მიღწევები.

ამ მოძრაობის შემდგომი გაფართოება და არსებული კოლექტივების ორგანიზაციულად და ეკონომიურად განმტკიცება დამოკიდებულია კოლექტივების შემოსავლის სწორად განაწილებისაგან. ამის გამო უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსავლის განაწილების დარგში პრაქტიკულ გამოცდილებათა ურთიერთ გაზიარებას.

სწორედ ამ მიზნით ვათავსებთ ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ამხ. ანდრეევის და დიმშიცის წერილებს, როგორც მასალას კოლექტივებში მოსავლის განაწილების საკითხის პრაქტიკულად გადაჭრისათვის.

ამხ. ანდრეევი და დიმშიცი თავიანთ წერილებში ემყარებიან სასოფლო-სამეურნეო არტელის არსებულ წესდებას და საბჭოთა კავშირის მარცვლეული კულტურის რაიონების პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით აკეთებენ სწორ და სასარგებლო დასკვნებს კოლექტივების წევრებს შორის შემოსავლის განაწილების შესახებ.

ზემოხსენებულ წერილებში ადგილობრივი ამხანაგები მიიღებენ პასუხს ისეთ კითხვებზე, როგორიცაა: შემოსავლის განაწილების საზომი და ნორმები, შრომის უნარმოკლებულთა უზრუნველყოფა, სამეურნეო საჭიროებათათვის სპეციალურ ანარიცხების რაოდენობა და სხვ.

ამ მასალის გაცნობა ჩვენის აზრით დახმარებას გაუწევს ადგილობრივ ამხანაგებს მოსავლის სწორად განაწილების საკითხების გადასაჭრელად და ხელს შეუწყობს იმ გაუგებრობის გაფანტვას, რომელიც მოსალოდნელია ამ დარგში სასოფლო სამეურნეო არტელის წესდების არასწორად გამოყენების გამო.

მოსავლის განაწილება კოლმეურნეობებში

საკითხის პოლიტიკური მნიშვნელობა

კოლმეურნეობაში მოსავლის განაწილება ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხთაგანია კოლმეურნეობათა განმტკიცებისა და საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის, ვინაიდან კულაკური ელემენტები და ჩვენი კლასობრივი მტრები ხშირად მოსავლის განაწილების ნიადაგზე ცდილობენ ამჟამად ანტისაკოლმეურნეო აგიტაციის წარმოებას. თუ წინად კულაკს შეეძლო ეყვირა, რომ „კოლმეურნეობაში თქვენ არაფერი გამოგივათო“, რომ „თქვენ იქ, ნათესის ფართობის გადიდების ნაცვლად, ერთმანეთს დასჭამთო“, ეხლა ამ ანკესზე არ წამოეგება ყველაზე უფრო ჩამორჩენილი გლეხიც კი: ყოველი ღარიბი და საშუალო გლეხი ნათლად ხედავს, რომ კოლმეურნეები მინდვრად თანხმობით და მწყობრად მუშაობენ და ნათესის ფართობის გადიდების საქმეში მათ უკვე დიდ წარმატებას მიაღწიეს.

ბევრგან ინდივიდუალური მეურნეების ნათესი წარსული წლის დონეზე დარჩა მაშინ, როდესაც კოლმეურნეები, რომლებმაც ნათესის ფართობის გადიდების საქმეში დიდი მოვალეობა იკისრეს, მთლიანად ასრულებენ ამ მოვალეობას, ზოგან გადაჭარბებითაც კი.

ამრიგად, საკოლმეურნეო თესვის მიღწევები აბათილებენ კოლმეურნეობის წინააღმდეგ მიმართულ კულაკურ აგიტაციას, კოლმეურნეობების მიღწევები კოლმეურნეობებს ამაგრებენ ორგანიზაციულად და მეურნეობრივად, სრულიად ნათელს ხდიან ყოფილი ღარიბი და საშუალო გლეხისათვის, რომ მისთვის საჭიროა კოლმეურნეობაში შესვლა და მისი საშუალებით საკუთარი კეთილდღეობის გაუმჯობესება.

მაგრამ ახლა კოლმეურნეობის მოწინააღმდეგე ელემენტები სხვანაირად ცდილობენ დააშინონ კოლმეურნეები; ისინი ამბობენ: „მართალია, კოლმეურნეობაში თავგამოდებით მუშაობთ, მაგრამ სულ ერთია ვერაფერს მიიღებთ—ყველაფერს სახელმწიფო წაიღებს“-ო. ასეთი კულაკური პროვოკაცია ზოგან კოლმეურნეთა შორის მითქმა-მოთქმას იწვევს, ხოლო ინდივიდუალური მეურნე, როდესაც მას ეკითხებიან, რატომ კოლმეურნეობაში არ შედიხარო, ამ აგიტაციის გავლენით, უნდობლად გიპასუხებთ: „ვნახავ რას მიიღებენ—ისინი (კოლმეურნეები) მთელი თავიანთი ნამუშევრიდან და მაშინ გადავწყვეტ—შევიდე თუ არა კოლმეურნეობაში“. მაშასადამე, მოსავლის განაწილების საკითხი ამჟამად ფრიად დიდმნიშვნელოვანი საკითხია მთელი საკოლმეურნეო მოძრაობისთვის და ამის შესახებ კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა შორის უნდა ჩატარდეს დიდი ახსნა-განმარტებითი მუშაობა, რომ ამით კულაკურ აგიტაციას ნიადაგი გამოეცალოს და აღარ იყოს მითქმა-მოთქმა რომელიც ცუდ გავლენას ახდენს კოლმეურნეთა სულიერ განწყობილებაზე.

მოსავალი უნდა განაწილდეს გაწეული შრომის მიხედვით

საჭიროა თავიდანვე მტკიცედ შეგნება იმისა, რომ ყველა კოლმეურნეები არიან კოლმეურნეობის მთელი მოსავლის და ყველა სხვა შემოსავლის პატრონი და ამ შემოსავლის განაწილების საკითხებს სწყვეტენ თვით კოლმეურნეები, ამასთან ხელმძღვანელობენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით.

სასოფლო-სამეურნეო წესდების მე-16 პარაგრაფში კი ამის შესახებ ნათქვამია:

„სამეურნეო წლის დამთავრების შემდეგ მიღებული შემოსავლიდან არტელი ფარავს სამეურნეო და მეურნეობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, შრომის უნარმოკლებულთა შენახვის ხარჯებს, გადასდებს ხვედრ ნაწილს განუყოფელ ფონდში (10-დან 30 პროცენტამდე), საზოგადოებრივ ფონდში (5-დან 15 პროცენტამდე) და ანაზღაურებს შრომის ხელფასს“.

ამრიგად, მტკიცედ არის დაწესებული, რომ საერთოდ კოლმეურნეობის (არტელის) შემოსავალი ნაწილდება მის წევრთა შორის შრომის მიხედვით, ე. ი. იმ შრომის რაოდენობის მიხედვით, რაც თვითეულ კოლმეურნეს დაუხარჯავს კოლმეურნეობაში გაწეულ მუშაობაზე, და არა სულთა რიცხვის მიხედვით, არა იმ მიწის რაოდენობის მიხედვით, რომელიც კოლმეურნეობაში შემავალ თვითეულ მეურნეობაზე მოდის, არც რომელიმე სხვა ნიშნის მიხედვით. ვინც მეტს იმუშავებს, ის მეტსაც მიიღებს.

რაკი შემოსავლის განაწილება შრომის მიხედვით ხდება, აქედან კოლმეურნეებმა სათანადო დასკვნა უნდა გამოიტანონ თავიანთთვის, სახელდობრ: საკუთარ კოლმეურნეობაში თვითეული კოლმეურნის მიერ დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის აღრიცხვის უკეთესად და სწორად დაყენება. და რომ შრომის ანაზღაურება სწორად მოხდეს, საჭიროა აღრიცხვას საფუძვლად დაედოს ნარდი მუშაობა, საჭიროა მოხდეს შრომის აღრიცხვა ყოველი ცალკე სამუშაოსათვის დაწესებულ თანრიგის მიხედვით და გამომუშავების ნორმის შესრულებასთან შეფარდებით.

მაგრამ მოსავლის განაწილების ამგვარი განმარტების შემდეგაც გვევლინებიან კოლმეურნეობის მოწინააღმდეგე „ჭკუის კოლოფები“, რომლებიც ცდილობენ გზაკვალი აუბნიონ კოლმეურნეებს. ისინი ამბობენ: „შრომის მიხედვით გასანაწილებელი აღარაფერი დარჩება, რადგან შემოსავლის მეტი წილი ანარიცხებს მოუნდება“-ო.

ეს სრულებით არ არის მართალი. ასეთი გამოსვლები კოლმეურნეობის მოწინააღმდეგე ელემენტების აშკარა პროვოკაციას წარმოადგენს

რა ანარიცხების გადადება ხდება კოლმეურნეობაში მოსავლიდან და სხვა შემოსავლიდან და რა მიზნებისათვის ხდება ამ ანარიცხების გადადება?

როგორ უნდა გამოირკვეს სამეურნეო ხარჯებისათვის საჭირო ანარიცხების რაოდენობა

მივმართოთ ისევ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მე-11 პარაგრაფს. ამ პარაგრაფიდან სჩანს, რომ პირველ რიგში უნდა დაიფაროს სამეურნეო და მეურნეობასთან დაკავშირებული ხარჯები. აქ იგულისხმება ის, რომ მოსავლიდან უნდა გადაიდოს სათესლე მომავალი წლის თესვისთვის. მაგრამ ვიკითხოთ: განა ყოველი ინდივიდუალური, კოლმეურნეობაში არ შესული მეურნეობა არ ინახავს სათესლედ მოსავლის ერთ ნაწილს? სათესლე გადაიდება, მაგრამ იქვე დარჩება, ასე რომ კოლმეურნეობის შემოსავლის ეს ანარიცხი ვერავითარ ეჭვს ვერ გამოიწვევს.

შემდეგ უნდა გადაიდოს საქონლის საკვები იმ განსაზოგადოებული საქონლის გამოსაკვებად, რომელსაც კოლმეურნე ამუშავებს. მაგრამ განა ცალკე მყოფი მეურნეობა არ ინახავს საკვებს მუშა-საქონლისათვის? ინახავს. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ კოლმეურნეობა მეტ მოსავალს მიიღებს, რადგან მისი დასათესი ფართობი ძალიან იქნება გადიდებული, რომ მოსავლიანობაც იქ ბევრად მეტი იქნება, ამის გამო, თუ ცალკე მყოფმა მეურნეობამ თესლისა და საკვებისათვის მთელი მოსავლის ერთი მეხუთედი უნდა გადასდოს, კოლმეურნეობაში ეს ანარიცხი შეიძლება მოსავლის 10—12 პროცენტს არ ასცდეს.

აშკარაა, კოლმეურნეობამ თავისი შემოსავლიდან უნდა დაფაროს მეურნეობასთან დაკავშირებული ხარჯებიც, მაგალითად, ინვენტარის შესაკეთებელი და მისი საამორტიზაციო ხარჯი. მაგრამ განა ცალკე მყოფი მეურნეობა არაფერს ხარჯავს თავისი ინვენტარის შეკეთებაზე, განა იგი არ აგროვებს ფულს, რომ გაცვეთილი გუთანი ახალით შესცვალოს ან ბებერი ცხენის ნაცვლად ღონიერი და კარგი მუშა ცხენი შეიძინოს? ეს ანარიცხი დაახლოვებით უნდა შეადგენდეს განსაზოგადოებული ქონების 10 პროცენტს, რაც კოლმეურნეობის შემოსავალში მუდამ უმნიშვნელო პროცენტი იქნება. მაგალითად, დიდი-ოლშანსკის კოლმეურნეობაში განსაზოგადოებული ქონების ღირებულება უდრის 10.600 მანეთს. ამ თანხის ათი პროცენტი შეადგენს 1.060 მანეთს. კოლმეურნეობის გაზაფხულის ნათესი უდრის 2.300 ჰექტარს. მაშასადამე, თითო ჰექტარის შემოსავლიდან ამ საქმეზე უნდა გადაიდოს დაახლოვებით 50 კაპეიკი. ეს კი წვრილმანია.

კოლმეურნეობები მინდვრად აწყობენ საზოგადოებრივ კვებას. აშკარაა, რომ ამ საზოგადოებრივი კვებისათვის მათ ერთბაშად უნდა გადასდონ მოსავლის ნაწილი, რომ შემდეგში ამ საქმეზე აღარ დასჭირდეთ ფიქრი და ზრუნვა. მაგრამ ცალკე მყოფი მეურნეც ხომ იკვებება მინდორში მუშაობის დროს, ასე რომ აქაც არ არის არავითარი განსხვავება.

მაგრამ ცალკე მყოფი მეურნის მეურნეობასთან დაკავშირებული ხარჯები ბევრად დიდია, რადგან ამ მეურნეობიდან საჭიროა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდაც, კოლმეურნეობაში კი ეს გადასახადიც ბევრად ნაკლებია, რადგან აქ დიდი შეღავათი ეძლევა არა მარტო კოლმეურნეობას, არამედ მასში შემავალ ცალკე მეურნეობებსაც კი ამასთან გადასახადისაგან განთავისუფლებულია წამატებული ნათესის მთელი ფართობი.

რას მოხმარდება საზოგადოებრივ ფონდებში გადადებული ანარიცხები

კოლმეურნეობის შემოსავლის შემდეგი ანარიცხია—ანარიცხები საზოგადოებრივი ფონდისათვის. რა მიზნით არსდება ეს ფონდები? იმ მიზნით, რომ კოლმეურნეებს გაეწიოთ კულტურულ-საყოფაცხოვრებო სამსახური. წესდება განსაზღვრავს, რომ ამ ფონდში უნდა გადაიდოს შემოსავლის 5-დან 10 პროცენტამდე.

როგორ უნდა განისაზღვროს ის, თუ შემოსავლის რა ნაწილი (სახელდობრ რამდენი პროცენტი) უნდა გადაიდოს ამ მიზნისათვის თვითეულ კოლმეურნეობაში? ამისათვის საჭიროა შემუშავდეს და საკოლმეურნეო მასებთან ერთად დამტკიცდეს, რა ხარჯები უნდა იქნას გაწეული ამ ფონდიდან. მაგალითად, თუ კოლმეურნეობაში ეწყობა საბავშვო მოედანი, საბავშვო ბაგა, მაშინ გათვალისწინებულ უნდა იქნას, რა თანხაა ამისათვის საჭირო, და გადაწყდეს—შეიძლება ასეთი თანხის გადადება შემოსავლიდან, თუ საჭიროა ცოტაოდნად შეიზღუდოს ამ საბავშვო დაწესებულებების გაშლის გეგმა. ასევე უნდა გადაწყდეს, რამდენი შეიძლება გადაიდოს იმისათვის, რომ გაფართოვდეს კოლმეურნეთა კულტურული სამსახურის გაწევის საქმე (წითელი კუთხეების მოწყობა, რადიოს დადგმა, სამკითხველოების მუშაობის გაუმჯობესება, კურსების მოწყობა და სხვა). აშკარაა, პირველ ხანებში მეტისმეტად არ უნდა გაგვიტაცოს დიდი პროცენტების გადადებამ. უმჯობესია ნაკლები პროცენტი გადაიდოს, მაგრამ გონივრულად იქნას იგი გამოყენებული.

ამასვე—საზოგადოებრივ ფონდებს—უნდა მიეკუთვნოს საპრემიო ფონდის შექმნა, რომელიც არსდება იმ მიზნით, რომ მიეცეს ჯილდო საუკეთესო ბრიგადებს ან იმ ცალკე კოლმეურნეებს, რომელთაც თავი ისახელეს.

აქვს თუ არა ცალკე მყოფ მეურნეობას ასეთი ანარიცხები და ხარჯები? აქვს და ნაკლებიც არა აქვს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ცალკე მყოფი მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო გადასახადს გარდა, იხდის თვითდაბეგვრის გადასახადს, რომლისგანაც კოლმეურნეობები განთავისუფლებულნი არიან.

მეურნეობის გასაფართოებელი ანარიცხების შესახებ

ახლა იმ ანარიცხებზე, რომლებიც განუყოფელ ფონდში იდება. რისთვის იდება ეს ანარიცხები? მეურნეობის გასაფართოებლად და განსავითარებლად მანქანების, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, მუშა-საქონლის შესაძენად ან იმ ვალის დასაფარავად, რომლებიც საწარმოო იარაღის შესაძენად იქნა აღებული, ისეთი საზოგადოებრივი შენობების ასაგებად, როგორიც არის ბოსელი პირუტყვისათვის, ბეღელი პურისათვის და სხვა. წესდებით, ამგვარი ანარიცხების რაოდენობა განისაზღვრება 10-დან 30 პროცენტამდე.

კოლმეურნეობები თავიანთ მეურნეობას გეგმის მიხედვით აწყობენ. ამ საწარმოო გეგმით განისაზღვრება მეურნეობის გასაფართოებელი ხარჯების რაოდენობა. მაშასადამე, კოლმეურნეთა საქმეა გადასწყვიტონ—რა ხარჯები უნდა იქნას გაწეული პირველ რიგში ამ წლის შემოსავლიდან. ამით კოლმეურნეებმა უნდა სთქვან, რამდენი გადაიდოს წელს განუყოფელ ფონდში—10, 15, 20 თუ მეტი პროცენტი.

ამავე დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ მეურნეობის გაფართოვებაზე გაწეული ხარჯები ხომ კოლმეურნეობას მისცემს შემდეგ წელს უფრო მეტი შემოსავალი მიიღოს, ასე რომ ეს ანარიცხები შექმნიან კოლმეურნეობის სამეურნეო ზრდის საფუძველს, თვითეული კოლმეურნეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების საფუძველს. მაგრამ არც აქ არის საჭირო ზედმეტი გატაცება. მეტად დიდ ანარიცხებს შეუძლია სწორედ კულაკს შეუწყოს ხელი.

აი, არსებითად ის ანარიცხები, რომლებიც კოლმეურნეობის საერთო სარგებლობაში რჩება და არ ნაწილდება კოლმეურნეთა შორის. დაახლოებითი ანგარიშით, ბალანდინის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში ეს ანარიცხები (თუ განუყოფელი კაპიტალის ანარიცხებს 10 პროცენტის რაოდენობით ვივარაუდებთ) შეადგენენ კოლმეურნეობის საერთო შემოსავლის 30 პროცენტზე არა მეტს.

მართალია, ანარიცხები იდება კიდევ შრომის უნარმოკლებულთათვის, მაგრამ ეს ანარიცხები ხომ ისევ კოლმეურნეების ოჯახებში მიდის.

რამდენი უნდა გადაიდოს შრომის უნარდაკარგულებისათვის

როგორ და რამდენი უნდა გადიდოს შრომის უნარდაკარგულებისათვის? ეს საკითხი თვით კოლმეურნეებმა უნდა გადასწყვიტონ, როგორც ეს ნათქვამია სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მე-16 პარაგრაფში.

მაინც რას უნდა ემყარებოდეს შრომის უნარმოკლებულთა გადასადები ნაწილის განსაზღვრა? ჩვენის აზრით, რა თქმა უნდა, იგი არ უნდა ემყარებოდეს კოლმეურნის საშუალო შემოსავლის რაოდენობას. თუ შრომის უნარმოკლებულთათვის საშუალო შემოსავლის რაოდენობის მიხედვით გადავდებთ, მაშინ თითქმის არავითარი განსხვავება აღარ იქნება მომუშავისა და შრომის უნარმოკლებულის შემოსავალს შორის, ეს იქნება შემოსავლის გაყოფა არა იმის მიხედვით, თუ რამდენი შრომა აქვს დახარჯული თვითეულ კოლმეურნეს, არამედ სულთა რიცხვის მიხედვით.

რადგან კოლმეურნეობაში შემავალ ყოველ მეურნეობას წელს ინდივიდუალურ სარგებლობაში რჩება შემოდგომის ნათესის მოსავალი, ამიტომ შრომის უნარდაკარგულთა დახმარების რაოდენობა წელს შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ საკვები პურის მიცემით საშუალოდ თვითეულ შრომის უნარ მოკლებულს დაახლოებით მიეცემა 8, 10 ან 12 ფუთი. რას შეადგენს ეს კოლმეურნეობის მოსავლიდან მიღებულ საერთო შემოსავალში?

მაგალითისათვის ავიღოთ ბალანდინის რაიონის კოლოკოლცოვის კოლმეურნეობა. აქ გაზაფხულის ნათესი სულზე მოდის საშუალოდ 1,2 ჰექტარი. თუ ამ ფართობიდან საშუალოდ 70 ფუთი მოსავალი იქნება მიღებული, მაშინ შრომის უნარმოკლებულის სასარგებლოდ გადადებული 10 ფუთი შეადგენს 14 პროცენტს. მაგრამ, რადგან შრომის უნარმოკლებულთა რიცხვი დაახლოვებით კოლმეურნეობის საერთო შემადგენლობის ნახევარს შეადგენს, ამიტომ მათ სასარგებლოდ გადადებული ნაწილი დაახლოვებით იქნება მთელი მოსავლის 7 პროცენტი. ცხადია, ეს არის მხოლოდ დაახლოვებითი ვარაუდი იმისა, თუ როგორ უნდა განისაზღვროს მოსავლის ის ნაწილი, რომელიც უნდა გადიდოს შრომის უნარმოკლებულთა დასახმარებლად.

ჩვენის აზრით, ეს ანარიცხი შრომის უნარ მოკლებულთა სასარგებლოდ უნდა ჩაითვალოს სწორად როგორც დახმარება (რაზედაც ლაპარაკია სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მე-16 პარაგრაფში).

მაგრამ, ვიმეორებ, აქ ჩამოთვლილ საკითხებში გადამწყვეტი სიტყვა თვით კოლმეურნეებს ეკუთვნით. კოლმეურნეობების გამგეობებმა დაწვრილებით უნდა დაამუშაონ ეს საკითხები და შემდეგ წარუდგინონ კოლმეურნეებს განსახილველად.

კოლმეურნეობაში შემოსავალი თვითეულ სულზე ბევრად მეტია

ანგარიში, რომელიც ზოგიერთმა კოლმეურნეობამ შეადგინა, გვიჩვენებს, რომ, თუმცა კოლმეურნეობა ანარიცხებს სდებს, მისი შემოსავლიანობა თვითეულ სულზე მაინც ბევრად მეტია, ვიდრე განცალკევებით მყოფ მეურნეობაში. კოლმეურნეობებმა ბევრად მეტი დასთესეს, ვიდრე ცალკე მყოფმა მეურნეობებმა; კოლმეურნეობათა ნათესი ბევრად უკეთესია; მათი მოსავალი ბევრად აღემატება ცალკე მომუშავე მეურნეობების შემოსავალს; კოლმეურნეობებს მეტი შემოსავალი რჩებათ, რადგან მათ სასოფლო-სამეურნეო გადასახადში შეღავათები აქვთ და სხვ.

კოლმეურნეობების ეს შეღავათები საშუალებას აძლევენ კოლმეურნეებს უფრო სწრაფად გააუმჯობესონ და გაადიდონ თავიანთი მატერიალური კეთილდღეობა. ამან უფრო მეტად უნდა დაარწმუნოს ყოველი ცალკე მყოფი ღარიბი და საშუალო გლეხი, რომ სიღარიბისა და სიბნელისაგან თავის დაღწევის ერთად-ერთი გზა არის კოლმეურნეობა, სოფლის მეურნეობის გადაყვანა მისი განვითარების სოციალისტურ ლიანდაგზე.

ვ. ანდრეევი.

შემოსავლის განაწილება კოლმეურნეობებში

ამ წელიწადში ახლად დაარსებულ ჩვენს კოლმეურნეობებს კიდევ ორი ძირითადი გამოცდის გავლა ესაჭიროება: პირველი—აკრეფის კამპანია, მეორე—შემოსავლის განაწილება კოლმეურნეობაში.

ცნობილია, რომ კოლმეურნეობის მოწყობისას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ კოლმეურნეობის საშუალებათა საკითხს და იმას, თუ რამდენად განსაზოგადოებულია წარმოების ძირითადი საშუალებანი კოლმეურნეობის შიგნით.

ისეთ ადგილებში, სადაც ანგარიში არ ეწეოდა იმას, რომ კოლმეურნეობაში შესული გლეხი ჯერ კიდევ არ არის განთავისუფლებული წვრილმესაკუთრული პსიქოლოგიისაგან, სადაც ცდილობდნენ პირდაპირ სასოფლო-სამეურნეო კომუნაზე გადასკუპებას ისეთ ამხანაგობიდან, როგორიც არის სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომლის წესდებითაც გლეხს რჩება კოლმეურნეობაში გაერთიანებულ მის ძირითად წარმოების საშუალებებთან ერთად აგრეთვე მცირე ინდივიდუალური მეურნეობაც (წვრილფეხა საქონელი, ფრინველი, საკარმიდამო, ბოსტნები), რასაც, უნდა ითქვას, წმინდა დამხმარე მნიშვნელობა აქვს მისთვის, და ასეთი გადასკუპების შემდეგ მათ უნდა მოეხდინათ წარმოების ყოველგვარი საშუალებათა განსაზოგადოება თვით უკანასკნელ ძროხამდე, უკანასკნელ ქათამამდეც კი, სადაც ანგარიშს არ უწევდნენ საშუალო გლეხის ამ წვრილბურჟუაზიულ ფსიქოლოგიას, იქ ადგილი ჰქონდა მრავალ შეცდომათა დაშვებას, კოლმეურნეობებიდან გამოსვლის დიდ პროცენტსა და კოლმეურნეობათა საკმაოდ დიდი რაოდენობის დაშლა-დანგრევას.

თუ ამ საორგანიზაციო საკითხს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როცა ხდებოდა კოლექტიურ მეურნეობათა ჩამოყალიბება, არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს უკვე ჩამოყალიბებულ და მოწყობილ კოლმეურნეობათათვის საკითხს შემოსავლის განაწილების შესახებ კოლმეურნეობის შიგნით.

უკვე ამჟამად ეს საკითხი აღელვებს და აინტერესებს კოლმეურნეთა ძირითად მასას. განსაკუთრებული სიმწვავით ეს საკითხი წამოიჭრება აკრეფის კამპანიის დაწყების წინ, როცა ნათლად გამოირკვევა მოსავლის პერსპექტივები, როცა სხვადასხვა ჯგუფის ქონებრივი ინტერესები (შრომის უნარის მქონეთა და არამქონეთა) კოლმეურნეობებს შიგნით განსაკუთრებული სიცხადით იჩენს თავს.

გაზაფხულის თესვის ჩვენი კოლმეურნეების მიერ წარმატებით ჩატარება იძლევა ერთგვარ გარანტიას, რომ როგორც საორგანიზაციო ხასიათის ამოცანებს, ისე ტეხნიკურ-ეკონომიური მნიშვნელობის ამოცანებსაც, რომლებიც წამოიჭრება კოლმეურნეობათა წინაშე აკრეფის კამპანიის დაწყების გამო, ჩვენ ამ შემთხვევაშიაც წარმატებით შევასრულებთ.

ამ ამოცანების სწორად და წარმატებით გადაჭრა კი ნიშნავს, რომ არსებულ კოლმეურნეობათა ქსელი შეიქმნება ისეთ მძლავრ ბაზისად საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომი შეუნელებელი გაშლა-განვითარებისათვის, ისეთ ნიმუშად და თვალსაჩინო მაგალითად ჯერ კიდევ კოლექტივიზაციის გარეშე დარჩენილ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათათვის, რომ მომავალში ჩვენ გავხდებით კოლექტივიზაციის განვითარების ტემპების ჯერ კიდევ უნახავ დაჩქარების მოწმენი, ჩვენ ვიხილავთ, თუ როგორ იზიდავს კოლმეურნეობა იქ შესვლის სრული ნებაყოფლობისა და ამა თუ იმ რაიონის თავისებურებისათვის სრული ანგარიშის გაწევის საფუძველზე მოსახლეობის სულ ახალ და ახალ ფენებს.

სასოფლო-სამეურნეო არტელის არსებული წესდება კი არასაკმარისად გარკვევით სვამს და სწყვეტს ამ უდიდესი მნიშვნელობის საკითხს.

სას.-სამ. არტელის წესდების მე-11 მუხლი ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესო საკითხს შემდეგნაირად სწყვეტს:

„სამეურნეო წლის დამთავრების შემდეგ მიღებულ არტელის შემოსავლით დაიფარება სამეურნეო და მეურნეობასთან დაკავშირებული ხარჯები და აგრეთვე შრომისუუნაროთა შენახვის ხარჯებიც, ხდება გადარიცხვა განუყოფელ და საზოგადოებრივ ფონდებში (10—15 პროცენტამდე—განუყოფელ ფონდში, 5—15 პროცენტამდე—დანარჩენ საზოგადოებრივ ფონდებში) და შრომის ხელფასის გასტუმრება“.

ამგვარად, შემოსავლის განაწილება კოლმეურნეობაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამეურნეო ხარჯებს და გადარიცხვებს განუყოფელ და საზოგადოებრივ ფონდებში, თანახმად არტელის წესდებისა, ხდება ორი ხაზით: პირველი და ძირითადია—შრომის ხელფასის გასტუმრება, ხოლო მეორე—შრომის უნარმოკლებულთა შესახებ ხარჯი.

შემოსავლის ამგვარი განაწილება დააკმაყოფილებს იმ მეურნეობებს, რომლებშიაც მრავალი შრომისუნარიანი ოჯახის წევრები არიან, ვინაიდან შრომის გასტუმრება ხდება ნამუშევარის რაოდენობისა და თვისებების მიხედვით. დაკმაყოფილებული რჩებიან აგრეთვე ღარიბი მრავალსულიანი ოჯახებიც, რომელთა რიცხვშიაც მრავალი შრომის უნარს მოკლებული მოიპოვება, ვინაიდან შრომისუნარმოკლებულთა შენახვის ხარჯები ანგარიშშია ჩათვლილი შემოსავლის განაწილების დროს.

სიძნელეს წარმოადგენს მხოლოდ კოლმეურნეობაში შემოსულ მეურნეობათა სხვადასხვაგვარი შეძლება, მათი პაის უთანაბრობა.

ამ ფაქტორს სრულიად არა აქვს ყურადღება მიქცეული სასოფ.-სამეურ. არტელის წესდებაში.

რასაკვირველია, ჩვენ არ ვფიქრობთ დავადგეთ კაპიტალისტურ გზას—შემოსავლის განაწილებას პაის მიხედვით. კოლმეურნეობის **შემოსავლის ძირითად წყაროდ ჩვენში შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ერთი—შრომითი შემოსავალი.** კოლმეურნეობის შემოსავლის ძირითადი განაწილება, ყველა სამეურნეო ხარჯებისა და განუყოფელ ფონდებში გადარიცხვათა გამოკლებით, უნდა ხდებოდეს, რასაკვირველია, შრომის ხელფასის გასტუმრების ხაზით. მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოვიქცევით ისე, რომ ანგარიში არ გავუწიოთ სხვა ფაქტორებსაც, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ გლეხის მეურნეობაში და მისთვის ანგარიშსწორების საქმეში. ეს ფაქტორები აუცილებლად უნდა იქნას მიღებული მხედველობაში, ამ ფაქტორებს უნდა მიეკუთვნოს ერთგვარი, თუნდაც დამხმარე როლი კოლმეურნეობის შემოსავლის განაწილებაში.

რა და რა ფაქტორია ეს?

ესაა, პირველ ყოვლისა—სულთა რიცხვი ოჯახში და ამასთან დაკავშირებული მიწის რაოდენობა, რაც მოდის ცალკე მეურნეობაზე, ხოლო მეორე ფაქტორია—მეურნეობის სიძლიერე, მისი ქონებრივი მდგომარეობა.

იმისდამიხედვით, თუ რამდენი სულია თვითეულ მეკომურის ოჯახში, სხვადასხვა ოდენობისაა ის მიწის მასივი, რომლის ამარაც შედის ცალკე მეკომური კოლმეურნეობაში. გლეხური მეურნეობის შემძლეობა (მისი განსაზოგადოებული ნაწილის) განსაზღვრავს იმ პაის რაოდენობას, რომელიც შეაქვს გლეხს კოლმეურნეობის საერთო ქონებაში.

ამ სხვადასხვაობას ანგარიში რომ არ გაეწიოს, ეს იმას ნიშნავს, რომ თითქოს გლეხი, როცა ის კოლმეურნეობაში შედის, იმ თავითვე ხდება სოციალიზმის შეგნებული მშენებელი.

ნამდვილად კი, როგორც ამას სრულიად სამართლიანად აღნიშნავს ამხ. იაკოვლევი თავის თეზისებში, „არტელში კი არ თავდება, არამედ მხოლოდ იწყება ახალი საზოგადოებრივი დისციპლინის საქმე, გლეხთა მიერ სოციალისტური მშენებლობის შესწავლის საქმე. კოლმეურნეობებში გლეხები საბოლოოდ ეთხოვებიან წვრილმესაკუთრულ ფსიქოლოგიას, კერძო მესაკუთრეობრივი დაგროვების წყურვილს, რომელიც მას მემკვიდრეობით გადმოსცა წვრილ კერძო მესაკუთრეთა წინანდელმა თაობამ, მაგრამ მხოლოდ მთელი წლების განმავლობაში შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ“.

რომ ყურადღება არ მიექცეს შემოსავლის განაწილების დროს ამ სხვადასხვაობას, როგორიცაა მიწის რაოდენობის უთანაბრობა, ცალკე გლეხურ მეურნეობათა მეტ-ნაკლებობა,—ეს იმას ნიშნავს, რომ პირისპირ წარსდგეთ კოლმეურნეობათა შიგნით დიდ აფორიაქებათა შესაძლებლობის წინაშე, შეხლა-შემოხლის, უთანხმოების და უკმაყოფილების წარმოშობის წინაშე კოლმეურნეთა ცალკე ჯგუფებს შორის, როცა შესაძლებელია მძაფრად დაუპირისპირდეს ერთმანეთს საშუალო გლეხისა და ღარიბთა ინტერესები და დაიწყოს ამ ნიადაგზე მასიური გასვლა კოლმეურნეობებიდან და შესაძლებელია მისი დაშლაც კი.

იმისათვის, რომ ანგარიში გაეწიოს სხვადასხვაობას მიწით უზრუნველყოფაში, სულთა რაოდენობას ოჯახში და კოლმეურნეობაში შესულ გლეხური მეურნეობის არაშრომისუნარიან წევრთა რაოდენობას, შემოსავლის განაწილების დროს კოლმეურნეობის საერთო შემოსავლის რაოდენობიდან გამოყოფილი უნდა იქნას განსაზღვრული ფულადი „მიწის ფონდი“, ყველაზე უკეთესია, წმინდა შემოსავლის განსაზღვრული პროცენტის სახით, მისი სულადობის მიხედვით გასანაწილებლად. ამასთანავე ამ „მიწის ფონდიდან“ მიღების უფლება უნდა მიეცეს კოლმეურნეობის მხოლოდ არაშრომისუნარიან წევრებს, ვინაიდან ყველა შრომისუნარიან წევრს ეძლევა თავისი შემოსავალი მის მიერ დახარჯულ შრომის რაოდენობისა და თვისების მიხედვით.

ამით ჩვენ მივაღწევთ, პირველ ყოვლისა, იმას, რომ უზრუნველვყოფთ კოლმეურნეობის არაშრომისუნარიან წევრებს (მცირეწლოვანები, მოხუცნი და სხვ.), ხოლო მეორე მხრით—ანგარიშს ვუწევთ გლეხის წვრილმესაკუთრულ ფსიქოლოგიას—არაშრომისუნარიანთა გასტუმრება ხდება არა სოციალური უზრუნველყოფის პრინციპის თანახმად, არამედ იმ სარგებლობისათვის ანგარიშის გაწევით, რაც გამოიხატა კოლმეურნეობის საერთო მიწის რაოდენობიდან მისთვის, ე. ი. კოლმეურნეობისათვის, თავის ხვედრ მიწის წილის გადაცემაში. ვინაიდან მიწის ეს ფულადი ფონდი შეადგენს კოლმეურნეობის შემოსავლის განსაზღვრულ პროცენტს, ამიტომ შრომის ნაყოფიერების გადიდების, რაც იგივეა, კოლმეურნეობის შემოსავლის გაზრდის შემთხვევაში არაშრომისუნარიანთათვის სამსახურის გაწევა უმჯობესდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ხდება პირიქით.

ამასთან ერთად საჭიროა დაწესებულ იქნას **მტკიცე** პროცენტი (არა უდიდეს საშუალო პროცენტისა, რასაც იხდის შემნახველი სალარო) კოლმეურნეთა პაიზე. იმ შემთხვევაში, როცა განაღდებული იქნება საკოლმეურნეო პაის განსაზღვრული პროცენტი, ცალკე ღარიბ გლეხისა და საშუალო გლეხის მეურნეობებ შორის განსხვავება აღარ შექმნის დაბრკოლებას გლეხის კოლმეურნეობაში შესვლისათვის, ვინაიდან ეს განსხვავებაც იქნება მიღებული მხედველობაში შემოსავლის განაწილების დროს.

გარდა ამისა, აღმოიფხვრება მიზეზი უთანხმოებისა თვით კოლმეურნეობის შიგნით ღარიბ გლეხ-მოჯამაგირეთა და საშუალო გლეხებს შორის. ის გარემოება კი, რომ პაიზე მყარდება მტკიცე პროცენტი, რომელიც არ იცვლება კოლმეურნეობის შემოსავალში მომხდარ ცვლილებების დაგვარად, იმას გარანტიას წარმოადგენს, რომ კოლმეურნეობის განვითარების მიხედვით ეს პროცენტი თანდათანობით დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას, ვინაიდან იმ შემთხვევაში, როცა გაიზრდება კოლმეურნეობის საერთო შემოსავალი და მისი განუყოფელი ფონდები, ამ შემოსავლის ხვედრითი წონა თანდათანობით დაეცემა, ხოლო მას შემდეგ, როცა შეასრულებს იმ დანიშნულებას, რაც მას კოლმეურნეობის არსებობის პირველი წლებისათვის ჰქონდა—ეს პროცენტი არავითარ შემთხვევაში აღარ შექმნის დაბრკოლებას იმისათვის, რომ ჩაენერგოს და განუმტკიცდეს გლეხ-კოლმეურნეებს ახალი კოლექტივისტური ფსიქოლოგია.

რომ თავიდან აცილებულ იქნას ყოველგვარი გაუგებრობა, ხაზგასმით უნდა იქნას აღნიშნული, რომ კოლმეურნეობის შემოსავლის განაწილების დროს (სამეურნეო ხარჯებისა და განუყოფელ კაპიტალში და საზოგადოებრივ ფონდებში გადარიცხვათა გამოკლებით) ძირითადი და **გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა შრომას და მხოლოდ შრომას.** ორ დანარჩენ ფაქტორს კი, რომლებიც საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარების ამ სტადიაში საჭიროა აუცილებლად იქნას მხედველობაში მიღებული კოლმეურნეობის შემოსავლის განაწილების დროს, შეიძლება ეძლეს მხოლოდ **დამხმარე** მნიშვნელობა. კოლმეურნეობის საერთო შემოსავლის, მისი სასოფლო-სამეურნეო საოპერაციო წლის მთელი ნაყოფის განაწილების დროს დაცულ უნდა იქნას შემდეგი ხუთი პრინციპი:

1) პირველ რიგში დაფარულ უნდა იქნას ყველა სამეურნეო-საოპერაციო ხარჯები, მიმდინარე გადასახდელები და ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის სათანადო წილის საამორტიზაციო ხარჯი.

2) შრომის გასტუმრების სისტემა იმგვარი უნდა იყოს, რომ ამან შექმნას შრომის ნაყოფიერების გაზრდის სტიმული არა მარტო თვით კოლმეურნეობის შიგნით, არამედ უნდა გამოიწვიოს კოლმეურნეებში ინტერესის გაცხოველება, რომ შემდგომაც განვითარდეს და განმტკიცდეს კოლმეურნეობა და გაიზარდოს მისი შემოსავლიანობა, ე. ი. იმისდამიხედვით, რამდენადაც გაიზრდება კოლმეურნეობის შემოსავალი და განმტკიცდება მისი მდგომარეობა, იმგვარადვე გადასახდელ უნდა იქნას შეფასებებიც ამ ზრდასთან დაკავშირებით.

3) შემოსავლის სულ მეტი და მეტი ნაწილი უნდა იქნას გადარიცხული განუყოფელ და საზოგადოებრივ ფონდებში, რომ ამით შეიქნას აუცილებელი წინასწარი პირობები გლეხ-ინდივიდუალისტის წვრილმესაკუთრული ფსიქოლოგიის თანდათანობით გარდასაქმნელად შეგნებულ და აქტიურ კოლექტივისტის, კომუნიზმის მშენებლის ფსიქოლოგიად.

4) უნდა გამოიყოს განსაკუთრებული მიწის ფულადი ფონდი, **როგორც** კოლმეურნეობის შემოსავლის განსაზღვრული პროცენტის სახით, რაც უნდა იქნას განაწილებული კოლმეურნეობის არაშრომისუნარიან წევრთა შორის.

5) კოლმეურნეთა პაის უნდა დაერიცხოს პროცენტი, მაგრამ არა უდიდეს იმ პროცენტისა, რასაც იხდის შემნახველი სალარო.

ი. დიმშიცი.

1930 წლის მოსავლის აკრეფის სანიმუშო სამუშაო გეგმა

კოლმეურნეობებისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის *)

1930 წლის მოსავლის აკრეფის კამპანიის ჩატარების დროს საჭიროა მთლიანად იქნას გამოყენებული ის გამოცდილება, რომელიც შეძენილია კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის საქმეში საგაზაფხულო თესვის კამპანიის დროს, გათვალისწინებულ იქნას ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ჰქონდა ამ კამპანიას და გათვალისწინებულ იქნას მათი გამოსწორების გზები. ამ მიზნით, ყოველმა კოლმეურნეობამ თესვის დამთავრებისთანავე, საზოგადო კრებებზე და საწარმოო თათბირებზე, სრულიად გულდასმით უნდა შეამოწმონ და ჯამი გაუკეთონ საგაზაფხულო თესვის მუშაობას.

განსაკუთრებით საჭიროა იმ ნაკლოვანებათა განხილვა, რომლებიც სამუშაოს არასწორი განაწილების, სამუშაოზე ხალხის და ინვენტარის უთავბოლოდ გაწესრიგების, კოლმეურნეობების მმართველ ორგანოთა უთავბოლობის შემთხვევების, ზოგიერთი კოლმეურნეების უდისციპლინობის (სამუშაოდ არ გასვლა, გამომუშავების ნორმების შეუსრულებლობა, მუშა-საქონლის ცუდი მოვლა და სხვა) და სხვა ასეთებიდან გამომდინარეობენ.

მომავალი მოსავლის აკრეფის კამპანიის გეგმის შემუშავების დროს კოლმეურნეობაში პირველ ყოვლისა მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მარცვლეულის კულტურებისა და თივის აკრეფას. ამავე დროს ყურადღებიდან არ უნდა იქნას გამოშვებული ტეხნიკური კულტურების, ძირნაყოფების და სხვათა აკრეფის მზადება, აგრეთვე მისი მიმდინარე მოვლა, როგორიცაა: მარგვლა, გამოხვნა, მიწის შემოყრა და სხვა.

ყოველმა კოლმეურნეობამ უნდა შეადგინოს მოსავლის აკრეფის კამპანიის სამუშაო გეგმა. ეს გეგმა სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მუშაობის რაიონში უნდა შეეთანხმოს სამანქანო - სატრაქტორო სადგურის ასეთსავე გეგმას. იმ კოლმეურნეობებში, რომლებიც საბჭოთა მეურნეობების გავლენის სფეროში იმყოფებიან, სამუშაო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს უახლოესი საბჭოთა მეურნეობის საწარმოო დახმარებას მოსავლის აკრეფის კამპანიაში. მოსავლის აკრეფის კამპანია ხვდება ტეხნიკური კულტურების კულტივაციას, საშემოდგომო თესვის კამპანიას და ხვნას. ყოველივე ეს გათვალისწინებული უნდა იქნას სამუშაო გეგმის შედგენის დროს.

1929 წლის შემოდგომის იმ ნათესების აკრეფა, რომლებიც კოლმეურნეობის წევრთა ინდივიდუალურ სარგებლობაში იმყოფებიან, ხდება კოლმეურნეობის ძალებით და შედის კოლმეურნეობის საერთო გეგმაში, თუ ამის ნებაყოფლობით თანხმობას განაცხადებს ის, ვის სარგებლობაშიც იმყოფება აღნიშნული ნათესები.

I. გეგმის შედგენა

გეგმაში უნდა იქნას გათვალისწინებული შემდეგი: ა) ყველა სამუშაოების დაწყებისა და დამთავრების ვადები თვითეული კულტურისათვის ცალ-ცალკე; ბ) კოლმეურნეობებში არსებული მუშა-ხელი და გამწევი ძალა და სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები; გ) გამომუშავების ნორმები ინვენტარის, გამწევი ძალის და მუშა-ხელისათვის; დ) არსებული და საჭირო მუშა-ხელის, გამწევი ძალის და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის გათვალისწინება, მათი ნაკლებობისა და მოჭარბების გამორკვევა; ე) მთელი ნათესი ფართობის დანაწილება ცალკე საწარმოო ნაკვეთებად; ვ) თუ მინდვრები დასახლებულ პუნქტებს შორი მანძილით არის დაცილებული, მინდვრად სადგომის გათვალისწინება, ადგილზე ცხენების საკვების, კოლმეურნეთათვის საჭმელის ხარშვის მოწყობა და სხვა; ზ) მუშა-ხელის და გამწევი ძალის და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის განაწილება ბრიგადებად, ამკრეფი ბრიგადების, მლეწველი ბრიგადების და მზიდავი (ძნების ზიდვა, პურის ზიდვა და სხვა) ცალ-ცალკე შექმნა; ჱ) ამკრეფი მანქანების ნაკლებობის შემთხვევაში, ხელით ამკრეფი ბრიგადების შექმნა; თ) ბრიგადების მიმაგრება განსაზღვრულ უბნებზე და თვითეული ბრიგადისათვის შესასრულებელი დავალების მიცემა.

ყოველ ბრიგადას უნდა მიეცეს მტკიცე დავალება აკრეფის საქმეზე მუშაობის მთელი დროისათვის; დავალებაში უნდა აღინიშნოს: ა) რა სამუშაო უნდა შესრულდეს და სად (რომელ ნაკვეთზე); ბ) სამუშაოების დასაწყისი და დასასრული; გ) სადგომის ადგილმდებარეობა და დ) გამოყოფილი ხალხის, გამწევი ძალის სასოფლო-სამეურნეო იარაღის სია.

მოსავლის აკრეფის გაჩაღებული კამპანიის დროს მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ცოცხალი და მკვდარი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი.

საჭირო შემთხვევაში მოსავლის აკრეფა მოეწყოს მთელი დღე-ღამის განმავლობაში.

მუშაობის დაწყების წინ გეგმა დაწვრილებით უნდა იქნას განხილული საწარმოო თათბირებზე, კოლმეურნეთა საზოგადო კრებებზე და ბრიგადების კრებებზე იმ ვარაუდით, რომ ყოველმა კოლმეურნემ იცოდეს, როგორ და რა ვადებში იწარმოებს მოსავლის აკრეფის კამპანია და რა მონაწილეობა უნდა მიიღოს მან და მისმა ოჯახმა ამ მუშაობაში. ჯერ კიდევ მოსავლის აკრეფისა და ლეწვის დაწყებამდე უნდა ჩატარდეს ხალხის მზადება, განსაკუთრებით იმათი, ვინც რთულ მანქანებზე (სათიბავებზე, ძნის შემკონავებზე, სალეწავებზე და სხვა) უნდა იმუშაონ.

იმ შემთხვევაში, როდესაც კოლმეურნეობის შიგნით არ მოიპოვება საკმაო მუშა-ხელი და გამწევი ძალა, სამუშაო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს თავისუფალი მუშა-ხელისა და გამწევი ძალის მოწვევას, როგორც მახლობელი კოლმეურნეობებიდან, ისე ახლო-მახლო ინდივიდუალურ გლეხური მეურნეობებიდან.

იმ შემთხვევაში, როდესაც კოლმეურნეობაში მუშა-ხელი და გამწევი ძალა მოჭარბებულია, აგრეთვე საკუთარი მოსავლის აკრეფის და ლეწვის სამუშაოთა დამთავრების გამო ნაწილობრივი, ან მთლიანი განთავისუფლების შემთხვევაში, გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ყველა თავისუფალი მუშა-ხელის, გამწევი ძალის და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიწოდებას მახლობელი კოლმეურნეობების, აგრეთვე ღარიბი და საშუალო გლეხური მეურნეობების დასახმარებლად.

II. სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეკეთება

მოსავლის აკრეფის დაწყების წინ გადაისინჯოს და შეკეთებულ იქნას ამკრეფი ინვენტარი: სალეწავები, ძნის შემკონავები, სამკელები, სათიბავები, ცხენის ფოცხები, დამხარისხებლები, ურმები, ფურგონები და სხვა.

ტრაქტორები და მანქანები მთლიანად უზრუნველყოფილი უნდა იქნენ საწვავი და წასაცხები მასალით, აგრეთვე უნდა მოგვარდეს ამ მასალის თავის დროზე მიტანის საქმე. კოლმეურნეობის გამგეობამ უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ შეიძინოს განათებისათვის საჭირო ხელსაწყოები, რომლებიც უაღრესად საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც მუშაობა მთელი დღე-ღამის განმავლობაშია განზრახული.

კოლმეურნეობის გამგეობამ აგრეთვე თავის დროზე უნდა უზრუნველჰყოს მანქანები სათადარიგო ნაწილებით, განსაკუთრებით მხედველობაში უნდა იქონიოს მჭრელი აპარატები, აგრეთვე უნდა მომარაგოს ძნის შესაკრავი კანაფი.

საჭიროა აგრეთვე შეკეთებულ იქნას ყველა მოსართავები და მოერგოს ისინი მუშა-საქონელს. მანქანების, ურმების, ინვენტარის და მოსართავების მსუბუქი შეკეთებისათვის, უშუალოდ მინდვრად უნდა მოიპოვებოდნენ შემადგენლობაში ისეთები, რომელთაც შეეძლებათ ამ შეკეთების მოხდენა, მარტივი ინსტრუმენტების და ყველაზე უფრო საჭირო სათადარიგო ნაწილების შეკრება.

მოხდეს ყველა ბრიგადებში მომუშავე ინვენტარის დათვალიერება კოლმეურნეობის შემადგენლობიდან განსაკუთრებით გამოყოფილი ისეთი მუშაკების მიერ, რომლებიც თავიანთი კვალიფიკაციით უფრო შესაფერნი არიან ამ მიზნისათვის.

სასოფლო-სამეურნეო ამკრეფი ინვენტარის შეკეთების მთელი ასი პროცენტით შესასრულებლად, იმ შემთხვევაში, როდესაც კოლმეურნეობის სარემონტო სახსრები საკმაო არ არის, საჭიროა სოფლის გლეხური სამჭედლოების დაკონტრაქტება.

უნდა შეგროვდეს და შეკეთებულ იქნას ყველა არსებული ტომრები. ტილოები და სხვა, აგრეთვე მოგვარდეს მათი შეკეთება მინდვრად, მუშაობის დროს და ამ მიზნით გამოიყოს კოლმეურნე ქალების საჭირო რიცხვი.

III მომზადება და აკრეფა მარცვლეული კულტურების

მარცვლეულის კულტურების აკრეფის სამუშაოები უნდა ჩატარდეს უმოკლეს ვადაში. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაშვებულ იქნას პურეულის აკრეფის დაგვიანება, განსაკუთრებით უნდა დაჩქარდეს შემოდგომის პურეულის აკრეფა, რათა თავიდან იქნას აცილებული მარცვლის დაცვენა, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას თესლით შემოდგომის ნათესები.

კარგი ხარისხის თესლით დათესილი ნაკვეთები უნდა გამოყენებულ იქნან მხოლოდ თესლისათვის და ამ ნაკვეთებზე მოსავალი უნდა აიკრიფოს ცალკე.

იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც კარგი ხარისხის ნათესები არ მოეპოვებათ, საჭიროა გამორჩეულ იქნან ნაკვეთები საუკეთესო პურით მათი სათესლედ გამოყენების მიზნით იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება მიღებული კარგი ხარისხის თესლი, აგრეთვე ლეწვისა და დახარისხების დროს გამოიყოს სათესლედ საუკეთესო და ყველაზე უფრო სრულწონიანი მარცვალი.

იმ შემთხვევებში, როდესაც კოლმეურნეობებში არ იქნება საკმარისი ძნის შესაკრავი კანაფი, საჭიროა ძნის შემკვრელი მანქანა გამოყენებულ იქნას, როგორც სამკალი მანქანა (რომელსაც არა აქვს თავისით გადმომყრელი აპარატი).

სიმინდის აკრეფის დროს იმ ნაკვეთებზე, სადაც კარგი ხარისხის თესლია დათესილი, აგრეთვე იმ ნაკვეთებზე, სადაც დათესილია ჩვეულებრივი მარცვალი და რომლებიც, მათი ხარისხის მიხედვით, არ არიან დატოვებული თესლისათვის, სათესლედ ირჩევა მხოლოდ საუკეთესო ტაროები.

IV. პურეულის გალეწვა

მუშა-ხელის ეკონომიისათვის და ლეწვის წარმატებისათვის საჭიროა ლეწვა უშუალოდ მინდვრად დაიწყოს, ბულულების მიზიდვისთანავე და ზვინებად დაუდგმელად. მაგრამ მუშა-ხელის არსებობის შემთხვევაში სწარმოებს ძნების ერთ ადგილას მიზიდვა და ზვინებად დადგმა. საჭიროა თვალყური ედევნოს ზვინების კარგად დადგმას, რომ თავიდან იქნას აცილებული წვიმისაგან დალპობა. ამის პასუხისმგებელია აკრეფის ბრიგადირი. ხანძრის თავიდან ასაცილებლად არ უნდა იქნას დაშვებული მრავალი ზვინის ერთ ადგილას დაგროვება. შემოდგომის პურეულის ლეწვა პირველ რიგში სწარმოებს იმ ნაკვეთებიდან, რომლებიც თესლისათვისაა გამოყოფილი.

კოლმეურნეობის გამგეობამ უნდა იზრუნოს საკალოე ადგილის არჩევაზე და მოიყვანოს ეს ადგილი შესაფერ წესრიგში.

ლეწვასთან ერთად უნდა სწარმოებდეს მარცვლის გაწმენდა და დახარისხება.

ლეწვისა და წმენდის დროს სასტიკად უნდა ედევნოს თვალყური იმას, რომ არ მოხდეს გაზაფხულის და შემოდგომის კულტურებისა და ხარისხოვანი და უბრალო მარცვლეულის შერევა.

წესრიგში იქნას მოყვანილი მარცვლეულის შესანახი ბინები და წინასწარვე მოხდეს მათი დეზინფექცია სპეციალისტი-აგრონომების მითითების მიხედვით.

კოლმეურნეობის გამგეობამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ წინასწარვე შეიძინოს სათვალეებისა და სახელურების საკმაო რიცხვი სალეწავ მანქანებზე მომუშავეთათვის.

პირველი გალეწვისთანავე საჭიროა ეცნობოს ყველა კოლმეურნეებს ჰექტარზე მიღებული საშუალო მოსავლის რაოდენობა, აგრეთვე მარცვლის ის რაოდენობა, რომელიც ვარაუდით მიღებული იქნება მთელ მეურნეობაში.

ყველა კალოებზე ლეწვის დროს ბრიგადის შემადგენლობიდან უნდა გამოიყოს გალეწილი პურის პასუხისმგებელი მიმღები, რომლის მოვალეობა იქნება ზუსტად აღრიცხოს პური ხარისხების მიხედვით, აგრეთვე აწარმოოს პურის გაგზავნა და გაცემა მხოლოდ და მხოლოდ გამგეობის განკარგულებით.

გალეწილი პურის რაოდენობის შესახებ ყოველდღიურად ეძლევა ცნობა კოლმეურნეობის გამგეობას.

არავითარ შემთხვევაში არ იქნას დაშვებული, რომ ბეღელში ნედლი მარცვალი იქნას ჩაყრილი. ნედლი მარცვლის მიღების შემთხვევაში, საჭიროა იგი ისეთნაირად ჩაიყაროს, რომ შესაძლებელი იყოს მისი თავისუფლად გადანიჩბვა (ნიჩბით გადაბრუნება) და პირველი შეძლებისთანავე უნდა მოხდეს ამგვარი მარცვლის გაშრობა.

ჩალა, ბზე და სხვა ნაცვენები წესიერად გროვდება და ინახება ლეწვის დროს. ლეწვის დამთავრების შემდეგ გამგეობამ აქტივთან ერთად უნდა მოისმინოს სხდომაზე ლეწვის შედეგები და შეიტანოს ოქმში შეგროვებული პურის რაოდენობა.

V. დაცვა ცეცხლისაგან

იმ მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული ხანძრის გაჩენა ცეცხლისადმი გაუფრთხილებელი მოპყრობისა ან კლასობრივი მტრის მიერ წაკიდების ნიადაგზე, კოლმეურნეობის გამგეობა მოვალეა: 1) შეაკეთოს სახანძრო ეტლი, ხოლო იქ, სადაც ასეთი არ არსებობს, მოაწყოს იგი სოფლის საბჭოსთან ერთად; 2) შეიმუშაოს სოფლის საბჭოსთან ერთად ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებები; 3) გამოჰყოს მორიგეები თვალყურის სადევნებლად და დასაცავად; შემუშავებულ იქნას ხანძრის საწინააღმდეგო სპეციალური ღონისძიებები, კერძოდ კალოზე აიკრძალოს თამბაქოს მოწევა, საჭმლის დასამზადებლად ცეცხლი დაინთოს განსაზღვრულ მანძილზე, ხანძრის საწინააღმდეგო ზომების დარღვევისათვის შემოღებულ იქნას ჯარიმა, თვით კოლმეურნეობიდან გარიცხვამდე; 4) კალოებზე მუდამ იყოს წყლის მარაგი; 5) იმ ადგილებში, სადაც პური ბლომად არის დაგროვილი, შემოღებულ იქნას სახანძრო დაცვის მორიგეობა, რის შესახებაც გამგეობა უნდა შეუთანხმდეს სოფლის საბჭოს.

ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა მოგვარება და მათი ცხოვრებაში გატარების მეთვალყურეობა პერსონალურად ეკისრება კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ან გამგეობის სპეციალურად გამოყოფილ წევრს.

VI. საზოგადოებრივი ღონისძიებანი

მოსავლის აკრეფის კამპანიის გეგმის შედგენის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იმის საჭიროება, რომ დახმარება გაეწიოს მახლობელ ღარიბ გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობებს.

მოსავლის აკრეფის კამპანიის წარმატებით ჩატარების მიზნით, უნდა მოეწყოს სოციალისტური შეჯიბრება როგორც კოლმეურნეობებს შორის, ისე კოლმეურნეობების შიგნით ცალკე ბრიგადებს შორის, აგრეთვე მოეწყოს დამკვრელი ბრიგადები კოლმეურნეთა აქტივისაგან, კომკავშირელებისაგან და სხვ.

ძირითად პირობებად სოციალისტურ შეჯიბრებებისათვის შეიძლება დაისახოს: ა) მოსავლის აკრეფის სისწრაფე, ბ) აკრეფის ხარისხი და გ) გალეწვის სისწრაფე, ხარისხი და სხვ.

საჭიროა შემოღებულ იქნას დაჯილდოვება როგორც ბრიგადების, ისე ცალკე კოლმეურნეების, რომლებიც ყველაზე უფრო გამოიჩენენ თავს მუშაობის სისწრაფით, ბეჯითობით და ხარისხით მოსავლის აკრეფასა და გალეწვაში. დაჯილდოვების საშუალებები და წესები წინდაწინ უნდა განისაზღვროს და ეცნობოს ყოველ კოლმეურნეს.

მუშაობის დაწყების წინ აუცილებლად ხდება იმის შემოწმება, თუ რამდენად მომზადებულია კოლმეურნეობა მოსავლის აკრეფისა და გალეწვისათვის. ბრიგადირი ამოწმებს თავისი ბრიგადის მომზადებას; გამგეობა—ყველა ბრიგადების მომზადებას, ხოლო სარევიზიო კომისია კოლმეურნეთა აქტივის გამოყენებით—გამგეობის მომზადებას.

თვითეული ბრიგადირი ყოველდღე აწვდის გამგეობას ცნობას მისი ბრიგადის მიერ შესრულებულ სამუშაოს შესახებ. კოლმეურნეობის გამგეობა თავის მხრივ უნდა აცნობინებდეს კოლმეურნეობის წევრებს მოსავლის აკრეფისა და გალეწვის მიმდინარეობას; ამისათვის კოლმეურნეობის გამგეობა სამუშაოდან თავისუფალ დროს, დაახლოვებით, ხუთ დღეში ერთხელ აცნობებს კოლმეურნეებს მუშაობის მიმდინარეობას მოსავლის აკრეფის, გალეწვის, ზედმეტი მოსავლის ჩაბარების საქმეში, მუშაობის მდგომარეობას ცალ-ცალკე კარგად თუ ცუდად მომუშავე ბრიგადებში.

მოსავლის აკრეფის კამპანიის დროს კოლმეურნეობის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ყველა წევრები მიმაგრებულნი უნდა იყვნენ მუშაობის უმნიშვნელოვანეს დარგებზე, მუდმივად იმყოფებოდნენ იქ და უშუალო მონაწილეობას ღებულობდნენ მუშაობაში; ხოლო გამგეობის ის წევრი, რომელიც გამოყოფილია კოლმეურნეობის საერთო საქმეების საწარმოებლად, უნდა იმყოფებოდეს უახლოეს მინდორში.

დაევალოს კოლმეურნეობათა რაიონულ გაერთიანების გამგეობის და სარევიზიო კომისიის ყველა წევრებს მოსავლის აკრეფის კამპანიის ჩატარების დროს მიემაგრონ თავიანთი რაიონის უმნიშვნელოვანეს კოლმეურნეობებს, მაგრამ არ ჩაერიონ კოლმეურნეობის ოპერატიულ მუშაობაში, არამედ დაეხმარონ მას.

კოლმეურნეობათა რაიონულ კავშირთან მოსავლის აკრეფის კამპანიის დროს შეიძლება დარჩეს გამგეობის არა უმეტეს ერთი წევრისა.

უფროსების სამუშაოდ წასვლის დროს კოლმეურნეობაში დარჩენილი მცირეწლოვანი ბავშვების მოსავლელად და სამეთვალყურეოდ მოეწყოს ბრიგადა კოლმეურნე ქალებისაგან და გადაიდოს საერთო სადგომი ბავშვებისათვის. ბავშვების მოვლის მოგვარება ქალთა აქტივს უნდა დაევალოს.

VII კვების მოგვარება

კვების ყველაზე სასურველ ფორმად ბრიგადებში ჩაითვალოს არტელურად კვება. არტელურად კვება შეიძლება მოეწყოს კოლმეურნეობის პროდუქტებით ან ნებაყოფლობის საფუძველზე, კოლმეურნეთა პროდუქტებით.

კოლმეურნეობის გამგეობას ეკისრება პასუხისმგებლობა ამ საქმის თავის დროზე მოგვარებისათვის; საჭირო ჭურჭლის გამონახვა, მზარეულებისა და მეარტელეების გამოყოფა და სხვ. ამ მუშაობაში აუცილებლად ჩაბმულ უნდა იქნან ადგილობრივი სამომხმარებლო საზოგადოებანი. ამასთან სავსებით გამოყენებულ უნდა იქნას იმ საზოგადოებრივი კვების გამოცდილება, რომელიც მოეწყო კოლმეურნეობებში გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარების დროს.

გაზაფხულის თესვის კამპანია, რომელიც ამჟამად მთავრდება, იყო მასიური კოლექტიური თესვის პირველი კამპანია, რის გამოც მას აუცილებლად თან სდევდა მთელი რიგი უაღრესად სერიოზული დეფექტები, როგორც ცალკე კოლმეურნეობების, ისე კოლმეურნეობათა გაერთიანებების მუშაობაში.

მოსავლის აკრეფის მომავალი კამპანია უკვე ისეთ პირობებში იშლება, როდესაც დაგროვილია გაზაფხულის თესვის კამპანიის გამოცდილება. ამიტომ უნდა გადიდდეს მოთხოვნილებანი მეტი სიმწყობრისა, მკაფიო მუშაობის იმ ამოცანების პასუხისმგებლობით შესრულების შესახებ, რომლებიც დაკისრებული აქვთ კოლმეურნეობებს, კოლმეურნეთა ჯგუფებს, გაერთიანების თვითეულ კოლმეურნეს და კოლმეურნე-ქალს.

ყველა კოლმეურნეს მკაფიოდ უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი მოსავლის აკრეფის მომავალი კამპანიის განსაკუთრებული მნიშვნელობა საკოლმეურნეო მოძრაობის განმტკიცების საქმეში და არ უნდა ივიწყებდეს იმას, რომ კლასობრივი მტერი—კულაკი შეეცდება ჩაშალოს სოციალისტური მშენებლობის ცალკე დარგები. კოლმეურნეობები განმტკიცდებიან კოლმეურნეთა მწყობრი ორგანიზაციული შრომით, საკოლმეურნეო ორგანიზაციების მოხერხებული ხელშეწყობითა და ხელმძღვანელობით, მოსავლის აკრეფის კამპანიის საუკეთესოდ ჩატარებით.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის რესპუბლიკაში არსებულ საბჭოთა მეურნეობანი და სამანქანო-სატრაქტორო სადგურები თავიანთ მუშაობაში მოსავლის აკრეფისა და გალეწვის კამპანიისათვის საერთოდ და მთლიანად იყენებენ ზემოთმოყვანილ სანიმუშო სამუშაო გეგმას იმ ცვლილებებით, რომლებსაც იწვევს განსაზოგადოებული სექტორის ამ ნაკვეთების მდგომარეობის განსხვავება. გარდა ამისა, მათ უნდა შეასრულონ შემდეგი: 1) სამ.-სატრაქტორო სადგური ადგენს მოსავლის აკრეფის სამუშაო გეგმას იმ ტრაქტორების რაოდენობის მიხედვით, რომლებიც შეიძლება გამოიყოს მოსავლის აკრეფისა და გალეწვისათვის, პირველ ყოვლისა კოლმეურნეთა ნათესის აკრეფისათვის. სამანქანო-სატრაქტორო სადგურები ხელშეკრულებებს მოსავლის აკრეფისა და გალეწვის შესახებ სდებენ მხოლოდ კოლმეურნეობებთან, ჯგუფურ გაერთიანებებთან და სოფლების რწმუნებულებთან; უკანასკნელ შემთხვევაში ხელშეკრულებები იდება ინდივიდუალურ მეურნეთა შედგენილი სიების საფუძველზე.

2) მოსავლის აკრეფის სამუშაო გეგმა სამანქანო-სატრაქტორო სადგურში განხილულ უნდა იქნას სამანქანო-სატრაქტორო სადგურის თანამშრომელთა კრებაზე და ყოველ კოლმეურნეობაში კოლმეურნეთა კრებაზე, ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა კონფერენციებზე და ქალთა, საბჭოთა, კოოპერატიულ-საკოლმეურნეო აქტივის ფართო თათბირებზე.

3) საბჭოთა მეურნეობებმა მოსავლის აკრეფის თავიანთი გეგმების შედგენის დროს უნდა გაითვალისწინონ საკუთარი ნათესების აკრეფის დასაჩქარებლად კოლმეურნეთა შრომის მაქსიმალურად [illegible] იმ მიზნით, რომ თავის დროზე [illegible] კოლმეურნეობებს დახმარება საწარმოო საშუალებებით და აგროტეხნიკური პერსონალით მათი მოსავლის აკრეფასა და გალეწვაში. საბჭოთა მეურნეობის მოსავლის აკრეფის სამუშაო გეგმა განხილულ უნდა იქნას საწარმოო თათბირებზე და საბჭოთა მეურნეობის ყველა მუშაკთა საერთო კრებაზე.

4) სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა და საბჭოთა მეურნეობებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ შემოდგომის ნათესების აკრეფას კოლმეურნეობებში და იმ ნათესების აკრეფას, რომლებიც ჯერ-ჯერობით ინდივიდუალურ სარგებლობაშია იმ პირობით, რომ მოეწყოს ჯგუფები მოსავლის საერთოდ ასაკრეფად და გასალეწად იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ნათესების აკრეფა შეტანილი არ არის კოლმეურნეობის გეგმაში.

5) სამანქანო-სატრაქტორო სადგურები და საბჭოთა მეურნეობანი მოსავლის აკრეფისა და გალეწვის დაწყებამდე ვალდებულნი არიან სავსებით მოამზადონ ყველა სალეწი და მოსავლის ასაკრეფი მანქანები, მათ შორის კოლმეურნეობათა მანქანებიც, და იზრუნონ იმისათვის, რომ კოლმეურნეთაგან მომზადებულ იქნან რთულ მანქანებზე მომუშავენი.

6) სამანქანო-სატრაქტორო სადგურები და საბჭოთა მეურნეობანი თავიანთი სარემონტო სახელოსნოებით უნდა დაეხმარონ კოლმეურნეობებს და ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობებს.

7) ყველა საწარმოო ნაკვეთები, რომლებიდანაც მოსავლის აკრეფა გათვალისწინებულია სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ძალებით და რომლებიც შეტანილია სქემატიურ რუკაზე მოსავლის ამკრეფი და გამლეწი რაზმების ადგილმყოფელობის აღნიშვნით, წინასწარ დაწვრილებით უნდა იქნეს დათვალიერებული და სასტიკი სისტემატიური მეთვალყურეობა უნდა დაწესდეს ნათესის მომწიფებაზე.

8) პურეულის გალეწვისათვის წინასწარ უნდა განისაზღვროს ის პუნქტი, სადაც დაყენებული იქნება სალეწი მანქანები და სადაც მოსახლეობა მოზიდავს ძნას. ამ პუნქტების შესახებ წინასწარ მიეცეს ცნობა „სოიუზხლებ“-ის წარმომადგენლებს ტარის მისაწოდებლად და მარცვლის მიღების მოსაგვარებლად.

9) სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სალეწავი პუნქტების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად—სალეწ მანქანებთან მოსავლის მისაზიდად და საწყობებსა და ჩასაბარებელ ადგილებში მარცვლეულის მისატანად გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ კოლმეურნეობების ტრანსპორტი და წევის ძალა. ამ ამოცანის შესასრულებლად კოლმეურნეობები უნდა შეუთანხმდნენ ერთმანეთს წევის ძალით და ტრანსპორტით ურთიერთ დახმარების შესახებ.

10) სამანქანო-სატრაქტორო სადგურები და საბჭოთა მეურნეობანი მოსავლის აკრეფისა და გალეწვისათვის მუშაობის ღირებულებას აძლევინებენ მხოლოდ ნატურით (მარცვლით) იმ რაოდენობით, რომელიც დაწესებულია „ტრაქტორცენტრ“-ის ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის რწმუნებულის მიერ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის და რესპუბლიკათა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატების მიერ საბჭოთა მეურნეობებისათვის.

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მიწადმოქმედების სახალხო კომისრის მაგიერ

ელიაშვილი.

ამ.-კავკ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირის გამგეობის და ა.-კ. საკოლმეურნეო საბჭოს თავმჯდომარის მაგიერ

პიჩიპიანი.

---

*) შემუშავებულია ამიერ-კავკასიის მიწსახკომის, საკოლმეურნეო საბჭოს და „სოფლის კავშირის“ მიერ საბჭოთა კავშირის საკოლმეურნეო ცენტრის „კოლმეურნეობების სანიმუშო სამუშაო გეგმის“ საფუძველზე.

განხილულ იქნას კოლმეურნეობის გამგეობაში და საწარმოო თათბირზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

მასების კონტროლის გზით

„ნათლიმამობას" ბოლო უნდა მოეღოს

შრომის ორგანოები ყოველმხრივ ცდილობენ უმუშევრობის შემცირებას. ამ მიზნით ეწყობა საზოგადო სამუშაოები, უმუშევართა კვალიფიკაციის ასაწევი კურსები და სხ.

უკანასკნელ წელს, ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაძლიერებასა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით, მუშა-ხელზე საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვნილება. მაგრამ ზოგი სამეურნეო ორგანიზაცია გულგრილობას იჩენს უმუშევართაგან ახალი კადრების მომზადებაში.

გარდა ამისა სამეურნეო ორგანიზაციები გვერდს უხვევენ შრომის ბირჟებს და მუშახელს იყვანენ მათ გარეშე, ხშირად ადგილი აქვს პროტექციონიზმს და „ნათესაურ" გამოსარჩლებას, რასაც არევ-დარევა შეაქვს უმუშევართა სამუშაოზე წესიერად განაწილების საქმეში და აფერხებს უმუშევრობასთან ბრძოლას.

თუ როგორ უვლიან სამეურნეო ორგანიზაციები შრომის ბირჟებს გვერდს, ეს ჩანს შემდეგი მაგალითიდან:

მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 1 აპრილამდე, სამ ცენზიან საწარმოში სულ მიღებული იქნა 6.385 მუშა-მოსამსახურე, აქედან შრომის ბირჟიდან—3.988, შრომის ბირჟის გარეშე—2.395, ანუ 37,5 პროცენტი.

შრომის ბირჟის გარეშე დაშვებულთა უმრავლესობა მიღებულია პროტექციით.

არის მთელი რიგი შემთხვევები, როცა დაწესებულებების უფროსი ცდილობს სამსახურში მოაწყოს „თავისი კაცი" და შრომის ბირჟის კანდიდატურის თავიდან აცილების მიზნით, შრომის ბირჟას სთხოვს გაუგზავნოს უნივერსალური ცოდნის უმუშევარი. შრომის ბირჟის გარეშე მომუშავის აყვანის შემდეგ ირკვევა, რომ მისი თანამდებობის შესასრულებლად სრულებით არაა საჭირო „ყველაფრის ცოდნა".

ასეთ დაუშვებელ მოვლენებთან საბრძოლველად შრომის ბირჟის სექტორებზე პროფკავშირებიდან მიმაგრებულია ბრიგადირები, მაგრამ მათი მუშაობა უნაყოფოა, რადგან უკანასკნელთა მიერ გამორკვეული და პროტექციონიზმის დამადასტურებელი ფაქტებით აღსავსე ოქმები უმოქმედოთ რჩება.

აგრეთვე ზოგიერთი დაწესებულების ხელმძღვანელები განგებ აზავნიან ბუნდოვან მოთხოვნილებას უმუშევართა გაგზავნის შესახებ. მაგალითად თხოულობენ: გამოგვიგზავნეთ ექიმი, ბუღალტერი, ან ზეინკალი, მკერავი, მაგრამ რა კვალიფიკაციის ექიმი (ტერაპევტი, ქირურგი, თუ გინეკოლოგი) ან ბუღალტერი და სხ., მოთხოვნილებაში არაა აღნიშნული. ესეც იმიტომ ხდება, რომ მათ საშუალება ექნეთ შრომის ბირჟას გვერდი აუარონ.

ხშირად ადგილი აქვს კურიოზულ მოთხოვნილებებსაც. ასე, მაგალითად, სწერენ: „ჩვენთან განცხადება შემოიტანა მოქ. ნ—ძემ, რომლის ერთი დღის გამოცდამ დაამტკიცა, რომ იგი არის უაღრესად დახელოვნებული დარაჯი და სპეტაკი და გთხოვთ გამოგვიგზავნოთ მხოლოდ ის"... (რკ. გზის საავადმყოფო), ან: „ვინაიდან მუშა-მოსამსახურეების საერთო კრების ერთსულოვანი მოთხოვნით საჭიროა ჩვენთან აყვანილ იქნეს დამლაგებლად მოქ. ბ—ი, გთხოვთ ასეთი მოავლინოთ ჩვენთან ... (მუშკოოპი).

მიმართავენ აგრეთვე სხვა ხერხებსაც, რათა თავიანთი კანდიდატებს მისცენ ადგილი. ასე მაგალითად: „გამოგვიგზავნეთ მემანქანე, რომელმაც კარგად იცის სტენოგრაფია, გარდა ქართულ და რუსული ენისა, იცის გერმანული და ფრანგული ენები" (მოთხოვნილება შოთაკის ერთ-ერთ დაწესებულებიდან). ეს მოთხოვნილება თავის ხელით მოიტანა მან, რომელსაც უნდოდა სამსახურში მოწყობა, მაგრამ არ იყო შრომის ბირჟის წევრი. მისი ცოდნის შემოწმებიდან გამოირკვა, რომ მან არა თუ გერმანული და ფრანგული, არამედ რუსული ენაც არ იცოდა ხეირიანად.

ასე ცდილობენ აუხვიონ თვალი შრომის ორგანოებს და სამსახურში მოაწყონ „თავისიანები".

საჭიროა სათანადო ზომები, რათა პროტექციის მოყვარულთ ერთხელ და სამუდამოთ დაეკარგოთ მსგავსი მოთხოვნილებების წერის ხალისი, რაც შრომის ორგანოებს გაუადვილებს უმუშევრობასთან ბრძოლას.

გ.

კლასობრივი ხაზის უხეში დამახინჯება

ამ დღეებში თელავის რაიონულმა პარტკომმა გამოამჟღავნა, რომ ალვანის კოოპერატივის გამგეობა უხეშად ამახინჯებდა კლასიურ ხაზს. მოვიყვანოთ ფაქტები.

ალვანის კოოპერატივს (ცეკავშირის და მესაქონლეთა კავშირის მიერ დაევალა მატყლის დამზადება, რისთვისაც მიეცა მას რამოდენიმე ათასი მეტრი შალეულის და ბამბეულის ფართალი. მართალია, გამგეობამ მიღებული ფართალი განაწილა თავის განყოფილებებზე, მაგრამ განაწილების წინ არ ყოფილა მოწვეული კოოპერატიული აქტივი: სადუქნო კომისია, კოოპერატივთან არსებული ღარიბთა ჯგუფი, სარევიზიო კომისია და სხვ. ამასთან გამგეობამ განყოფილებათა ნოქრები არ გააფრთხილა გასაცემ ნორმის მტკიცედ დაცვის შესახებ.

განყოფილებებმა დაარღვიეს სახ. ვაჭრობის კომისარიატის მიერ დაწესებული ნორმები კულაკურ მეურნეობებზე დაწესებული ნორმაზე მეტის მიცემით (დაახლოვებითი გამოანგარიშებით გაცემულია რამოდენიმე ათეულ კულაკურ მეურნეობაზე 575 მეტრი ფართალი ზედმეტად). ყოველივე ეს კარგად იცოდა ალვანის კოოპერატივის გამგეობამ, მაგრამ მას არავითარი ზომები არ მიუღია. მიუხედავად მესაქონლეთა რაიკავშირის და ცეკავშირის გაფრთხილებისა, ალვანის კოოპერატივის მიერ დაცული არ ყოფილა არავითარი წესები, და ფართლის გაცემა მოხდა არა მეცხვარეებზე და მოსამსახურეებზე, რამაც გამოიწვია 19 ათასი მეტრი ფართლის არა დანიშნულებისამებრ გატანა და უთავბოლოდ გაფლანგვა.

თუმცა ალვანის კოოპერატივის გამგეობა გარკვეული იყო მატყლის დამზადების პოლიტიკურ და სამეურნეო მნიშვნელობაში, მან ხელი შეუშალა ამ საქმეს ფართლის არა დანიშნულებისამებრ და უთავბოლოდ გაცემით.

ეს გარემოება, უეჭველად, გამოწვეულია იმით, რომ ალვანის კოოპერატივის გამგეობის წევრები გადავარდნენ აშკარა ოპორტუნისტულ ჭაობში, კლასობრივ პოზიციებიდან დაქანების და კულაკურ ელემენტებთან შეზრდის ნიადაგზე.

ცალკე მეურნეებზე მატყლის ანგარიშში ნორმაზე მეტი ფართლის გაცემამ იმოქმედა მატყლის დამზადებაზე და შეანელა ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გამგეობის ასეთი შეუწყნარებელი მოქმედების მეოხებით უფართლოდ დარჩა მეცხვარეების საგრძნობი ნაწილი (უმთავრესად მთა-თუშეთში), რამაც მეტის-მეტად გაართულა მატყლის დამზადება.

უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივ კომუჯრედმა, კომკავშირმა და სასოფლო საბჭომ ვერ გამოიჩინეს სათანადო უნარი მატყლის დამზადების ხელმძღვანელობის გაწევის და კლასიური ხაზის გატარების საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამჩნევდნენ კლასიური ხაზის უხეშად დარღვევას, მათ ამ გარემოებას დროზე არ მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება და გამოიჩინეს აშკარა შემარიგებლობა.

ალვანის კოოპერატივში შექმნილია არანორმალური პირობები: კოოპერატივის მუშაობას არ ახასიათებს საზოგადოებრიობა, გამეფებულია ნოქრების უდისციპლინობა და უპასუხისმგებლობა, ერთმმართველობის გაუტარებლობის ნიადაგზე შექმნილია ქაოტიური მდგომარეობა (ყველა მეთაურობს), თვით კოოპერატივის აპარატის შემადგენლობა არადამაკმაყოფილებელია და დაკავშირებულია არამშრომელ ელემენტებთან, აპარატის შიგნით სუფევს ძმა-ბიჭობა, თავზედ ხელის გადასმა და მლიქვნელობა, ყოველივე ამას კი დაღუპვისაკენ მიჰყავდა ალვანის კოოპერატივი, რასაც დროული და ჯეროვანი ყურადღება მიაქცია თელავის პარტკომმა.

საჭიროა ალვანის კოოპერატივის მესვეურთა პასუხისგებაში მიცემა. ალვანის „კოოპერატორთა" საქმე უნდა გაირჩეს თვით კოოპერატივის წევრთა კრებაზე, რაც ხელს შეუწყობს კოოპერატივის ავტორიტეტის აღდგენას და მასების კოოპერატიულად შეკავშირებას.

არკო.

შეუნელებელი ყურადღება აპარატის წმენდას

გავცოცხოთ დაწესებულებები მავნე და უვარგის ელემენტებისაგან

გაწმენდილთა ადგილზე წამოვაყენოთ მოწინავე მუშები და გლეხები

დამნაშავენი სასტიკად უნდა დაისაჯონ

(კახეთის ოლქი)

კახეთის ოლქის თელავის რაიონში არსებობს ა. კ. რკინის გზის სატყეო განყოფილების მესამე უბანი, რომელიც აწარმოებს შპალების დამზადებას. ამ უბნის ხელმძღვანელი აპარატი ისეთი ბიუროკრატიული და მოუქნელი აღმოჩნდა, რომ მისი მოქმედებით სახელმწიფომ მიიღო რამოდენიმე ათასი მანეთის ზარალი.

კომკავშირის თელავის რაიკომში შევიდა ინფორმაცია, რომ უბნის ადმინისტრაციის უთავბოლობით ადგილი აქვს მთელ რიგ ბოროტმოქმედებას და უმსგავსოებას, ამის გამო კომკავშირის რაიკომმა, პარტრაიკომთან შეთანხმებით, გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა ხსენებული უბნის მდგომარეობის გამოკვლევა. საქმის გამოკვლევის შემდეგ პარტრაიკომმა თავის პრეზიდიუმზე გადმოიტანა მოხსენება და აღმოჩნდა, რომ უბანს დასახული გეგმა არ შეუსრულებია და ათიათასობით უზარალნია. კერძოდ შპალების დაკვეთა შეუსრულებელია 73 პროცენტით, დაწუნებულია 6.000 შპალი, შეშის დამზადების გეგმა შეუსრულებელია 82 პროცენტით, ქარხნის მუშაობის პროგრამა სანახევროდაც არ არის გატარებული და სხ.

მუშათა პერსონალის დაუდევრობით და ყოფილ ხელმძღვანელების უთავბოლობით ელვისაგან მოკვდა 4 კამეჩი, დაიკარგა 1 და, რაც მთავარია, ადმინისტრაციის უმოქმედობით წარმოებამ იზარალა მიმდინარე წელში 50.000 მანეთით. ამას გარდა, მუშა-მოსამსახურეებში ბლომად მოიპოვებოდნენ და ეხლაც მოიპოვებიან წამგლეჯი ელემენტები. მესამე უბნის წარმოებაში შრომის დისციპლინა ძალზე მოისუსტებს. თვითღირებულება შემცირების მაგიერ გაზრდილა 4—5 პროცენტით, რასაც თავის დროზე არ მიექცა ყურადღება როგორც ადგილობრივ ადმინისტრაციის, ისე ა.-კ. რკ. გზის სატყეო განყოფილების მიერ.

მუშებს შორის არ სწარმოებს მასიური პოლიტიკურ-კულტურული მუშაობა. სახერხ ქარხნის მუშები მთლიანად მოწყვეტილი არიან გაზეთებს, წიგნებს, ვერ ერკვევიან ხელისუფლების პოლიტიკაში და სხვ. სოციალისტური შეჯიბრება არა თუ არ არის გაშლილი, არამედ მუშები არც კი იცნობენ მის მნიშვნელობას. არ ჰყავთ ადგილკომი. მიწა-ტყის კავშირი აქ არაფერს აკეთებს. მუშები არ არიან დაზღვეული. მათ არ ეძლევათ უფასო საექიმო დახმარება და სხვ. შრომის ინსპექტორი ჯერაც არ გასცნობია ამ მდგომარეობას. ყოველივე ამის გამო მუშები დიდ გაჭირვებას განიცდიან.

ასეთი მდგომარეობა, უეჭველად, გამოწვეულია აღნიშნული უბნის ყოფილი ხელმძღვანელობის დაუდევრობით. ეს ხელმძღვანელობა მოქ. ხელაძის სახით, არ „სცნობდა" რაიონის ხელისუფლებას. იგი გაიძახოდა: რაიონის ხელისუფლება ჩემთვის არაფერს წარმოადგენს, მე პირდაპირ ცენტრთან მაქვს კავშირიო. ხელაძე ისე მოქმედებდა, როგორც მოეპრიანებოდა, უხეშად ილაშქრებდა თვითკრიტიკის წინააღმდეგ და აჩუმებდა მას; ვინც ხმას ამოიღებდა, ყველას დაპატიმრებით ემუქრებოდა. ასეთი კომყოყოჩობით მან წარმოება დააქცია, და, როგორც კომუნისტმა, შელახა პარტიის სახელი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მესამე უბანში მომუშავე კომუნისტებმა და კომკავშირელებმა ვერ გამოიჩინეს საკმაო გამბედაობა და სიმტკიცე ამ ბოროტმოქმედებათა და უმსგავსოებათა თავის დროზე გამოსააშკარავებლად. პროფორგანიზაციების სუსტმა მუშაობამ, ერთმმართველობის გაუტარებლობამ და პარტიული მუშაობის სისუსტემ თავის მხრივ ხელი შეუწყვეს აღნიშნულ უმსგავსოებათა მიჩქმალვას. წარსულში ადგილი ჰქონდა და დღესაც ვამჩნევთ ადმინისტრაციის, პროფორგანიზაციის და პარტიის ცალკე წევრების ბიუროკრატიულად მოწყვეტას მუშათა მასებისაგან.

ა.-კ. რკინის გზების სატყეო სამმართველოს სუსტმა ხელმძღვანელობამ და ზოგიერთ შემთხვევაში მის მიერ კლასიურად უცხო ელემენტებისადმი ხელის შეწყობ (გებელიას დაცვა) თავის მხრივ შექმნეს ნიადაგი აღნიშნულ უმსგავსოებისათვის.

სამმართველოს ინიციატივით მესამე უბანში იგზავნებოდნენ უცხო ელემენტები, აი მაგალითიც: გადმოგზავნილ იქნა [illegible], როგორც სპეცი, შავსიელი, ყოფილი მოიჯარადრე და დასავლეთ საქართველოდან გამოდევნილი ვიღაც დიმიტრი გებელია. მოქ. გებელიას „სპეცობაზე" არაფერს ვამბობთ, მხოლოდ ჩვენ გვინდა გვიპასუხოს ა. კ. რკ. გზის სატყეო განყოფილებამ: [illegible] რატომ იცავს ამ სოციალურად მიუღებელ პირს? ნუ თუ არ იცის მან, რომ ასეთი ელემენტები ჩვენი მშენებლობის კარგს არ მოისურვებენ? რა იცის სატყეო განყოფილებამ, რომ მოქ. გებელიას [illegible] არ მიუღია რკინის გზისათვის 5000 მანეთის რაოდენობით ზარალის მიყენება. იქნებ ამაშიაც პირი მოსწმინდოს და დაიცვას იგი? რომ სათანადო ორგანოები გაერკვნენ საკითხში, მოვიყვანოთ თელავის რაიკომისადმი ა.-კ. რკ. გზ. სატყ. განყოფილების მიმართვიდან რამოდენიმე ადგილი. იგი თავის მიმართვაში (№ 30 1930 წლის 20 მაისის თარიღით), სხვა ზემდგომ ორგანოებს გარდა, თელავის რაიკომს სწერს: „ა.-კ. რკ. გზის სატყ. განყოფილების მიერ თელავის ხე-ტყის დამამზადებელ უბანში იგზავნება, როგორც საქმის მცოდნე და სპეცი ამ დარგში, მოქ. დიმიტრი გებელია". შემდეგ: „განყოფილებას აუცილებლად მიაჩნია გაცნობოთ აგრეთვე, რომ თუ გებელია არ იქნებოდა ამ უბანში და მისი გამოცდილებით არ ყოფილიყო ხელმძღვანელობა მუშაობაზე, 50 პროც. არ იქნებოდა შესრულებული ის სამუშაო, რაც დღეს შესრულებულია". (სამუშაოს შესრულებას ალბად იმას ეძახის განყოფილება, რომ წარმოებამ იზარალა 50.000 მანეთი და დაწუნებულ იქნა 6.000 შპალი.) ამავე მიმართვაში შემდეგ ვკითხულობთ: „მასთანავე გაცნობებთ, რომ გებელიას მართლაც ხმა აქვს ჩამორთმეული. როგორც მოაღწია ჩვენამდის ცნობამ, მისი ხმის ჩამორთმევა მომხდარა არასამართლიანად და კანონის მიხედვით, რის გამოც მოქ. გებელიამ გაასაჩივრა ეს საქმე საქრთველოს ცაკში, რომელიც ამ დღეებში განიხილავს საქმეს, და არის სრული იმედი, რომ მას ექნება აღდგენილი ხმა, ვინაიდან დასტურდება, რომ ხმის ჩამორთმევა მოხდა კერძო ინტერესების ნიადაგზე. თუ გებელია არ იქნა აღდგენილი მოქალაქეობრივ უფლებებში, იმ შემთხვევაში დაუყოვნებლივ იქნება მოხსნილი ჩვენს მიერ" ამ დოკუმენტზე ხელს აწერენ: ა.-კ. რკ. გზის სატყეო განყოფილების უფროსი—ჯეჯელავა და ადმინნაწილის ხელმძღვანელი კობახიძე.

რას ნიშნავს სატყეო განყოფილების ასეთი მიმართვა, თუ არა იმას, რომ ზოგიერთი მისი მუშაკები იცავენ კლასიურად უცხო ელემენტებს? ამის შესახებ, ალბად, შესაფერ დასკვნას გამოიტანს მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

თელავის რაიონის პარტიულმა კომიტეტმა თავის მხრივ სათანადოდ შეაფასა შექმნილი მდგომარეობა და მიიღო ზომები მის გამოსასწორებლად. პრაქტიკული ღონისძიებათა შემუშავების გარდა, განსაკუთრებული დადგენილების თანახმად, მესამე უბანში უნდა შეიქმნას კომუჯრედი და კომკავშირის უჯრედი, რისთვისაც გამოიყო სპეციალური პირი პრეზიდიუმიდან. კომკავშირის წევრ კუპატაძის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა შესახებ საქმე გადაეცა სათანადო ორგანოებს ზომების მისაღებად. პარტიის წევრ ხელაძის მასალები გადაეცა საკონტროლო კომისიას. კ.-პ. წევრ ცქიფურიძის დაუდევრობის შესახებ დაევალა იმსჯელოს ქ.-კ. რაიკომმა,—კანდიდატის შერჩევის შემდეგ ცქიფურიძე უნდა განთავისუფლდეს სამუშაოდან და სხვ.

ვფიქრობთ, რომ ყოველივე ამის შემდეგ სათანადო ორგანოები თავის მხრივ შესაფერ დასკვნას გამოიტანენ მესამე უბანში შექმნილ მდგომარეობიდან და დამნაშავეებს სასტიკად დასჯიან.

არ. კოკილაშვილი.

ალვირახსნილობის ნიმუში

(სოფ. მეღვრეკისი, გორის ოლქი)

მენშევიკების გვარდიელი და ყოფილი აზნაური ბეგან დედანიშვილი მდიდარი აფერისტული წარსულის პატრონია. მენშევიკების დროს მის პარპაშმა მთელი სოფელი შეარყია. გლეხობას დღესაც არ დავიწყებია მისი ალვირახსნილობა.

1922 წელში დიდანიშვილმა მოახერხა თბილისის მთავარ სახელოსნოს მუშად შესვლა. აქ იგი სესხის სახით სტყუებდა მუშებს ფულს, ხოლო მის დაბრუნებაზე თავსაც არ იტკიებდა.

ამას გარდა, იგი სახელოსნოს პასუხისმგებელ ამხანაგების მიმართ ეწეოდა ინტრიგას, სცდილობდა ცილისწამებით გაეტეხა სახელი მათთვის და თვითონ დაწინაურებულიყო. მისმა ასეთმა მოქმედებამ სახელოსნოს მუშებში აღშფოთება გამოიწვია. და ის იძულებული შეიქნა დაეტოვებინა სახელოსნო.

1926 წელს იგი კვლავ ეწვია სოფ. მეღვრეკისს. აღსანიშნავია, რომ დედანიშვილმა სახელოსნოში ყოფნის დროს მოახერხა პარტიაში შეძრომა. პარტიის წევრობა სოფელში ყოფნისას ბოროტად გამოიყენა. მან თავის გავლენის ქვეშ მოაქცია ადგილობრივი სასოფლო საბჭო და შეგნებულად ამახინჯა პარტიის და ხელისუფლების ხაზი. მივმართოთ ფაქტებს: 1928 წელს ხსენებულ სოფელს გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის ასაგებად უნდა გადაეხადა ხუ მან. ეს ფული საბჭომ სხვადასხვა საშემოსავლო წყაროებიდან ადგილზე დაფარა. სწორედ ამ დროს დედანიშვილს ვალი ემართა ერთი გლეხის. სასამართლოს დადგენილებით მას ვალი დაუყოვნებლივ უნდა გაესტუმრებია, მაგრამ დედანიშვილი ფულზე „ხელმოკლედ" იყო. მან იპოვა „გამოსავალი". საბჭოს წევრების დახმარებით მოძებნა სია იმ გლეხებისა, რომელთაც უნდა გადაეხადათ გლეხთა ახალგ. სკოლის ფული (რაც საბჭოს აგრეთვე ჰქონდა გადახდილი), და დაიწყო მისი აკრეფა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იგი მკაცრ ადმინისტრატიულ ზომებს ღებულობდა იმ გლეხების მიმართ, რომელთაც საშუალება არ ჰქონდათ გადაეხადათ ფული, გამოჰქონდა მათი ოჯახებიდან სხვადასხვა სახის ავეჯეულობა.

ამასთან დედანიშვილმა გაფლანგა ადგილობრივ კლუბში გამართულ წარმოდგენის ფული. გარდა ამისა, რელიგიურ დღესასწაულზე 1927 წ. (ივანობას) მან კერძო ვაჭრებისაგან შეიძინა ღვინო ხუთი კოკა, ბოთლი 45 კაპიკად, ხოლო თვითონ 70 კაპიკად ჰყიდდა. დედანიშვილი ამ შემთხვევაში გამოვიდა კოოპერატივის სახელით, სინამდვილეში კი ტყავი გააძრო გლეხობას და დასცა კოოპერატივის სახელი. როცა ღვინის ვაჭრობას მორჩა, თავის ძმობილებთან მოაწყო ქეიფი და თოფის ტარება. ღვინით გალეშილმა დედანიშვილმა და მის ერთგულმა მეგობარმა ილია ედიშერაშვილმა დაიწყეს ხულიგნური მოქმედება. სხვათა შორის, სრულიად უმიზეზოდ სცემეს მოქ. ირაკლი კვაჭახაძეს და სხვა გლეხებს.

დიდანიშვილის თავაშვებულმა და აფერისტულმა მოქმედებამ აალაპარაკა მთელი მოსახლეობა. უკვირდათ, რომ მენშევიკების დამქაშმა სანავარდოდ გაიხადა საბჭოთა სოფელი. 1928 წელს იგი გარიცხულ იქნა პარტიიდან, რადგან ყოველივე ზემო თქმული დაუმტკიცდა.

1929 წელს დედანიშვილმა, არ ვიცი რა გზით, მოახერხა ტყვიავის თემის საკრედიტო ამხანაგობის ინსტრუქტორის თანამდებობაზე მოწყობა. ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს მან თავის ბიძას, ძველ ვაჭარს და შავსიელს კოლა დიდანიშვილს ღამით გაპარებინა გლეხებისაგან შეძენილი ხილი.

კიდევ ბევრი მსგავსი ფაქტების მოყვანა შეიძლებოდა დედანიშვილის „მოღვაწეობიდან", მაგრამ ნათქვამიც საკმარისია, რომ ის ერთხელ და სამუდამოდ იქნას ალაგმული.

პარტიული

დაუსჯელი გამფლანგველები

(ქუთაისი)

ქ. ქუთაისის არტელ „სიმართლე"-ში მსახურობდენ ნ. შანიძე, გამგეობის თავმჯდომარედ, ს. ოცხელი — მოანგარიშედ, და დევდარიანი — საწყობის გამგედ. მათი უყაირათო და დაუდევარი მუშაობით მოხდა არტელის ლიკვიდაცია. არტელში მრავალი სახის კომბინაციები ეწყობოდა, მაგრამ წევრებს ბურთი ქონდა პირში ჩარჩილი. არტელის ლიკვიდაციის დროს ხსენებულმა პირებმა სხვა და სხვა კომბინაციების მეოხებით გაიტანეს, როგორც სარევიზიო კომისია ადასტურებს, 790 მ. 31 კაპ. ეს ცნობები მოთავსებულ იქნა ქუთაისის გაზეთ „ლენინის გზა"-ში. ამის გამო გამოიყო კომისია მდგომარეობის გამოსარკვევად, მაგრამ ვიღაცეების მეცადინეობით ეს საქმე მიჩქმალულ იქნა.

„სიმართლე"-ს ლიკვიდაციის შემდეგ აღნიშნული ბოროტმოქმედნი პროტექციით მოკალათდნენ არტელ „წითელ ვარსკვლავში", თუმცა ამოდენა ხალხი იქ საჭირო არ იყო. ამ არტელშიც განაგრძეს თავიანთი ძველი „მოღვაწეობა". დევდარიანმა ორი თვის განმავლობაში გაფლანგა 863 მან. და 35 კაპ. ოცხელმა კი მიითვისა არტელის თანხა. ამასაც ადასტურებს კომისია.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ისინი კვლავ თარეშობენ. დაგვიანებით მაინც უნდა მიექცეს ამას ყურადღება. გამფლანგველები ალაგმულ უნდა იქნან.

მცოდნე.

კარებიდან გაგდებული ფანჯარაში შემოძვრა

(ბანძა, სენაკის მაზრა)

ბანძის კოოპერაციის გამგეობას არაფრად ჩაუგდია აპარატის გამწმენდი კომისია და მისი დადგენილებები.

ამ ერთი თვის წინად გამწმენდი კომისიამ სამსახურიდან მოხსნა განყოფილება № 7 ნოქარი თეოფილე ქაჯაია, რომელსაც დაუმტკიცდა პროფესიონალური ხულიგნობა, გარყვნილება და სავაჭროდან საქონლის გაცემა ნაცნობობით. დაუმტკიცდა აგრეთვე ძალადობის ხმარება გლეხის ქალებზე.

ქაჯაიას სამსახურიდან მოხსნის შემდეგ არ გაუვლია ერთ კვირას და გამგეობის თავმჯდომარე მ. ნიკოლავამ ის დანიშნა ნოქრად იქვე გვერდით განყოფილება № 3-ში, სადაც უფრო კარგად მოეწყო ქაჯაია. ამასთანავე ის უფრო გათამამდა: უყვირის და აგინებს ყველა იმათ, ვინც წმენდის დროს ის ამხილა. განყოფილება № 3 უფრო მეტად დატვირთულია, ვიდრე № 7 და იქ მუშაობა დიდათ უფრო საპასუხისმგებლოა. ამაზე იტყვიან, კარებიდან განდევნილი ფანჯარაში შემოძვრაო.

გლეხები უკმაყოფილონი არიან გამგეობის ასეთი მოქმედებით და მოითხოვენ ქაჯაიაზე გამწმენდი კომისიის დადგენილების გავრცელებას.

„ძასო".

ყოფ. ვაჭრების თავშესაფარი

(მუშკოოპის ხილის და ბოსტნეულის სექცია)

მუშკოოპის ხილ-ბოსტნეულის სექციაში მოკალათებული არიან ყოფილი ვაჭრები და უცხო ელემენტები, რომლებიც გლეჯის მეტს არაფერს აკეთებენ, არ არიან დაინტერესებული მუშების მომარაგებით. მათ გაწმენდას არ დაადგა საშველი, პირიქით—კიდევ ღებულობენ ასეთ პირებს. „სპეცებად" ნათლავენ მათ და მოზრდილ ჯამაგირებსაც აძლევენ. ასეთებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან სოფლად გაგზავნილები, რომლებიც უშუალოდ დამზადებას აწარმოებენ. ერთი ფაქტი, საფინანსო ორგანოების განკარგულებით დააპატიმრეს მუშკოოპის 483 მაღაზიის გამგე—ვაჭარი, რომელიც გაურბოდა გადასახადის შეტანას და მალავდა თავის ვინაობას. ხილბოსტნეულის სექცია ატყობინებს მესამე სამილიციო რაიონს, რომ დაპატიმრებული მუშკოოპის თანამშრომელია და უნდა გაანთავისუფლოთო. სექციამ ეს ჩაიდინა მუშკოოპის გამგეობის სახელით, მაშინ როცა გამგეობამ ამ საქმის შესახებ არაფერი იცის.

მუშკოოპს ჰყავს სოფლებში დაგზავნილი აგენტები ბოსტნეულის დასამზადებლად. ისინი გზავნიან დამზადებულ ბოსტნეულს ვაგონებით თბილისის სადგურზე. აქ არსებობს უმუშევართა ჯგუფი ექსპედიტორებისა, რომლების მოვალეობას შეადგენს ვაგონების დახსნა და საქონლის ქალაქში გამოტანა. რას შვებიან ექსპედიტორები? ისინი პირველ რიგში გზავნიან კერძო პირთა ბოსტნეულს ან სხვა პროდუქტებს ბაზარზედ, ან საქონელს პირველად უგზავნიან იმ ორგანიზაციას, რომლებიც „ყელს ჩაასველებიებს" მათ. მუშკოოპის საქონელი ყრია დღეობით სადგურში. ფრახტი უნდა გადაიხადონ პატრონებმა. მუშკოოპს ამ მხრით ხელი არ შეეშლება, მაგრამ სხვა პირებს და ორგანიზაციებს თავის დროზე ფული არ აქვთ ფრახტის გადასახდელი. ეს ფული ექსპედიტორებმა უნდა გადაუხადონ რკინის გზას. უკანასკნელი აკავებს არა მარტო იმ საქონელს, რომლის ფული გადაუხდელია, არამედ განურჩევლად ყველა იმ საქონელს, რომელიც ექსპედიტორებმა უნდა დაიხსნან. აქ ხვდება მუშკოოპის საქონელიც. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ მუშკოოპის საქონელი მეორე რიგში იგზავნება, გასაგები გახდება, თუ რატომაა ხშირად დამპალი მუშკოოპის ბოსტნეული და ხილეული. ყოველივე ეს იციან მუშკოოპის მესვეურებმა, მაგრამ ზომებს არ ღებულობენ ამ უმსგავსოების აღმოსაფხვრელად.

მუშკოოპის ხილ-ბოსტნეულის სექცია საფუძვლიანად უნდა გაიწმინდოს.

მეთვალყური.

უნდა იქნან გაძევებულნი

ხე-ტყის სახერხი ქარხანა „მხედარი")

ეს ქარხანა მდებარეობს მტკვრის პირას, კამოს ქუჩაზე. ქარხანაში ყოფ. წითელ არმიელები და მეთაურები მუშაობენ.

მაგრამ ხსენებულ ქარხანაში შეპარული არიან უღირსი ელემენტებიც, როგორიც: 1) ვ. დილევსკი, 2) პ. მესხელი, 3) ფედოტოვი, და 4) პავ. მშედლოვი.

1. ვ. დილევსკი — ამჟამად ქარხნის მოლარე და საქმეთა მმართველი, სისტემატიურად იგვიანებს, სამუშაოზე ცხადდება 10 საათზე, თავის მოვალეობას გულგრილად ეპყრობა. ამასთანავე ის ნიკოლოზის დროის გამომძიებელია, რომელიც რევოლუციონერებს დაუზოგავად დევნიდა. 2. პავლე მესხელი — ქარხნის გამგეობის წევრი და დამზადებულ მასალის გამგე, მიმსვლელთ ეპყრობა ჩინოვნიკურად ტიპიური ბიუროკრატი, ყოფილი ოფიცერი, აშკარა ანტისაბჭოთა ელემენტი; სისტემატიურად აგვიანებს. 3. ფედოტოვი — ამჟამად გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე — ყოველგვარ საქმეში გულგრილობას იჩენს, გვგონებათ, თითქოს უჯამაგიროდ მუშაობსო; იყო შემთხვევა, რომ ფედოროვს დასძინებოდა სამუშაო მაგიდაზე და ძლივს გამოიღვიძა, როდესაც უსუნთქეს „ნიშადურის სპირტი". 4. მშედლოვი ქარხნის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, ყოფილი ბოლკოვნიკი, გასულ წელს ცუდი მუშაობისათვის გაძევებულ იქნა სამსახურიდან, მაგრამ რაღაც კომბინაციებით და ძმაბიჭების დახმარებით ისევ მოეწყო; როგორც სარევიზიო კომისიის ხელმძღვანელი. იყო ორისამი შემთხვევა, როცა მან სარევიზიო კომისიის კრებაზე მოითხოვა ზემოხსენებული თანამშრომლების გათეთრება.

ყოველივე ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა კომბინაციებს და თაღლითობას ექნება ადგილი ქარხანაში. საკითხი ამ ანტისაბჭოთა ელემენტების შესახებ არა ერთხელ ყოფილა დასმული საერთო კრებებზე, მაგრამ ვიღაცას წყალობით ხსენებული პირები მშრალად გამოდიოდნენ.

საჭიროა ჩამოთვლილ პირების ვინაობა და საქმიანობის მზეზე გამოტანა და მათი დროზე მოშორება, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ქარხანას დაღუპვის კარამდე მიიყვანენ.

საბოლოო სიტყვა გამწმენდ კომისიას ეკუთვნის

გულშემატკივარი.

გაუსწორებელი ლოთი

(კასპის რაიონი)

კასპის რაიონის საფინანსო ნაწილის გამგედ არის მოქ. ისაკ აჯიაშვილი, რომელიც სისტემატიურად თვრება. წმენდის დროს გლეხობა ბევრ რამეში ამტყუნებდა აჯიაშვილს, მაგრამ ის რატომღაც დატოვებულ იქნა სამსახურში. მას მხოლოდ საყვედურის გამოცხადება აკმარეს.

ამის შემდეგ, გამოსწორების ნაცვლად, ის უარესს შვრება. აი ფაქტი: ა.-წ. 23 მაისს აჯიაშვილი სამსახურის საქმეებზე გაგზავნილ იქნა სოფ. ქვემო-ჭალაში. აქ მან გაიტანა ღვინო ბაღში და ხელი მიჰყო „ძმაბიჭურად" ქეიფს. თანაც ისე ხმამაღლა ყვიროდა, რომ ხმაურობა სოფლის ბოლოში ისმოდა. წარმოსადგენია, თუ რანაირ შთაბეჭდილებას მოახდენდა ასეთი „მუშაკი" გლეხობაზე.

შემდეგ აჯიაშვილი დგება სუფრიდან, მოდის ქვემო-ჭალის ქოხ-სამკითხველოში და უკანასკნელის გამგე ქალს ეუბნება (უკვე ღამის ცხრა საათია): შეჯექი ცხენზე, წავიდეთ საკორინთლოში და სასოფლო-სამეურნეო ობიექტების აღწერა ვაწარმოოთო.

ასეთ პირს საბჭოთა სამსახურში, ისიც საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

იხეში.

უწესობანი წყალტუბოს აგარაკზე

წყალტუბოს მოაგარაკენი, კერძოდ გლეხობა, უბინაობის გამო, დიდ გაჭირვებას განიცდიან. ისინი იძულებულნი არიან იქირაონ ოთახები აბაზანებიდან ერთი და მეტი კილომეტრის დაშორებით. აგარაკის შენობის თითო ოთახში მოთავსებულია 5-6 სული, ხშირად სხვადასხვა ოჯახებიდან. ოთახების სივრცე 20-30 კვ. მეტრს უდრის. მოაგარაკენი მორჩენის მაგივრად, ასეთი შემჭიდროების და შეხუთული ჰაერის პირობებში, უფრო დაავადმყოფდებიან მით უმეტეს, რომ ავადმყოფების დიდი ნაწილი გულით და ნერვების აშლილობითაა დასნეულებული. ჰაერი ოთახში არ ყოფნით, ზოგიერთი ავადმყოფი ფანჯრის გაღების ნებას არ იძლევა, ეწევიან თამბაქოს, რომლის სუნის ატანა ბევრისათვის საძნელოა. არის ხმაურობა და სხვ. ამნაირი ცხოვრების დროს საეჭვოა, რომ სამკურნალო წყლებმა ავადმყოფთ საგრძნობი სარგებლობა მოუტანონ.

გაჭირვებას განიცდიან მოაგარაკენი კიდევ იმის გამო, რომ სამკურნალო აბაზანების მიღებამდე 7 სხვა და სხვა ადგილას უნდა მიჰვიდნენ ჩასაწერად, რაც ძლიერ ჭიანურდება, ვინაიდან ყველგან დიდი რიგებია; ყოველგვარი ფორმალობის შესრულებას უნდებიან ერთი-ორი დღე. აი, რა „წესებია" აქ შემოღებული: 1) უნდა წარადგინოთ პიროვნების საბუთი, განაცხადოთ, თუ სად დგახართ, და მიიღებთ ბილეთს, 2) მეორე ადგილას წარადგენთ ამ ბილეთს რეგისტრაციისა და კონტროლისათვის, აქვე გადაგახდევინებენ ჰიგიენურ აბანოში დასაბან და ექიმის ფულს, 3) აქედან წახვალთ ჰიგიენურ აბანოში, 4) შემდეგ მიდიხართ პროცედურაზე, 5) მერე— ექიმთან, 6) აქედან ისევ უნდა დაბრუნდეთ იქ, სადაც პირველად მიიღეთ პროცედურა, და დაგინიშნავენ საათებს, თუ როდის უნდა მიიღოთ აბაზანები, 7) ბოლოს მიდიხართ სალაროში, იხდით ფულს და აიღებთ ბილეთს აბაზანების სარგებლობისათვის. მთელი ეს მისვლა-მოსვლა და რიგებში დგომა პირდაპირ წამებაა მოაგარაკისათვის მაშინ, როცა სულ უბრალო რამეა ყოველივე ამის გამარტივება.

არის ერთი ფურნე, სადაც ყოველთვის დიდი რიგია პურის მისაღებად და წესრიგს იცავს მილიციონერი. აქ ღებულობენ პურს, გარდა მოაგარაკეებისა, ახლო სოფლებიდან მოსულები, ადგილობრივი მუშებიც, და მოაგარაკეებს ხშირად აგვიანდებათ აბაზანების მიღება, ან სულაც ვერ ღებულობენ მათ. ამასთან პურის მისაღებად რიგში ხანგრძლივად დგომა, ცხადია, ცუდად მოქმედობს ავადმყოფთა ჯანმრთელობაზე. ამას უნდა მოეღოს ბოლო: პური უნდა იყიდებოდეს ორ-სამ ადგილას.

ერთ დღეს კოოპერატივის მახლობლად შემოგვესმა ყვირილი, მილიციელი სტვენდა და თხოულობდა დახმარებას. ვნახეთ, რომ კოოპერატივში და სალაროს წინ რიგში მდგომი ქალები ჩხუბობდნენ. ასეთი შემთხვევები აქ ხშირია. რიგი იყო სამნაირად განაწილებული: პირველ რიგში იდგნენ გლეხები, რომელთაც დაურიგდათ კოოპერატივიდან სიმინდი და სალაროში აბარებენ ფულს, მეორე და მესამეში — მოაგარაკე ქალები და კაცები. ნუ თუ არ შეუძლია კოოპერატივს სიმინდის ფული გლეხებს ცალკე გამოართვას, ისინი მოაგარაკეებთან არ არიოს და ამით აიცილოს უწესრიგობა.

მოაგარაკეთაგან უმეტესად არიან გლეხები, რომლებიც იგზავნებიან კოლექტივებიდან, რაც დიდი შეღავათია ღარიბ გლეხებისათვის. მომავალში მათთვის ბინებიც იქნება, ვინაიდან დაწყებულია დიდი გლეხთა სახლის შენება.

აგარაკს არა აქვს კარგი სასმელი წყალი, არის ერთი, რომელსაც სვამენ, მაგრამ, როგორც იქ მცხოვრებლებმა სთქვეს, არ დაილევა, მით უფრო აუდუღებელი, რადგან ავრცელებს ციებას. აგარაკს წინად ქონდა ორი ბაკი წყლის ასადუღებელი, წელს კი ერთიც დარჩენილა და სრულიად არ ყოფნით არამც თუ ადუღებული ცივი წყლის დასალევად, არამედ ჩაისთვისაც კი. და აქაც დიდი რიგია და აურზაური.

ოთახები ნაწილდება მოაგარაკეთა შორის არა რიგის მიხედვით, როგორც ეს ჩაწერილია, არამედ ნაცნობობით და პროტექციით. აბაზანების მიღების დროსაც არის დიდი რიგები და სრული უწესრიგობაა: სულ არსებობს 4 აბანო, ამათში ორი გაუქმებულია, ვინაიდან მათი შეკეთება დაუწყიათ სეზონის დროს და მთელი ხალხი აწყდება ორ აბანოს.

ამნაირი „წესრიგის" წყალობით ბევრი მოაგარაკე უკან ბრუნდება და ნანობენ, რომ მოვიდნენ.

გაკვირვებაში იყვნენ მოაგარაკენი, რომ ბათომიდან მოსულ ვაჭარ ჩხიკვიშვილისა და მისი ცოლისათვის მუდამ წინდაწინ იყო დაკავებული ადგილები აბაზანის მისაღებად. ბევრჯერ შეეკითხნენ მოაგარაკენი ჩხიკვიშვილს, თუ როგორ ახერხებს ამას, რის საპასუხოდ იგი ღიმილით ჩაიცინებდა.

თუ გინდა დაბრუნდე წყალტუბოდან სახლში ავტომობილით, კანტორაში უნდა მიხვიდე ორი ღამის 4 საათზე და ჩადგე რიგში. საუბედუროდ, აქაც ნათლიმამობას აქვს ადგილი და დიდი გასაჭირია დროზე აქედან წასვლა.

წყალტუბოს აღმასკომს აქვს ძველი სახლი, სადაც არის მოთავსებული სკოლა და სათალაქო. ამავე შენობაში აღმასკომი აქირავებს 10 ოთახს მოაგარაკეებზე. ამ სეზონზე აქირავებდა დღეში ოთახს დაზღვეულ პირებზე 1 მან. 50 კაპ. კერძოებზე—2 მან., შემდეგ მოუმატა და აქირავებს პირველებზე 2 მან., მეორეებზე 2 მან. 50 კაპ. ამის შემდეგ კერძო სახლის პატრონებმა უფრო აწიეს ფასები თავიანთ ოთახებზე. აღმასკომის ოთახებში, რომლებიც შეიცავს 20—25 მეტრ სივრცეს, ცხოვრობენ 6—7 სული გლეხობა, ვინაიდან მათ არ შეუძლიათ იხადონ ერთმა და ორმა ასეთი დიდი გადასახადი. ეს სახლი დაშორებულია კურორტის შენობაზე, ავტოგარაჟზე, სასადილოზე და საყასპოზე 100—200 ფეხის ნაბიჯით, გარშემო ცხოვრობენ მოაგარაკენი. ამ სახლის ეზო არ არის შემოკავებული და აქ ბალახობენ ცხენები, ღორები და სხვა პირუტყვი. ეზო გადაქცეულია სანაგვედ, ოღრო-ჩოღრო ადგილებს ავსებენ მოხვეტილი ნაგვით. ყრია საქონლის თავები და ძვლები; სოფლიდან ჩამოსული ურმები აქ ჩერდება; სადალაქოდან გამოყრილი ბალნები მიმოფანტულია და ქარს ოთახებში შემოაქვს ყოველგვარი სიბინძურე. მახლობლად ამ სახლთან ღობის ყურეში უპატრონოდ ყრია შეგროვებული [illegible] და იფანტება. როგორც ამას, ისე ზემოდ აღნიშნულ ნაგავს, ეხვევიან მწერები, რომლებიც შემოდიან ოთახებში, სასადილოში და ესევიან იქვე საყასბოში ხორცს, რომელიც არაფრით არ არის დაფარული. ამ შენობის ფეხისადგილი გაყოფილია ორ ნაწილად, გადატიხრული ფიცრული ჩამტვრეულია, კარი ერთი მოგლეჯილია, სარგებლობენ მხოლოდ ერთი ნაწილით, სადაც მიდიან მეზობლათ მყოფნი მოაგარაკენიც და სხვები, რისთვისაც აქაც რიგია.

ფეხისადგილები როგორც აქ, ისე სხვაგან, სრულიად უსუფთაოდაა მიტოვებული და იქ შესვლა უძნელდება ადამიანს, არ ყრიან კირს, რომ ცოტაოდნავ დეზინფექცია გაუკეთონ. საერთოდ, დიდი ანტისანიტარული მდგომარეობაა გამეფებული. ყურისმგდებელი არავინაა.

წყალტუბო სახალხო კურორტია, რომელსაც უმეტესად ღარიბი გლეხობა ეტანება. საჭიროა მის კეთილმოწყობას გაცილებით მეტი ყურადღება მიექცეს, ვიდრე ამას აქვს ადგილი.

ალ—შან.

უყაირათობა და დაუდევრობა

(ნატახტარის წყალსადენი)

ნატახტარის წყალსადენის სამუშაოებზე მოკალათებული არიან ყოფილი მოიჯარადრეები, მეფის ოფიცრები, ვაჭრები და სხვა მავნე ელემენტები. ასეთ პირობებში გასაკვირი არ არის, რომ ფუჭდება ღია ცისქვეშ ცუდ ავდარში ბედის ანაბარად დაყრილი ცემენტის დიდი პარტია. უგეგმოდ გაყავთ გვირაბები, რომლებიც ხშირად გამოსავსები ხდება. არაგვის ზვირთებს მოაქვს დამზადებული სამშენებლო მასალები, რომელთა ღირებულება ათასეულ მანეთებს სჭარბობს. მცხეთიდან უკანვე იგზავნება აირუმიდან მიღებული გრანიტის ქვით სავსე ვაგონები, ამ მასალის უვარგისობის გამო, აგროვებენ მასალებს იქ, სადაც მათი მიტანა საჭირო არ იყო, რაც მათ გაფუჭებას იწვევს. აბუჩად არის აღებული მუშათა წინადადებები სამშენებლო ხაზზე დასაშლელი ბინების გამოყენების შესახებ, რაც დიდ დაზოგვას მოგვცემდა, სანამდე დაამუშავებს ამ წინადადებებს სამუშაოთა მწარმოებელი გ. ძლიაძე, — არავინ იცის. ასეთ მდგომარეობას ყურადღებას არ აქცევს დანაკარგებთან მებრძოლი შტაბის მეთაური მელია (ყოფილი ოფიცერი).

როცა ცენტრიდან ჩამოვლენ სამუშაოს ზემდგომი ხელმძღვანელები, მათ შეცდომებში შესაყვანად იწყება ფუსფუსი. წავლენ თუ არა ისინი, ყველაფერი ისევ ძველებურად რჩება.

თვითკრიტიკა უხეშადაა ჩახშობილი, რასაც მოწმობენ თუგინდ უბნის კომენდანტის რიგიშვილის აღმაშფოთებელი ხულიგნობა საერთო კრებებზე და კედლის გაზეთის ყოფილი ხალხისათვის სანავარდოდ გადაქცევა. არც ერთი წიგნი არ არის 1500 მუშა-მოსამსახურისათვის, რომელნიც ჩაბმული არიან მუშაობაში. სამი ათასი მანეთიდან, რომელიც აღმასკომმა კულტფონდის გასაძლიერებლად გასცა, შეძენილია საზარტო სათამაშოების საგნები. სასადილოში მთელ რიგ უმსგავსოებას აქვს ადგილი.

დამნაშავენი სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ.

შ. ჯავშანელი.

პენსია არ ეკუთვნით

(ამაღლების თემი, გურია)

ამაღლების თემის მცხოვრები მოქ. სამსონ მაქსიმენისძე ჯიბუტი კარგი ხანია ღებულობს პენსიას სამტრედიის რკინის გზის დამზღვევ სალაროდან. ჯერ კიდევ 1926 წლიდან ჯიბუტი იღებს თვეში 20 მან. 62 კაპ., რაც ოთხი წლის განმავლობაში უდრის 1025 მ. და 76 კ. ეს იმ დროს, როდესაც ჯიბუტი ყოველგვარ სათემო აღმშენებლობაში ხელს უშლის მოსახლეობას და სესხის ობლიგაციასაც კი არ იძენს, რაც გლეხებში უკმაყოფილებას ბადებს.

ჯიბუტი არის ამაღლების სინამდვილეში მოკულაკო ელემენტი, რომელსაც დღესვე უნდა მოეხსნას პენსია. მისი ქონებრივი მდგომარეობა ასეთია: აქვს წაბლის ხის ერთი ოდა ოთხი ოთახით, კრამიტით გადახურული, 4.500 მან. ღირებული, სამზარეულო—სახლი—3.000 ღირებული, ჰყავს უღელი ხარი—1.000 მან., ახლად იყიდა წისქვილის (სუფსის წყალზე) მეოთხედი—800 მან., აქვს ხულა—500 მან., სასიმინდე 300 მან.; ჰყავს ძროხა, ცხვარი და აქვს სახნავ-სათესი მიწები.

ასევე უკანონოდ იღებს პენსიას ამაღლების თემის მცხოვრები ნოე მახარაძეც, რომელსაც პენსია უნდა მოესპოს.

საჭიროა წინადადება მიეცეს ადგილობრივ ხელისუფლებას, რათა ასეთი მოკულაკო ელემენტებისათვის სიღარიბის მოწმობის გაცემაზე შეიკავონ თავი, ვინაიდან ამ მოწმობით ჩვენი დამზღვევი სალაროები შეცდომაში შეჰყავთ.

ბეს. დოლიძე.

ვინ მფარველობს

(ბაღდათი, ქუთ. ოლქი)

ივანე ფერაძე მსახურობდა ბაღდათის გლეხკომში მდივნად, აქედან ის მოხსნეს გლეხობის მიმართ უხეშად მოქცევისათვის და პასუხისგებაშიაც აძლევდენ, მაგრამ ვიღაცამ გადაარჩინა.

შემდეგ დანიშნეს სამკითხველოს გამგედ, მან მიითვისა სამკითხველოს გაზეთების ფული. მასვე „შემოეხარჯა" „ახალი სოფელი"-ს გამოსაწერად გლეხობისაგან შეკრებილი 35 მანეთი. ამ ამბავმა მიაღწია „ახალი სოფელი"-ს რედაქციამდეც. უკანასკნელმა მოავლინა თავისი წარმომადგენელი, გამოიკვლია საქმე და გადასცა სასამართლოს, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ფერაძე პასუხისგებაში მიეცათ გაფლანგვისათვის, გადაიყვანეს დამზღვევ სალაროში. სწორედ ამ დროს გაზ. „მუშა"-ში ფერაძის შესახებ მოთავსებული იყო წერილი სათაურით: „ორაგული ზღვაში გადაისროლეს", მაგრამ აქაც გამოუჩნდა ფერაძეს მფარველი და საქმე მიჩქმალეს.

ფერაძემ სახალხოდ სცემა მამას — ქონებას ჩემს სურვილზე რატომ არ მაფლანგვინებსო.

მან მოსთხოვა სოფ. ფერსათში მცხოვრებ ალ. სამხარაძეს ასი მანეთი და დაპირდა დახმარებას კულაკობის სიიდან ამოშლაზე. ფერაძის ასეთ მოქმედების გამო, შედგენილ იქნა ოქმი, რომელიც გადაეცა სასამართლოს, მაგრამ ჯერ საქმეს სძინავს.

მას სხვა „ცოდვებიც" ბლომად აქვს.

უნდა გამოირკვეს, თუ ვინ მფარველობს ფერაძეს.

ვ—ელი.

გამოძახილი წერილებზე

ლოთები და ხულიგნები მოხსნილი არიან

გაზ. „კომუნისტში" მოთავსებულ წერილის „ლოთების ხუთეული"-ს გამო, რომელიც ეხებოდა სურამის საბჭოს ზოგიერთ თანამშრომლებს, საბჭომ გამოყო კომისია საქმის გამოსარკვევად. კომისიამ სავსებით დაადასტურა ხსენებულ წერილში წამოყენებული ბრალდებანი. სურამის რაიაღმასკომმა ლოთობისა და ხულიგნობისათვის სამსახურიდან მოხსნა: სურამის საბჭოს მდივანი შალვა შველიძე, საბჭოს ბუღალტერი ალექსანდრე ჩიჩუა და კლუბის გამგე ივანე დიდებულიძე. გარდა ამისა, სურამის საბჭოს აგრონომს ვასილ ცომაკურიძეს გამოეცხადა გაფრთხილება და ის სურამიდან გადაყვანილ იქნა გომში.

სურამის რაიაღმასკომი.

დამნაშავე დაპატიმრებულია

თქვენი გაზეთის № 78-ში მოთავსებულ შენიშვნის („ძირეულელი გმირები დაისაჯონ") გამო, აღმშ. კავშ. საქ. ც. გამგეობა გაცნობებთ, რომ მიღებული ზომებით შენიშვნაში მოხსენებული მოქ. დოლიძე დაპატიმრებულია და მიცემული პასუხისგებაში.

აღმშ. კავშ. გამგეობა.

საჭირო განმარტება

გაზ. „კომუნისტი"-ს ა.-წ. № 118-ში მოთავსებულია წერილი „პასუხისმგებელ მუშაკის უპასუხისმგებლო მოქმედება", სადაც აწერილია თბილისის აღმასკომის სადარაბო სექციის გამგის ლეონ აკოფოვის მოქმედება. რადგან ჩემი სახელი და გვარი იგივეა, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ამით ვაცხადებ, რომ მე და აღნიშნულ აკოფოვს საერთო არაფერი გვაქვს.

ა.-კ. გზატრანსის ეკონ. განყ. გამგე ლეონ გიორგის ძე აკოფოვი.

განვამტკიცოთ კულტურული ფრონტი

დაუზოგველი ბრძოლა იდეოლოგიური გადახრის წინააღმდეგ

შეგნებული მავნებლობა თუ საქმის უცოდინარობა?

(თბილისის მუშათა ცენტრ. სამკითხველო)

თბილისის ბავშთა ცენტრ. სამკითხველოს „განაგებს" მოქ. ნინო ოკუჯავა. ეს დაწესებულება უნდა ემსახურებოდეს ჩვენი მოზარდი თაობის სოციალისტურად აღზრდას, თანამედროვე აღმშენებლობისა და ყოფაცხოვრების საკითხების გაშუქებას, ჩვენი ახალ თაობის რევოლიუციონური პროლეტარიატის ბრძოლით და იდეებით დაინტერესებას, ამ მიმართულებით ცენტრალურ ბავშვთა სამკითხველოს დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია სკოლის გარეშე განათლების საქმეში.

სამწუხაროდ, ეს დაწესებულება საწინააღმდეგო შედეგებს იძლევა. იქ არავითარი პედაგოგიურ-აღმზრდელობითი და საზოგადოებრივი მუშაობა არ სწარმოებს. ამის ნაცვლად სამკითხველო ბლომად აწვდის პატარა მკითხველებს ნიკოლოზის და მენშევიკების დროის რელიგიურ, მეშჩანურ, შოვინისტურ და ანტი-საბჭოთა იდეებით გაჟღენთილ წიგნებს, მაშინ, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების დროს გამოცემული წიგნები და ჟურნალები მთელი წლობის განმავლობაში დაუმუშავებელი და გაუკრელი აწყვია გამგის ოთახში.

ავალაპარაკოთ ფაქტები; მრავალთაგან ადგილის უქონლობის გამო მხოლოდ რამოდენიმე მაგალითს მოვიყვან: 1. 1930 წლის განმავლობაში სამკითხველოს ათეჯერ გაიცა 1910 წელს გამოცემული ჟურნალი „ნაკადული", ამ ჟურნალის პირველი გვერდი იწყება ღვთის მშობლის და იესო ქრისტეს სურათით, შემდეგ მოდის იაკობ ლექსი „საშობაო ამბავი", ამას მოყვება—შობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი განდეგილის მოთხრობა „სებედას დღესასწაული", ამავე ჟურნალის შემდეგ გვერდებს ამშვენებს ქრისტეს შობის სურათი ბეთლემში და ბიბლიური თქმულება ქრისტეს შობის შესახებ. 2. რამოდენიმეჯერ არის გაცემული 1908 წ. გამოცემული ნაკადული № 4, რომელსაც ამშვენებს სურათი „გარდამოხსნა იესო ქრისტესი", ლექსი „აღდგომა" და მოთხრობა „აღდგომა სოფელში". ასეთივე რელიგიური ხასიათისაა 1914 წელს გამოცემულ ჟურნალის №№ 11, 12 და სხვა მრავალი. ხოლო 1916 წელს გამოცემული ჟურნალი ნაკადული შემკულია თამარ-მეფის სურათებით და ხოტბა-დიდებით. სამკითხველოს მიერ გასაცემ ჟურნალებში ხშირად შეხვდებით ასეთ ლექსებს: „იშვა ქრისტე, ჩაგრულ სოფლის მაცხოვარი მოევლინა, ქვეყნად შობა მოიტანა და მშვიდობა ცათა შინა" (ნაკ. 1913 წ. № 12) გასაცემ წიგნების მოძრავ თაროებზე ბევრია აგრეთვე შოვინისტური შინაარსით გაჟღენთილი მენშევიკების დროს გამოცემანი. სანიმუშოდ შეიძლება ავიღოთ ერთი მათგანი, ჟურნალი „ნაკადული" 1919 წ. № 1, რომლის პირველ გვერდზე მოთავსებულია სურათი „ყრმა იესო ტაძარში მსწავლულებს ესაუბრება". ამავე ჟურნალის მე-41 გვერდზე შეხვდებით, მენშევიკური საქართველოს დროშას და მეტად პატრიოტული შინაარსის წერილს „დამოუკიდებელი საქართველო", ლოზუნგით, „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა". შემდეგ გვერდს—ორდანია-რამიშვილის და მათ მოძმეთა სურათები ამშვენებს. ჟურნალი ბოლოვდება შოვინისტური ხასიათის წერილით—„თავისუფალ საქართველოს მტერი",—ომი სომხეთის წინააღმდეგ. (ინტერნაციონალური აღზრდაც ასეთი უნდა). ასეთი წიგნები აწყვია ცენტრალურ სამკითხველოს მოძრავ თაროებზე და ამავე დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოთა გამოცემანი—ჟურნალები „ოქტომბერი" და „პიონერი" არც ერთი არ არის ხმარებაში და აწყვია გამგის ოთახში.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ თანამშრომელს არა ერთხელ მიუმართავს გამგეობისათვის, რომ მოეწვიათ კრებები და განეხილათ სამკითხველოს ახალ ნიადაგზე გარდაქმნის საკითხები,—გამგეობა ყოველთვის სხვადასხვა გვარ პასუხს იძლეოდა: 1. „ჩვენთან კი არა, არც ერთ სკოლაში არაფერი არ კეთდება", 2. „განათლების კომისარიატს იმიტომ არ გამოუგზავნივარ აქ, რომ ბიბლიოთეკის ირგვლივ აქტიური საზოგადოებრივ-რევოლიუციონური მუშაობა ვაწარმოო", 3. ან და სიჩუმით უპასუხებდენ, უყურადღებოდ ტოვებდენ ჩვენს მოთხოვნილებას.

რადგან დაწესებულების ფარგლებში შეუძლებელი გახდა ამ ფრიად სერიოზული საქმის მოგვარება, უნდა გამოვიტანოთ იგი ფართო საზოგადოებრივობის წინაშე, რათა ამ საქმის დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა და საბჭოთა ფართო საზოგადოებრივობამ დაუყოვნებლივ გამოარკვიონ, რით არის გამოწვეული ასეთი აღმაშფოთებელი მდგომარეობა: შეგნებული მავნებლობით თუ საქმის უცოდინარობით. ორსავე შემთხვევაში სასტიკად უნდა დაისაჯონ დამნაშავენი ჩვენი ნორჩი თაობის ასე აბუჩად აგდებისათვის. ამასთანავე ვადგენ პრაქტიკულ წინადადებებს, რომლებიც ჩემის აზრით, საჭიროა გატარდეს სამკითხველოში.

1. სამკითხველო უნდა იქნას გაწმენდილი მავნე და უვარგის წიგნებისაგან, რისთვისაც საჭიროა წიგნების დაკვირვებით გადარჩევა (და არა ისე პანიკურად, როგორც ამას ადგილი აქვს ამჟამად—ამ წერილის შინაარსის გაცნობის შემდეგ). 2. 1927 წლიდან დღემდე გამოცემული საბავშვო ჟურნალები და წიგნები, რომლებიც მოუხმარებლად აწყვია ოთახში, პირველ რიგში უნდა იქნეს დამუშავებული და გამოტანილი ხმარებაში. 3. ვეებერთელა დარბაზი (168 მეტრ.), რომელიც შენობის ასეთი სივიწროვის დროს უქმადაა, უნდა იქნას გამოყენებული სამეცადინოდ. 4. ბიბლიოთეკისათვის უნდა იქნას გამოძებნილი თანხები მოსახლეობის ამოძრავების საშუალებით. 5. სამკითხველოში ჩაწერილ 3.000 ბავშვის მშობლები უნდა იქნან ჩაბმული მუშაობაში. 6. მათი დახმარებით შეგროვდეს წიგნები მცხოვრებთა შორის. 7. სამკითხველოდან უნდა მოეწყოს მწერალთა წრე, რომელიც ჩვენთან ერთად გამოარკვევს—როგორი შინაარსის წიგნებია საჭირო ბავშვებისათვის (სოციალური შეკვეთა) 8. წიგნის გაცემის ტექნიკა ძირიანად უნდა შეიცვალოს. 9. დეკადაში 4 დღე უნდა სწარმოებდეს წიგნების გაცემა, 4 დღე კი მშობლების ჩაბმით წიგნზე მუშაობა: წიგნების ბავშვთა მასაში გადატანა, თხრობა-კითხვის და სხვადასხვა შერჩევის სახით. 10. ხშირად ჩვენი თანამშრომლები 4—7 თვე არიან დამზღვევ სალაროზე, მათი ხვედრითი ჯამაგირი კი ნაწილდება ზოგიერთ თანამშრომელთა შორის; ამ თანხით მოწვეული უნდა იქნენ საქმის მცოდნე ახალი თანამშრომლები, რომლებიც იდეურადაც წინ წასწევენ სამკითხველოს. 11. წელიწადი გათავდა და 70 პროცენტი მოძრავი წიგნებისა, ბავშვების დაფანტული; ეს წიგნები უნდა შეგროვდეს. 12. დაწესებულებაში უნდა მოისპოს თანამშრომლების [illegible] 2—2 კვირით ადმინისტრაციის მიერ.

ქ. იოსელიანი.

უღირსი მასწავლებელი

(ყარაიას თემი)

ყარაიას შვიდწლედისა და ამავე რაიონის შრომის სკოლების გამგე აბრამ ივანეს-ძე სემიონოვი „პოპულარული" პიროვნებაა მთელი რაიონისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი უცნობი დარჩენილა სათანადო ორგანოსათვის, მაგ., თბილისის ოლქის გან. განყოფილებისათვის.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა იმედებია დამყარებული სოფლად მასწავლებელზედ გლეხობის კულტურული დონის ასაწევად. მხოლოდ ა. სემიონოვი სულ სხვა მიმართულებით მუშაობს. ის, როგორც თვითონ ამბობს, ძველი გამოცდილი მასწავლებელია, და კიდევაც იყენებს თავის „გამოცდილებას"... გლეხობაში რელიგიური რწმენის განსამტკიცებლად. სემიონოვი ყოველ ღონისძიებას ხმარობს—ზეგავლენა მოახდინოს გლეხობაზე, რომ უკანასკნელმა მოითხოვოს მთავრობისაგან ეკლესიის გახსნა და აღადგინოს დაკარგული სარწმუნოება. თუ გლეხები ამაზე უარს ამბობენ, მხოლოდ იმიტომ, რომ მათი უმრავლესობა სემიონოვზე უფრო მოწინავე და შეგნებული აღმოჩნდა. ამის შემდეგ გასაგებია, თუ როგორი იქნება სემიონოვის მოღვაწეობა სკოლაში და მისი გავლენა მოსწავლე ახალგაზრდობაზე.

სემიონოვი მოხერხებულად მოქმედობს აგრეთვე სხვა დარგშიაც, და ეს მძიმე ტვირთად აწევს ღარიბ მოსწავლეთა მშობლებს, რომლებსაც სემიონოვი ერთი ორად ახდევინებს სასწავლო ნივთების ფულს, მიუხედავად იმისა, რომ სათანადო ორგანოებისაგან ეს ნივთები უფასოთაა გაცემული. ეს მეფის დროის უმსგავსო მასწავლებლობის ხრიკები უცვლელად შეუნარჩუნებია სემიონოვს. ძველ „გამოცდილებას" იყენებს სემიონოვი აგრეთვე სამოსწავლო დარგში. რუსულ ენას იგი ასწავლის მოწაფეებს ძველი ორთოგრაფიით.

სემიონოვი ყოველმხრივ მავნებელია გლეხობისა და საბჭოთა სკოლისათვის. დროა სათანადო ორგანომ იხსნას რაიონი ასეთი „მასწავლებლისაგან"

ადგილობრივი.

ტექნიკუმი უპატრონოდ

თბილისში არსებობს თურქთა პედაგოგიური ტექნიკუმი. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა მოთხოვნილებაა თურქ მასწავლებლებზე. უთუოდ, განათ. კომისარიატმა გაითვალისწინა ეს გარემოება და საგრძნობი თანხა გადასდო ტექნიკუმის საჭიროებისათვის (70.000 მან. ყოველ წლიურად). მაგრამ მარტო თანხის გაღება საკმარისი არ არის. ტექნიკუმს სათანადო ხელმძღვანელობა არ ეწევა და საეჭვოა მან მოგვცეს საჭირო თურქმასწავლებელთა კადრი. ხუთი წელია ეს ტექნიკუმი არსებობს და ამ ხნის განმავლობაში დეუშევმა, ეფენდიევმა და სხვ. გაანიავეს სახალხო ქონება, რაც უკვე დაადასტურა გამოკვლევამ. მაგრამ თურმე საკმარისი ყოფილა, რომ ეს პირები აზერბეიჯანში გადასულიყვნენ და ამით პასუხისმგებლობა თავიდან ასცილდებოდათ.

დღესდღეობით ტექნიკუმი წარმოადგენს შემდეგ სურათს: სამოსწავლო-მეთოდური მუშაობა მეტად მოიკოჭლებს, მოსამზადებელ კურსზე მიღებულია მსმენელები, რომლებიც თურქულ ენაზე გაჭირვებით კითხულობენ. მოსამზადებელ კურსის პროგრამა არაა შეფარდებული მსმენელთა განვითარების საერთო დონესთან. სასწავლო წიგნებზე მზრუნველობა ნაკლებია, ზოგიერთ საგნებს მოწაფეები გადიან უწიგნოდ, რის გამო მათ მიერ საგნის შეთვისება პრობლემატიურია. მასწავლებელთა ნაწილი გამსჭვალულია საეჭვო იდეოლოგიით, რაც სათანადო გავლენას ახდენს მოსწავლეებზე. მასწავლებელი პოლიტოვი (ნიკოლოზ ვასილის-ძე) მტრულად უყურებს მარქსისტულად მოაზროვნე პედაგოგებს. გასაკვირი არაა, რომ ტექნიკუმის მსმენელები, რომლებშიაც არიან აგრეთვე კომკავშირელებიც, ფიცულობენ „წმინდანების" სახელს.

მასწავლებლობა დაინტერესებულია უმთავრესად თავისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებით, და არა მოწაფეთა სწავლა-აღზრდის საქმით. სამოსწავლო ნაწილის უფროსი გაჯილაროვი დატვირთულია გაკვეთილებით სხვადასხვა ადგილას და ტექნიკუმის სამოსწავლო დარგში ის არაფერს აკეთებს. შრომის დისციპლინაზე ლაპარაკი ზედმეტია; სამსახურში არ მოსვლა და არა საპატიო მიზეზებით გაკვეთილების გაცდენა ტექნიკუმის თანამშრომლებისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა.

აღმზრდელობითი მუშაობა სუსტია. გარდა იმისა, რომ რელიგიის გავლენის ქვეშ იმყოფებიან მოსწავლენი, მათში ადგილი აქვს ქურდობას, კინკლაობას, მოტყუილებას, დაუდევარ მოპყრობას სახელმწიფო ქონებისადმი და უზნეობას.

ტექნიკუმის სანიტარული მდგომარეობა არსებითი გაუმჯობესებას მოითხოვს. მოსწავლეებს ნაკლები წარმოდგენა აქვთ სისუფთავეზე. ხშირად ერთი თეფშით სარგებლობენ ჯანსაღები და ავადმყოფები, ტუბერკულიოზით დაავადებულებს სძინავთ ჯანსაღებთან ერთად საერთო საცხოვრებელში.

სრულიად უმსგავსოთაა დაყენებული კვების საქმე და ტანსაცმლის განაწილება.

ტექნიკუმის მდგომარეობა მოითხოვს განათლების კომისარიატისაგან დაუყოვნებლივ საქმეში ჩარევას, რათა მომავალი სამოსწავლო წლიდან მაინც იქნას ტექნიკუმი ნორმალურ პირობებში ჩაყენებული.

ვ. ი.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

თათბირი პურის დამზადების შესახებ

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭო 1-ლ ივლისისათვის თბილისში იწვევს თათბირს პურის დამზადების საკითხების შესახებ. თათბირი მოწვეული იქნება ამიერ-კავკასიის მასშტაბით. თათბირზე განხილულ იქნება ის, თუ რამდენად არიან მომზადებულნი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები პურის დამზადების საქმისათვის. თათბირი განიხილავს აგრეთვე პურის დამზადების კამპანიის მეთოდებს და საჭიროებებს.

დამზადების ივლისის გეგმა

პურის დამზადების გეგმა ამიერ-კავკასიაში ივლისისათვის დამტკიცებულ იქნა შემდეგი რაოდენობით: აზერბაიჯანში უნდა დამზადდეს 4.900 ტონა, საქართველოში—1.300 ტონა და სომხეთში—300 ტონა.

საქ. მემინდვრეობის კავშირმა ადგილებზე პურის დამზადების წარმატებით ჩატარების მიზნით გაგზავნა 36 პურის დამმზადებელი მუშაკი.

პურის დამზადების საკონტროლო ციფრები

მომწესრიგებელმა ორგანოებმა დაამტკიცეს ამიერ-კავკასიაში 1930—31 წელს პურის დამზადების საკონტროლო ციფრები. სულ 1930—31 წელს უნდა დამზადდეს (ბრინჯის და სიმინდის ჩაუთვლელად) 75 ათასი ტონა პურის პროდუქტები.

წყალსადენი სოფლად

თბილისის ოლქის აღმასკომმა წინადადება მისცა რაიაღმასკომებს მოსახლეობის თვითდაბეგვრის წესით გააძლიერონ მუშაობა ადგილობრივ წყალსადენის გასაყვანად.

წყალთა მეურნეობის გეგმის შესრულების შემოწმება

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ დაადგინა—შექმნას ამ.-კავ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან სპეციალური კომისია წყალთა მეურნეობის 1929—30 წლის გეგმის ფაქტიური შესრულების შესამოწმებლად, აგრეთვე 1930 წლის გაზაფხულისათვის საჭიროდ მომზადებული ფართობების მისაღებად. იმ რაიონებში, სადაც სუსტია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია და მას საკუთარი აპარატი არ მოეპოვება, საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ დამზადების საქმეში, ხელშეკრულების საფუძველზე, ჩაბმულ იქნას სამომხმარებლო კოოპერაცია.

კალია

შირაქის ველზე ძლიერდება კალია, რომელიც საფრთხეს უქადის ნათესებს. მიღებულია ენერგიული ზომები კალიის წინააღმდეგ.

მავნებლებთან ბრძოლა

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ საქართველოში მავნებლებთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით ჩამოაყალიბა 30 რაზმი. რაზმები უზრუნველყოფილნი არიან საჭირო მოწყობილობით, ისინი ეხმარებიან მიწათმოქმედების კომისარიატის ორგანოებს სასოფლო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლაში.

აღმშენებლობა თბილისის ოლქში

თბ. ოლქში აღმშენებლობის გასაძლიერებლად თბ. აღმასკომმა გადადო 150.000 მანეთი. აგრეთვე დაადგინა ოლქში მშენებლობის წარმატებით ჩასატარებლად დაწესდეს საოლქო ინჟინერის თანამდებობა და გადიდდეს ტექნიკოსების შტატი.

„ხუთწლიანი გეგმა—ოთხ წელიწადში“

ახალი სესხის რეალიზაციის წესი

15 ივლისიდან დაიწყება რეალიზაცია ახალი სესხისა—„5 წლიანი გეგმა 4 წელიწადში“ და ინდუსტრიალიზაციის პირველი და მეორე სესხებისა და გლეხის მეურნეობის სესხის ობლიგაციების გადაცვლა ახალ სესხის ობლიგაციებზე.

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით, ახალი სესხის რეალიზაცია ქალაქებში უნდა დამთავრდეს 15 აგვისტოსთ., ხოლო სოფლებში—1-ლ ნოემბრისათვის იმ ვარაუდით, რომ მიმდინარე წლის დამლევამდე ხელის მომწერლებმა ობლიგაციების ღირებულების დასაფარავად შეიტანონ ობლიგაციების ღირებულების სამი წილი მაინც.

ინდივიდუალური ხელის მოწერა სოფლად უნდა ჩატარდეს ხელმოწერის ბარათის შევსების გზით, ამასთან ერთად თვითეულ გლეხთან უნდა მოხდეს შეთანხმება იმის შესახებ, თუ რა ვადებში დაფარავს იგი ობლიგაციების ღირებულებას. ობლიგაციების ღირებულების მეოთხედი წილის შეტანის დროს გლეხს მიეცემა სათანადო ღირებულების ობლიგაციები. ამიტომ სასურველად არის ცნობილი, რომ ობლიგაციების ღირებულების დასაფარავად გლეხის მიერ შეტანილი თანხა არ იყოს 5 მანეთზე ნაკლები (ობლიგაციის ნაწილის ღირებულება). თუ ეს მოუხერხებელი იქნება, სოფლის საბჭომ გლეხისაგან უნდა ჩაიბაროს ნაკლები თანხაც და გლეხს მისცეს სათანადო ქვითარი.

ქალაქებში ახალი სესხის რეალიზაციას ჩაატარებენ შემნახველი სალაროები და საკრედიტო დაწესებულებები. ხელის მოწერის წესი ქალაქებისათვის ისეთივეა, როგორიც ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის დროს იყო. ობლიგაციებზე ხელისმოწერის ანგარიშის გასწორება მხოლოდ და მხოლოდ წარმოება-დაწესებულების ადმინისტრაციას ეკისრება. მიღებული უნდა იქნეს ზომები, რომ ძველი სესხების ობლიგაციების ახალი სესხის ობლიგაციებზე გადაცვლა (მუშა-მოსამსახურეთა და შინამრეწველთა შორის) დამთავრდეს 1 ოქტომბრისათვის, სოფლად კი—არა უგვიანეს 1931 წლის 1 იანვრისა. 1 იანვრის შემდეგ ძველი სესხების (ინდუსტრიალიზაციის 1-ლ და მეორე და გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი) პატრონები კარგავენ ამ სესხებით სარგებლის მიღების უფლებას.

ძველი ობლიგაციების გადაცვლა იწარმოებს შემნახველ სალაროებსა და საკრედიტო დაწესებულებებში. სოფლად კი გადაცვლა ზემოხსენებულ ორგანიზაციების გარდა იწარმოებს აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებაში, სამომხმარებლო და სას.-სამ. კოოპერაციაში. ფოსტა-ტელეგრაფი, სამომხმარებლო და სას.-სამ. კოოპერაცია მოგებებსა და სარგებელს კუპონებით არ გაანაწილებენ.

ახალ სესხის რეალიზაცია ჩატარდება შემდეგ ლოზუნგებით: „ახალ სესხზე ხელის მოწერით განვამტკიცოთ საბჭოთა კავშირის სამეურნეო ძლიერება და თავდაცვის უნარი“, „ახალ სესხზე ხელის მოწერით ხელი შევუწყოთ 5 წლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებას“, „სესხად მივსცეთ სახელმწიფოს არა ნაკლები ნახევარი თვის ჯამაგირისა“.

ᲡᲐᲣᲢᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲝ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲙᲠᲔᲤᲘᲡ ᲡᲐᲛᲓᲦᲘᲣᲠᲘ

10, 11 და 12 ივლისს თბილისში ჩატარდება საუტილიზაციო ნედლეულის შეკრების სამდღიური. სამდღიურის პრაქტიკულად ჩატარება დავალებული აქვს საუტილიზაციო ნედლეულის დამმზადებელ ორგანიზაციას—„ზაგუტილ“-ს.

სამდღიურის მომწყობმა საუწყებათაშორისო კომისიამ საჭიროდ სცნო, რომ ამ კამპანიის მოსამზადებელი მუშაობა ჩატარებულ იქნას პროფესიონალურ ორგანიზაციების, საბინაო ამხანაგობების და კომკავშირის ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით. მოსამზადებელი მუშაობა 7 ივლისისათვის უნდა დამთავრდეს.

სამდღიურისათვის ქალაქი დაყოფილ იქნება 5 რაიონად და თვითეულ რაიონში მოეწყობა საუტილიზაციო ნედლეულის მოსაგროვებელი ხუთ-ხუთი პუნქტი, საიდანაც ნედლეული იმავე დღეს უნდა გადაიგზავნოს ბაზაში.

„ზაგუტილ“-ს წინადადება მიეცა წინასწარ მოიმარაგოს 100-მდე ფურგონი და ურემი, რომლებიც სამდღიურის განმავლობაში განაწილებული უნდა იქნან რაიონებს შორის და უნდა აწარმოებდნენ ნედლეულის შეგროვებას.

თვითეულ ფურგონსა და ურემს თან უნდა ახლდეს ნედლეულის მიმღები, რომელმაც მიღებისთანავე უნდა დააფასოს ნედლეული. მიმღებს თან უნდა ექნეს აგრეთვე წვრილი ფული და დაუყოვნებლივ უნდა გადაიხადოს მიღებულ ნედლეულის საფასური.

სამდღიურის წარმატებით ჩატარების მიზნით ცალკე რაიონებს შორის უნდა გაიმართოს სოციალისტური შეჯიბრება.

ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ

თათბირის მეორე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. სირაძის მოხსენება შრომის დაცვის მდგომარეობისა და პროფორგანიზაციების ამოცანების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩვენს მრეწველობასა და წარმოებებში ამჟამად ფართოდ არის შემოღებული მუშაობის ახალი მეთოდი — სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა. ჩვენს სამეურნეო და შრომის ორგანოებს კი თავისი მუშაობა სრულიად არ გადაუხალისებიათ და არ მოუწყვიათ ახალ მოთხოვნილებებთან შეფარდებით.

მთელ რიგ წარმოებებში ხმარებაში არის შემოღებული ორთქლის ქვაბები, რომლების მოვლა-პატრონობას არავითარი ყურადღება არ ექცევა, ქვაბები ცვდება, ზიანდება და შემდეგ უბედურ შემთხვევებს იწვევენ. სამეურნეო ორგანოები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ აგრეთვე დამცველი საგნების და სპეცტანსაცმლების დროზე მომარაგებას. ხოლო შემდეგ ერთხმად ვერ პოულობენ და თავს იმით იმართლებენ, რომ ეს საგნები არ იშოვება. არის აგრეთვე შემთხვევები, როდესაც დამცველი მოწყობილობა წარმოებაში მიტანილია, მაგრამ მათ მუშები არ იყენებენ, რის გამო იზრდება უბედური შემთხვევათა რიცხვი. ამაში ბრალი უდევს, როგორც სამეურნეო ორგანოებს, ისე პროფორგანოებს, ვინაიდან ისინი არ ღებულობენ საჭირო ზომებს დისციპლინის სათანადო დონეზე დასაყენებლად. ასეთი დაუდევრობის გამო უბედურ შემთხვევათა რაოდენობა 1928-29 წელში 1,85 პროც.-ს შეადგენდა, 1929-30 წელს კი — 4,5 პროც.-მდე გაიზარდა. მაუდის ფაბრიკაში ტეხნიკური მიზეზებით გამოწვეული უბედური შემთხვევა უდრის 3-ს, ხოლო მუშათა მიზეზებით გამოწვეული კი —7. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ მაუდის ფაბრიკის მუშათა მეტ ნაწილს არაკვალიფიციური მუშები შეადგენენ. სამეურნეო ორგანოები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ შრომის უშიშროებისათვის პასუხისმგებელ პირების შერჩევას.

ასეთ თანამდებობაზე ხშირად ნიშნავენ ისეთ პირებს, რომლებსაც შრომის უშიშროების შესახებ წარმოდგენაც კი არა აქვთ.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ზრდასთან ერთად საგრძნობლად იზრდება უბედურ შემთხვევათა რიცხვი სოფლად, რასაც სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. მოუგვარებელია მუშათა საბინაო მშენებლობის საკითხი. მარგანეცის მრეწველობაში მუშათა ბინებისათვის გადადებული ფულით შეისყიდეს სახლები, რომლებიც სრულიად ვერ აკმაყოფილებენ ჰიგიენურ პირობებს.

ამავე საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა პროფსაბჭოს წარმომადგენელმა ამხ. ბუაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ პროფესიონალური ორგანიზაციები შრომის დაცვის საქმეში თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებენ. ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული საწარმოო - საფინანსო გეგმის შესრულებას, ხოლო ამ გეგმის შესრულების შემოწმების დროს არავითარი ყურადღება არ ექცევა შრომის დაცვის საკითხებს. აქედან ნათლად სჩანს, რომ ამხანაგებს ვერ შეუგნიათ, რომ შრომის დაცვა საწარმოო-საფინანსო გეგმის ნაწილს შეადგენს. წარმოებებში არსებული შრომის დაცვის კომისიები არაფერს არ აკეთებენ. ზოგ კომისიას, რომელთაც ექვსი თვის განმავლობაში ქონდათ მხოლოდ ერთი და ისიც საორგანიზაციო სხდომა. შრომის დაცვის საკითხებისადმი ასეთი დამოკიდებულების შედეგად უბედურ შემთხვევათა რიცხვი საგრძნობლად იზრდება. თბილისის ტრამვაიში 1927 წელს უბედურ შემთხვევათა პროცენტი 16 არ აღემატებოდა. 1928 წელს კი ეს პროცენტი 24-მდე გაიზარდა. უბედურ შემთხვევათა რეგისტრაცია სათანადო დონეზე არის დაყენებული, მაგრამ მათი გამომწვევი მიზეზების მეცნიერულად დამუშავებას არავითარი ყურადღება არ ექცევა. შრომის დაცვის საკითხებისადმი სრულ გულგრილობას იჩენს შრომის პროკურატურა. უბედურ შემთხვევათა რიცხვის ზრდის მიუხედავად, შრომის პროკურორი მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში აძლევს პასუხისგებაში დამნაშავეებს.

ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲢᲠᲐᲕᲛᲐᲢᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘ

მრეწველობაში შრომის დაცვის საკითხებისა და ამასთან დაკავშირებით პროფკავშირების ამოცანებზე მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილე ორატორები აღნიშნავდნენ უმთავრესად წარმოებაში უბედურ შემთხვევათა რიცხვის ზრდას და ამას უმთავრეს მიზეზებათ ასახელებდნენ:

ტეხნიკური ზედამხედველობის სისუსტეს წარმოებებში, მრეწველობაში ახალი, ჯერ კიდევ სათანადოთ გამოუცდელი მუშა-ხელის დიდი რაოდენობით ჩაბმის საქარხნო და საფაბრიკო მოწყობილობათა სისტემატიურ შეუმოწმებლობას და სხვ. ფაბრიკა-ქარხნებში ახლად მიღებულ მუშა-ხელს არ აძლევენ შესაფერის ახსნა-განმარტებას ტეხნიკური უშიშროების საკითხებზე, არ უხსნიან თუ რა ხასიათის უბედური შემთხვევებია მოსალოდნელი ამა თუ იმ წარმოებაში მუშაობისას და რა ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომ უბედური შემთხვევა მუშამ თავიდან აიცილოს. იშვიათი მოვლენაა, აგრეთვე, რომ წარმოებაში ტეხნიკურ ზედამხედველად გამოყოფილი იყვნენ სპეციალისტები, რომელთაც შეუძლიანთ ამ მხრივ მეტის გაკეთება. სამეურნეო ორგანიზაციები არ ასრულებენ ამ საკითხის შესახებ არსებულ დირექტივებს.

კამათიდან გამოირკვა, რომ ტეხნიკური უშიშროების საქმე ყველა წარმოებებზე უკეთაა დაყენებული რიონჰესის სამუშაოებზე, სადაც ამ საქმისათვის გამოყოფილი არიან ინჟინერ-ტეხნიკოსები და მართლაც, ისეთი დიდი მასშტაბის სამუშაოზე, როგორიც რიონჰესია უბედურ შემთხვევებს თითქმის სრულებით არ აქვს ადგილი.

აჭარისტანში და აფხაზეთში შრომის დაცვის საკითხებს თითქმის სრულებით არ ექცევა ყურადღება. იქ წარმოებებში დღემდე კიდევ არ არიან გამოყოფილი შრომის ინსპექტორები.

შრომის ორგანოების სტატისტიკური ცნობებით ირკვევა, რომ უბედური შემთხვევები უმეტეს ნაწილად იმ წარმოებებში ხდება, სადაც სუსტია შრომის დისციპლინა.

კამათის დამთავრების შემდეგ მიღებულ იქნა პრაქტიკული რეზოლიუცია, რითაც კონფერენცია დამთავრდა.

ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲮᲐᲜᲫᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ხანძართან ბრძოლის ათდღიურის ჩამტარებელმა ცენტრალურმა რესპუბლიკანურმა კომისიამ, რომელიც საქ. ს. მ. უ. საბჭოსთან მუშაობს, შეიმუშავა ღონისძიებები მომავალი მოსავლის დასაცავად კულაკური შურისძიებისაგან.

მარცვლეულობის მთელ რიგ რაიონებში მაგალითად, კახეთში, ბორჩალოში, ქართლში და ნაწილობრივ ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში კოლმეურნეობების მშენებლობის წარმატებასთან დაკავშირებით მოსალოდნელია, რომ კულაკურმა ელემენტებმა ცეცხლი წაუკიდონ კოლმეურნეობების მიწებზე შეგროვილ მოსავალს, ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად ათდღიურის ჩამტარებელმა კომისიამ დაადგინა მიიღოს ზომები, რომ ყველა კოლმეურნეობებთან ჩამოყალიბებულ იქნეს მოხალისე მეხანძრეთა რაზმები, რომელთაც გადაეცემათ ხანძართან საბრძოლველი იარაღები. მინდვრათ შეგროვილ მოსავალთან დაწესებული იქნება მუდმივი მორიგეობა დღე-ღამის განმავლობაში.

კოლმეურნეობებთან მოხალისე მეხანძრეთა რაზმების ჩამოსაყალიბებლად გამოყოფილნი არიან სპეციალისტი ინსტრუქტორები, რომლებიც ამ დღეებში გაემგზავრებიან დანიშნულების ადგილებზე.

პროვინციაში არსებული მეხანძრეთა რაზმებს და წარმოებების მოხალისე მეხანძრეთა რაზმებს დავალებული აქვთ ხანძართან ბრძოლის საქმეში შეფობა გაუწიონ ცალკე კოლმეურნეობებს.

ᲓᲐᲕᲐᲩᲥᲐᲠᲝᲗ ᲙᲣᲠᲝᲠᲢ ᲢᲧᲔ-ᲒᲕᲐᲚᲐᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ

გასული წლის ივლისში აგარაკ გომის მთაზე (გურია) გამოცხადდა აჭარისტანის ჯანსახკომის, მიწსახკომის და მთავარ საკურორტო სამმართველოს სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა მომავალი კურორტის—ტყე-გვალას გამოკვლევა. მშრომელი მოსახლეობა დიდი აღფრთოვანებით შეეგება ამ ფაქტს. მეორე დღეს მოაგარაკეებთან ერთად კომისია გამგზავრა ტყე-გვალას შესამოწმებლად. თავიანთი შეხედულებანი ტყე-გვალას შესახებ კომისიის წევრებმა იქვე გაუზიარეს მოაგარაკეებს.

ტყე-გვალა მდებარეობს მდინარე ბჟუჟის ხეობაში. აგარაკი გარშემორტყმულია ნაძვნარით. წყლები უხვად მოიპოვება როგორც სასმელი, ისე საბანაო. აგარაკი სამი მხრით: აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან მაღალი მთებით არის შემოზღუდული, ხოლო დასავლეთის მხრიდან ღია და შავი ზღვიდან მომავალ ნიავს ბჟუჟის ხეობით თამამად შეუძლია მიაღწიოს ტყე-გვალამდე, რაც დიდ უპირატესობას ანიჭებს მას სხვა კურორტებთან შედარებით.

კომისიამ ტყე-გვალა, როგორც საკურორტო ადგილი, მოიწონა. დათვალიერების შემდეგ გომის მთის კლუბში კომისიასთან ერთად გაიმართა მოაგარაკეთა საერთო კრება. როგორც გურული, ისე აჭარელი გლეხები ერთსულოვნად მოითხოვენ ამ საქმის მოგვარებას, ისინი ამბობდნენ: ოღონდ აქ კურორტი გაშენდეს და ყოველგვარ შავ სამუშაოს ჩვენ შევასრულებთო. კომისიის წევრებმა თავიანთი დასკვნები წარუდგინეს აჭარისტანის მთავრობას.

აჭარისტანის სახკომსაბჭოს და აცკომ. საბჭოს პლენუმის 1929 წლის 29 აგვისტოს სხდომის ოქმში ვკითხულობთ დადგენილებას: 1) ტყე-გვალას საკურორტო ადგილად გამოყენება, თანახმად კომისიის დასკვნისა, პრინციპიულად ცნობილ იქნეს მიზანშეწონილად, 2) წინადადება მიეცეს მიწადმოქმედების სახ. კომისარიატს გამოყოს მომავალი კურორტის საჭიროებისათვის მიწა-ტყის საკმაო ნაკვეთი და გაუწიოს ხელმძღვანელობა, რათა ის გამოყენებული იქნას მხოლოდ კურორტის საჭიროებისათვის, 3) წინადადება მიეცეს ჯანმრთელობის სახკომისარიატის საკურორტო სამმართველოს შეიმუშაოს მომავალი კურორტ ტყე-გვალას გაშენების გეგმა, გაუწიოს ამ საქმეს ხელმძღვანელობა და შესაძლო დახმარება.

ამრიგად საქმე უკვე დაწყებულია, საჭიროა მხოლოდ სათანადო ორგანოებმა ყურადღება მიაქციონ და დაწყებული საქმე, რომელსაც გურიისა და მთელი აჭარისტანის მშრომელი გლეხობისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება, წარმატებით დამთავრდეს.

ჯ. ნოღაიდელი.

ᲜᲐᲠᲔᲕᲘ

არის თუ არა სიცოცხლე მარსზე

უკანასკნელ წლებში მარსის—დედამიწის უახლოესი მეზობლის შესწავლას დიდი მიღწევები აქვს. ასტრონომიული ტეხნიკის განვითარებამ, უძლიერესი ტელესკოპების გამოყენების, სპექტროგრაფიის წარმატებების წყალობით მეცნიერებმა მარსის შესახებ იციან მეტი, ვიდრე ოდესმე. განსაკუთრებული ღვაწლი მარსის შესწავლაში მიუძღვის ამერიკის ასტრონომებს გლაიდის, ფიშერის და სხვ. მთელი რიგი ფაქტები უდავოდ არის დადგენილი. ასეთივე გარკვეულობით მეცნიერებამ უარყო მაღალი რიგი მოსაზრებები მარსზე სიცოცხლის შესახებ. პირველ ყოვლისა უდავოდ არის დამტკიცებული, რომ მარსზე არსებობს ორგანიული ცხოვრება. ამის არაპირდაპირი, მაგრამ მეცნიერული დასაბუთება იმაში მდგომარეობს, რომ მარსის ატმოსფეროში, როგორც ეს დამტკიცებულია სპექტროგრაფიული ანალიზით, არსებობს მჟავბადი, თუმცა უფრო ნაკლები რაოდენობით, ვიდრე დედამიწაზე, მჟავბადის წარმოშობა კი შესაძლებელია მხოლოდ მცენარეთა არსებობის პირობებში. ყველა იმ ქიმიური რეაქციიდან, რომლებიც ცნობილია მეცნიერებისათვის, მჟავბადის გამოყოფა წყალიდან და მისი მიცემა ატმოსფეროსათვის შეუძლია მხოლოდ მზის სინათლის ზეგავლენით მცენარეში მიმდინარე რთულ ბიოლოგიურ პროცესებს.

არსებობს აგრეთვე მარსზე მცენარეულობის არსებობის პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთები. მძლავრ ტელესკოპებში მარსის ზედაპირი მოსჩანს, როგორც ნათელი და მუქი, ლაქებით დაფარული. ნათელ ლაქებს აქვს მოყვითალო მოწითლო ფერი, მუქსა კი—მომწვანო ან ლურჯი ფერი. ეს ლაქები იცვლება, ისინი „სუნთქავენ“ წელიწადის დროთა მიხედვით. გაზაფხულზე და ზაფხულზე მწვანე ლაქები ფართოვდება, მათ უფრო მუქი ფერი ეძლევა, ყვითელი ლაქები კი პატარავდება. ფერის ცვალებადობა მარსზე იმდენად დაღებულია სიცოცხლით, იმდენად დაკავშირებულ წელიწადის დროსთან, რომ ასტრონომთა უმეტესობა, ყოველ ეჭვს გარეშე ყვითელ ლაქებს თვლის უდაბნოებად, მწვანე ლაქებს —მცენარეულობად.

არის თუ არა მარსზე ცოცხალი არსებანი? ეს კითხვა ჯერ-ჯერობით გადაუწყვეტელია. მაგრამ საკმაოდ სერიოზული მოსაზრებები ამტკიცებენ, რომ არის ცხოველთა სამყარო. მარსზე არის მჟავბადი, პლანეტის ზედაპირი საკმაო რაოდენობით იღებს მზის სხივებს, მცენარეულობისა და წყალის არსებობა პლანეტაზე დამტკიცებულია, მარსს აქვს 24 საათიანი დღე-ღამე, სიცივე და სითბოს ცვლა სეზონობით, რომელიც მკვეთრად არ განსხვავდება დედამიწის წელიწადის დროებისაგან, დღე მარსზე უფრო ცხელა, ვიდრე დედამიწაზე, ღამე—უფრო ცივი, მაგრამ არა იმდენად, რომ მისი ატანა არ შეეძლოთ მცენარეებსა და ცხოველებს. თუ ჯერ კიდევ არ მოიპოება პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთები ცხოველთა არსებობისა მასზე, მეორე მხრივ, მეცნიერებამ უდავოდ დაამტკიცა, რომ იქ მოიპოვება ყველა პირობები ცხოველთა არსებობისათვის. და თუ დედამიწაზე, ანალოგიურ პირობებში, განვითარდა სიცოცხლე, მაშინ საფიქრებელია, რომ იგი მარსზეც არსებობს.

დაუშვათ, რომ მარსზე არსებობს სიცოცხლე. სდგას თუ არა იგი განვითარების იმავე საფეხურზე, როგორც დედამიწაზე. არსებობენ თუ არა მარსზე გონიერი, ადამიანის მსგავსი არსებანი? ამ კითხვაზე თანამედროვე მეცნიერება სრულის კატეგორიულობით უპასუხებს: არა. თანამედროვე ასტრონომიას იმდენად მძლავრი ხელსაწყოები მოეპოვება, რომ მას შეეძლო შეენიშნა განვითარებული ცივილიზაციის კვალი, რომ იგი არსებობდეს მარსზე. პირველი, რასაც შენიშნავდნენ ტელესკოპებში, ეს იქნებოდა სინათლე ადამიანთა დიდ საცხოვრებელი ადგილების—ქალაქების. პარიზის ან ლონდონის განათება, ეჭვს გარეშეა, გამოჩნდებოდა მარსზე ტელესკოპებში ამგვარი სინათლის უქონლობა მარსზე გვაფიქრებინებს, რომ ყოველ შემთხვევაში იქ ქალაქის ცივილიზაცია არ მოიპოვება.

მეორე ჯგუფს მარსზე გონიერ არსებათა არსებობისა საბუთებისას გვაძლევს ბიოლოგია და პალეონტოლოგია. წინააღმდეგ დედამიწისა მარსს არასოდეს არ განუცდია ყინულოვანი პერიოდი. დედამიწის თანამედროვე ცხოვრება კი განვითარდა ყინულოვანი პერიოდის განსაკუთრებული გავლენის ქვეშ. ყინულის მასსივებმა, რომლებიც დაიძრენ ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლიუსებიდან, სიცივის ტალღამ, რომელიც თითქმის მთელ დედამიწას მოედვა ეკვატორამდე, ულმობლად მოსპო ყველა იმ დროისათვის არსებული სიცოცხლის ფორმები, რომლის გაქვავებულ ნაშთებს მეცნიერები ახლა პოულობენ მიწაში. ყინულოვანმა პერიოდმა წარმოშვა ცხოველთა ახალი სამეფო, რომლის ყველაზე გაძლე წარმომადგენელი არის ადამიანი.

მარსის ზედაპირის ხასიათი ისეთია, რომ იქ შეუძლებელი იყო ყინულოვან პერიოდის არსებობა. მაშასადამე, თუ მარსზე არსებობს სიცოცხლე, იგი გაყინულია იმ პრიმიტიულ ფორმებში, რომლებიც დედამიწაზე არსებობდა ყინულოვან პერიოდამდე.

უკანასკნელ წლებში ასტრონომიამ ნიადაგი გამოაცალა მარსზე გონიერ არსებათა არსებობის თეორიის მომხრეთა მთავარ არგუმენტს —ე. წ. „არხებს“. ეს „არხები“ წარმოადგენენ საკმაოდ პირდაპირ, სწორი ფორმის ვიწრო მუქ ზოლებს, რომლებიც კარგად მოსჩანან დედამიწიდან. ზოგიერთმა მეცნიერებმა არ დააყოვნეს მათი გამოცხადება მარსის მცხოვრებთა საინჟინერო ხელოვნების ნიმუშად. ეს თეორია ამჟამად დასამარებულად შეიძლება ჩაითვალოს. ეს „არხები“ წარმოადგენენ მდინარეთა კალაპოტს, რომლებიც პერიოდულად შრება. მათი სწორხაზოვანობა კი აიხსნება იმით, რომ მარსზე არ მოიპოვება მთები და წყალს არაფერი უშლის ხელს გზა პირდაპირ გაიკვალოს.

ს. ი.

ᲠᲙᲘᲜᲘᲡᲒᲖᲔᲑᲖᲔ

შემთხვევების რიცხვი არ კლებულობს

წვრილმან შემთხვევების რიცხვი ა.-კ. რკინის გზაზე არ მცირდება. მდგომარეობა ისეთივეა, როგორიც იყო ამ ორი, სამი კვირის წინად. ცუდი შეკეთების გამო ორთქლმავლები კვლავ ფუჭდებიან გზაში. ზედამხედველობა შემადგენლობების გადასაბმელ ხელსაწყოებზე სუსტია, ამიტომ მატარებლები წყდებიან. ხშირია აგრეთვე გზის აგენტების დაუდევრობით გამოწვეული შემთხვევებიც.

მარტო ერთ დღეს—28 ივნისს გზაზე აღნიშნული იყო ოცდაათამდე წვრილმანი შემთხვევა. მართალია მათ გზისთვის საგრძნობი მატერიალური ზარალი არ მიუყენებიათ, მაგრამ მნიშვნელოვნად შეუშალეს ხელი მატარებლების ნორმალურ მოძრაობას.

ამ მხრივ, თუ სანამდე მიდის ზოგჯერ გზის აგენტების დაუდევრობა,—დამახასიათებელია ღამით 28—29 ივნისს სადგურ ზესტაფონში მომხდარი შემთხვევა.

სადგურ ზესტაფონში მეოთხე ხაზზე უნდა ყოფილიყო მარგანეცით დატვირთული მატარებელი, მაგრამ რადგანაც ეს ხაზი დაკავებული იყო, მარგანეცის მატარებელი გააჩერეს სემაფორთან. პირველი ხაზი დაკავებული იყო სახალხო მატარებლით № 43. მეორე ხაზზე იდგა ცარიელი შემადგენლობა.

მეოთხე ხაზი მალე განთავისუფლდა და მორიგემ მატარებელი გაემართა სადგურისაკენ. მემანქანემ კი იმის მაგიერ, რომ იგი გაეყვანა თავისუფალ მეოთხე ხაზზე, მიიღო დაკავებულ მეორე ხაზზე.

მოხდა დაჯახება, რასაც შედეგად მოჰყვა ოთხი ვაგონის ლიანდაგიდან გადავარდნა.

ამ შემთხვევის გამო ხაზი დაკავებული იყო [illegible] საათის განმავლობაში.

სახალხო მატარებელმა № 43 ამ შემთხვევის გამო დაიგვიანა 2 საათით და 46 წუთით და სახალხო მატ. № 46 შორაპანში გაჩერდა 7 წუთს.

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ

ავტომობილის ქვეშ

პლეხანოვის და ყოფ. ტატიანას ქუჩის კუთხეში ავტომობილი, რომელსაც მართავდა შოფერი ბიჟიკიანი, დაეჯახა სალომე ლანჩიანს და ნინა ტერიანს (მცხ. ელისაბედის ქუჩა V 105) და დაშავა ისინი.

„კეროსინკის“ აფეთქება

ავტომობილის სახელოსნოში (კლარა ცეტკინას ქუჩა № 119) აფეთქდა „კეროსინკა“, რამაც დაშავა გიორგი ფრაკი (გოგოლის ქუჩა № 29), მიხეილ ჯიშკარიანი (ბაკურიანის ქუჩა № 3) და ევგენი გაბელია (ანტონოვის ქუჩა № 69). დაშავებულებს აღმოუჩინეს სასწრაფო დახმარება და მოათავსეს კამოს სახელობის საავადმყოფოში.

თავის დაჭრა

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე გრიქუროვმა (მცხ. ეკლესიის ქუჩა № 8) ამხანაგის სიკვდილის გამო, თვითმკვლელობის მიზნით დანით დაიჭრა თავი.

იატაკის ჩანგრევა

კახეთის ქუჩაზე (№ 29) სახლში მანია გორდეზიანს ჩაუტყდა სამზარეულოს იატაკი, ჩავარდა მეორე სართულში და მსუბუქად დაშავდა. იგი მოათავსეს ქალაქის 1-ლ საავადმყოფოში.

გვამის აღმოჩენა

მტკვრის პირად სოღანლუღის მახლობლად იპოვნეს მკვდარი კაცი, რომელიც აღმოჩნდა მოქ. ვილჰელმ ედუარდის-ძე კრაკი.

დაპატიმრება

ქურდობისათვის დააპატიმრეს სიმონ ძნელაძე (მცხ. უდელის ქუჩა № 8); ჯიბგირობისათვის დააპატიმრეს მეტლე ვასილ ფიროლოვი, რომელმაც ვლადიმერ ოგანესიან-ძე მიხაილოვს ამოაცალა 250 მან.

ჯიბგირობა

შალვა ანდრიას ძე კოსტავას ჯიბიდან ამოაცალეს 40 მან. და საბუთები; დავით ვასილის ძე დევიძეს ტრამვაის ვაგონში ამოაცალეს 62 მან. და საბუთები.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალ. კომისართა საბჭოსი.

სისხლის სამართლის კოდექსის 32 და 204 მუხლების რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ს თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსის 32 და 204 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„32. უკეთუ უფლება აყრილ პირს აქვს რამე წარჩინების ნიშანი, რაც მას მიეცა სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან ა.-კსფსრ შემადგენლობაში შემავალი სხვა რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, სასამართლომ უნდა სთხოვოს, სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მეშვეობით სათანადო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ამ წარჩინების ნიშნის ჩამორთმევა.

წარჩინების სხვა ნიშანი ჩამოერთმევა სასამართლოს დადგენილებით“.

„204. სსრკ-ისა, მოკავშირე რესპუბლიკისა, ან ა.-კსფსრ შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკის ორდენისა, აგრეთვე წითელი ჯვრის ან წითელი ნახევარმთვარის ნიშნის ტარება იმ პირის მიერ, რომელსაც ამის უფლება არა აქვს, გამოიწვევს

ჯარიმას ას მანეთამდე ორდენის კონფისკაციით და საზოგადოებრივი გაკიცხვით“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. ივნისის „4“
თბილისი—სასახლე.

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

სადაზღვევო გადასახადის იძულებით გადახდევინების წესისა და სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის ქონების დაზღვევის სფეროში ცნობების შეტყობინებლობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ

„სახ. მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის ქონების სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 4-ის დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 55 №-ი, მუხ. 514)—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის ქონების სავალდებულო დაზღვევის გადასახადი, რაც სათანადო წესით დადგენილ ვადაზე არ გადახდება სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებს ან სამომხმარებლო კოოპერაციის დამზღვევ ორგანიზაციებს, — ჩაირიცხება ნარჩენად და გადახდევინებულ იქნება უდავო წესით გადასახადთა გადახდევინების, დებულებისა და სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების მენარჩენეთა ქონების აწერისა, შეკრისა და საჯარო ვაჭრობით გაყიდვის წესების მიხედვით (ა.-კსფსრ კან. კრ. 1930 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 2).

2. სადამზღვევო გადასახადის ნარჩენს (მუხ. 1) დაერიცხება საურავი ერთი მეათედი პროცენტის რაოდენობით თვითეული ვადაგადაცილებული დღისათვის, ხოლო, უკეთუ სადამზღვევო გადასახადის გადამხდელი კერძო პირია,—ერთი მესამედი პროცენტის რაოდენობით თვითეული ვადაგადაცილებული დღისათვის.

საურავი დაერიცხება სრულ მანეთს; ამასთანავე, ორმოცდაათი კაპიკი და მეტი თანხა მიიღება მანეთად, ხოლო ორმოცდაათ კაპიკზე ნაკლები თანხა ანგარიშიდან გამოირიცხება; ერთ კაპიკზე ნაკლები რაოდენობის საურავი იანგარიშება სრულ კაპიკად.

3. ვადის გამოანგარიშების ყველა შემთხვევაში, როგორც სადაზღვევო გადასახადის შეტანისათვის, ისე საურავის დარიცხვისათვის, უკეთუ საბოლოო ვადა არასამუშაო დღეს მოდის, ეს დღე ანგარიშში არ მიიღება და ვადის უკანასკნელ დღედ ითვლება პირველი ამის მომდევნო სამუშაო დღე.

4. უკეთუ სადამზღვევო გადასახადს არ შეიტანენ ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი სახელმწიფო დაწესებულებანი (მათ შორის კომუნალური), სახელმწიფო დაზღვევის ორგანო,—იმის შემდეგ, რაც მოიხმარს ყოველ ღონისძიებას ნარჩენისა და საურავის მისაღებად და სათანადოდ გააფრთხილებს დაწესებულებათ,—აცნობებს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს მთლად იმ საერთო თანხას, რაც ირიცხება ამა თუ იმ ოლქის ან მაზრის დაწესებულებებზე, დაწესებულებათა ნუსხის დართვით; ფინანსთა სახალხო კომისარიატი დაუქვითს გადასახადს საურავითურთ ოლქს თუ მაზრას მისთვის დანიშნული სადოტაციო თანხიდან, ხოლო, უკეთუ დოტაცია არ არსებობს, შეკრავს მათ საშემოსავლო თანხებს, რაც სახელმწიფო და კომუნალურ ბანკებში ან ამ ბანკების ადგილობრივ განყოფილებებში (სააგენტოებში) ინახება და ამ წესით გადაუხდის სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებს სათანადო თანხებს.

5. უკეთუ იმ საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომლის ქონებაც, 1929 წ. სექტემბრის 4-ის კანონის თანახმად, დაზღვეულ უნდა იქნეს სავალდებულო წესით,—არ შეატყობინებს საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებს ან,—სათანადო შემთხვევაში—სამომხმარებლო კოოპერაციის დამზღვევ ორგანიზაციებს, დადგენილ ვადაზე, ამ დაზღვევის სათანადოდ დამტკიცებული წესებით გათვალისწინებულ ცნობებს და განცხადებებს ან წინასწარი შენობით შეატყობინებს ცრუ ცნობებს,—პასუხს აგებს სადისციპლინო ან სასამართლო წესით, მოქმედ კანონდებულებათა თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ანთაძე.

1930 წ. ივნისის „18“.
თბილისი—სასახლე.

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

სპეციალური ტეხნიკუმების კურსდამთავრებულ პირთათვის უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში შესასვლელად შეღავათების მინიჭების შესახებ

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მიენიჭოს სპეციალური ტეხნიკუმების კურსდამთავრებულ პირებს, რომელთაც თავიანთი სპეციალობის წარმოებაში უმუშავნიათ არანაკლებ სამი წლისა, უფლება შევიდნენ საქართველოს ს.ს.რ. უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლების სათანადო ფაკულტეტებზე მისაღები გამოცდების ჩაუბარებლად.

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართ. მოადგ. ა. ანთაძე.

1930 წ. ივნისის 18.
თბილისი — სასახლე.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

საქ. კ. პ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ამხ. ამხ. გრიგოლ მარკოზის ძე დვალს, ადამ ისაკის ძე ჯანაშნელოვს, დავით სოლომონის ძე ნახუცრიშვილს და შალვა მალაქიას ძე სამხარაძეს გამოცხადდნენ ც. საკ. კომისიაში ამხ. ლოქიძესთან (ოთახი № 6), 30 ივნისს, დილის 10 საათზე.

აპოლო 1-ლი სეანსის დასაწყისი 7 საათზე.
უკანასკნელი დღეები მე-5 და მე-6 სერიები
ᲒᲐᲜᲙᲘᲪᲮᲣᲚᲜᲘ
ვ. ჰიუგოს რომანით.

სპარტაკი ყოფ. არფატტო 1 სეანს. 7 ს.
დადგმის მეორე კვირა
1-ᲚᲘ ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ

სოლეი 1-ლი სეანსის დასაწყისი 7 საათზე.
ᲩᲐᲠᲚᲘ ᲩᲐᲞᲚᲘᲜᲘ
თავის კომედიებში
(„შემოქმედების ევოლიუცია“).

პალასი 1-ლი სეანსის დასაწყისი 7 საათზე.
საუკეთესო სურათი
მოპირდაპირე ქარი
ლვოვის პიესის „დღეები დნებიან“ მიხედვით.

რ. ლიუქსემბურგის სახ. (ყოფ. მინიონი) 1 სეანს.—7 ს.
ტანი იუნი სურათში
ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲐᲚᲘ ᲕᲝᲚᲒᲐᲖᲔ

დარბაზი 1-ლი სეანსის დასაწყისი 7 საათზე.
უკანასკნელი დღე
ᲛᲙᲕᲓᲐᲠᲘ ᲛᲐᲠᲣᲨᲘ

ხვალ, საზაფხულო კინო-აპოლოს გახსნა დარბაზის ბაღში.

ᲛᲐᲚᲔ!
გასტროლები
ᲰᲐᲕᲐᲘᲡ ᲒᲘᲢᲐᲠᲘᲡ
ᲕᲘᲠᲢᲣᲝᲖᲘᲡ
ᲓᲐᲕᲘᲓᲝᲕᲘᲡᲐ
ᲛᲐᲚᲔ!

ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘ ᲨᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲬᲐᲝ ᲡᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡᲐ

ᲐᲥᲢᲘᲕᲘ.	1 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ 1929 ᲬᲚ.		ᲞᲐᲡᲘᲕᲘ.
სალარო და მიმდ. ანგარიშები	3067—26	კაპიტალები: საპაიო	4455—
ფასიანი ქაღალდები	483—16	სათადარიგო	1574—75
პაები და აქციები სხვა დაწეს.	5466—79	სავაჭ. და საწარ.	1950—71
გაცემული სესხები	24006—02	ქონების	1213—
მასალები წარმოებისათვის	5138—06	სხვადასხვა ფონდ.	428—55
ქონება	3635—74	სხვადასხვა პირნი და დაწესებ.	4050—68
სარეწაო კავშირი	778—75	აღებული სესხები	23884—
სხვადასხვა პირნი და დაწესებ.	1596—94	გაცემული თამასუქები	2696—
		ანაბარი	1757—08
		მოგება მ/წლის	2162—95
ბალანსი . . .	44172—72	ბალანსი . . .	44172—72

გამგეობის თავმჯდომარე—ი. გაგუა.
გამგეობის წევრები: ქ. ფელიძე, ი. გირკელიძე. ბუღალტერი—ნ. სიხარულიძე.

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

პ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვის მოედანის მახლობლად). სპეციალურად საშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურების, ტრიპერის, სიფილისის, ბუასილის და სიმსივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამდე და საღ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—10

ნ. კონტოროვიჩი თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ძერჟინსკის ქ. № 9. ყოფ. პეტრე დიდის ქ.) თმის, ფერის მჭამელას, ქორფულის, მეჭეჭების, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

გ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი; სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“ მახეჯი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავად. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—1

დაიწყო ავადმყოფების მიღება
ახალ ბინაზე
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ სნეულებანი
ელექტრო-სინათლის კაბინეთი
პეტრიაშვილის ქუჩა (უდელის) № 11, მიღება საღ. 7—8 ს. ტელეფ. 4—82. 25—1

მასწავლებელი
ამზადებს მოწაფეებს
ყველა საგნებში:

ყველა სპეციალურ ტეხნიკუმებში, შვიდწლედებსა და მუშფაკებში შემსვლელთ. ასწორებს აგრეთვე სუსტ მოწაფეებსაც.

მისამართი: 1) გოგებაშვილის მეორე შესახვევი № 20 (ყოფ. პეტროვის მეორე შეს.) დილის 10—2 ს. და საღ. 5—9 საათამდე. 2) ძნელაძის ქუჩა № 45 (ყოფ. საპორის ქ.) დილით 10—2 ს. და საღ. 5—7 საათამდე. 3) ჩერნიშევის მესამე ჩიხი № 6, (ქ. მარქსის ხიდის ახლოს) დილით 10—12 და საღ. 5—7 ს-დე. 3546

გაზ. „კომუნისტი“-ს კანტორა
სთხოვს ხელისმომწერლებს,
განსაკუთრებით პროვინციელებს,

რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა რაიმე ცვლილებების შეტანა მათ მისამართებში, ან გაზეთებს უწესრიგოდ იღებენ, აუცილებლად აჭრონ გაზეთიდან და გამოგვიგზავნონ წერილთან ერთად ის მისამართი, რომლითაც გაზეთი ეგზავნებათ.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი წერილები, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოდ იქნება დატოვებული.

ამასთან ერთად მისამართის შეცვლის მსურველნი მოვალენი არიან გამოგზავნონ კანტორაში 25 კ. საკანცელარიო ხარჯების დასაფარავად. 1 1

კონვერსებული სესხების შესახებ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲔᲡᲮᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲖᲝᲒᲕᲘᲡ
ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲮᲛᲐᲠᲔ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ

ამით აცხადებს თბილისის ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ყველა ადგილობრივი დამხმარე კომისიების საყურადღებოთ, რომ ისინი ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲓᲜᲔᲜ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐᲖᲔ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲨᲘ, ოთახი № 65 1930 წ. 10 ივლისამდე.

აღრიცხვის შემდეგ გაცემული იქნება განკარგულება საკრედიტო დაწესებულებებისადმი, რომ მათ 1930 წ. 10 ივლისიდან გაანაღდონ მხოლოდ იმ დამხმარე კომისიების ნეზართვები კონვერსებული სესხების გაყიდვა-დაგირავების შესახებ, რომელნიც გამოცხადდნენ აღრიცხვაზე. ნ. 962

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Ს.Მ.Უ. ᲡᲐᲑᲭᲝ

აუწყებს თავის ხელქვეით ყველა ორგანიზაციებსა და საწარმოებს, აგრეთვე ორგანიზაციებს და საწარმოებს, რომლებიც

„ᲛᲠᲔᲬᲕᲛᲨᲔᲜᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲐᲖᲔ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗ, ᲐᲛ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲛᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲨᲘ, ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲝᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ

„მრეწვმშენმომარაგებაში“

(კეცხოველის ქ., № 5),

ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘ ᲥᲘᲚᲝᲒᲔᲑᲖᲔ, ᲢᲘᲚᲝᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲢᲝᲛᲠᲔᲑᲖᲔ 1930-31 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲗᲣ ᲛᲐᲗ ᲐᲡᲔᲗᲔᲑᲘ ᲔᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐᲗ. ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲝᲜ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ:

საქონლის დასახელება	რაოდენობა ცალობით	წონა 1 ცენტნერებად	ზომა	ერთეულის ფასი	ჯამი	შენიშვნა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Ს.Მ.Უ. ᲡᲐᲑᲭᲝ
ᲡᲐᲥᲡᲐᲮᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ „ᲛᲠᲔᲬᲕᲛᲨᲔᲜᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲐ“.

მასწავლებლები
ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲪᲝᲓᲜᲘᲗ
ამზადებენ მოწაფეებს:

სპეც-ტეხნიკუმებისათვის, მუშფაკებისათვის და საბუღალტრო კურსებზე შესასვლელად.

პირობების გაგება 4—7 საათამდე. კარგარეთელის ქ. № 3-A, ბინა № 2. (ყოფ. პირაგოვის ქ. კინო აპოლლოს მახლობლად). 0—12

სულ მოკლე ხანში
ვასწორებ
ᲮᲔᲚᲡ ᲬᲔᲠᲐᲨᲘ
რუსულ და ქართულ ენებზე
პროფ. კოსოდოს მეთოდით.
ტურგენევის ქუჩა № 4 (მე-9 კომისარიატი). კბილის ექიმის ფონ-ბრენერის ბინა, შესავალი ეზოდან.
1329

ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახ. ინსტიტუტი

მიხა ცხაკაიას სახელობისა (ლენინის ქ., № 49).

ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ ᲐᲛᲑᲣᲚᲐᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ

მკურნალობის ფიზიკური მეთოდების ყველა სახეები: ელექტრომკურნალობა, ნახშირ-მჟავას აბაზანები, სინათლით მკურნალობა მექანოთერაპია, რენტგენო-რადიო-თერაპია, ინგალიაცია, რენტგენოდიაგნოსტიკა

შინაგან სნეულებათა მკურნალობა (სპეციალურად გულის, ნივთიერებათა გაცვლის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების, რევმატიული დაავადებანი და სხვ.) ნერვიული და ქალის სნეულებანი.

კონსულტაცია ქალის სნეულებაზე დღის 12—1 საათამდე. პროფ. ღამბარაშვილი—სამშ. და პარასკ., შინაგან სნეულებებზე—12 საათ. დოც. ი კონიაშვილი—სამშ. და პარასკ., ნერვიულ ავადმყ.—11—12 ს. ექ. გ. პონდოევი—ყოველდღე.

ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან დღის 1 საათამდე

ავადმყოფთა ჩაწერა დილის 8-დან 10 საათამდე.

საღამოს ავადმყოფთა მიღება 5-დან 8 საათამდე, კვირას გარდა. ავადმყოფთა ჩაწერა 4-დან 7-ნახ. საათამდე, კვირას გარდა.

ნერვიულ ავადმყ.—7—8 საათ. პროფ. ხ. ყიფშიძე, ნერვიული ფსიქოთერაპია ა. ფ. გოცირიძე—7—8 ყოველდღე.
შინაგან სნეულ.—5—6 საათ. ექიმი ნ. ყიფშიძე—ყოველდღე.
ქალის სნეულ. და სამეანო—5—6 საათ. ექ. ხებახტიანსკი—ყოველდღე.
ყური, ყელი, ცხვირი 7—8 საათ. პროფ. ნ. ასპისოვი—სამშ., ხუთშ. და შაბ. 7—8 საათ. ექიმი დ. თევზაძე ორშ., ოთხშ. და პარასკ.
უროლოგია და ქირურგია 7—8 საათ. პროფ. ა. წულუკიძე ყოველდღე.
ბავშვთა ავადმყ.—5—6 საათ. ექიმი ი. ლორთქიფანიძე—ყოველდღე.

ქირა ავადმყოფთა გასინჯვისათვის პოლიკლინიკაში: პროფკავშირის წევრებისათვის 1 მან., სხვებისათვის—2 მანეთი.

ყოველგვარი კლინიკურ-დიაგნოსტიური ანალიზების მიღება.

მკურნალობის პირობების გაგება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში, აგრეთვე წერილობით და ტელეფონით 15—87..819
25—14 ნ.

ᲥᲕᲔᲛᲝᲓ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ

(დაკარგული და მოპარული) ᲩᲐᲘᲗᲕᲐᲚᲝᲡ ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲣᲚᲐᲓ

- პურის წიგნაკი „ა“ № 22151—რაჟიკო მაჩაიძის სახელზე. 3565
- პურის წიგნაკი ლიტერა „ბ“—თენგიზ დავითის ძე ანანიაშვილის სახელზე. 3577
- სიმწიფის ატესტატი № 126 და მეტრიკული ამონაწერი № 7584 ნინა ალექსანდრეს ასული ეგორიშვილის სახელზე. 3575
- პურის წიგნაკი გოჰარიკ ალავერდოვის სახელზე. 3574
- ლომბარდის ქვითარი № 109974 - ოლღა პაპიევას სახელზე. 3573
- პურის წიგნ. № 942—სამსონ სპირიდონის ძე თევდორაძის სახ. ნ. 959
- ლომბარდის ქვით. №№ 080581,—084902, დაზღვევ. წიგნ. ახალმშენ. კანტორ., პირადობის მოწმ. ილია ჩაბაერიძის სახელზე. 3552
- პურის წიგნაკი № 3277—ვანო ბილიხოდის სახელზე. 3562
- სამხედრო სააღრ. ბარათი ალექსი კონსტანტინე ბახტაძის სახ. 3566
- სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი—ისაკ ბუაძეს სახელზე. 3484
- განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 22811—თინათინ გვასალიას სახელზე. 3568
- ორი რძის აბონემენტი ვალერიან ახვლედიანის სახელზე. 3557
- პირადობის მოწმობა № 1121—ლუბა კვირიკაძის სახელზე. 3560
- პურის წიგნაკი № 31257, ვალიკო ახალაიას სახელზე. 3564
- პურის წიგნაკი გიგი ირემაძის სახელზე. 3561
- „ზაქტპოს“ წიგნაკი № 67751—ეკატერინე კიკნაძის სახელზე. 3563
- პურის წიგნაკი მიშა ირემაძის სახელზე. 3560
- კოოპერატიული წიგნაკი № 1870—ილია თელაშვილის სახელზე. 3571
- კავშირის წიგნაკი № 23/721—პორფირე გრიგოლიას სახელზე. 2571
- სამხედრო წიგნაკი ლავრენტი ჟვანიას სახელზე. 3558

დამწუხრებულნი ძმა ალექსანდრე ცოლშვილით, და—ბარბარე, სიძე პაველი იუწყებიან, რომ ქალაქ გორში გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი
ᲜᲘᲜᲝ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲒᲚᲣᲠᲯᲘᲫᲔ
დაკრძალვა მოხდება ქ. გორში სამშაბათს 1 ივლისს, 5 საათ. 3577

სოც. დაზღვევის კომიტეტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ თანამშრომლის ამხ.
ᲘᲐᲨᲐ (ᲘᲐᲙᲝᲑ) ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲡ-ᲫᲔ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲘᲡ
გარდაცვალების გამო. 3570

შრომსახკომის, სოცდაზღვევის და შრ. ბირჟის თანამშრომელთა გაერთიანებული ადგილკომი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს სოც. დაზღვევის კომიტ. თანამშრომლის ამხ.
ᲘᲐᲨᲐ (ᲘᲐᲙᲝᲑ) ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲡ-ᲫᲔ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲘᲡ
გარდაცვალების გამო. 3570

გაუბედურებული მეუღლე იაკინთე ცეცხლაძე, დედა მარო, ძმები: ისიდორე და ბენიამინ, რძლები: მარო და ნინა გორდელაძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფასი
ᲜᲘᲜᲐᲡ
დაკარგვას. დაკრძალვა სამშაბათს, პირველ ივლისს, 2 საათზე, სოფელ ლიხაურში. 3569

გულდათუთქული მშობლები: გრიგოლ (გრიშა) და ანეტა კაჭარავები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათთვის უძვირფასესის პატარა
ᲜᲘᲜᲘᲙᲝ ᲙᲐᲭᲐᲠᲐᲕᲐᲡ
გარდაცვალებას. გამოსვენება არამიანცის საავადმყოფოდან დღეს, 6 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 3572

გულდაწყვეტილი რუბენი და ოლღა გიორგაძეები აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ საყვარელ პატარა
ᲜᲘᲜᲘᲙᲝ ᲙᲐᲭᲐᲠᲐᲕᲐᲡ
უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ყოფილ არამიანცის საავადმყოფოდან დღეს, 6 საათზე. 3572

ღრმად დამწუხრებული ბაბუა სპირიდონ კაჭარავა შვილებით: ლიზა, მარგარიტა, ცაბუ, ციპა, ვასია და ბიძაშვილი ალიკო აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს ძვირფას, დაუვიწყარ
ᲜᲘᲜᲘᲙᲝ ᲙᲐᲭᲐᲠᲐᲕᲐᲡ
უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ყოფ. არამიანცის საავადმყოფოდან დღეს, 6 საათზე. 3572

ამხ. კამოს სახელობის საფაბრიკო-საქარხნო სკოლის თანამშრომლები: ალ. ყამარაული, გ. გორგიჯანიძე, ს. ცხაკაია, დ. შარაშენიძე, დ. დოთუხაშვილი, გ. მახარაძე, ო. ღვინიაშვილი, ა. კობაიძე, თ. ფიცხელაური, მ. თუშმალიშვილი, ა. ვაშაკიძე, ვ. ჩომახიძე და პ. სილივესტროვი ღრმად მწუხარებას გამოსთქვამენ სკოლის თანამშრომლის გრიშა სპირიდონის ძე კაჭარავას ერთად-ერთი ნუგეშის პატარა
ᲜᲘᲜᲐᲡ
უდროოდ დაკარგვის გამო. გამოსვენება ქალაქის პირველ საავადმყოფოდან (ყოფ. არამიანცის) დღეს, 30 ივნისს, 5 ნახ. საათ. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (ვ)

ღრმად დამწუხრებულნი ქმარი გაბრიელ, შვილები: ცუცუნია და ნანუში მეგრელიშვილები აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი
ᲐᲛᲘᲜᲐᲓᲐᲠ ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ
დაკრძალვა მოხდება დაბა ჩოხატაურში, 1 ივლისს. 3569

სამუდამოთ გულმოკლულნი ტრიფონ, ვარლამ, ილია, ლოლია, მარო მეგრელიშვილები, რაჟდენ, ჟენია, კიტა, შოთა თევზაძეები აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ დაბა ჩოხატაურში გარდაიცვალა მათი ბიცოლა
ამინადარ კარაპეტის ასული ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ
დასაფლავება დაბა ჩოხატაურში სამშაბათს, 1 ივლისს 2 საათ. 3579

ტირაჟი—56.800
საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი“, კამოს ქ. № 68.
მთავლიტი № 904